



სიმონ დევიზი



1-3 წლის ბავშვის

ადრდა მონტესორის მეთოდი

გზამკვლევი მშობლებისთვის
ცნობისმოყვარე და პასუხისმგებლობიანი
ბავშვის აღსაზრდელად



სულაკაურის
განმანათლებლობა

ბავშვის აღზრდა რთულია: ხშირად
პატარები არ გვისმენენ, ჭირვეულობენ,
ნივთებს აქეთ-იქით ყრიან, უარს
ამბობენ ჭამაზე... ამით ისინი სამყაროს
შეცნობას და მასში თავიანთი ადგილის
პოვნას ცდილობენ.

დოქტორი მარია მონტესორი ბავშვებს
წლების განმავლობაში აკვირდებოდა და
შეიმუშავა განათლების ტრადიციული
სისტემისგან განსხვავებული მეთოდი,
რომელიც პატარებს სწავლის ბუნებრივ
სურვილს აღუძრავს.

წიგნში შეხვდებით ხუთ პრინციპს,
რომლებიც დაგეხმარებათ, პატარას
გაუღვივოთ ცნობისმოყვარეობა,
ხელი შეუწყოთ მისი მრავალმხრივი
ინტერესების განვითარებას და
მოაწყოთ სივრცე მონტესორის
სტილით. ნახავთ, როგორ განუვითაროთ
ბავშვს თანამშრომლობის უნარი და
დაუნესოთ საზღვრები სიყვარულით;
შეძლებთ, მონტესორის პრინციპები
თქვენს ყოველდღიურობას მოარგოთ.

ამ წიგნის მეშვეობით შეიტყობთ,
როგორ გახდეთ უფრო ყურადღებიანი
და მზრუნველი მშობელი, რომელსაც
შეუძლია, იცხოვროს ანწყობი,
გაუმკლავდეს ტანტრუმსა და
პრობლემურ ქცევას ყოველგვარი
ქრთამის, მუქარისა და სასჯელის
გარეშე; მშობელი, რომელსაც შეუძლია
იქცეს ბავშვის გზამკვლევად და
რომელსაც განვითარების თითოეული
ეტაპის პატარასთან ერთად გავლა
გულწრფელ სიხარულს ჰგვრის.

ნათელი, ფერადი ილუსტრაციებით
სავსე ეს მშვენიერი წიგნი
სრულყოფილად გამოხატავს
მონტესორის სისტემის უმთავრეს
ფასეულობებს.

სიმონ დევიზი

1-3 წლის ბავშვის

**ა ღ ზ რ დ ა
მ რ ნ ტ ე ს რ ი ს
მ ე თ რ დ ი თ**

გზამკვლევი მშობლებისთვის
ცნობისმოყვარე და პასუხისმგებლობიანი
ბავშვის აღსაზრდელად

ილუსტრატორი
ჰიოკო იმავი

სიმონ დევისი

1-3 წლის ბავშვის აღზრდა მონტესორის მეთოდით

მთარგმნელი ნინი ჩაკვეტაძე

რედაქტორი სოფო მენტეშაშვილი

სამეცნიერო რედაქტორი მირანდა ლაზაშვილი, მონტესორის სერტიფიცირებული პედაგოგი

ილუსტრატორი შიოკო იმაი

დიზაინერი თინა ხუციშვილი

ტექნიკური დიზაინერი ლიკა ცქიტიშვილი

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2024

ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112

ტელეფონი: 291 09 54; 291 11 65

ელფოსტა info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-37-588-0

Simone Davies

The Montessori Toddler

Translated by Nini Chakvetadze

Copyright © 2019 by Jacaranda Tree Montessori

Illustration copyright © 2019 by Hiyoko Imai

All rights reserved.

www.sulakauri.ge

ედღვნება ოლივერს და ემას.
ჩემთვის თქვენი დედობა დიდი პატივია.
ყოველდღე შთაგონებით მავსებთ.

სარჩევი

თავი 1

შესავალი

- 2 შევცვალოთ ჩვენი მიდგომა ბავშვებისადმი
- 4 რატომ მიყვარს ბავშვები
- 5 რა უნდა ვიცოდეთ ბავშვებზე
- 8 ბავშვის აღზრდა მონტესორის მეთოდით
- 10 როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი ამ წიგნიდან

თავი 2

გაიგანი მონტესორის მეთოდი

- 12 ცოტა რამ მარია მონტესორის შესახებ
- 13 ტრადიციული აღზრდა VS მონტესორის მეთოდი
- 14 მონტესორის მეთოდის რამდენიმე პრინციპი



ტაბი 3

მონტესორის პედაგოგიკის პრინციპების მიხედვით

- 2 მონტესორის პედაგოგიკის პრინციპების მიხედვით
- 25 როგორ ვაქციოთ ჩვეულებრივი პედაგოგიკა მონტესორის პედაგოგიკად
- 25 როგორ გავაყვანოთ ბავშვს პედაგოგიკა
- 27 ზოგადი პრინციპები, რომლებიც უნდა გვახსოვდეს
- 37 როგორ მოვაშენოთ პედაგოგიკა
- 37 პედაგოგიკის ტიპები
- 34 თვალისა და ხელის კოორდინაცია
- 37 მუსიკა და მოძრაობა
- 39 პრაქტიკული უნარები
- 44 ხელოვნება და ხელნაკეთი ნივთები
- 46 ლექსიკური მარაგი
- 56 დამატებითი შენიშვნა ღია სივრცისა და ბუნების შესახებ
- 56 რა მოვლენებით სარგებობს, რომლებიც არაა მონტესორის ტიპის?

ტაბი 4

პედაგოგის მოვალეობა

- 2 როგორ მოვაწყოთ სივრცე მონტესორის პედაგოგიკის
- 27 ოთახ-ოთახ
- 27 ზოგადი პრინციპები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ
- 63 მოვალეობები არსებობს
- 64 შევქმნათ მყუდრო გარემო
- 64 მოვალეობები სახლი იხე, რომ ცხოვრება გავაუმჯობესოთ
- 85 სივრცის გაყოფა
- 85 შეზღუდული სივრცე
- 85 რატომაა მნიშვნელოვანი სახლის გარემო
- 85 ექსპერსია სახლში

ტაბი 5

აღზარდეთ ცნობისმოყვარე ბავშვი, რომელიც გრძნობს, რომ შინა პირში და ხედავს

პირველი ნაწილი

ნაახალისეთ პატარას ცნობისმოყვარეობა

- 96 ცნობისმოყვარეობის ხუთი ინგრედიენტი
- 96 ენდეთ ბავშვს
- 96 მრავალფეროვანი სასწავლო გარემო
- 97 დრო
- 97 უსაფრთხოება და დაცულობა
- 98 ხელი შეუწყობთ ინტერესის გაღვივებას
- 98 ცნობისმოყვარე ადამიანის აღზრდის შვიდი პრინციპი
- 98 მიჰყევით პატარას
- 99 ნაახალისეთ კეთილშინაობა
- 100 ჩართეთ ბავშვი ყოველდღიურ საქმიანობაში
- 101 იმოქმედეთ ნელა
- 101 „დამეხმარე, რომ ჩემს თავს დავეხმარო“
- 104 ნაახალისეთ შემოქმედებითობა
- 106 დაკვირვება

მეორე ნაწილი

მეორე ნაწილი ბავშვი ისეთი, რომელიც არის

- 109 აგრძნობინეთ თავი საჭიროდა და მნიშვნელოვნად, მიიღეთ ისეთი, როგორიც არის
- 110 გახდით „მთარგმნელი“
- 111 ყველა ემოცია მიხალდება, მაგრამ ყველა საქციელი - არა
- 112 შექმნის ნაცვლად, გამოიყენეთ უკუკავშირი
- 114 იარაღები



თავი 6

**როგორ გავუფრთხილოთ ბავშვს
პასუხისმგებლობის გრძნობა და
თანამშრომლობის უნარი**

პირველი ნაწილი


თანამშრომლობის უნარის განვითარება

- 118 რატომ არ ვიყენებთ მონტესორის
სისტემაში მუქარას, მოქრთამვას და სასველს
- 120 გადავჭრათ პრობლემა ბავშვთან ერთად
- 123 როგორ ჩავერთოთ ბავშვი პროცესში
- 124 როგორ ვესაუბროთ პატარას ისე, რომ
მოგვისმინოს
- 126 საკუთარი მოლოდინების მართვა
- 128 დამატებითი რჩევა – წარწერების
გამოყენება

მეორე ნაწილი

საზღვრების დანერგვა

- 130 საზღვრების დანერგვა წორმალურია
- 131 დაანერგეთ მკვეთრი საზღვარი
- 132 იყავით თავაზიანი და პრინციპული
- 134 მიიღეთ უარყოფითი ემოციები
- 135 როგორ გავუმკლავდეთ ტანტრუმს
- 138 როგორც კი დამშვიდდება, აღვადგინოთ
ურთიერთგავეშირი
- 138 დავგხმართ პატარას შეცდომების
გამოსწორებაში
- 141 რჩევები, რომლებიც საზღვრების
დანერგვაში დაგვეხმარება
- 143 სამართლიანია თქვენ მიერ დანერგებული
საზღვრები?



თავი 7

რეკომენდაციების კრებულიში გამოყენება

პირველი ნაწილი

ყოველდღიური რუტინა

- 146 დღის რეჟიმი
- 148 ოჯახური რიტუალები
- 149 ჩაცმა და შინიდან გასვლა
- 152 კვება
- 156 ძილი
- 159 კბილების გასუფთავება

მეორე ნაწილი

როგორ გავუმკლავდეთ ცვლილებებს

- 160 უნიტაზი
- 163 ხანოვარასთან დამშვიდობება
- 164 დედამამიშვილები

მესამე ნაწილი

**სასარგებლო უნარები, რომლებისც კატარას
უნდა განვუვითაროთ**

- 169 გამოარება
- 170 ვასწავლოთ პატარას, როგორ
შეანყვეტინოს ზრდასრულს საუბარი
ზრდილობიანად
- 171 ინტროვერტი ბავშვებისთვის საჭირო
უნარები
- 173 დარტყმის / კბენის / ხელის კვრის /
ნივთების სროლის ფაზა
- 176 კონცენტრაციის უნარის გამომუშავება
- 177 იმედაცრუებასთან გამკლავება
- 178 როცა ბავშვი თქვენზეა მონებებული
- 180 გავეტეხი
- 181 ბილინგვიზმი



შპს 8

ზრდასრულობა

- რას ნიშნავს ზრდასრულობა?
- საკუთარ თავზე ფიზიკური ზრუნვა
- განვითარებაზე ორიენტირებული ამოცანების ჩამოყალიბება
- დავინყოთ და დავასრულოთ დღე სწორად
- ფიზნავლოთ ანწყოში ყოფნა
- დაკვირვება
- ფიზნავლოთ „ემოციური ქურქლის“ შეგება
- შეგანვლოთ ტემპი
- გავხედოთ ბავშვის გზამკვლევი
- ვაქციოთ სახლი დამხმარე რესურსად
- ფიზიკური გულწრფელი
- ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენს ცხოვრებასა და არჩევანზე
- ფიზნავლოთ შეცდომებზე
- დავტკბეთ მიღწევებით
- ფიზიკური შეგება
- გავაგრძელოთ გარჯიში

შპს 9

პროფესიონალიზმის განვითარება

- ბავშვის გარემოცვა
- მშობლების ადამიანები არიან
- როცა ბავშვს ერთი მშობელი მეორეს ვერჩენია
- ურთიერთთანამშრომლობის გასაღები
- ოჯახის წევრებთან ურთიერთობა
- ბებია-ბაბუები და ძიძები
- როგორ გავუმკლავდეთ ოჯახურ კონფლიქტს?
- განქორწინებამ არ უნდა შეგვაშინოს

შპს 10

სახდება შემდეგ?

- შეადგება ბაღისთვის / სკოლისთვის
- მომდევნო წლები
- დროა, განათლების სისტემა შეცვალოთ
- დროა, სიმშვიდე მოვიპოვოთ

ნაგავილი ისტორიები

ოჯახები, რომლებიც მონტესორის მეთოდს იყენებენ

- 220 ავსტრალია
კაილი, აარონი, კასპერი, ოტისი და ოტო
როგორ ვიყენებთ მონტესორის მეთოდს ყოველდღიურად
- 221 მონღოლეთი
ენერალი, ბაიანა, ნიმო და ოდი
მინინიშუ
- 222 კანადა
ბეტი, ენტონი და კვენტინი
ჩვენი მონტესორული ცხოვრება
- 223 აშშ
ემი, ჯეიმსი, შარლოტი და საიმონი
მონტესორი შუა დასავლეთში
- 224 ჩემი ოჯახი
სიმონი, ოლივერი და ემა
ავსტრალია და ნიდერლანდები
- 225 ჩემი საკლასო ოთახი
„შაკარანდის ხის“ სკოლა
ამსტერდამი, ნიდერლანდები

226 დამატებითი საკითხავი

228 სამადლოებალი

დანართი

- 232 ამის ნაცვლად, უთხარით ეს...
- 234 სად ვიპოვოთ მონტესორის აქტივობებისთვის საჭირო მასალა და ავეჯი?
- 236 მონტესორის სკოლები
- 236 რას დავაკვირდეთ მონტესორის სკოლის მერჩენისას?
- 237 როგორია ერთი ჩვეულებრივი დღე მონტესორის სკოლაში?
- 238 მონტესორის მეთოდი ყველა ბავშვს ერგება?
- 239 როგორ ეგუება ბავშვი ტრადიციულ სკოლას მონტესორის სკოლაში სიარულის შემდეგ?
- 240 შეგრძნებები და მოთხოვნები
- 242 სათამაშო ცომის რეცეპტი
- 244 მონტესორის აქტივობების სია



შესავალი

1

- 2 შევცვალოთ მიდგომა ბავშვებისადმი
- 4 რატომ მიყვარს ბავშვები
- 5 რა უნდა ვიცოდეთ ბავშვებზე
- 8 ბავშვის აღზრდა მონტესორის მეთოდით
- 10 როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი
ამ წიგნისგან



შეხვედრით მიდგომა ბავშვებისადმი

პატარა ბავშვებს არასწორად აღიქვამენ. უმრავლესობისთვის მათი აღზრდა სირთულეებს უკავშირდება. ძალიან ცოტა მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ უნდა აღვზარდოთ ბავშვი სიყვარულით, მოთმინებით და მხარდაჭერით.

ბავშვები იწყებენ სიარულს, რაღაცების აღმოჩენას, სწავლობენ ლაპარაკს და ემოციების კონტროლი თავდაპირველად ცუდად გამოსდით; კაფეებსა და რესტორნებში წყნარად ჯდომა არ შეუძლიათ; როგორც კი ღია სივრცეს დაინახავენ, მაშინვე სირბილს იწყებენ, ტანტრუმი¹ ეწყებათ (ხშირ შემთხვევაში, ყველაზე შეუფერებელ დროს და ყველაზე შეუფერებელ ადგილას) და ეხებიან ყველაფერს, რაც საინტერესოდ ეჩვენებათ.

ბავშვობის პირველი ორი წელი ჭირვეულობით გამოირჩევა – არავის უსმენენ, ყველაფერს ძირს ყრიან, არ იძინებენ, არ ჭამენ და ლამის ქოთანს ვერ ეგუებიან.

როცა ჩემი შვილები პატარები იყვნენ, მათთან ურთიერთობა მუქარის, მოქრთამვის და აკრძალვების გზით არასწორად მიმაჩნდა. თუმცა, ალტერნატიული გზების მოძებნაც მიჭირდა.

როცა ჩემი პირველი შვილი ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყო, შემთხვევით ერთ რადიოინტერვიუს მოვუსმინე. სტუმარი აკრძალვის და სასჯელის უარყოფით გავლენაზე საუბრობდა. ამბობდა, რომ ამ დროს ბავშვს გაუცხოება ეწყება და მშობელზე ბრძანდება, რადგან მისგან ვერც მხარდაჭერას გრძნობს და ვერც შეცდომის გამოსწორებაში დახმარებას. ყურადღებით ვუსმენდი სტუმრის რჩევას, როგორ უნდა მოქცეულიყო მშობელი ასეთ დროს. მაგრამ, ინტერვიუ ზუსტად ამ დროს დამთავრდა. მას შემდეგ ამ კითხვაზე ჩემი უფრო პასუხის პოვნა ცხოვრებისეულ მისიამ მექცა.

მონტესორის სკოლაში პირველად რომ მოხვდი, ახალბედა მშობელი ვიყავი და იქაურობა მაშინვე შემიყვარდა. ყველაფერი გულდასმით შეერჩიათ, რაც გარემოს ძალიან კეთილგანწყობილს ხდიდა. მეგობრული, გულგრილი მასწავლებლები ჩვენს შვილს და ჩვენც პატივისცემით გვესაუბრებოდნენ. სკოლაში მოხვედრის მსურველთა სიაში ჩავენერეთ და მშობლებისა და ბავშვების კურსს შევუერთდით.

იმ გაკვეთილებზე მონტესორის აღზრდის მეთოდსა და ბავშვებზე ძალიან ბევრი რამ შევიტყვე. სირთულეებით სავსე გარემო ჩვენი პატარებისთვის შესაფერისია. ბავშვებს უნდათ, მათი ესმოდეთ და ყველაფერს ღრუბელივით ისრუტავენ. მივხვდი, რომ პატარებს ადვილად ვუგებდი, მოვლენებს მათი პერსპექტივიდან ვუყურებდი; აღმაფრთოვანებდა ის ფაქტი, თუ როგორ ეცნობოდნენ სამყაროს. გამიმართლა და იმ გაკვეთილებზე ფერწერა ზილის ასისტენტად დავინწყე მუშაობა.

¹ ტანტრუმი შეიძლება გამოვლინდეს ერთიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვში. ეს არის ბრძნის ამოხეთქვა, რომელიც გამოიხატება იატაკზე განოლით, ტირილით, კბენით, ფეხების ბაკუნით, ტექსტში ეს ტერმინი რამდენჯერმე შეგვხვდება (აქ და შემდეგ კომენტარები ეკუთვნის წიგნის რედაქტორებს).

მას შემდეგ, რაც 2004 წელს მონტესორის საერთაშორისო ასოციაციის ტრენინგს დავესწარი, ცხოვრებამ სიღნეიდან ამსტერდამში გადამისროლა. როცა ჩვენს ქალაქში მშობლისა და ბავშვისთვის მონტესორის კურსს ვერ მივაგენი, საკუთარი სკოლა გაეხსენი, სახელად „უაკარანდის ხე“. სკოლაში მშობლებისა და ბავშვებისთვის სპეციალურ გაკვეთილებს ვატარებდი და ოჯახებს ვეხმარებოდი, მონტესორის მეთოდის გამოყენებით, თავიანთი პატარები სულ სხვანაირი თვალთ დაენახათ.

იმ წლების განმავლობაში ათასამდე პატარასა და მათ მშობლებთან მქონდა შეხება და მათგან უამრავი ახალი რამ ვისწავლე. მონაწილეობა მივიღე მასწავლებლებისთვის განკუთვნილ პოზიტიური დისციპლინის ტრენინგში და არაძალადობრივი კომუნიკაციის მეთოდები შევისწავლე. დღემდე ვკითხულობ უამრავ წიგნსა და სტატიას, ვესაუბრები მასწავლებლებსა და მშობლებს, ვუსმენ რადიოგადაცემებსა და პოდკასტებს. ცხადია, ბევრი რამ ვისწავლე ჩემივე შვილებისგან, რომლებიც უკვე გაიზარდნენ და ახლა თინეიჯერები არიან.


მინდა, წლების განმავლობაში დაგროვებული ცოდნა გაგიზიაროთ; მინდა, მონტესორის სიბრძნე მარტივი, ყველასთვის გასაგები ენით გადმოგცეთ, რათა შემდეგმ ეს მეთოდი თქვენს ოჯახს მოარგოთ. ამ წიგნის ხელში ალება პირველი ნაბიჯია თქვენს პატარასთან ურთიერთობის ახალ გზაზე და სრულიად არ აქვს მნიშვნელობა, ბავშვი მონტესორის სკოლაში ივლის თუ არა.

წიგნში აღმოაჩენთ ახალ მეთოდებს, გაიგებთ, როგორ იმუშაოთ ბავშვთან, როგორ უხელმძღვანელოთ და მხარი დაუჭიროთ, განსაკუთრებით – რთულ სიტუაციებში; ისწავლით, როგორ შექმნათ სახლში მყუდრო გარემო, თავიდან აირიდოთ ქაოსი და სიმშვიდე შეინარჩუნოთ; როგორ მოაწყოთ სივრცე, რომელშიც ბავშვი შეძლებს, სამყარო თავისუფლად გამოიკვლიოს. ასევე შეიტყობთ, როგორ განახორციელოთ მონტესორის აქტივობები სახლის პირობებში. ისინი ბავშვებს პაერივით სჭირდებათ.

რა თქმა უნდა, ეს ერთ დღეში არ მოხდება. არ არის საჭირო, მონტესორის საკლასო ოთახი შექმნათ. შეგიძლიათ, პატარა ნაბიჯებით დაიწყოთ – იმით, რაც გაქვთ. შეინახეთ რამდენიმე სათამაშო, რათა შემდეგ მონაცვლეობით შესთავაზოთ. დააკვირდით თქვენს ბავშვებს, როცა რაიმე საგნისადმი ინტერესს იჩენენ. თანდათან შეამჩნევთ, რომ ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებთ მონტესორის მეთოდებს.

იმედი მაქვს, თქვენს პატარასთან ურთიერთობის უკეთესი, მშვიდობიანი გზების აღმოჩენაში დაგეხმარებით; იმ მარცვლის დათესვასა და გაღვივებაში, რომლისგანაც ცნობისმოყვარე, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნებას გაზრდით; გაჩვენებთ, როგორ გამოიხატოთ საერთო ენა თქვენს პატარასთან და თანდათან როგორ გააღრმავოთ ურთიერთობა. ვისურვებდი, მონტესორის ფილოსოფიის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში შეძლოთ.

დროა, ვისწავლოთ, როგორ შევხედოთ სამყაროს ჩვენი პატარების თვალეებით.



მონტესორის მასწავლებლების უმრავლესობა რომელიმე კონკრეტულ ასაკს ანიჭებს უპირატესობას. მე, პირადად, ყველაზე მეტად ჩემს სულ პატარა მეგობრებთან მუშაობა მიყვარს. ეს დამოკიდებულება გაოცებას იწვევს, რადგან პატარებთან მუშაობა რთულია, ემოციურები არიან და იშვიათად გვიჯერებენ.

მინდა, პატარები ახლებურად დაგანახოთ.

ბავშვები ანწყობენ ცხოვრობენ. ქუჩაში მათთან ერთად სიარული შეიძლება ერთი დიდი სიამოვნება იყოს. სანამ გონებაში საქმეების სიას ვადგენთ და ვფიქრობთ, სადილად რა მოვამზადოთ, ისინი ირგვლივ ყველაფერს ამჩნევენ, მაგალითად, გაბზარული ასფალტიდან ამოზრდილ ბალახს. პატარები თავისდა უნებურად გვაჩვენებენ, ანწყობენ როგორ ვიცხოვროთ. თვითონ ხომ მხოლოდ ეს აინტერესებთ – რა ხდება აქ და ახლა.

ბავშვები ყველაფერს ადვილად ითვისებენ. დოქტორ მონტესორის დაკვირვებით, 6 წლამდე ასაკის ბავშვები ყველაფერს წყლის ღრუბელივით სწრაფად და ადვილად ისრუტავენ. მონტესორიმ მოვლენას „ღრუბელი გონება“² უწოდა.

ერთი წლის ბავშვს არ სჭირდება, გრამატიკა და სინტაქსი აუხსნათ. სამი წლის ასაკში ბავშვს უკვე სიტყვათა შთამბეჭდავი მარაგი აქვს და მარტივი წინადადებების აწყობას სწავლობს (ზოგიერთები ამ დროს რთულ აბზაცებსაც წარმოთქვამენ). შეადარეთ ზრდასრულ ასაკში უცხო ენის სწავლას – შედეგის მიღწევას დიდი შრომა და ძალისხმევა სჭირდება.

ბავშვებს უამრავი რამ შეუძლიათ. ხშირად ისე ხდება, რომ სანამ შეილი არ გვეყოლება, ვერ ვაცნობიერებთ, პატარა ადამიანებს რამდენი რამ შეუძლიათ. 18 თვის ბავშვი სახლის გამოჩენამდე ხვდება, რომ ბებიასთან მიგვყავს, რადგან გზაში ნაცნობ საგნებს ამჩნევს. იგივე ხდება, როცა, მაგალითად, წიგნში სპილოს ხედავს – გარბის და სათამაშოების კალათიდან სათამაშო სპილო მოაქვს.

როდესაც სახლი ისე გვაქვს მოწყობილი, რომ ჩვენი შვილებისთვის ყველაფერი ადვილად ხელმისაწვდომია, ნებისმიერ თხოვნას დიდი მონდომებითა და აღტაცებით ასრულებენ: წმენდენ დაღვრილ წყალს, ნაგავს ურნაში ყრიან, გვეხმარებიან საჭმლის მომზადებაში და ტანსაცმელსაც თვითონ იცვამენ.

ერთხელ სახლში ხელოსანი გამოვიძახეთ. არასოდეს დამავიწყდება მისი გაოგნებული სახე, როცა ჩემმა ქალიშვილმა (მაშინ 2 წლისაც არ იყო) ჩაუარა, საძინებელში შევიდა, სველი ტანსაცმელი გამოიცვალა, კალათაში ჩადო და ისევ სათამაშოდ გავიდა. ხელოსანი ამკარად გაოცებული იყო იმით, რომ ასეთ პატარას დამოუკიდებლად აძენი რამ შეეძლო.

ბავშვები უმანკოები არიან. არა მგონია, რომელიმე პატარას ერთი წვეთი სიბოროტე ჰქონდეს. თუ სხვის ხელში სათამაშოს ამჩნევენ, შეიძლება, უბრალოდ, გაიფიქრონ: „მეც მინდა ის სათამაშო, თანაც ახლავე“, – და სათამაშო მეგობარს წაართვან. ხანდახან მათი

¹ „ბავშვებში“ ავტორი გულისხმობს 1-3 წლის ასაკის პატარებს.

² თითქმის ასი წლის წინ, როცა ბავშვებს აკვირდებოდა, მონტესორიმ სწორედ ასე აღწერა გონების მიერ გარემოს აღქმისა და შეცნობის უნარი. „ღრუბელი გონება“ ამჩნევს საჭირო ინფორმაციას გარემოში, სარკისებურად ითვისებს და იყენებს მას. ეს ხელს უწყობს ბავშვის ინდივიდუალ ჩამოყალიბებას. დაახლოებით 6 წლის ასაკიდან „ღრუბელი გონება“ უკვე შემეცნებითი ხდება.

ამ საქციელის მიზეზი მშობლების ყურადღების მიქცევაა („მოდი, ამ ჭიქას დავაგდე და ვნახავ, ჩემს მშობლებს რა რეაქცია ექნებათ“); ღიზიანდებიან, როცა მათი მოლოდინი არ მართლდება.

მაგრამ არცერთი ბავშვი არაა ბოროტი, შურიანი ან ბოლმიანი. უბრალოდ, იმპულსურები არიან და „მინდას“ მიხედვით მოქმედებენ.

ბავშვებმა წყენის გულში ჩადება არ იციან. წარმოიდგინეთ ბავშვი, რომელსაც პარკში დარჩენა უნდა, მიუხედავად იმისა, რომ წასვლის დროა. მაშინვე ისტერიკას აწყობენ, რომელიც შეიძლება ნახევარ საათსაც გაგრძელდეს. მაგრამ, როგორც კი დამშვიდდებიან (ხშირად – სხვისი დახმარებით), ზრდასრულებისგან განსხვავებით, რომლებიც შეიძლება მარცხენა ფეხზე ადგნენ და მერე მთელი დღე იბუზლუნონ, კვლავ მხიარულნი და ცნობისმოყვარენი ხდებიან.

პატარებს პატიების საოცარი უნარიც აქვთ. ხანდახან არასწორად ვიქცევით – წყობიდან გამოვდივართ, მიცემული პირობა გვაგინდება, ან, უბრალოდ, ვერ ვართ ხასიათზე. მაგრამ, როცა ბავშვს ბოდიშს ვუხდით, ამით ვაჩვენებთ, შეცდომის გამოსწორება და შერიგება როგორ ხდება. ბოდიშის მოხდის შემდეგ ბავშვი, დიდი ალბათობით, ჩაგვეხუტება, ან, მოულოდნელად, თბილი სიტყვებით დაგვაჯილდოებს. როცა, ბავშვებთან ურთიერთობას ასეთი მყარი საძირკველი აქვს, ისინიც ისევე ზრუნავენ ჩვენზე, როგორც ჩვენ – მათზე.

ბავშვები უბრალოები არიან. პატარებთან დროის გატარება ყველაზე მეტად იმიტომ მიყვარს, რომ პირდაპირნი და გულწრფელნი არიან. ყოველთვის იმას ამბობენ, რასაც ფიქრობენ და ემოციებს პირდაპირ, შეულამაზებლად გამოხატავენ. ყველამ, ვისაც პატარებთან დროის გატარება უნებს, იცის, რომ ბავშვმა შეიძლება ავტობუსში ვილაცისკენ თითი გაიშვიროს და ხმამაღლა წამოიყვიროს: „იმ კაცს თმა არ აქვს“. ამ დროს შეიძლება უხერხულობისგან მინის გასკდომა ვინატროთ, ბავშვს კი სირცხვილის ნიშანწყალიც არ ეტყობოდეს.

სწორედ ამ პირდაპირობის გამო, პატარებთან ურთიერთობა ძალზე მარტივია. მათთან სასაუბროდ არც ტვინის ჭყლეტაა საჭირო და არც ქვეტექსტებისა და ფარული ზრახვების ძიება. ბავშვებმა იციან, როგორ იყვნენ ნამდვილნი, საკუთარ თავში ეჭვი არ ეპარებათ და არც სხვებს განიკითხავენ. კარგი იქნებოდა, მათგან ეს გვესწავლა.

რა უნდა ვიცოდეთ ბავშვებზე

ბავშვებმა უნდა იცოდნენ „არას“ თქმა. თვითდამკვიდრება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაზაა, რომელსაც ბავშვი გადის. 18 თვიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვები აცნობიერებენ, რომ მათი იდენტობა მშობლებისგან განსხვავდება და ნელ-ნელა სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას ითხოვენ. ამ პერიოდში იწყებენ „არას“ თქმას და იყენებენ პირველი პირის ნაცვალსახელს „მე“.

ხშირად დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზა რთულია. ხანდახან მშობლებს ხელს გვკრავენ და მოისურვებენ, ყველაფერი თვითონ აკეთონ; იქნება დღეები, როცა პანანინა რამის დამოუკიდებლად გაკეთებაზეც უარს გვვტყვიან და კალთაზე ჩამოგვეკიდებიან.

ბავშვებს მოძრაობა სჭირდებათ. როგორც ცხოველებს არ უყვართ გალიაში ჯდომა, ისე პატარებს ვერ გააჩერებთ დიდხანს ერთ ადგილას. ბავშვებისთვის ნებისმიერი ახალი მოძრაობა სიახლეა და ერთი სული აქვთ, როდის დაისწავლიან. ფეხზე დადგომისთანავე ცდილობენ, თავი შეიმარონ და ნაბიჯები გადადგან. როგორც კი სიარულს ისწავლიან, სირბილი და მძიმე ნივთების გადაადგილება უნდათ – რაც უფრო მძიმე იქნება, მით უკეთესი. არსებობს ტერმინი, რომელიც ზუსტად გამოხატავს ფაზას, რომლის დროსაც პატარები ცდილობენ, სულ უფრო მეტს მიაღწიონ და საკუთარი შესაძლებლობები გამოცადონ (მაგალითად, დაძრან უზარმაზარი ნივთები, მძიმე ჩანთა ან, სულაც, ავეჯი). ამას „დიდი მონდომების“ ფაზა ჰქვია.

ბავშვებს ირგვლივ არსებული სამყაროს აღმოჩენა და გამოკვლევა სჭირდებათ. მონტესორი გვიჩვენებს, ეს მოცემულობა მივიღოთ და მოვანყოთ სივრცე, რომელშიც ბავშვი სიახლეებს უსაფრთხოდ გამოიკვლევს. ასევე, პატარა ჩავრთოთ ყოველდღიურ აქტივობებში, რომელთა საშუალებითაც ხუთივე შეგრძნების გამოყენებას და გარესამყაროს შესწავლას შეძლებს. უფლება მიეცით, ტალახში ამოისვაროს, ბალახზე ფეხშიშველმა იაროს, წყლით იწუნაოს და წვიმაში ირბინოს.

ბავშვებს თავისუფლება სჭირდებათ. თავისუფლება ბავშვს ეხმარება, გახდეს უფრო ცნობისმოყვარე, რაღაცები თვითონ გამოცადოს, აღმოაჩინოს და იგრძნოს, რომ საკუთარი თავის კონტროლი შეუძლია.

ბავშვებს შეზღუდვებიც სჭირდებათ. ზღვრის დაწესება აუცილებელია იმისათვის, რომ უსაფრთხოდ იგრძნონ თავი, ისწავლონ გარემომცხოვრების პატივისცემა. გარდა ამისა, ეს პატარას პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებაში ეხმარება. ამით ზრდასრულიც მოგებულია – შეუძლია იქამდე ჩაერიოს, სანამ ბავშვი ზღვარს გადავა და ამით ყველასთვის კარგად ნაცნობი ყვირილი, ბრაზი და დანაშაულის გადაბრალება თავიდან აიცილოს. მონტესორის მიდგომა იმას არ გულისხმობს, რომ ყველაფერი ნებადართული უნდა იყოს და არც იმას, რომ დიქტატურა დავანესოთ. პირიქით, ეს მეთოდი მშობლებს ასწავლის, როგორ გახდნენ შვილების მშვიდი წინამძღოლები.

ბავშვებს წესრიგი და თანმიმდევრულობა სჭირდებათ. პატარებს ურჩევნიათ, ყოველდღე ყველაფერი ზუსტად ისე იყოს, როგორც წინა დღეს – რუტინა, ნივთების განლაგება, წესები. ამ გზით ბავშვები სამყაროს წესებს უკეთესად იგებენ და იციან, რას უნდა ელოდონ.

როდესაც არათანმიმდევრულნი ვართ, პატარები ამონებენ, დღეს როგორ მოვიქცევით. თუ აღმოაჩინენ, რომ წუწუნი ან ისტერიკა ამართლებს, გამოიწვევს ისევ შეცდებიან. ამას „განმეორებითი განმტკიცება“¹ ჰქვია.

როცა ამ მოთხოვნილების არსს გავაცნობიერებთ, შევძლებთ მოვლენებს მეტი მოთმინებით და გაგებით მოვეყვით. იმ შემთხვევაში, თუ ყოველდღიურ რუტინას გადავუხვიეთ, წინასწარ გვეცოდინება, რომ ბავშვს დამატებითი მხარდაჭერა დასჭირდება. იმას კი არ ვიფიქრებთ, რომ სულელურად იქცევა, არამედ შევძლებთ, სიტუაციას ბავშვის თვალთ შევხედოთ; მივხედებით, რომ რაღაც ისე არ მოხდა, როგორც პატარა ელოდა. ამ დროს შეგვიძლია ბავშვი დავამშვიდოთ და როგორც კი თავს ხელში აიყვანს, გამოსავლის პოვნაში დავეხმაროთ.

ბავშვები ცხოვრებას არ გვირთულებენ. პატარებს ცხოვრება თვითონ უჭირთ. ძალიან მომწონს დამოკიდებულება, რომელსაც ეს ციტატა გამოხატავს: „შეხედეთ ტანტრუმს როგორც განსაცდელს და არა – როგორც ურჩობას“.²

როდესაც გავიაზრებთ, რომ მათი ქცევა, უბრალოდ, დახმარების ხმამაღალი თხოვნაა, შევძლებთ, საკუთარ თავს ვკითხოთ: „რით შემიძლია დავეხმარო?“ ასეთ დროს შეგრძნება, რომ თითქოს თავს გვესხმინ, ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება და იმის ძიებას ვინწყებთ, ბავშვს როგორ დავეხმაროთ.

¹ ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში აღწერილი ეს ფენომენი გულისხმობს ცოდნის განმტკიცებას გარკვეული ქმედების დასაჩუქრებით.

² ციტატა მოტანილია პედაგოგ ჯინ როზენბერგის სტატიიდან, რომელიც The New York Times-ში გამოქვეყნდა.

ბავშვები იმპულსურები არიან. მათი პრეფრონტალური ქერქი¹ ჯერ ისევ ჩამოყალიბების პროცესშია (და მომდევნო ოცი წელი ასე გაგრძელდება). ეს იმას ნიშნავს, რომ მოგვიწევს, ბავშვს ავუხსნათ, სწორად როგორ მოიქცეს იმ შემთხვევაში, თუ მაგიდაზე ისევ აძვრა, ან თუ ვინმეს ხელიდან რამე გამოგლიჯა. ვიყოთ მომთმენნი, როდესაც პატარას ემოციები მოაწვება. ხშირად ვამბობ ხოლმე, რომ ჩვენ უნდა შევითავსოთ პატარების პრეფრონტალური ქერქის ფუნქცია.

ბავშვებს ჩვენი ნათქვამის გასააზრებლად დრო სჭირდებათ. იმის ნაცვლად, რომ ათჯერ გაუუმეოროთ, წავიდეს და ფეხსაცმელი ჩაიცვას, შეგვიძლია გონებაში ათამდე დავითვალოთ და ბავშვს ჩვენი თხოვნის გააზრებისთვის დრო მივცეთ. ხშირად, სანამ რვამდე დავითვალოთ, დავინახავთ, რომ პატარა მოქმედებას იწყებს.

ბავშვებს კომუნიკაცია სჭირდებათ. პატარები ჩვენთან ურთიერთობას მრავალი გზით ცდილობენ. ჩვილები ლულუნებენ და ჩვენც ლულუნითვე ვპასუხობთ. როცა პატარები ტიტიანებენ, დავინტერესდეთ, რას ამბობენ. შედარებით დიდებს შეკითხვების დასმა და პასუხების გაცემა უყვართ. ამ დროს შეგვიძლია ლექსიკა გაუუმდიდროთ. სიტყვებს სულ პანანინებიც კი ღრუბელივით ისრუტავენ.

ბავშვებს უყვართ, როცა რაღაც უნარს სრულყოფილად ფლობენ. პატარები ამა თუ იმ უნარს იქამდე ხევენ, სანამ სრულყოფილ შედეგს არ მიიღებენ. ხშირ შემთხვევაში ეს რთული ამოცანაა, თუმცა არც იმდენად, რომ შუა გზაზე დანებდნენ. კონკრეტულ ქმედებას იმდენჯერ გაიმეორებენ, სანამ იდეალურად არ გამოუვათ, ხოლო როგორც კი დაისწავლიან, სხვა რამეზე გადართვა მათთვის ჩვეულებრივი ამბავია.

ბავშვებს მოსწონთ, როცა პროცესში საკუთარი წვლილი შეაქვთ და თავს ოჯახის წინააღმდეგ გრძნობენ. ბავშვებს თავიანთ სათამაშოებზე მეტად ის ნივთები აინტერესებთ, რომლებსაც მშობლები იყენებენ. ძალიან მოსწონთ ზრდასრულებთან ერთად საქმის კეთება: „გვეხმარებიან“, როცა საჭმელს ვამზადებთ, ვრეცხავთ, სტუმრების დასახვედრად ვემზადებით და ა. შ. როცა ბავშვს საკმარის დროს ვუთმობთ, ყურადღებას უფრო მეტად წარმატებულ პროცესზე ვამახვილებთ და შედეგზე ნაკლებად ვკონცენტრირდებით, ამით ჩვენს პატარებს ვაძლევთ მაგალითს, როგორ გახდნენ ოჯახის სრულფასოვანი წევრები და ყველა საქმეში თავიანთი წვლილი როგორ შეიტანონ. სამომავლოდ, სკოლისა და თინეიჯერობის პერიოდში, სწორედ ამ მიდგომას დაეყრდნობიან.

¹ თავის ტვინის უბანი, რომელიც ჩვენი თვითკონტროლის და გადაწყვეტილების მიღების უნარზე პასუხისმგებელი.

ბავშვის აღზრდა მონტესორის მეთოდით



ვადიარებ, როცა პირველად მონტესორის მეთოდს გავეცანი, ჩემი ინტერესი ზედაპირული იყო. თავიდან მხოლოდ მონტესორის მიერ შექმნილმა გარემომ და აქტივობებმა მომხიბლა. მინდოდა, ჩემი შვილებისთვის ლამაზი, მიმზიდველი მასალა მიმეწოდებინა და გარემოც შესაბამისად მომეწყო. არც შევმცდარვარ – ამით დაწყება ყველაზე მარტივია.

წლების შემდეგ მიხვდები, რომ მონტესორის მეთოდი ცხოვრების სტილია. შესაფერისი გარემოსა და აქტივობების შექმნაზე მეტად, მონტესორის მეთოდმა ჩემს ბავშვებთან დამოკიდებულებაზე იქონია გავლენა – სხვა თვალით დამანახა საკუთარი შვილები, ასევე, ის პატარები, რომლებიც ჩემს გაკვეთილებს ესწრებიან და ბავშვები, რომლებსაც ყოველდღიურად ვხვდები. მთელი არსი ისაა, რომ პატარებში ცნობისმოყვარეობა გავავლივით, ვისწავლოთ, როგორ მივიღოთ ბავშვები ისეთებად, როგორებიც არიან, – ყველანაირი განსჯის გარეშე – და მათთან მუდმივი კავშირი შევინარჩუნოთ, მაშინაც კი, როცა გვინევს, რაღაც ისეთი ავუკრძალოთ, რაც ძალიან უნდათ.

მონტესორის მეთოდის სახლში დანერგვა რთული არ არის, მაგრამ ის შესაძლოა მკვეთრად განსხვავდებოდეს იმ მეთოდისგან, რომლითაც ჩვენ აღვზარდეს, ან, რომლითაც ჩვენთვის ნაცნობი მშობლები თავიანთ შვილებს ზრდიან.

მონტესორის სისტემაში ბავშვი ინდივიდია – დამოუკიდებელი პიროვნება, რომელსაც თავისი უნიკალური გზა აქვს გასავლელი. მშობელი მისი მრჩეველი და მშვიდი წინამძღოლია, რომელიც მხარს უჭერს და ეხმარება. ბავშვს ძალით ვერ გამოვძიერწავთ და ვერც საკუთარ მოლოდინებსა და ბავშვობისდროინდელ აუხდენელ სურვილებს მოვახვევთ თავზე.

მებაღეების მსგავსად, ვთესავთ მარცვალს, ვუქმნით შესაბამის პირობებს, ვაძლევთ საკმარის საკვებს, წყალსა და სინათლეს; ვაკვირდებით და საჭიროებისამებრ ვცვლით ზრუნვის მეთოდებს; ვაცდით, გაიზარდოს, ჩვენი შვილების აღზრდაც სწორედ ასე შეგვიძლია. ესაა მონტესორის მიდგომა. ბავშვებსაც, როგორც დათესილ მარცვლებს, ვუქმნით შესაფერის პირობებს, საჭიროების მიხედვით ვცვლით ზრუნვის მეთოდებს და ვაკვირდებით, როგორ იზრდებიან. თავიანთი ცხოვრების გზას კი მოგვიანებით თვითონ აირჩევენ.

„პედაგოგები და მშობლები ბავშვებს ისე უნდა ექცეოდნენ, როგორც მებაღეები – თავიანთ მცენარეებს“.

– დოქტორი მარია მონტესორი, „პიროვნების ჩამოყალიბება“

ბავშვები

გენიალურები

ბრძან

ის, რაც მოქნილობის ნაკლებობა
გვგონია („ხაუზმეს ჩემი საყვარელი
კოვზის გარეშე ვერ შევჭამ!“)
სინამდვილეში ბავშვის მძაფრი
მოთხოვნილებაა წესრიგისადმი.

იმით, რაც სურვილების ქიდილი
გვგონია, სინამდვილეში პატარა
ხწავლობს, რომ ყოველთვის
ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც
მას სურს.

ის, რაც მომაბეზრებელი თამაშის
გაუთავებელი გამოერება
გვგონია, სინამდვილეში ბავშვის
სრულყოფილებისადმი ლტოლვის
გამოვლინებაა.

იმით, რაც ბრაზისა და აგრესიის
უეცარი, მძაფრი შემოტევა
გვგონია, სინამდვილეში ბავშვი
გეუბნებათ: „ძალიან მიყვარხარ.
შენთან თავს იმდენად უსაფრთხოდ
ვგრძნობ, რომ შემიძლია, ამოვუშვა
ყველაფერი, რასაც მთელ დღეს
ვიკავებდი“.

ის, რაც ჩვენს გახადიზიანებლად
მიმართულ ქმედებად გვეჩვენება,
სინამდვილეში ბავშვის
მცდელობაა, გამოიკვლიოს
ყველაფერი, რაც მის გარშემოა.

საჯარო სივრცეში ბავშვების
ნათქვამი სიტყვები, რომლებიც
თავს საშინლად უხერხულად
გვაგრძნობინებს, სინამდვილეში
იმის გამოხატულებაა, რომ პატარა
გულწრფელია და ტყუილის თქმა
არ შეუძლია.

ის, რაც მორიგ უძილო ღამედ
გვეჩვენება, სინამდვილეში
შუალამისას ყელზე შემოხვეული
პანია, პუტკუნა მკლავები და
ჩვენდამი წრფელი სიყვარულის
გამოვლინებაა.



როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი ამ

წიგნისგან

შეგიძლიათ, წიგნი თავიდან ბოლომდე წაიკითხოთ; ან, უბრალოდ, იმ გვერდზე გადაშალოთ, რომელიც გაინტერესებთ და ისეთი პრაქტიკული რჩევები მიიღოთ, რომლებსაც დღესვე გამოიყენებთ.

ხანდახან რთულია იმის განსაზღვრა, საიდან უნდა დავიწყოთ. იმისათვის, რომ ეს სირთულე თავიდან აგარიდოთ, თითოეული თავის ბოლოს საკვანძო კითხვები დაესვი. ეს დაგეხმარებათ, მონტესორის მეთოდი უფრო მარტივად მოარგოთ თქვენს გარემოსა და ყოველდღიურობას. ბოლოსკენ თანდართულია ასევე ცხრილები და სიები, რომელიც ამოცანებს გაგიმარტივებთ. დანართის ნაწილში იპოვით სასარგებლო ქვეთავს – „ამის ნაცვლად, უთხარით ეს“. თუ სურვილი გექნებათ, შეგიძლიათ, ეს ნაწილი ფურცელზე გადანეროთ, კედელზე დაკიდოთ და დროდადრო თვალი შეაულოთ ხოლმე.


მონტესორის მთელ სიბრძნესთან ერთად, ვიშველიებ სხვა რესურსებსაც (წიგნებს, პოდკასტებს, სასწავლო კურსებს), რომლებსაც წლების განმავლობაში ვაგროვებდი. ეს მასალა მეხმარება, ვიყო გზამკვლევი როგორც საკუთარი შვილებისთვის, ისე ჩემს გაკვეთილებზე მოსიარულე პატარებისთვის.

ამ წიგნს ისე შეხედეთ, როგორც შთაგონების წყაროს. ჩემი მიზანი სულაც არ არის, რომ ყველა რჩევა შეასრულოთ, პედანტურად მონესრიგებული გარემო შექმნათ ან იდეალური მშობლები გახდეთ. წიგნის მთავარი მიზანია, გასწავლოთ, როგორ გაუგოთ და მხარი დაუჭიროთ თქვენს პატარებს, როგორ გაერთოთ მათთან ერთად, როგორ დაეხმაროთ რთული ეტაპების გადალახვაში.

და, რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ, გაიღიმოთ მაშინ, როცა ყველაფერი ზედმეტად სერიოზულად გეჩვენებათ. გახსოვდეთ, ეს მოგზაურობაა და არა დანიშნულების წერტილი.

გაიცანი მონტესორის მეთოდი

2



- 12 ცოტა რამ მარია მონტესორის შესახებ
- 13 ტრადიციული აღზრდა VS მონტესორის
მეთოდი
- 14 მონტესორის მეთოდის რამდენიმე პრინციპი

ცოტა რამ მარია მონტესორის შესახებ

XIX საუკუნეში დოქტორი მარია მონტესორი ერთ-ერთი პირველი იტალიელი ექიმი ქალი იყო, რომის ერთ-ერთ კლინიკაში მუშაობდა და ხელმძღვრეო ოჯახებსა და მათ ბავშვებს სამედიცინო დახმარებას უწევდა. დოქტორი მონტესორი, მკურნალობის გარდა, პაციენტებზეც ზრუნავდა და მათ ტანისამოსითაც ამარაგებდა.

რომის თავმჯდომარეში მონტესორი ემოციური და ფსიქოლოგიური შეზღუდვების მქონე ბავშვებს აკვირდებოდა, რომლებიც არსებულ გარემოში სენსორულ დეპრივაციას განიცდიდნენ. ერთხელ შეამჩნია, რომ ბავშვები საჭმლის ნამცეცებს აგროვებდნენ – იმიტომ არა, რომ შეეჭამათ, არამედ უბრალოდ სურდათ, შეხების შეგრძნება გაეაქტიურებინათ. მაშინ მიხვდა, რომ ასეთ ბავშვებს, მედიცინაზე მეტად, განათლება დაეხმარებოდა.

დოქტორ მონტესორის მუშაობა წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიით არ დაუწყია. ამის ნაცვლად, მეცნიერული დაკვირვების ის ობიექტური პრაქტიკა გამოიყენა, რომელიც სამედიცინო განათლების მიღებისას შეიძინა. დაინტერესდა, რა იტაცებდა ბავშვებს; შეეცადა ამოეხსნა, პატარები სამყაროს როგორ სწავლობდნენ, რათა მათთვის ეს პროცესი გაემარტივებინა.

მთელი თავისი დრო საგანმანათლებლო ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის შესწავლას მიუძღვნა. სხვადასხვა ექსპერიმენტის დახმარებით, ბავშვებისთვის შესაფერისი სასწავლო მასალა მოამზადა, რის შედეგადაც უმრავლესობამ სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა და იმაზე მაღალი ქულები მიიღო, ვიდრე შეზღუდვების არმქონე ბავშვებმა. ამის გამო დოქტორი მონტესორი სასწაულმოქმედად შერაცხეს.

სულ მალე შანსი მიეცა, თავისი იდეები იტალიურ საგანმანათლებლო სისტემაში გამოეცადა. მონტესორის სთხოვეს, რომის ლატაკთა უბანში ისეთი დაწესებულება მოეწყო, რომელშიც ბავშვებზე მაშინ იზრუნებდნენ, როცა მათი მშობლები სამსახურში იქნებოდნენ. ეს იყო პირველი Casa dei Bambini, ანუ ბავშვთა სახლი, რომელიც 1907 წლის იანვარში გაიხსნა.

ცოტა ხანში მისმა მეთოდმა დიდი ყურადღება მიიქცია და მთელ მსოფლიოში გავრცელდა. დღეს მონტესორის სკოლები და სასწავლო პროგრამები, ანტარქტიდის გარდა, ყველა კონტინენტზე არსებობს. მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში 4,500 მონტესორის სკოლაა, 20,000 კი – მთელ მსოფლიოში. ამსტერდამში, სადაც მე ეცხოვრობ და რომლის მოსახლეობაც 800,000-ია, მონტესორის 20 სკოლაა. აქ ბავშვებზე ჩვილობიდან 18 წლამდე ზრუნავენ. ლარი პეიჯი და სერგეი ბრინი (Goswami-ის დამფუძნებლები), ჯეფ ბეზოსი (Amazon-ის დამფუძნებელი), ჟაკლინ კენედი ონასისი (ყოფილი პირველი ლედი) და გაბრიელ გარსია მარკესი (ნობელის პრემიის ლაურეატი მწერალი) მონტესორის სკოლაში სწავლობდნენ.

დოქტორი მონტესორი მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა, საგანმანათლებლო სფეროში მუშაობას აგრძელებდა და სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის ახალ-ახალ იდეებს ამუშავებდა. მეორე მსოფლიო ომის დროს მონტესორი თავის მეთოდს სვენდა გადასახლებაში (ინდოეთში). ამ საქმიანობას ის სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა. გარდაიცვალა 1952 წელს ნიდერლანდებში. დოქტორმა მონტესორიმ თავის სისტემას „სწავლა სიცოცხლისთვის“ დაარქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გამოყენება არა მხოლოდ საკლასო ოთახებში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიცაა მიზანშეწონილი.


ტრადიციული აღზრდა VS მონტესორის მეთოდი

ტრადიციულ განათლების სისტემაში მასწავლებელი, როგორც წესი, საკლასო ოთახის თავში დგას და წყვეტს, ბავშვმა რა უნდა ისწავლოს, ანუ ბავშვებს ასწავლის იმას, რაც უნდა იცოდნენ. ეს ცენტრალიზებული მიდგომაა.

ეს ასევე უნივერსალური მიდგომაა. მასწავლებელი წყვეტს, რომ ყველა ბავშვი მზადაა, მაგალითად, ასო „ა“ ერთსა და იმავე დღეს ისწავლოს.

მონტესორის საგანმანათლებლო სისტემაში არსებობს დინამიკური ურთიერთკავშირი ბავშვს, ზრდასრულსა და გარემოს შორის. ზრდასრულისა და გარემოს მხარდაჭერით ბავშვი სწავლის მეთოდს თვითონ ირჩევს.

სასწავლო მასალა თაროებზე თანმიმდევრულადაა დალაგებული – უმარტივესიდან ურთულესამდე. მათ ყველა ბავშვი თავისი ტემპით იყენებს, იმის მიხედვით, იმ კონკრეტულ მომენტში რა აინტერესებს. მასწავლებელი ბავშვს აკვირდება და როდესაც რწმუნდება, რომ მოსწავლემ მასალა საფუძვლიანად აითვისა, მომდევნო მასალას აცნობს.




ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე, რომელიც მონტესორის მეთოდის არსს გამოხატავს, ისრები ორივე მხარესაა მიმართული. გარემო და ბავშვი ურთიერთობენ – გარემო ბავშვს იზიდავს, ხოლო ბავშვი გარემოში არსებული მასალით სწავლობს. ურთიერთქმედებენ გარემო და ზრდასრულიც. ზრდასრული გარემოს ქმნის, აკვირდება და ზოგჯერ მასში შესწორებები შეაქვს, რათა ბავშვის საჭიროებებს მოარგოს. ბავშვს და ზრდასრულსაც ასევე დინამიკური ურთიერთობა აქვთ, რომელიც ორმხრივ პატივისცემაზეა დაფუძნებული. ზრდასრული ბავშვს, უბრალოდ, აკვირდება და მხოლოდ იმ შემთხვევაში ერევა, თუ პატარას დახმარება სჭირდება. ამის შემდეგ კვლავ გვერდით გადგება, რათა ბავშვს საკუთარი უნარების გაუმჯობესებაში ხელი არ შეუშალოს.

საკუთარ ნაშრომებში დოქტორი მონტესორი ხშირად იმეორებს: მონტესორის მეთოდით აღზრდა იმას კი არ ნიშნავს, რომ ბავშვს ტვინი ფაქტებით გამოვუტენოთ, არამედ იმას, რომ სწავლის ბუნებრივი სურვილი აღვუძრათ.

ეს პრინციპები მხოლოდ საკლასო ოთახისთვის არაა განკუთვნილი. ამგვარი მიდგომა იმასაც გვასწავლის, შინ როგორ მოვექცეთ ბავშვებს. პატარებს ხელი უნდა შევუწყოთ, თვითონ აღმოაჩინონ გარემო, მივცეთ თავისუფლება, დავუწესოთ საზღვრები და სახლი ისე მოვანყოთ, რომ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინიც მონაწილეობდნენ.

მონტესორის მეთოდის რამდენიმე პრინციპი



1. წინასწარ მომზადებული გარემო

„უკარანდის ხეში“ რვა კლასი მყავს. ჩემი სამუშაოს უდიდეს ნაწილს ბავშვების მოსვლამდე ვასრულებ. გარემოს ყოველთვის მზრუნველობითა და დიდი ყურადღებით ვამზადებ.

- ისეთ აქტივობებს ვგეგმავ, რომლებიც ბავშვების განვითარების ეტაპს ზუსტად შეეფერება – ასათვისებლად ცოტა რთულს, თუმცა არც იმდენად, რომ შუა გზაზე დანებდნენ.
- ვამონებ, რომ ბავშვებს ჰქონდეთ ყველა საჭირო ინსტრუმენტი აქტივობების წარმატებულად შესასრულებლად – ისეთი ზომის ლანგრებს ვარჩევ, რომლებსაც დამოუკიდებლად აიღებენ; ვახვედრებ ტილოებს იმ შემთხვევისათვის, თუ რამეს დაღვრიან; სახატავ მასალებს, რათა ივარჯიშონ, შემდეგ წაშალონ და კვლავ დახატონ; ორცხობილებზე კრემის გადასასმელ საბავშვო იარაღებს და პატარა ჭიქებს.
- იატაკზე გვჯდები და ვამონებ, მათი სიმაღლიდან რა როგორ ჩანს. ნახატებს დაბლა ვკიდებ, რათა უკეთესად დაინახონ. მცენარეებს, რომლებსაც უვლიან, ძირს ან დაბალ მაგიდაზე ვდგამ.
- სივრცეს ისე ვანყო, რომ ყველაფერი მარტივი და ლამაზი იყოს. ნებისმიერ არეულობას ვანესრიგებ. წინასწარ დაკვირვებით ვარჩევ აქტივობებისთვის საჭირო ყველა დეტალს, რათა ბავშვებმა დამოუკიდებლად მუშაობა შეძლონ.

ამ პროცესის შემდეგ სულ არ მრჩება იმის განცდა, რომ საკლასო ოთახი დავალაგე. მთელი ამ მზადების მიზანია, გარემო ბავშვებისთვის რაც შეიძლება მიზიდველი იყოს, რათა თავისუფლად შეძლონ კვლევა და სწავლა.

ამგვარად შეგვიძლია მოვამზადოთ ნებისმიერი სივრცე – საკლასო ოთახი, სახლი, დასასვენებლად ნაჭირავეები ბინა თუ ეზო.

2. სწავლის ბუნებრივი სურვილი

დოქტორმა მონტესორიმ დაადგინა, რომ ბავშვებს სწავლის შინაგანი მოტივაცია აქვთ. ისინი მუდმივი მცდელობის შედეგად სწავლობენ ნივთის აღებას, ფეხზე დგომას, სიარულს. ამ ყველაფერს დამოუკიდებლად ახერხებენ, შესაფერისი გარემო კი ეხმარებათ. იგივე პრინციპი მოქმედებს ლაპარაკის, წერა-კითხვის, მათემატიკის და, ზოგადად, სამყაროს შემეცნების დროსაც.

აღმოჩენები, რომლებსაც ბავშვები ამგვარ წინასწარ მომზადებულ გარემოში დამოუკიდებლად აკეთებენ, მათში ცნობისმოყვარეობასა და სწავლისადმი სიყვარულს აღძრავს. გარემოს გამოსაკვლევად მითითებები აღარ სჭირდებათ.

მონტესორის საკლასო ოთახებში სხვადასხვა ასაკის ბავშვები იყრიან თავს. პატარები უფროს ბავშვებზე დაკვირვებით სწავლობენ, უფროსი ბავშვები კი პატარების დახმარებით უკვე ნასწავლ ცოდნას იმტკიცებენ.

ბავშვების სამუშაო თამაშია. შინაგანად ისინი ცნობისმოყვარე მოსწავლეები არიან – თუ უფლებას მივცემთ, რომ ასეთები იყვნენ.

3. სწავლა კეთებით

„ბავშვის ინტელექტი რაღაც ზღვრამდე შეიძლება ხელების დახმარების გარეშე განვითარდეს. თუმცა, თუ პროცესში ხელებიცაა ჩართული, განვითარების დონე ბევრად აინეგს და ბავშვს უფრო მტკიცე ხასიათი ჩამოუყალიბდება“.

- დოქტორი მარია მონტესორი, „ღრუბელი გონება“

ხელები ინფორმაციას იღებენ კეთებით და ტვინს აწვდიან. ერთია, როცა რაღაც გვესმის ან ვუყურებთ, მაგრამ როცა ამ დროს ხელებსაც ვიყენებთ, სწავლა ბევრად უფრო სიღრმისეულად გამოგვდის – სწავლის პასიური პროცესიდან აქტიურ პროცესზე გადავდივართ.

მონტესორის საკლასო ოთახში მასალა ისე მიმზიდველადაა განლაგებული, რომ ბავშვი მაშინვე მისკენ მიიწევს – უნდა, ყველაფერი საკუთარი ხელით შეამოწმოს და რაღაც ახალი აღმოაჩინოს.

ბავშვებს საშუალებას ვაძლევთ, შეხებით სწავლის გამოცდილება მიიღონ. პატარები იღებენ ნივთს, რომელსაც ვუსახელებთ და მის გამოსაკვლევად ვთავაზობთ სხვადასხვა მასალას – საინტერესო სამაგრებს, რომლებიც იხსნება და იკვრება (ასაფხრენი სამაგრით დანყებული, ელვაშესაკრავით და ღილებით დამთავრებული). ბავშვები საჭმლის მომზადებაშიც გვეხმარებიან – ცომს ზელენ ან კარაქის დანით ბანანს ქრიან.

ხელეების მეშვეობით სწავლის კიდევ ერთი მაგალითი მათემატიკური მასალაა, რომელიც მონტესორის საკლასო ოთახში სამიდან ექვს წლამდე ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. პატარა ოქროს მძივი რიცხვ 1-ს განასახიერებს. შესაბამისად, ათი მძივისგან აწყობილი აცმა რიცხვი 10-ია; 10 მწკრივისგან შემდგარი 10-მძივიანი ხალიჩა 100-ია; ათი ასეთი ხალიჩა ერთად უკვე 1000-ია.

ამ მასალის გამოყენებით, ბავშვს შეუძლია, ანგარიში ისწავლოს. იმისთვის, რომ 1234-ს დაუმატოს 6432, პატარა იღებს ერთ 1000-იან ნაკრებს, ორ 100-იან ხალიჩას, მძივების 3 აცმას და 4 ცალ მძივს. იგივე მოქმედება შეუძლია გაიმეოროს 6432-ის მისაღებად. როცა ყველაფრის ერთად დალაგებას დაინწყებს, მისთვის უკვე ნათელი გახდება, რომ აქვს 7 ცალი 1000-იანი ნაკრები, 6 ცალი 100-იანი ხალიჩა და ა. შ. ამ გზით ბავშვი რეალურად აღიქვამს, რა რაოდენობა უჭირავს ხელში, ეს კი სრულიად განსხვავდება იმ აბსტრაქტული ანგარიშისგან, რომელსაც ბავშვების უმრავლესობა წერით სწავლობს.

როდესაც ბავშვი მაღალ კლასში გადადის, ამ საბაზისო ცოდნის გამოყენებით, პრაქტიკული აზროვნებიდან აბსტრაქტულ აზროვნებას მარტივად უღებს ალღოს. ამ ეტაპზე ხელშესახები მასალა აღარ სჭირდება, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, ყოველთვის შეუძლია მისი გამოყენება.

4. მგრძნობიარე პერიოდები

როდესაც ბავშვი კონკრეტული საკითხისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს (ეს შეიძლება იყოს მოძრაობა, ენა, მათემატიკა, კითხვა), ამას მგრძნობიარე პერიოდი ჰქვია. ეს ის პერიოდია, როცა პატარა კონკრეტული უნარის შესწავლითაა დაინტერესებული და ამას მარტივად, ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე ახერხებს.

შეგვიძლია ბავშვებს დავაკვირდეთ და განვსაზღვროთ, რით ინტერესდებიან, შემდეგ კი ამის მიხედვით შევთავაზოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც მათ ინტერესს უფრო მეტად გააღვივებს.

როდესაც ბავშვი ჩვენს ბაძვას იწყებს (მაგალითად, თუთიყუშით იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვებს), ვხვდებით, რომ ენის დასწავლის მგრძნობიარე პერიოდი აქვს. ასეთ დროს პრაქტიკისთვის შეგვიძლია მივანოდოთ როგორც ახალი, ისე უკვე კარგად ნაცნობი სიტყვები.

თუ ბავშვი მაგიდაზე აძრომას ცდილობს, ესე იგი, მოძრაობის მგრძნობიარე პერიოდი აქვს და ამ უნარის დახვეწა სჭირდება. იმის მაგივრად, რომ ავეჯზე ძრომილის უფლება მივცეთ, ბალიშების, საბნებისა და სხვა ნივთების დახმარებით შეგვიძლია დაბრკოლებებით სავსე ბილიკი შეეუქმნათ, რომელზე აძრომა ბალანსის შენარჩუნების უნარსაც გამოუმუშავებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, როგორ უნდა დავაკმაყოფილოთ ბავშვის ინტერესი მაშინ, როდესაც ის ამა თუ იმ მგრძნობიარე პერიოდს გადის.

შენიშვნა: ზოგი ღელავს, რომ თუ რომელიმე მგრძნობიარე პერიოდს გამოტოვებს, (მაგალითად, კითხვას), შემდგომ ბავშვს კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები ექნება. სინამდვილეში, პატარა კითხვას მაინც ისწავლის, თუმცა ამისთვის უფრო მეტი გაცნობიერებული ძალისხმევა დასჭირდება, ისევე, როგორც ზრდასრულს, რომელიც უცხო ენას სწავლობს.

ბავშვების მგრძნობიარე პერიოდები



მგრძნობიარე პერიოდები თითოეული ბავშვისთვის განსხვავებულ ეტაპზე დგება.

0-6 წ.	სალაპარაკო ენის მგრძნობიარე პერიოდი. ბავშვები გაკვირდებიან პირზე, ტიტინებზე, იმეორებენ თქვენს ნათქვამს და სულ მალე ნაირგვარი სიტყვებით საუბარს იწყებენ. წერისადმი ინტერესი შესაძლოა გაჩნდეს 3,5+ ასაკში; კითხვისადმი ინტერესი – 4,5+ ასაკში. • გამოიყენეთ მდიდარი ლექსიკა. • ყველაფერი შესაბამისი სახელით მოიხსენიეთ. • წაუკითხეთ წიგნები. • ესაუბრეთ. გააკეთეთ მცირე პაუზები, რათა ნათქვამის გააზრების დრო მისცეთ. • მიჰყევით ბავშვის ინტერესებს.
6-12 წ.	პატარებს წესრიგი უყვართ. ერთხელ დოქტორი მონტესორი დედასთან ერთად მოსიერზე ბავშვს აკვირდებოდა. როდესაც დედამ პალტო გაიხადა, პატარა მოულოდნელად გაღიზიანდა. ბავშვი აღელდა, რადგან მისთვის ნაცნობი „წესრიგი“ შეიცვალა. როგორც კი დედამ პალტო ჩაიცვა, მაშინვე დაწყნარდა. • დააწესეთ რუტინა, რათა ბავშვმა იცოდეს, რას რა მოსდევს და რას უნდა ელოდოს. • გქონდეთ „ადგილი ყველაფრისთვის“ და „ყველაფერი თავის ადგილას“. • გაუგეთ პატარას, როცა იმის გამო ღიზიანდება, რომ რაღაც ისე არ მოხდა, როგორც ელოდა.
12-18 წ.	18 თვიდან 3 წლამდე ბავშვებს პანაწინა ნივთები და უმცირესი დეტალები იზიდავთ. • გაამრავალეთ ინტერირი დახვეწილი დეტალებით – ნახატებით, ყვავილებით, ხელნაკეთი ნივთებით. • დასხედით ძირს, ბავშვის სიმაღლეზე. დააკვირდით, რას ხედავს პატარა და გარემო უფრო მიმზიდველი გახადეთ. • მოაშორეთ ყველა ზედმეტი ნივთი.
18-24 წ.	პატარა მსხვილ და ნატიფ მოტორულ უნარებს ივითარებს – სწავლობს სიარულს და ხელების გამოყენებას. შედარებით უფროსი ბავშვი ამ უნარებს ხეწენ და კოორდინაციას სწავლობს. • შესთავაზეთ ბავშვს სხვადასხვა აქტივობა, რომელთა საშუალებითაც მსხვილ და ნატიფ მოტორულ უნარებს განივითარებს. • მიეცით დრო მოძრაობისთვის.
24-36 წ.	ბავშვებს ხიბლავთ ფერები, გემო, სუნი, საგნებთან შეხება და სხვადასხვა ხმა, რომლებიც გარემოს გამოკვლევისას ესმით. შედარებით უფროსი ბავშვი ამ შთაბეჭდილებების კლასიფიცირებას და ორგანიზებას იწყებს. • მიეცით ბავშვს საშუალება, შეისწავლოს მდიდარი გარემო როგორც სახლში, ისე გარეთ და ყველა შეგრძნება თვითონ აღმოაჩინოს. • მიეცით დრო, თავისუფლად იკვლიოს ის, რაც უნდა. • ერთად აღმოაჩინეთ რაღაცები.
36-48 წ.	მანერების მგრძნობიარე პერიოდი დაახლოებით 2,5 წლიდან იწყება. მანამდე ზრდასრულს შეუძლია პატარას კარგი მანერებისა და ზრდილობიანი ქცევის მაგალითები მისცეს. • ენდეთ ბავშვის უნარს, თანდათანობით გამოიმუშაოს კარგი მანერები. აუცილებელი არაა, პატარას ზრდილობიანად მოქცევა დააძალოთ. • მიეცით კარგი მანერებისა და ზრდილობიანი ქცევის მაგალითები შინ და გარეთ, უცნობების გარემოცვაშიც.

5. გაუცნობიერებელი „ღრუბელი გონება“

დაბადებიდან დაახლოებით 3 წლამდე ბავშვები ინფორმაციას ყველანაირი ძალისხმევის გარეშე იღებენ. დოქტორი მონტესორი ამას „ღრუბელ გონებას“ უწოდებდა. დაბადებიდან 3 წლამდე პატარები ამას სრულიად გაუცნობიერებლად აკეთებენ.

ბავშვის მარტივად ათვისების უნარი გვაძლევს ახალ შანსებსა და ახალ პასუხისმგებლობებს.

გვაძლევს შანსებს იმიტომ, რომ ბავშვი მარტივად ითვისებს ენას, რომელიც ესმის (მდიდარი სასაუბრო ლექსიკა); აკვირდება, როგორ ვეპყრობით ავეჯს და სხვა ნივთებს (საუკეთესო შემთხვევაში – სიფრთხილით), როგორ ვექცევით გარშემომყოფებს (საუკეთესო შემთხვევაში – პატივისცემით და ზრდილობიანად), სად ვდებთ ნივთებს (ნესრიგის შექმნა); აღიქვამს გარემოს მშვენიერებას.

გვიჩენს პასუხისმგებლობებს იმიტომ, რომ, როგორც დოქტორი მონტესორი აღნიშნავდა, ღრუბელი ჭუჭყიან წყალსაც ისევე სწრაფად ისრუტავს, როგორც სუფთას. ბავშვი ცუდ გამოცდილებასაც ისევე მარტივად ითვისებს, როგორც კარგს. პატარები ჩვენს განწყობას და დამოკიდებულებასაც კი აღიქვამენ. მაგალითად, როცა რაღაც გვივარდება და ვლიზიანდებით (იმის ნაცვლად, რომ ვაპატიოთ საკუთარ თავს), ან როცა მყარად გვაქვს გონებაში ჩაბეჭდილი, რომ ცუდად ვხატავთ (იმის ნაცვლად, რომ საკუთარ თავს ვუთხრათ: „შრომის წყალობით, ნებისმიერი უნარის გაუმჯობესება შეგიძლია!“).

ამიტომ, რამდენადაც შეგვიძლია, უნდა ვეცადოთ, ბავშვს კარგი მაგალითები მივცეთ, რათა პატარამ შეძლოს და ჩვენგან სიკეთისა და სილამაზის აღქმის უნარი შეისრუტოს.

6. თავისუფლება და შეზღუდვები

ხშირად გამიგონია: „მონტესორის სკოლები... ეს ის ადგილი არაა, სადაც ბავშვებს თავიანთ ნებაზე უშვებენ და ისინიც, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ?“ ასეთივე მსმენია: „მონტესორის სკოლები ხომ ზედმეტად მკაცრია. ბავშვებს მასალის მხოლოდ კონკრეტული გზით გამოყენების უფლებას აძლევენ“.

სინამდვილეში, მონტესორის სკოლები სრულ ნებადართულობასა და დიქტატურას შორისაა.

სახლში ან სკოლაში ბავშვებმა რამდენიმე წესის დაცვით უნდა იცხოვრონ, რათა ისწავლონ პატივისცემა, აილონ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, გარშემომყოფებსა და გარემოზე. ამ შეზღუდვების ფარგლებში ბავშვებს აქვთ არჩევანის, მოძრაობის და ნების თავისუფლება.

მონტესორის სკოლაში ბავშვს შეუძლია, თავისუფლად აირჩიოს, რისი კეთება უნდა (თუ ეს შესაძლებელია), დაისვენოს, როცა მოისურვებს, უყუროს სხვა ბავშვებს (თუ ეს მათ არ აწუხებთ) და თავისუფლად იაროს საკლასო ოთახში (თუ გარშემომყოფებს პატივს სცემს). ამ საზღვრების დაცვით, პატარას ფეხდაფეხ მივყავით და გვჯერა, რომ განვითარებას დამოუკიდებლად, თავისი უნიკალური ტემპით შეძლებს.

შინ უფლებას ვაძლევთ, აირჩიოს, რისი ჩაცმა უნდა (თუ ტანსაცმელი სეზონისთვის შესაფერისია), მოიზადოს სასუსნავი (თუ დაჯდება და ისე შეჭამს), თავისუფლად

გამოხატოს საკუთარი თავი (თუ ამით ოჯახის დანარჩენ წევრებს არაფერს უშავებს და ნივთებს არ აზიანებს).

ზოგიერთი წუხს, როგორ შეძლებენ ბავშვები სწავლას, როცა ამქვეყნად არსებობს რაღაცები, რომლებიც, უნდათ თუ არა ეს, უნდა გააკეთონ? ნერვიულობენ, ზედმეტად განებივრებულები ხომ არ გაიზრდებიან, თუ მუდმივად ყურადღების ცენტრში იქნებიან. საქმე ისაა, რომ ბავშვებს ყველაფრის კეთების უფლება არ უნდა მისცეთ. როგორც მშობლებმა, უნდა აუხსნათ, მათგან რას ელით და საჭიროების შემთხვევაში, ზღვარიც დაუწესოთ. აუცილებლად უნდა ჩაერიოთ, თუ სხვას ან საკუთარ თავს ვნებს; დელიკატურად უნდა დაეხმაროთ, თუ პარკიდან წამოსვლისას ჭირვეულობს. ხანამ სწავლობთ, როგორ შეხედოთ სამყაროს ბავშვის თვალით, პატარას აძლევთ ორმხრივი პატივისცემისა და ზრუნვის ფასდაუდებელ მაგალითს.

ბავშვებს უნდა მისცეთ თავისუფლება, ოღონდ – არა აბსოლუტური.

7. დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა



„დამეხმარე, რომ ჩემს თავს დავეხმარო“.

მონტესორის სისტემაში ბავშვები ნამდვილ დამოუკიდებლობას სწავლობენ. ამას იმიტომ არ ვაკეთებთ, რომ პატარები რაც შეიძლება სწრაფად გაიზარდონ (ბავშვებს ბავშვობა უნდა ვაცადოთ), არამედ იმიტომ, რომ მათ დამოუკიდებლობა ძალიან უყვართ.

ბავშვებს უნდათ, რაც შეიძლება მეტი რამ აკეთონ – საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანონ, გახდნენ ოჯახის/კლასის/საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. სახეზე კმაყოფილება ესახებათ, როცა დამოუკიდებლად იცვამენ ფეხსაცმელს, ნივთს თავის ადგილას აბრუნებენ ან მეგობარს ეხმარებიან; თავს მშვიდად გრძნობენ, როცა რაღაცას დამოუკიდებლად აკეთებენ და არ უწევთ ბრძოლა, როცა თავზე მაისურს აცმევენ ან აბაზანაში გაუფრთხილებლად აგდებენ.

დამოუკიდებლობის წყალობით, ბავშვი სწავლობს, როგორ იზრუნოს საკუთარ თავზე და პასუხისმგებლობით განეწყოს გარშემომყოფებისა და გარემოს მიმართ.

პატარები სწავლობენ მყიფე ნივთებთან სიფრთხილის გამოჩენას. სწავლობენ, მეგობარს დახმარება როგორ შესთავაზონ; როგორ მიხედონ თავიანთ ნივთებს, გამოასწორონ შეცდომა, როცა ვინმეს აწყენინებენ; მოუბრონ მცენარეებს, საკლასო ოთახს და გარემოს. სულ პატარებიც კი.

8. ინდივიდუალური განვითარება

თითოეულ ბავშვს განვითარების საკუთარი, უნიკალური ტემპი აქვს.

მონტესორი არა მხოლოდ ბავშვის უნიკალურ ტემპს სცემს პატივს, არამედ იმ ფაქტსაც, რომ თითოეულ ბავშვს ენერგიის სხვადასხვა მაჩვენებელი აქვს და კონცენტრაცია სხვადასხვანაირად შეუძლია. ბავშვები სწავლისთვის მრავალფეროვან მეთოდებს იყენებენ: ვიზუალურს, სმენითს, შეხებითს ან – ყველაფერს ერთდროულად.

ზოგიერთ ბავშვს ერთისა და იმავე მოქმედების უამრავჯერ გამეორება მოსწონს, სანამ კონკრეტულ უნარს სრულყოფილად არ დაეუფლება. დანარჩენებს სხვა ბავშვებზე დაკვირვება მოსწონთ; ზოგიერთს, სხვებთან შედარებით, უფრო მეტი მოძრაობა სჭირდება.

მონტესორი პატივს სცემს სწავლის განსხვავებულ მეთოდებს და მხარს უჭერს ბავშვების ინდივიდუალურ განვითარებას.

9. პატივისცემა

მონტესორის სკოლის მასწავლებელი ბავშვს იმდენად დიდ პატივს სცემს, რომ მასაც ისევე ექცევა, როგორც ზრდასრულს მოექცეოდა. ეს პატივისცემა ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალსაჩინოა: როგორ ესაუბრება ბავშვს, როგორ სთხოვს შეხებისთვის ნებართვას (მაგალითად ასე: „შეიძლება ხელში აგიყვანო?“); როგორ აძლევს ბავშვს დამოუკიდებლად განვითარების უფლებას.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზრდასრულს პასუხისმგებლობა არ ეკისრება. საჭიროების შემთხვევაში, ზღვარს სწორედ ის აწესებს, ოღონდ არა პასიურ-აგრესიულად, არამედ მტკიცებითი ფორმით გამოხატული პატივისცემით.

10. დაკვირვება

დაკვირვება მონტესორის მეთოდის საფუძველია. მონტესორის მეთოდის შესწავლის დროს პატარებსა და მოზრდილ ბავშვებს 250+ საათის განმავლობაში ვაკვირდებოდით. ამ ხნის განმავლობაში ვცდილობდით, თავიდან აგვერიდებინა შემთხვევის გაანალიზების სურვილი, ნაჩქარევი დასკვნები არ გამოგვეტანა, არ გყოფილიყავით მიკერძოებულნი და არ შეგვექმნა წინასწარი წარმოდგენა ბავშვსა და კონკრეტულ სიტუაციაზე.

დაკვირვება კედელზე დამონტაჟებული ვიდეოკამერასავითაა. მის მსგავსად, ჩვენც მხოლოდ ფაქტებს ვეყრდნობით და ვინერთ ყველაფერს, რასაც ვხედავთ – ბავშვების მოძრაობას, მათ მეტყველებას, პოზებს, ქმედებებს.

დაკვირვება ნათლად გვიჩვენებს, ბავშვი კონკრეტულ მომენტში რა ეტაპს გადის. გვეზიარება, დავინახოთ, რითაა დაინტერესებული, რაში ცდილობს გავარჯიშებას, როგორ იცვლება განვითარების პროცესში. დაკვირვების შედეგად ვხვდებით, როდისაა საჭირო ჩვენი ჩარევა, ზღვრის დაწესება, დახმარების გაწევა მანამ, სანამ კვლავ დამკვირვებლის როლს დავუბრუნდებით.

პრაქტიკისთვის

1. ხომ არ აქვს ბავშვს რომელიმე მგრძნობიარე პერიოდის ნიშნები?
ახლა რითაა დაინტერესებული?
2. ხომ არ ავლენს ბავშვი:
 - „ღრუბელი გონების“ ნიშნებს?
 - სწავლის ბუნებრივ სურვილს?
3. თავად რა დამოკიდებულება გაქვთ ცენტრალიზებულ მიდგომასთან (ტრადიციული სწავლების მეთოდი) და იმ მეთოდთან, რომლის მიხედვითაც ბავშვი დამოუკიდებლად ვითარდება?

მომდევნო თავებში შეიტყობთ, როგორ დანერგოთ მონტესორის მეთოდის ეს პრინციპები ყოველდღიურ ცხოვრებაში.



- როგორ დავაკვირდეთ ბავშვებს და ვნახოთ, რა აინტერესებთ, რისი გამოკვლევის სურვილი აქვთ და რისი აღმოჩენა უნდათ.
- როგორ მივცეთ საკმარისი დრო ლექსიკის გასამდიდრებლად და როგორ გავატაროთ მეტი დრო მათთან ერთად.
- როგორ მოვანყოთ სახლი ისე, რომ წარმატებით განვითარდნენ.
- როგორ ჩავრთოთ ბავშვები ყოველდღიურ საქმიანობაში.
- როგორ წავახალისოთ პატარების ცნობისმოყვარეობა.
- როგორ დავანესოთ წესები შინ, რათა ბავშვებმა ზღვარი იცოდნენ.
- როგორ გავხდეთ ბავშვების გზამკვლევი (რადგან ბავშვს ზედამხედველი და მსახური არ სჭირდება).
- როგორ მივცეთ უფლება, ისეთ უნიკალურ არსებებად იქცნენ, როგორებიც სინამდვილეში არიან (იმის ნაცვლად, რომ ჩვენი სურვილის მიხედვით გამოვძერწოთ).

მოდით, ეს ყველაფერი განვახორციელოთ.

მონტესორის აქტივობები ბავშვებისთვის

3

- 24 მონტესორის აქტივობები ბავშვებისთვის
- 25 როგორ ვაქციოთ ჩვეულებრივი აქტივობა
მონტესორის აქტივობად
- 26 როგორ გავაცნოთ ბავშვს აქტივობა
- 27 ზოგადი პრინციპები, რომლებიც უნდა გვახსოვდეს
- 31 როგორ მოვამზადოთ აქტივობა
- 34 აქტივობათა ტიპები
 - 34 თვალისა და ხელის კოორდინაცია
 - 37 მუსიკა და მოძრაობა
 - 39 პრაქტიკული უნარები
 - 44 ხელოვნება და ხელნაკეთი ნივთები
 - 46 ლექსიკური მარაგი
- 66 დამატებითი შენიშვნა ღია სივრცისა და ბუნების
შესახებ
- 68 რა მოვუხერხოთ სათამაშოებს, რომლებიც არაა
მონტესორის ტიპის?



მონტესორის აქტივობები ბავშვებისთვის

მონტესორის მეთოდის შინ დანერგვის ყველაზე მარტივი გზა აქტივობებით დაწყებაა.

მონტესორის აქტივობები განკუთვნილია ბავშვის ყოველმხრივი განვითარებისთვის. ვინაიდან ბავშვზე დაკვირვებით, რათა გავარკვიოთ, კონკრეტულად რა სჭირდება. შემდეგ ისეთ აქტივობას ვირჩევთ, რომელიც ამ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს.

საჭიროა, ბავშვებმა ხელები მრავალნაირად გამოიყენონ (დახვეწონ ჩაჭიდების უნარი, მისწვდნენ მუცელს, გადააწოდონ ნივთი ხელიდან ხელში, აიღონ და ატარონ რამე ნივთი, ერთდროულად გამოიყენონ ორივე ხელი), გაივარჯიშონ მსხვილი მოტორული უნარები, შეძლონ თვითგამოხატვა და კომუნიკაცია.

ბავშვებისთვის განკუთვნილი მონტესორის აქტივობები ხუთ სფეროს მოიცავს:

1. თვალისა და ხელის კოორდინაცია
2. მუსიკა და მოძრაობა
3. ყოველდღიური აქტივობები
4. ხელნაკეთი ნამუშევრები
5. სამეტყველო ენა

დანართში შეხვდებით მონტესორის აქტივობების ჩამონათვალს. ასაკობრივი კატეგორიები მხოლოდ რეკომენდაციის სახითაა მოცემული. აუცილებლად დააკვირდით, რომელი აქტივობა იქცევა ბავშვის ყურადღებას და ამოიღეთ ის აქტივობები, რომლებიც პატარასთვის მეტისმეტად რთული ან მეტისმეტად მარტივია.



როგორ ვაქციოთ ჩვეულებრივი აქტივობა მონტესორის აქტივობად

როგორც წესი, მონტესორის აქტივობების მიზანი ერთი კონკრეტული უნარის განვითარებაა. მაგალითად, როცა ბავშვი ხვრელიან ყუთში ბურთს აგდებს, ის ამით ერთ კონკრეტულ უნარს ივითარებს, რაც განსხვავდება ჩვეულებრივი თამაშისგან, როდესაც პატარა ბურთს ყუთში აგდებს, ის კი გამოსცემს ხმას და ა. შ. ასეთი აქტივობების მიზანი სხვადასხვა უნარის ერთდროულად განვითარებაა.

ვიყენებთ ბუნებრივ მასალას. ბავშვები შეგრძნებებით იკვლევენ. ისეთი ბუნებრივი მასალა, როგორიც ხეა, შეხებისას სასიამოვნო შეგრძნებას აჩენს. როგორც წესი, ხე პირში ჩადებისასაც უსაფრთხოა და წონაც ზომის შესაბამისი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან ხის სათამაშოები უფრო ძვირია, სხვებთან შედარებით, ბევრად უფრო გამძლეა. ამასთანავე, შეგიძლიათ, მეორეული სათამაშოებიც გამოიყენოთ და როცა ბავშვი მოიბერებს, სხვას აჩუქოთ. ბუნებრივი მასალისგან დამზადებულ კონტეინერში სათამაშოების შენახვით (მაგალითად, ხის მონწულ კალათში), სივრცეს ხელნაკეთი ელემენტებს ვძენთ და სილამაზესაც ვმატებთ.

მონტესორის ბევრ აქტივობას დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული აქვს. შეიძლება ბავშვმა პატარა ნაბიჯებით დაიწყოს და განვითარების პროცესში სამუშაო ციკლი მთლიანად დაასრულოს (მასალის თაროზე შემოდების ჩათვლით). სანამ მასალით ვარჯიშობენ, სიმშვიდის განცდა ეუფლებათ და როგორც კი დაასრულებენ, კმაყოფილებას გრძნობენ. მაგალითად, ყვავილების მოვლის დროს თავდაპირველად ბავშვი შეიძლება მხოლოდ მორწყვით და დაქცეული წყლის ღრუბლით მოწმენდით დაინტერესდეს. თუმცა, ნელ-ნელა ყველა ნაბიჯს სწავლობს და სამუშაო ციკლს მთლიანად ასრულებს: პატარა საყვავილეებს წყლით ავსებს, ყვავილებს აწესრიგებს, სამუშაო მასალას ინახავს და დაქცეულ წყალს წმენდს.

მონტესორის აქტივობებს დასრულებული სახე აქვთ. დასრულება ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უჩენს განცდას, რომ ამა თუ იმ უნარს ბოლომდე დაეუფლა. პატარა შეიძლება გაღიზიანდეს, როცა, მაგალითად, ფაზლს რაღაც ნაწილი აკლია. თუ მასალა ნაკლებია, ბავშვს მას არასოდეს ვაძლევთ.

როგორც წესი, აქტივობები ინდივიდუალურ ყუთში ან კალათშია მოთავსებული. თითოეულში ყველაფერია, რაც ბავშვს სჭირდება, რომ ამოცანას დამოუკიდებლად გაართვას თავი. მაგალითად, თუ რომელიმე აქტივობაში ჩართულია წყალი, სასურველია, ღრუბელი და ტილოც ხელმისაწვდომი იყოს, რათა წყლის დაქცევის შემთხვევაში, პატარამ თვითონ შეძლოს მოწმენდა.

ბავშვები ამა თუ იმ უნარს გამეორების გზით ეუფლებიან. აქტივობა მათი განვითარების დონეს ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს – არც მეტისმეტად მარტივი უნდა იყოს და არც იმდენად რთული, რომ დანებდნენ. მიყვარს, როცა საშრობზე ჩამოკიდებულ ტილოზე სარჩების ნაკვალევს ვხედავ: ეს ნიშნავს, რომ ნახატის სწორად დასაკიდებლად და გასაშრობად პატარამ დიდხანს იწავლა.

ბავშვებს დავალების ერთ ნაწილზე შეუძლიათ კონცენტრირება და მხოლოდ მას შეუძლებენ. მაგალითად, შეიძლება ღრუბლის განურგავი ან ონკანიდან წყლის ავსებაში

ივარჯიშონ. ამ დროს ვაკვირდებით და უფლებას ვაძლევთ, ქმედება იმდენჯერ გაიმეორონ, რამდენჯერაც მოისურვებენ. საბოლოოდ, ამ პროცესს სხვა ნაბიჯებსაც უმატებენ, ან შემდეგ აქტივობაზე გადადიან.

ბავშვს შეუძლია, აქტივობა თავისუფლად აირჩიოს. ჩვენი სივრცე ისეა მოწყობილი, რომ არჩევანის თავისუფლება წავახალისოთ და პატარას იმ აქტივობების განსაზღვრული რაოდენობა შევთავაზოთ, რომლებიც აინტერესებს.

„სწავლება ბევრად უფრო მარტივი ხდება, რადგან ადარ გვინებს იმის არჩევა, რა ვასწავლოთ. ამის ნაცვლად, ბავშვს ყველაფერს წინ ვუწყობთ და მის მენტალურ მოთხოვნილებებს ვაკმაყოფილებთ. პატარას არჩევანის აბსოლუტური თავისუფლება უნდა ჰქონდეს. ამის შემდეგ, პრაქტიკის გარდა, აღარაფერი დასჭირდება. დროთა განმავლობაში სულ უფრო შესამჩნევი გახდება პროცესისადმი მისი ინტერესი და ყურადღების კონცენტრაციის უნარი, რომლის დახმარებითაც სასურველ ცოდნას მიიღებს“.

- დოქტორი მარია მონტესორი,

„როგორ გავადვივოთ ადამიანის შინაგანი პოტენციალი“

როგორ გავაცნოთ ბავშვს აქტივობა

მონტესორის სკოლის მასწავლებლების გადამზადების დროს ვსწავლობთ, როგორ გავაცნოთ ბავშვს ესა თუ ის აქტივობა. ამისთვის „პრეზენტაციას“ ვატარებთ. პრეზენტაციაში ყველა აქტივობა რამდენიმე პატარა ნაბიჯადაა დაყოფილი – ლანგრის მაგიდაზე მოთავსებიდან დაწყებული, სავარჯიშოს დეტალური ახსნით გაგრძელებული, ლანგრის თაროზე შემოდებით დასრულებული. თითოეული აქტივობის პრეზენტაციას ბევრჯერ ვამუშავებთ. საბოლოოდ, თუ საკლასო ოთახში ბავშვს დახმარება სჭირდება, სავარჯიშო იმდენად კარგად ვიცით, რომ შეგვიძლია იმპროვიზაციასაც მივმართოთ.

იმავე მიდგომის გამოყენება სახლშიც შეგვიძლია. აქტივობა ჯერ ჩვენ შევასრულოთ, შემდეგ რამდენიმე ეტაპად დავყოთ და შევამოწმოთ. ბავშვი პროცესს თავს როგორ გაართმევს.

აცადეთ პატარას, აქტივობა თვითონ აირჩიოს და იმდენ ხანს აკეთოს, რამდენი ხანიც უნდა. ამ დროს ჩარევა არ ივარგებს. თუნდაც ნივთი დაუფარდეს, არ უნდა ჩავერიოთ. დავაკვირდეთ, ექნება თუ არა რეაქცია და დამოუკიდებლად თუ აიღებს დავარდნილ ნივთს. თუ დავინახავთ, რომ წვალობს და ღიზიანდება, უკვე შეგვიძლია ჩავერიოთ და ვუთხრათ: „შეხდე“. შემდეგ კი ნელა ვაჩვენოთ პროცესი, მაგალითად, როგორ ვხსნით ქილას თავსახურს. საბოლოოდ, კვლავ უკან ვიხევთ და ვაკვირდებით, დამოუკიდებლად როგორ გაართმევს თავს.

გიზიარებთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც დაგეხმარებათ, სწორად გააცნოთ ბავშვს ახალი აქტივობა.

- ხელის მოძრაობა ზუსტი და ნელი უნდა იყოს, რათა პატარამ დაკვირვება შეძლოს. წინასწარ კარგად დაფიქრდით და გაიაზრეთ ყველა ის ქმედება, რომლებსაც ლილის შესაკრავად ვასრულებთ და ბავშვს თითოეული ნაბიჯი ნელა აჩვენეთ.
- დემონსტრირების დროს ეცადეთ, არ ილაპარაკოთ, თორემ პატარა ვერ მისვდება, თქვენ გიყუროთ, თუ ხელებს დააკვირდეს.
- ეცადეთ, ქმედება ზუსტად ისე გაუმეოროთ, როგორც წინა ჯერზე. ამით ბავშვს გამოტოვებული ნაბიჯების გახსენება გაუადვილდება.
- ნივთები ისე დაიჭირეთ, როგორც ბავშვი დაიჭერდა. მაგალითად, ნებისმიერ ყუთს ორივე ხელი მოჰკიდეთ.
- თუ დახმარებაზე უარს ამბობენ, შეგვიძლია სიტყვიერი მინიშნება მივაშველოთ. მაგალითად, ვუთხრათ: „მიანეჟი, მიანეჟი“. ან, უბრალოდ, ვაცადოთ, დამოუკიდებლად გაერკვიონ. შეგვიძლია ვუთხრათ, დროებით მოწყდნენ აქტივობას და მოგვიანებით დაუბრუნდნენ.

ტერმინი **SHOW**¹ პირველად ჩემი მონტესორელი მეგობრისგან, ჯინ-მარი პეინელისგან გავიგე. ის ზრდასრულებს გვახსენებს, რომ როცა ბავშვს რაღაც ახალს ვუხსნი, ხელი ნელა უნდა გამოძრათ და ნაკლები ვილაპარაკოთ.

ამ გზით პატარა სიახლეს უფრო ადვილად ითვისებს. ჩვენი მოძრაობა ნელი უნდა იყოს, რათა ბავშვმა თვალის მიდევნება მოასწროს. თუ ამ დროს სიტყვებსაც გამოვიყენებთ, ვერ მისვდება, გვისმინოს თუ გვიყუროს. ამიტომ, ჩუმად უნდა ვიყოთ, რათა პატარა ჩვენს მოძრაობებს დააკვირდეს.

ზოგადი პრინციპები, რომლებიც უნდა გვახსოვდეს

1. მიეცით უფლება, ნამყვანი როლი შეასრულოს

მიჰყევით ბავშვის ტემპს და ინტერესებს. იმის ნაცვლად, რომ თქვენ შესთავაზოთ ან წარმართოთ თამაში, მიეცით ბავშვს დრო, თვითონ აირჩიოს ისეთი აქტივობა, რომელიც აინტერესებს – არც ძალიან მარტივი და არც მეტისმეტად რთული; რაღაც ისეთი, რაც მისთვის გამომწვევა იქნება, თუმცა არც იმდენად რთული, რომ შუა გზაზე დანებდეს.

¹ ინგლისური აკრონიმი SHOW – Slow Hands Omit Words

2. მიეცით უფლება, აქტივობა იმდენ ხანს აკეთოს, რამდენ ხანსაც სურს

როცა ბავშვი ამა თუ იმ აქტივობაში დაოსტატებას ცდილობს, ჯობია, არ აგაჩქაროთ და დასრულებისკენ არ მოვუწოდოთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ და ან ძმა უცდის. რომ მოჩვენა, ჰკითხეთ, თავიდან ხომ არ სურს დაწყება. ამით წაახალისებთ და შანსს მისცემთ, ივარჯიშოს, უკეთ დაისწავლოს და კონცენტრაციის უნარი გაიუმჯობესოს.

ეცადეთ, ბავშვს ხელი არ შეუშალოთ, რადგან ამ დროს ყურადღება მაქსიმალურად აქვს მოკრებილი. შესაძლოა, ერთმა უბრალო კომენტარმაც კი გონება გაუფანტოს და დაწყებული საქმე მიატოვოს. დაელოდეთ, სანამ უკუკავშირისთვის მოგაკითხავთ, შესთავაზეთ დახმარება; გაღიზიანებულს, მაშინვე ნუ დაუძახებთ სასაძილოდ, აცადეთ, თამაში დაასრულოს.

3. მოერიდეთ დაკითხვას

შეიძლება ვერ ვაცნობიერებდეთ, მაგრამ ბავშვებს მუდმივად დაკითხვას ვუწყობთ: „ეს რა ფერია?“, „აბა, რამდენი ვაშლი მიჭირავს?“, „შეგიძლია, ბებოს აჩვენო, როგორ დადიხარ?“

როცა ჩემი ბიჭი პატარა იყო, მეც ასე ვიქცეოდი. ხშირად ვთხოვდი, ახალი უნარი ეჩვენებინა, ან ჩემს ნიშანზე რაიმე მოქმედება შეესრულებინა. შესაძლოა, ამას სატრაბახოდ ვაკეთებდი, ან იმიტომ, რომ მინდოდა, უფრო სწრაფად ესწავლა.

ახლა ვხვდები, რომ ასეთი ბიძგი პატარასთვის გამოცდასავითაა. როგორც წესი, სწორი პასუხი ერთადერთია და თუ არასწორად გვიპასუხა, სხვა ვა ალარ გვრჩება, უნდა შევუხსნოთ: „არა, ეს ყვავილი ყვითელია და არა ლურჯი“. ეს კი ბავშვის თავდაჯერებულობას ვნებს.

ამის ნაცვლად, შეგვიძლია ნივთების სახელები ჩამოვუთვალოთ, ისეთი კითხვები დაეუსვათ, რომლებიც მის ცნობისმოყვარეობას გააღვიძებს და დავაკვირდეთ, რა აითვისა და რაში სჭირდება კვლავ გაეარჯიშება.

ახლა ბავშვებს მხოლოდ მაშინ ვუწყობ „დაკითხვას“, როცა 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ პასუხი იციან და სიხარულით მეტყვიან. მაგალითად, თუ ვიცი, რომ ლურჯი ფერის ნივთების ამოცნობა შეუძლიათ, ასეთი ნივთისკენ მივანიშნებ და ვეკითხები: „ეს რა ფერია?“ მაშინვე სიხარულით წამოიყვირებენ: „ლურჯი!“ ეს პროცესი დაახლოებით 3 წლის ასაკიდან იწყება.

4. აქტივობის დასრულების შემდეგ გამოყენებული მასალა შეინახეთ

როცა ბავშვი აქტივობას დაასრულებს, შეგვიძლია წავახალისოთ, რათა გამოყენებული მასალა თაბოზე დააბრუნოს. ეს რუტინა მიახვედრებს, რომ ნებისმიერ ამოცანას აქვს დასაწყისი და დასასრული. როცა ნივთებს თავიანთ ადგილას ვაბრუნებთ, ამით მშვიდ და მონესრიგებულ გარემოს ვქმნით.

აუცილებელია, პატარებს აეუხსნათ, რა ნივთი სად უნდა დადონ და რომ ნივთის თავის ადგილას დაბრუნება დავალების შესრულების ბოლო საფეხურია. შემდეგ შეგვიძლია ამ პროცესში ჩავერთოთ – ბავშვმა ნაწილი წამოიღოს და დანარჩენი კი – ჩვენ. შემდეგ წავაბალისოთ, რომ ნივთი უკვე დამოუკიდებლად მიიტანოს შესაბამის ადგილას. მაგალითად, მსუბუქად დავაკაკუნოთ თაროზე, რომელზეც ამ ნივთის ადგილია. თანდათან შევამჩნიეთ, რომ ბავშვი სულ უფრო ხშირად დებს ნივთებს თავიანთ ადგილას.

შესაძლოა, ყოველდღე ეს არ გააკეთოს, ზუსტად ისე, როგორც ჩვენ არ ვართ ყოველდღე სადილის მომზადების განწყობაზე. იმის ნაცვლად, რომ დავაძლოთ, შეგვიძლია ვუთხრათ: „გინდა, მე გავაკეთო? კარგი, მე ამას წამოვიღებ, შენ კი ის წამოიღე“.

ამოცანის ნაწილებად დაყოფა შედარებით უფროს ბავშვებსაც შეიძლება დასჭირდეთ, ამიტომ შევთავაზოთ: „მოდი, ჯერ კუბები დავალაგოთ, შემდეგ კი წიგნებს მივხედოთ“.

თუ ბავშვი შემდეგ აქტიუობაზე გადადის, ვცდილობ, კონცენტრაციაში ხელი არ შევუშალო. ამის ნაცვლად, ძველი აქტიუობისთვის საჭირო მასალას თავად ვინახავ. ამ ნაბიჯით ვაჩვენებ, შემდეგში როგორ მოიქცეს. შეიძლება ჩვენი მოძრაობა ვერ შენიშნოს, მაგრამ ქვეცნობიერად მაინც მიხვდება, რას ვაკეთებთ.

5. ქცევის მოდელი

ბავშვი ძალიან ბევრს სწავლობს გარემომყოფებზე დაკვირვებით, ამიტომ, მოვიფიქროთ, რა გზით შეიძლება უკეთესად განვითარდეს და ქცევის კონკრეტული მოდელი შევთავაზოთ: მაგალითად, სკამი ორივე ხელით გამოვწიოთ, დაბალ მაგიდასა და თაროზე არ დავსხდეთ და ერთ ჯერზე მხოლოდ ერთი ნივთი დავიჭიროთ.

6. მიეცით ნებისმიერი მასალის გამოყენების უფლება, მაგრამ არასწორად გამოყენებისას შეაჩერეთ

ბავშვები მასალას სხვადასხვა მეთოდით იკვლევენ (ხშირად – ისე, როგორც ვერც წარმოგვიდგენია). თუ მასალას, საკუთარ თავს ან სხვას არ აზიანებენ, საჭირო არაა, ჩავერიოთ, შევუსწოროთ და ამით შემოქმედებით პროცესს ხელი შევეშალოთ. შეგვიძლია ჩვენთვის ჩავინიშნოთ, რათა მასალის გამოყენების სწორი მეთოდი შემდეგ ჯერზე აეუხსნათ. მაგალითად, თუ ბავშვი სარწყავით ცდილობს სათლის წყლით ავსებას, შეგვიძლია სრულიად სხვა დროს ვაჩვენოთ, რომ ეს ნივთი მცენარეების მოსარწყავად გამოიყენება.

თუმცა, თუ ბავშვი ნივთს არასწორად იყენებს, ჯობია, ფრთხილად ჩავერიოთ. მაგალითად, ვუთხრათ: „უფლებას ვერ მოგცემ, მინის ჭიქა ფანჯარას ურახუნო“. შემდეგ ვაჩვენოთ, რომ ჭიქა წლის დასაღვებად გამოიყენება, ან ისეთი აქტიუობა შევთავაზოთ, რომლის საშუალებითაც სურვილს დაიკმაყოფილებს (მაგალითად, დოლზე დაკვრა ან სათამაშო ჩაქუჩითა და ლურსმნებით თამაში).

7. გადააკეთეთ და მოარგეთ ბავშვის განვითარების დონეს

შეგვიძლია ნებისმიერი აქტივობა შევცვალოთ: გავამარტივოთ ან პირიქით, გავართულოთ. მაგალითად, თუ ბავშვი წვალბას და საგანგებოდ ამოჭრილ ადგილებზე ფიგურების მოთავსებას ვერ ახერხებს, შეგვიძლია საქმე გავუმარტივოთ: დავტოვოთ შედარებით მარტივი ფიგურები (მაგალითად, ცილინდრი), შედარებით რთულები კი დროებით გვერდით გადავდოთ. როგორც კი პატარა აწყობის უნარს გამოიმუშავებს, ნელ-ნელა გავუმრავალფეროვნოთ აქტივობა და რთული ფიგურები დავუმატოთ.

როცა ამა თუ იმ სათამაშო ნაკრებში ცოტა ნაწილია, ბავშვის კონცენტრაციის უნარი ძლიერდება. მაგალითად, როგორც წესი, ჩემს კლასში ხის სათამაშო ბოსელში განსათავსებლად ხუთიდან რვაზე ცხოველს ვიყენებ. ბავშვები ყველას იყენებენ. პატარების ზრდასთან ერთად ცხოველების რაოდენობასაც ვზრდით.

8. თაროზე აქტივობები დაალაგეთ მარტივიდან რთულისკენ

როცა თაროზე აქტივობები მარტივიდან რთულისკენაა დალაგებული, ამით ბავშვს ვეხმარებით: თუ რომელიმე ზედმეტად რთულად მოეჩვენება, შეუძლია, წინას დაუბრუნდეს.

9. გამოიყენეთ ის, რაც ხელმისაწვდომია


საჭირო არაა, წიგნში ჩამოთვლილი ყველა მასალა შეიძინოთ, აქ მოცემული აქტივობები მაგალითებია, რომელთა საშუალებითაც პატარებს დააინტერესებთ. იგივე აქტივობების შექმნა სახლში არსებული მასალითაც შესაძლებელია.

აი, რამდენიმე მაგალითი:

- თუ ბავშვს აინტერესებს, მონეტა ჭრილში როგორ ვარდება, იმის ნაცვლად, რომ ყულაბა იყიდოთ, ფეხსაცმლის ყუთს პატარა ნახვრეტი გაუკეთეთ, მიეცით პატარას შედარებით მოზრდილი ლილები და შესთავაზეთ, შიგნით ჩაყაროს.
- თუ ბავშვს ძაფზე ნივთების ნამოცმა მოსწონს, შეგვიძლია, ფეხსაცმლის თასმა (ბოლოში განასკვული) და მაკარონი გამოიყენოთ.
- თუ პატარა რალაცების გახსნა-დახურვითაა დაინტერესებული, მოაგროვეთ ყველანაირი ქილა, გარეცხეთ და მიეცით. ასე შეძლებს, თავსახურების მოხსნა-მოჭერაში ივარჯიშოს. გამოიყენეთ ძველი საფულეები სხვადასხვანაირი შესაკრავით. შეგიძლიათ, შიგნით პატარა ნივთები დამალოთ, რომლებსაც ბავშვი აღმოაჩენს.

10. ფრთხილად იყავით ბასრ საგნებთან

მონტესორის აქტივობებში ხშირად გამოიყენება ისეთი მასალები, რომლებიც პატარა ნაწილებისგან შედგება. ხანდახან დანა და მაკრატელიცაა საჭირო. ასეთ აქტივობებს ყოველთვის ზრდასრული უნდა ზედამხედველობდეს. აუცილებელი არაა, პატარას თავზე დაადგეთ, თუმცა აკონტროლეთ, ნივთები უსაფრთხოდ გამოიყენოს.




როგორ მოვაზადოთ აქტივობა

როგორც წესი, პატარები სათამაშოებს იმის მიხედვით ირჩევენ, იმ მომენტში რა აინტერესებთ. ამიტომ, იმის ნაცვლად, რომ სათამაშოები, უბრალოდ, თაროზე შემოვანყოთ, გირჩევთ, ცოტა დრო დაუთმოთ მათ დახარისხებას და ყველაფერი ისე დაალაგოთ, რომ ბავშვისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს.

- 1. თაროზე გამოფინეთ.** იმის ნაცვლად, რომ ყველა აქტივობა სათამაშოების ყუთში მოათავსოთ, რამდენიმე თაროზე დაალაგეთ. ამით ბავშვს საშუალებას მისცემთ, მარტივად აირჩიოს, რისი კეთება უნდა.
- 2. აქციეთ უფრო მიმზიდველად.** ყუთში ან ლანგარზე განთავსებით აქტივობა ბავშვისთვის უფრო მიმზიდველი გახდება. თუ პატარა დროდადრო მისით ალარ დაინტერესდება, შეიძლება ახალმა ყუთმა მოხიბლოს და კვლავ მიუბრუნდეს.
- 3. აჩვენეთ, სად რისი ადგილია.** ყუთში ან კალათში მოათავსეთ აქტივობისთვის საჭირო ყველა ატრიბუტი. მაგალითად, პლასტილინის ყუთში ჩადეთ პლასტილინის კონტეინერი, ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც ძერწვას შეძლებს, გაჭრის და ფორმას მისცემს, ასევე, მაგიდის დამცავი საფენი.
- 4. ყველაფერი ისე მოამზადეთ, რომ ბავშვმა დამოუკიდებლად თამაში შეძლოს.** სახატავ სივრცეში, მოლბერტის ერთ მხარეს, შეგიძლიათ დაკიდოთ წინსაფარი, ხოლო მეორე მხარეს – სველი ტილოები დაღვრილი წყლის მოსანმენდად; ხელის ან მოლბერტის გასამშრალეზად. იქვე მოათავსეთ ქაღალდის ხელსახოცების კონტეინერი, რომელსაც ბავშვი საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს. არ დაგავიწყდეთ თოკი, რომელზეც დასრულებულ ნახატს გასაშრობად დაკიდებს. პატარებს რომელიმე ეტაპზე დახმარება დასჭირდებათ, მაგრამ თანდათან დამოუკიდებლად უფრო და უფრო მეტის გაკეთებას შეძლებენ.
- 5. დაშალეთ აქტივობა.** დასრულებული აქტივობა ბავშვს უფრო ნაკლებად აინტერესებს, ვიდრე ის, რომელიც ნახევრად დამთავრებულია. დაუბრუნეთ აქტივობას თავდაპირველი სახე, ვიდრე თაროზე შემოდებდეთ. ნაწილები (მაგალითად, ფაზლის) მარცხენა მხარეს დადეთ, აქტივობა კი (ფაზლის ცარიელი სქემა) – მარჯვენა მხარეს. მარცხნიდან მარჯვნივ მოძრაობა შემდგომში, კითხვის სწავლის საფუძვლად იქცევა.



როგორ მოვაზადოთ აქტივობა

მაგალითები



დაგვიჩივდება:

- ლანგარი
- აქტივობისთვის საჭირო ატრიბუტები, რომლებიც განლაგებულია თაროზე, ბავშვის სიმაღლეზე, მარცხნიდან მარჯვნივ, მარტივიდან რთულისკენ და მომხიბვლელად გამოიყურება
- არც ძალიან მარტივია და არც ძალიან რთული
- იმგვარი ნივთებია შერჩეული, რომლებსაც ბავშვი დამოუკიდებლად მოერევა



N1 აკვარელის საღებავი

ლანგარზე:

- სახატავი ფუნჯი
- ქილა ცოტაოდენი წყლით
- აკვარელის პალიტრა (სახურველია, დაიწყეთ ერთი ფერით, რათა ფერები ერთმანეთში არ აირიოს)

არ გამოგრჩეთ:

- მაგიდის დამცავი საფენი
- სახატავი ქაღალდი (ჩვეულებრივ ქაღალდზე ოდნავ სქელი)
- ტილო წყლის წვეთების მოსაწმენდად

N2 მაგიდის გაწყობა

შეგიძლიათ ბავშვს აჩვენოთ, როგორ აწყობთ მაგიდას ამ ატრიბუტების გამოყენებით:


- პატარა ყიქა
- ჭამი ან თეფში
- პატარა ჩანგალი, კოვზი ან დანა, თუ ბავშვი უკვე იყენებს.

არ გამოგრჩეთ:

- საფენი, რომელზეც მონიშნავთ ჩანგლის, კოვზის, დანის, ჭამის და ყიქის მოსათავსებელ ადგილებს.

01 / თვალისა და

ხელის კოორდინაცია



ბავშვები ჩაჭიდების უნარს მუდმივად ივითარებენ და ორივე ხელის ერთდროულად გამოყენებაში ვარჯიშობენ. ეძებენ ახალი გზები ამ მოძრაობის განსავითარებლად.

აკინძვა

აკინძვა ავითარებს შემდეგ უნარებს: ჩაჭიდება, ორი ხელითა და თვალებით ერთდროული მუშაობა, მოქნილობა.

- 12 თვის ბავშვს უკვე შეუძლია, კონუსიდან ფართო რგოლები მოხსნას და სხვა რგოლებით ჩაანაცვლოს.
- წლის და რამდენიმე თვის ბავშვი რგოლებს თანმიმდევრულად, დიდიდან პატარისკენ ალაგებს.
- არსებობს კონუსების ნაკრები, რომელშიც სამი ფერის კონუსი შედის – წითელი, ყვითელი და ლურჯი – და შესაბამისი ფერის რგოლები მოჰყვება. თავდაპირველად ბავშვი მხოლოდ იმითაა დაინტერესებული, რგოლები ნებისმიერი ფერის კონუსს ჩამოაცვას. დროთა განმავლობაში, როდესაც ლურჯ კონუსს წითელ რგოლს ჩამოაცვამს, ჩერდება, წითელ კონუსს აკვირდება, რგოლს უკან იღებს და შესაბამისი ფერის კონუსზე აცვამს.
- მომდევნო ეტაპზე შეგიძლიათ, სხვა მეთოდებიც შესთავაზოთ. მაგალითად, ვერტიკალურის ნაცვლად, კონუსი ჰორიზონტალურად მოათავსოთ. მოძრაობას, რომელსაც ბავშვი ამ დროს ცალი ხელით ასრულებს და სხეულის ერთი მხრიდან მეორეზე გადადის, „შუახზის გადაკვეთა“ ჰქვია.
- ძაფზე მძივების აცმის საწყის ეტაპზე კარგი იქნება, თუ ბავშვს რამდენიმე დიდ მძივს და 30 სმ სიგრძის ხის ჯოხს შესთავაზებთ, რომელზეც მძივებს წამოაცვამს.
- მომდევნო ეტაპზე შეგიძლიათ, ფეხსაცმლის თასმა გამოიყენოთ. ისეთი თასმა მოძებნეთ, რომელსაც 3-4 სმ სიგრძის ხის თავი ექნება. ასეთი თავი ბავშვს საჭმეს გაუმარტივებს.
- შემდეგ უკვე ჩვეულებრივ თასმასა და შედარებით პატარა მძივებზე გადაინაცვლეთ.
- სულ ბოლოს პანანინა მძივები და წვრილი თასმები მოიმარაგეთ.

ჩაყრა

ამ სახის აქტივობებით ბავშვი ნივთების კონტეინერში ჩაყრას სწავლობს და საგნების მუდმივობის შეგრძნებას ივითარებს (მაგალითად, როდესაც საგანს ველარ ხედავს, ხვდება, რომ სინამდვილეში ის არ გამქრალა).

- 12 თვემდე ასაკის ბავშვს მოსწონს ბურთის ყუთში ჩადება ან მისი ხვრელში ჩატენა ჩაქურჩით.
- 12 თვის შემდეგ პატარა სწავლობს ბურთის ჩადებას სხვადასხვა ფორმის ხვრელში და ცილინდრით იწყებს. შემდეგ უფრო რთულ ფორმებზე გადადის, ისეთზე, როგორიც არის კუბი, სამკუთხედი პრიზმა და ა.შ.
- როგორც კი დაისწავლის, ბავშვი იწყებს მსხვილი მონეტების (ან პოკერის ჩიპების) ვიწრო ჭრილში ჩაყრას. ჩვენს კლასში ბავშვების ერთ-ერთი უსაყვარლესი აქტივობაა მონეტების ყულაბაში ჩაყრა, რომელიც ბოქლომით იკეტება.

გახსნა-დახურვა

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც ბავშვს მოტორული უნარების განვითარებაში ეხმარება, სხვადასხვა ნივთის გახსნა-დახურვაა.

- გამოიყენეთ ბალთიანი ძველი ჩანთები, ცარიელი ქილები, მომჭერებიანი კონტეინერები, ელვასესაკრავიანი საფულეები და ა. შ. შიგნით სხვადასხვა ნივთს ვშალავ ხოლმე, ბავშვმა რომ იპოვოს – პატარა სათამაშოს, კამათელს, ბზრილას, გასაღების დასაკიდს და ა.შ.
- მოძებნეთ ისეთი ზარდახშები, რომლებზეც ბავშვი სხვადასხვა ტიპის საკეტების გახსნას-ჩაკეტვას შეძლებს (მათ შორის ისეთიც, რომელიც გასაღებით იკეტება). მათშიც დამალეთ რამე საინტერესო.

პეგბორდები¹ და რეზინები; ხრახნები და ჭანჭიკები

ეს აქტივობები შესანიშნავია მოტორული უნარების გასაუმჯობესებლად.

- პეგბორდზე ელასტიკური რეზინის გადანელვით ბავშვი იუმჯობესებს კოორდინაციის უნარს.
- პატარას შეუძლია, ქანჩით ჭანჭიკს მოუჭიროს, მეორით კი ხრახნი დაატრიאלოს. ამ დროს ორივე ხელს ერთდროულად ამუშავებს.
- შესთავაზეთ სხვადასხვა ზომის ხრახნები და ჭანჭიკები, რათა თვითონ დააღაგოს ზომების მიხედვით.

¹ ნახვრეტებიანი დაფა, რომელზეც სხვადასხვა აქტივობა სრულდება.

დახარისხება

დაახლოებით 18 თვიდან პატარები იწყებენ ნივთების დახარისხებას ფერების, ფორმებისა და ზომების მიხედვით. მოამარაგეთ ბავშვი ერთი ტიპის ნივთებით, ანდა უკეთესი – მასთან ერთად შეაგროვეთ საგნები სანაპიროზე, ტყეში ან ბაღში. მოათავსებინეთ ისინი დიდ კონტეინერში და დასახარისხებლად მომცრო კონტეინერები მიაშველეთ. მრავალგანყოფილებიანი კონტეინერები ასეთი აქტივობისთვის შედგამოჭრილია.

ნივთების დახარისხების რამდენიმე მაგალითი:

- ორი ან სამი ფერის/ზომის/ფორმის ღილები
- ორნაირი ან სამნაირი ნიჟარები
- სხვადასხვა ზომის ქანჭიკები და ხრახნები

სტერეოგნოსტიკური ჩანთები

დაახლოებით 2,5 წლის ასაკში ბავშვს უკვე შეუძლია, შეხებით მიხედვს, რა ნივთი უჭირავს. აი, ამ დროს იწყება სტერეოგნოსტიკური ჩანთით, იმავე „საიდუმლო ჩანთით“ გართობა.

მოძებნეთ ჩანთა (იდეალურ შემთხვევაში, ისეთი, რომელშიც ჩაჭვრეტა ძნელია) და შიგნით სხვადასხვა ნივთი მოათავსეთ. ბავშვი მასზე შეხებით შეეცდება, გამოიცნოს, რა დევს შიგნით. შეგიძლიათ, პირდაპირ დაუსახელოთ ის საგანი, რომელიც უნდა მოძებნოს.

- ჩააწყვეთ ჩანთაში სხვადასხვა ან ერთი თემატიკის ნივთები.
- აირჩიეთ ნივთი, რომელსაც გამოკვეთილი ფორმა აქვს, მაგალითად, გასაღები ან კოვზი. მოერიდეთ ცხოველების ფიგურების გამოყენებას, რადგან მათი გარჩევა შედარებით რთულია.

ფაზლები

ძალიან პატარებს ფაზლების დაშლა უყვართ. ამოზურცული ფაზლები, რომელთა ნაწილები კონკრეტულ ადგილებშია მოსათავსებელი, ამ ასაკის ბავშვებისთვის იდეალურია. როცა პატარა 18 თვის გახდება, უკვე შეძლებს მარტივი ფიგურების მოთავსებას ფაზლის ჩარჩოში.

- 18 თვემდე ბავშვებს შესთავაზეთ სამ- ან ხუთნაწილიანი ფაზლი ფართო ჭრილებით. პატარამ რომც ვერ შეძლოს მათში ნაწილების მოთავსება, მოტორულ უნარს მაინც გაიმჯობესებს. ამ დროს ვამჯობინებ, ჩავერიო და ნაწილები თავიანთ ადგილას დავაღაგო, რათა ბავშვი დამაკვირდეს და გაიმეოროს ჩემი ქმედება.
- 18 თვის შემოთ ბავშვს უკვე შეუძლია, ცხრანაწილიან, მცირეჭრილიან ან ისეთ ფაზლზე გადავიდეს, რომელსაც ჭრილები საერთოდ არ აქვს.
- შემდეგი საფეხურია თავსატეხი-ფაზლები. მათგან ზოგი ტრადიციულია – ერთნაირი ზომის ნაწილებით. არსებობს ისეთი ფაზლებიც, რომელთა ნაწილებს სხვადასხვა ობიექტის ფორმა აქვს, მაგალითად, ხის. ფაზლების სირთულე ნაწილების რაოდენობაზეა დამოკიდებული.

შენიშვნა: თავსატეხ-ფაზლებს პატარები ისე არ აწყობენ, როგორც ზრდასრულები. ზრდასრულები ჯერ კუთხეებს და კიდეებს ეძებენ, ბავშვები კი მათ შემთხვევითობის პრინციპით ალაგებენ. პატარებისთვის იმის განსაზღვრაა მთავარი, რომელი ფორმა რაში ჯდება. როცა ბავშვი თავსატეხ-ფაზლს მიუჯდება, შეგვიძლია პირველი ნაბიჯის გადადგმაში დავეხმაროთ და ვაჩვენოთ, ნაწილები ერთმანეთს როგორ უკავშირდება. ნელ-ნელა ჩვენი დახმარების გარეშე შეძლებს, მეტი ნაწილი ააწყოს და მანამ არ გაჩერდება, სანამ არ გაიწაფება.

02 / მუსიკა და მოძრაობა

მუსიკა

ყველა ადამიანს სჭირდება მოძრაობა; ყველა კულტურას სიმღერისა და ცეკვის ხანგრძლივი ისტორია აქვს. აუცილებელი არაა, იდეალურად მღეროდეთ ან უკრავდეთ, რომ ბავშვმა მუსიკისგან სიამოვნება მიიღოს. თუ თქვენ მოგწონთ, მათაც მოეწონებათ. ინსტრუმენტებზე დაკვრა, რიტმის იმიტაცია, პატარების მოძრაობის გამეორება ან თამაში „დაინწყე-გაჩერდიც“ კი ისეთივე სახალისოა, როგორც სიმღერაზე აყოლა.

მუსიკალური ინსტრუმენტები, რომლებიც პატარებისთვის გამოგადგებათ:

- პერკუსიული საკრავები¹ – მაგალითად, მარაკა², დაირა
- დასარტყამი ინსტრუმენტები – მაგალითად, ქსილოფონი, დოლი, დაფდაფი
- ჩასაბერი საკრავები – მაგალითად, შარმონიკა ან ბლოკ-ფლეიტა³
- მუსიკალური ზარდახშები, რომლებიც სახელურის დატრიალების დროს ხმას გამოსცემს.

მუსიკის მოსმენა უკვე აქტივობაა. მიუხედავად იმისა, რომ CD პლეერი ან ძველი აიპოდი (ისეთი, რომელზეც მხოლოდ მუსიკა ინერბოდა) უკვე ძველმოდურია, ბავშვს საშუალებას აძლევს, სასურველი მუსიკა შეარჩიოს. შეგიძლიათ, გამოუყოთ სპეციალური ხალიჩაც, რომელსაც ცეკვის დროს გაშლის ნოლმე.



¹ საკრავები ჯგუფი, რომელზეც ნჯლრევით, დარტყმით ან ფხაჭნით უკრავენ.

² საჩხრიალოს მსგავსი საკრავი

³ ძველებური სიგარძივი ფლეიტის სახეობა

ბავშვების უმრავლესობა მუსიკის გაგონებისთანავე ინსტინქტურად იწყებს მოძრაობას. შესაძლოა, ოჯახში გაქვთ ტრადიციული ცეკვა, რომლის შესრულება ან ყურება პატარას სიამოვნებას ანიჭებს. სპონტანური სიმღერა და ქმედებაც მშვენიერი გასართობია.

გირჩევთ, პატარები კონცერტებზეც ატაროთ. ბევრ საკონცერტო დარბაზს აქვს სპეციალური საბავშვო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ პატარებს ინსტრუმენტების დათვალიერება შეუძლიათ.

მოძრაობა

ზრდასრულებს უამრავი შესაძლებლობა გვაქვს საიმისოდ, რომ ბავშვი მოძრაობით დავაინტერესოთ:

- სირბილი
- ხტუნვა
- ველოსიპედით სიარული
- ცოცვა
- სრიალი
- ბალანსის შესანარჩუნებელი აქტივობები
- ბურთით თამაში

თუ შესაძლებლობა გვაქვს, ეს აქტივობები დავგეგმოთ ეზოში; ახლომდებარე ტყეში, სათამაშო მოედანზე, სანაპიროზე, მდინარეზე ან ტბაზე – თუნდაც ცუდ ამინდში. სკანდინავიელების თანახმად, არ არსებობს ცუდი ამინდი, არსებობს მხოლოდ შეუფერებელი სამოსი. ნიდერლანდებში ასეთ დროს საწვიმარს ვიცვამთ და ველოსიპედებით დავდივართ.

შეგიძლიათ, მსგავსი აქტივობები სახლშიც განახორციელოთ, თუ სივრცე ამის საშუალებას გაძლევთ. საკლასო ოთახში კლდეზე ცოცვის კედელი გვაქვს. თავდაპირველად პატარები მხოლოდ ქვედა საყრდენებს ეჭიდებიან; 2 წლის ასაკიდან ზრდასრულების დახმარებით მიცოცავენ, სულ მალე კი უკვე საკუთარი წონის დაჭერა და კედელზე დამოუკიდებლად ცოცვა შეუძლიათ. ამ დროს სხეულის ყველა კუნთი უკვე გაგარჯიშებული აქვთ.

ბავშვებს დამალობანას თამაშიც ძალიან უყვართ. ასე რომ, ფანტაზია ნებაზე მიუშვით და საბნების, სკამების, ჰამაკებისა და კარების დახმარებით შესაფერისი სივრცე შექმენით. არ დაგავიწყდეთ: თქვენი სახლის ბაღიც მშვენიერი სამალავია.

03 / პრაქტიკული უნარები

ყოველდღიური საქმიანობა

მშობლების უმრავლესობა ამჩნევს, რომ ბავშვებს მოსწონთ, როცა ზრდასრულებს ეხმარებიან. ყოველდღიური საქმეები შეიძლება ჩვენთვის რუტინა იყოს, მაგრამ პატარებს ისინი ძალიან ხიბლავთ. უნდა აღვნიშნო, რომ მსგავსი აქტივობები მოუსვენარი ბავშვების დაშოშმინების საუკეთესო საშუალებაა.



დოქტორმა მონტესორიმ მალევე აღმოაჩინა, რომ ბავშვებს მოსწონდათ, როცა მასწავლებლებს საკლასო ოთახის დალაგებაში ეხმარებოდნენ, ზრუნავდნენ საკუთარ თავზე, კლასელებსა და გარემოზე. სწორედ ამიტომ, პატარებისთვის შესაფერისი ზომის ინსტრუმენტები მოიმარაგა და მათ საქმე გაუადვილა.

ასეთ აქტივობებში ჩაბმა შესანიშნავი საშუალებაა თანმიმდევრულობის ასათვისებლად. მაგალითად, ბავშვი აცნობიერებს, რომ ჭურჭლის გარეცხვამდე წინსაფარი უნდა მოირგოს და საქმის დასრულებამდე ეკეთოს.

როცა პატარა თქვენს დახმარებას გადაწყვეტს, წინასწარ უნდა იცოდეთ, რომ საქმე შედარებით ნელა გაკეთდება და ბავშვს თქვენი ყურადღება დასჭირდება. ასეთ დროს საბოლოო შედეგზე დიდი იმედები არ უნდა დაამყაროთ. ბანანის ნაჭრები შეიძლება დაიწყლიტოს, სატაცური კი მეტისმეტად მოკლედ იყოს გადაჭრილი. თუმცა, ვარჯიშთან ერთად პატარა მეტად დამოუკიდებელი გახდება. როცა ჩემი ბავშვები პატარები იყვნენ, სულ რაღაცას ვაცხოვბდი. ახლა, როცა უკვე თინეიჯერები არიან, კვლავ აცხოვრებენ და ზოგჯერ ჩვენც გვიმზადებენ კერძებს.

ქვემოთ მოცემულია ის საქმეები, რომელთა კეთების დროსაც შეგიძლიათ პატარაც დაიხმაროთ:

- **მცენარეების მოვლა** – მცენარეების დათესვა, მორწყვა, ფოთლებიდან მტვრის გადამწმენდა, ყვავილების ჩარგვა პატარა საყვავილეებში (პატარა ძაბრის და დოქის გამოყენებით, რომელთა საშუალებითაც საყვავილეში წყალს ჩაასხამენ)
- **საჭმლის მომზადება** – ბოსტნეულის გარეცხვა, კვერცხის გატეხა, პატარა კონტეინერიდან ბურბუშელას ამოღება და დოქიდან რძის ჩამოსხმა
- **სასუნთქების დრო** – სასუნთქების დამოუკიდებლად გადმოღება მათთვის განკუთვნილი ადგილიდან (შესაბამისი რაოდენობა ყოველდღიურად, ბავშვთან ერთად დაუმატეთ), ხილის გაფცქვნა და დაჭრა, ორცხოვნილებზე კრემის წასმა, ფორთოხლიდან წველის გამონურვა, დოქიდან წყლის ჩამოსხმა
- **სადილი** – მაგიდის განწყობა და ალაგება, ჭურჭლის გარეცხვა
- **ცხოვა** – ინვრედიენტების რაოდენობის დათვლა, მათ დამატებაში დახმარება, ამორევა

- **დალაგება** – დაგვა, მტერის გადამწმენდა, დაქცეულის მოწმენდა, ფანჯრების გაწმენდა, სარკეების გაპრიალება
- **ცხოველებზე ზრუნვა** – ცხოველების გამოკვება, მათ გასეირნებაში დახმარება, წყლის ჯამის ავსება
- **საკუთარ თავზე ზრუნვა** – ცხვირის მოხოცვა, თმის დავარცხნა, კბილების გახეხვა, ხელების დაბანა
- **დამოუკიდებლად ჩაცმა** – წინდების ჩაცმა-გახდა, ფეხსაცმლის შეკვრა, მაისურის, შარვლის, ქურთუკის ჩაცმა, შარვლის ჩანევა და ელვაშესაკრავის/ლილების/თასმების გახსნა-შეკვრა
- **სარეცხი** – გასარეცხი ტანსაცმლის კალათში ჩალაგება, სარეცხ მანქანაში ფხვნილის ჩაყრა, ტანსაცმლის შეყრა-გამოღება, სუფთა ტანსაცმლის დახარისხება
- **სტუმრების ოთახის მომზადება** – სანოლის გაშლა, სტუმრებისთვის სუფთა პირსახოცის დაკიდება, სათამაშოების ალაგება
- **სუპერმარკეტში წასვლა** – პროდუქტების სიის ჩამოწერა და გვერდით მათი გამოსახულების მიხატვა, თაროებიდან პროდუქტების აღება, კალათის ტარება, მოლარისთვის პროდუქტების მიწოდება, ბოსტნეულის ჩანთის წამოღება, შინ დაბრუნების შემდეგ ბოსტნეულის შენახვა
- **მოხალისეობრივი საქმიანობა** – არასდროს არაა ადრე საიმისოდ, რომ ბავშვს სხვების დახმარება ვასწავლოთ. როცა ჩემი შვილები პატარები იყვნენ, კვირაში ერთხელ მოხუცთა თავშესაფარში დავდიოდით. პატარების დანახვა მოხუცებისთვის კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამით ჩემმა შვილებმა ადრეული ასაკიდანვე ისწავლეს, როგორი სასიამოვნოა სხვების დახმარება.

რჩევები საშინაო აქტივობებისთვის

უპირველესად, გახსოვდეთ, რომ ყველაფერი სახალისო უნდა იყოს და ვალდებულე-
ბად არ უნდა იქცეს.

- გამოიყენეთ მხოლოდ იმდენი, რამდენიც გჭირდებათ, იქნება ეს წყალი, ჭურჭლის სარეცხი საპონი თუ შამპუნი.
- წინასწარ მოამზადეთ სანმენდი საშუალებები – მაგიდაზე დაქცეული სითხის მოსანმენდი ნაჭერი, საბავშვო ზომის ცოცხი და იატაკის სანმენდი ტილო.
- 2 წლამდე ასაკის ბავშვს მხოლოდ ერთ-ან ორსაფეხურიანი ამოცანა შეასრუ-
ლებინეთ. როგორც კი კონკრეტულ უნარს გამოიმუშავეს, შეგიძლიათ, თითო
ნაბიჯი დაუმატოთ (მაგალითად, წინსაფრის მორგება, სადილის შემდეგ მაგიდის
გადამწმენდა, ჭუჭყიანი ტანსაცმლის კალათში მოთავსება და ა. შ.)

- ყურადღება გაამახვილეთ პროცესზე და არა შედეგზე. როცა ბავშვი გვეხმარება, საქმის დასასრულებლად მეტი დრო დასჭირდება და შედეგი შეიძლება იდეალური არ აღმოჩნდეს. მაგრამ პატარა ასე სწავლობს. საბოლოოდ, მისი სახით საშინაო საქმეებში კარგი დამხმარე გეყოლებათ.
- იპოვეთ ისეთი საქმე, რომელშიც ბავშვი დახმარებას შეძლებს. თავდაპირველად მარტივი დავალებები მიეცით (მაგალითად, 18 თვემდე ბავშვს შეუძლია წამოიღოს მაისური, როცა თქვენ სარეცხის კალათა მივაქვთ, ან გარეცხოს სალათის ფურცლები). როცა 2+ წლის გახდება, უფრო მეტ საქმეში დაგეხმარებათ.
- გამოიყენეთ კალათები, ჩანთები ან ჩვეულებრივი ყუთები და ყველა საჭირო ნივთი მათში მოათავსეთ (მაგალითად, ფანჯრების გასაწმენდად საჭირო ყველა ატრიბუტი ერთ ყუთში ჩააწყვეთ) – საქმე ასე უფრო გაუადვილდება.
- ბევრი ფულის დახარჯვა სულაც არ არის აუცილებელი. შეგიძლიათ, სახლშიც გამოძებნოთ ისეთი საქმეები, რომლებიც თქვენს ბიუჯეტს არ დააზარალებს. შეათვალისწინეთ საინტერესო ნივთები, მაგალითად, ხის ცოცხი და საბავშვო კიბეები, შემდეგ კი ეს ნივთები პატარას დაბადების დღეზე ან სხვა დღესასწაულზე აჩუქეთ.

საშინაო აქტივობების უპირატესობები

გარდა იმისა, რომ პატარები სიამოვნებას იღებენ საშინაო საქმეებში თქვენი დახმარებით, ასეთი აქტივობები სხვა მხრივაც მეტად ღირებულია:


- ბავშვი სწავლობს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას.
- თქვენთან ერთად მუშაობს, ქმნის, ვარჯიშობს, იხვეწება და ცდილობს, თითოეული აქტივობიდან უკეთესი შედეგი მიიღოს.
- ერთობლივი მუშაობა პატარასთან თქვენს კავშირს განამტკიცებს.
- იმისათვის, რომ კარგი შედეგი მიიღოს, ვარჯიშია საჭირო, რაც შესანიშნავი სავარჯიშოა კონცენტრაციის უნარის გამომუშავებისთვის.
- ბავშვი თავს ოჯახის ნაწილად გრძნობს და საქმეში საკუთარი წვლილი შეაქვს.
- ამგვარი აქტივობები თანმიმდევრულობას მოითხოვს. კონცენტრაციის უნარის გაუმჯობესებასთან ერთად, შეგიძლიათ შესასრულებელ საქმეს ნაბიჯები დაამატოთ ან გაართულოთ.
- პატარას ამ დროს ბევრი მოძრაობა უწევს, რაც კარგი საშუალებაა მსხვილი და ნატიფი მოტორიკის გასაუმჯობესებლად.
- როდესაც ბავშვს ვესაუბრებით, ერთად რის გაკეთებას ვგეგმავთ, ვუსახელებთ სამზარეულოს ნივთებს, საკვებს, სანმენდ საშუალებებს, ვამდიდრებთ მის სამეცყველო ენას და ურთიერთობის უნარებს.
- ბავშვი ითვისებს ახალ უნარებს, ხდება დამოუკიდებელი და თავდაჯერებული.

ყოველთვის ვამბობ, რომ სასურველია, მყარი საძირკვლის ჩაყრა პატარაობიდანვე დავიწყოთ, ვიდრე ბავშვებს ათვისების ბუნებრივი სურვილი აქვთ. ეს პრაქტიკული უნარები ეხმარებათ, იზრუნონ საკუთარ თავზე, სხვებზე (მაგალითად, ცხოველებზე) და გარემოზე.

ასაკის შესაბამისი რამდენიმე საშინაო საქმე

გაინტერესებთ, როგორ ჩართოთ
ბავშვი სახლის საქმეებში? ქვემოთ
მოცემულია სხვადასხვა ასაკის
ბავშვისთვის განკუთვნილი
რამდენიმე იდეა.

თქვენი თვალთ ნახავთ, ამ მარტივი,
ერთსაფეხურიანი აქტივობებით
როგორ დაეხმარებით 12-18 თვის
პატარებს, განივითარონ სხვადასხვა
უნარი. 18 თვიდან 3 წლამდე ბავშვებს
ეურთულებთ ამოცანებს, 3-4
წლის ბავშვს უკვე შეუძლია, უფრო
ხანგრძლივ და რთულ დავალებას
მოერიოს იმ ამოცანებთან ერთად,
რომლებსაც ადრე ასრულებდა.



12-იდან 18 თვემდე

სამზარეულო

- პატარა დოქიდან ჭიქაში წყლის ან რძის
ჩამოსხმა (სითხე უნდა იყოს ცოტა,
რათა ბავშვმა არ დააქციოს)
- ბურბუშელაზე რძის დამატება
- ბურბუშელას ამორევა
- დაღვრილი სითხის მოწმენდა ტილოთი
- თეფშის სამზარეულოში წაღება
- ჭიქიდან დაღვება

სამაბზანო

- თმის დავარცხნა
- კბილების გახეხვა ზრდასრულის
დახმარებით
- ხელების დაბანა
- აბაზანის სათამაშოების შენახვა
- პირსახოცის მოტანა და დაკიდება

სამიწებო

- საფენის/საცვლის მოტანა
- ჭუჭყიანი ტანსაცმლის სარეცხის
კალათში მოთავსება
- ფარდის გადაწევა
- ორი მაისურიდან ერთის არჩევა
- ჩაცმა ზრდასრულის დახმარებით
- წინდების გახდა

სხვა

- სათამაშოების შენახვა
- ფეხსაცმლის მოტანა
- მშობლების დახმარება (მაგალითად,
სთხოვეთ: „შეგიძლია, სარწყავი
მომიტანო?“)
- სინათლის ჩართვა/გამორთვა

18 თვიდან 3 წლამდე

სამზარეულო

- სასუსნავის ან სენდვიჩის მომზადება
- ბანანის გაფცქვნა და დაჭრა
- მანდარინის გაფცქვნა
- ვაშლის გათლა და დაჭრა ზრდასრულის დახმარებით
- სილისა და ბოსტნეულის გარეცხვა
- ფორთოხლის წვენი მომზადება
- მაგიდის გაწყოება და ალაგება
- მაგიდის გადანმენდა
- იატაკის დაგვა ცოცხისა და აქანდაზის გამოყენებით
- ყავის მოდუღება მშობლებისთვის (ყავის აპარატის ღილაკზე თითის დაჭერა, ჭიქისა და ლამბაქის წაღება)

საბავშვო

- ცხვირის მოზოცვა
- კბილების გახეხვა
- ტანის დაბანა (გამოიყენეთ სამგზავრო შამპუნის პატარა ბოთლი)
- სახის დაბანა

საძინებელი

- საწოლის გასწორებაში მონაწილეობა
- ტანსაცმლის არჩევა
- ჩაცმა ზრდასრულის მცირე დახმარებით

სხვა

- ყვავილების ჩალაგება ლარნაკში
- ჩანთის/ზურგანთის ჩალაგება და ტარება
- ჭურთუყის ჩაცმა
- ფეხსაცმლის ჩაცმა
- მცენარეების მოწყვა
- სათამაშოების დაბრუნება კალათში და თაროზე შენახვა
- ჭანჭრის განმენდა
- ტანსაცმლის სარეცხ მანქანაში ან საშრობში შეყრა და გამოღება
- წინდებისა და ტანსაცმლის დახარისხება ფერების მიხედვით
- სუპერმარკეტში პროდუქტის მოწოდება, კალათის გაგორება, პროდუქტების ალაგებაში ზრდასრულის დახმარება

- მტკრის გადაწმენდა
- ძაღლისთვის საბლის ჩაბმა და მისი დავარცხნა

3-იდან 4 წლამდე

სამზარეულო

- ჭურჭლის სარეცხი მანქანიდან ჭურჭლის ამოღება
- ცხობის დროს საჭირო ინგრედიენტების ოდენობის განსაზღვრა და შერევა
- ბოსტნეულის გახეხვა და გაფცქვნა (მაგალითად, კარტოფილის ან სტაფილოსი)
- საჭმლის მომზადებაში მონაწილეობა (მაგალითად, ერთად მოამზადეთ ლაზანია)

საბავშვო

- უნიტაზის გამოყენება: ჩარეცხვა, თავსახურის ჩამოწევა
- სველი ტანსაცმლის მოთავსება გასარეცხი ტანსაცმლის კალათში
- ტუალეტის ქაღალდის გამოყენება ზრდასრულის დახმარებით
- თავის დაბანა (გამოიყენეთ სამგზავრო შამპუნის პატარა ბოთლი)

საძინებელი

- საწოლის გასწორება
- ტანსაცმლის შენახვა კარადაში ან უჯრაში

სხვა

- ცხოველების გამოკვება
- ნაგვის დახარისხებაში მონაწილეობა
- გარეცხილი ტანსაცმლის დაკეცვა
- წინდების დაწყვილება
- მტვერსასრუტის გამოყენება
- მანქანის კარის გაღება პულტით

04 / ხელოვნება და ხელნაკეთი ნივთები

დოქტორ მონტესორის ჰკითხეს, რამდენად უწყობს ხელს თქვენი გარემო კარგი ხელოვანის ჩამოყალიბებასო. მან უპასუხა: „არ ვიცი, კარგი ხელოვანის ჩამოყალიბება რამდენად შეგვიძლია, მაგრამ ჩვენ ვზრდით ბავშვებს, რომლებსაც შესწევთ უნარი, დაინახონ, რომ აქვთ მგრძნობიარე სული და შემოქმედი ხელები“. პატარებისთვის ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელოვნებას უკავშირდება, თვითგამოხატვის, მოძრაობის და ახალი მასალების გამოცდის საშუალებაა. **პროცესი საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვანია.**

აქტივობების სახეობები:

- ვინყვით ხატვით. გამოიყენეთ პასტელის ან ჩვეულებრივი ფერადი ფანქრები, რომლებითაც დახატავს. როგორც წესი, პასტელის ფანქრებს ფერების ფართო არჩევანი აქვს და ბავშვებიც უფრო მარტივად იჭერენ. გარდა ამისა, ბუნებრივი მასალისგან (მაგალითად, ფუტკრის ცვილისგან) დამზადებული ფანქრებით ხატვა ძალიან სასიამოვნო პროცესია.
- მომდევნო ეტაპზე შეგვიძლია აკვარელი გამოვიყენოთ. დავინყოთ ერთი ან ორი ფერით. თუ ბავშვი ბევრი ფერით იმუშავებს, საბოლოოდ ყველაფერი გაყავის-ფრდება. ამ აქტივობისთვის განკუთვნილ ლანგარზე წყლის პანანინა ქილის, ფუნჯისა და საღებავების ნაკრების მოთავსება შეგვიძლიათ. წყლისთვის იდეალური ზომისაა ჯემის ქილები, რომლებიც სასტუმროებში გვხვდება. მაგიდას გადაა-ფარეთ დამცავი ქაღალდი და იქონიეთ ტილო წყლის წვეთების მოსაწმენდად.
- მაკრატლის ხმარება ბავშვს 18 თვიდან შეუძლია. შევთავაზოთ ნამდვილი მაკრა-ტელი მომრგვალებული წვეროებით და ვაჩვენოთ, როგორ გამოიყენოს. ამ დროს ვსხდებით მაგიდასთან, მაკრატელს ვიჭერთ სახელურით და არავითარ შემთხვე-ვაში – მჭრელი პირით. მიეცით ბავშვს ქაღალდის პატარა ფირები, რომლებსაც ადვილად დაჭრის. მოგვიანებით ნაკუნები კონვერტში მოაგროვებთ და სტიკერით დალუქეთ.
- დაახლოებით 18 თვიდან ბავშვებს წარმოუდგენლად იტაცებთ აქტივობები წებოთი. ქაღალდების ერთმანეთზე ფუნჯით დანებება (თხევადი ან მშრალი წებოთი) სახალისოსთან ერთად სასარგებლოცაა, რადგან ბავშვი მსგავსი აქტი-ვობებით მოძრაობებსაც ხეწს.
- მშვენიერი გასართობია ცარცი და საღებავებიც. პატარებისთვის საღებავების მიცემა მხოლოდ მაშინაა სასურველი, თუ ზრდასრული გაუწევს ზედამხედველო-ბას. აუცილებლად იქონიეთ ტილოები ხელების, იატაკისა და დაფის გასაწმენდად.
- თიხა, პლასტილინი და კინეტიკური ქვიშა შესანიშნავი მასალაა ბავშვის შემოქმე-დებითი მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად. შეგვიძლია უბრალო იარაღებიც დავამატოთ, მაგალითად, ცომის საბრტყელებელი, ნამცხვრის ფორმები, ბლაგვი დანა ან ფორმის მიმცემი ყალიბები. ბავშვებთან ერთად პლასტილინით თამაში მეც ძალიან მიყვარს.
- დაახლოებით 2,5 წლიდან შეგვიძლია კერვაც ვცადოთ. საკვრავი კომპლექტი უნდა შეიცავდეს ბლაგვთავიანი ნემსების ნაკრებს, ძაფებს და 10 სმ x 10 სმ ზომის მუყაოს, დიაგონალზე ნახვრეტებით.
- მუზეუმებში ხანმოკლე სტუმრობა ხელოვნებით ტკობის უნარს ავითარებს. დაათვალიერებინეთ პატარას ფერები, სხვადასხვა ტექსტურა, ნახატებზე გამო-

სახული ცხოველები; ათამაშეთ მარტივი თამაშები, მაგალითად, შესასვლელში აიღეთ ღია ბარათი და მუზეუმში მოძებნეთ მასზე მოცემული ნახატი.

რჩევები ხელნაკეთი ნივთების დასამზადებლად

1. **ეცადეთ, არ მიუთითოთ.** მითითების ნაცვლად, უბრალოდ, აჩვენეთ პატარას, კონკრეტულად რა შექმნას, როგორ გამოიყენოს სხვადასხვა მასალა ექსპერიმენტები უკვე ბავშვის საქმეა. მონტესორის სკოლის მასწავლებლები გასაფრადებელ რეგულებს არ იყენებენ, იმის გამო, რომ ასეთი რეგულები პატარას აჩევს, არ გასცდეს მითითებულ ხაზებს. ბავშვებს არასოდეს ვზღუდავთ მზა მოცემულობებით, მაგალითად, არ ვუთითებთ, რომ ბალახი აუცილებლად მწვანე უნდა იყოს, ცა კი – ლურჯი. პატარებს უფლება აქვთ, ეს შემოქმედებითად გადაწყვიტონ.
2. **უკუკავშირი მნიშვნელოვანია.** მონტესორის სისტემაში ასეთი წესი გვაქვს: შექების ნაცვლად, ბავშვს საშუალებას ვაძლევთ, თვითონ შეაფასოს თავისი ნამუშევარი. შეგვიძლია უკუკავშირის ენა გამოვიყენოთ და ნავახალისოთ. უბრალოდ, აღვწეროთ, რას ვხედავთ. მაგალითად: „ვხედავ, აქ ყვითელი ხაზი გაგივლია“. ეს შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე შექება, რადგან ამ შემთხვევაში ბავშვი ზუსტად ხვდება, რა მოგვეწონა მის ნამუშევარში. ვინაიდან ამ დროს პატარები ჯერ კიდევ თვითგამოხატვის ეტაპზე არიან, შეგვიძლია ვკითხოთ: „გინდა, შენს ნახატზე მომიყვე?“. შესაძლოა, ნახატზე კონკრეტულად არაფერი იყოს ასახული და უბრალოდ, ხატვისას ბავშვის სხეულის მოძრაობას გადმოსცემდეს.
3. **გამოიყენეთ საუკეთესო ხარისხის მასალა.** მშობლებს ყოველთვის ვურჩევ, რაოდენობაზე მეტად ხარისხს მიაქციონ ყურადღება. ეს განსაკუთრებით მაშინაა მნიშვნელოვანი, როცა საქმე ხელოვნებას ეხება. მირჩევნია, კარგი ხარისხის რამდენიმე ფანქარი ვიყიდო, ვიდრე – ბევრი იაფფასიანი და უხარისხო.
4. **აჩვენეთ პირადი მაგალითი.** როცა ბავშვს ამა თუ იმ მასალას და მის გამოყენებას ვაცნობთ, აჯობებს, უბრალოდ, წყვეტილი ხაზები გავუვლოთ, ვიდრე სრულყოფილი ნახატი შევთავაზოთ. თუ იდეალურ ყვავილს დაუხატავთ, ბავშვმა შეიძლება ცდაზეც უარი თქვას, რადგან ასე სრულყოფილად ხატვა მის შესაძლებლობებს აღემატება.

მიუხედავად იმისა, რომ ერთობლივი მუშაობა სასურველი და წამახალისებელია, უმჯობესია, ცალკე ფურცელზე ხატოთ და ბავშვის ქალაქდს არ შეეხოთ. თქვენ არ იცით, პატარამ ფურცელზე რისი გადატანა ჩაიფიქრა. წარმოიდგინეთ, რომ ხატვის გაკვეთილზე ხართ, ის კი თქვენი თანაკლასელია. მეგობრის ავტოპორტრეტზე გულს ზომ არ მიახატავდით?

საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ სხვადასხვა მხატვრის ნამუშევრებს კედელზე, ბავშვის სიმაღლეზე დაკიდებთ. ამ გზით ხელოვნებით ტკბობას მთელი ოჯახი შეძლებთ.

05 / ლექსიკური მარაგი

„არსებობს ეტაპი, „მგრძნობიარე პერიოდი“, როცა საგნებსა და მოვლენებს სახელებს ვარქმევთ... თუ ასეთ დროს ზრდასრული ბავშვის „სიტყვების წყურვილს“ ჯეროვნად დააკმაყოფილებს, პატარას ლექსიკას ისე გაუმდიდრებს, რომ ეს სამუდამოდ გაპყვება“.

- დოქტორი სილვანა მონტანარო, „ადამიანის შეცნობა“

მშობლებს შესანიშნავი შესაძლებლობა გვაქვს, პატარებს ლექსიკა გაუუმდიდროთ. როგორ მარტივადაც სწავლობს სხვადასხვა ხილის სახელებს (ბანანის, ვაშლის, ყურძნის და ა. შ.), ბავშვი ასევე ადვილად იმახსოვრებს ავტომობილების სახელებსაც, ტრაქტორიდან დანყებული, ამწეთი დამთავრებული. არ გაგიკვირდეთ, თუ ასეთ დროს აღმოაჩენთ, რომ კონკრეტული ჩიტის, ხის ან ავტომობილის სახელს ვერ იხსენებთ. შეგიძლიათ, მათი სახელები პატარასთან ერთად მოძებნოთ. კარგად გაერთობით!

სიტყვების კალათა (ახევე ცნობილი როგორც ლექსიკური მასალა)

იმისთვის, რომ პატარებს ახალი სიტყვების სწავლაში დავეხმაროთ, შეგვიძლია სიტყვების კალათა გავაკეთოთ, რომლის დახმარებითაც ახალ-ახალ სიტყვებს ისწავლიან. ამ კალათებში საგნების სახელები თემატურად იქნება დალაგებული: სამზარეულოს ნივთები – ცალკე, ავსტრალიის ცხოველები – ცალკე, იარაღები – ცალკე, მუსიკალური ინსტრუმენტები – ცალკე და ა. შ. ბავშვი უფრო ადვილად იმახსოვრებს ერთი კატეგორიის სიტყვებს.

- სიტყვების პირველ კალათაში მოთავსებულია **ნამდვილი საგნები**, რომლებსაც ბავშვი ფიზიკურად შეეხება და შეისწავლის, სანამ ჩვევს მათ სახელებს გავაცნობთ. მაგალითად, სამი-ხუთი სახეობის ხილი ან პოსტნეული.
- შემდეგი საფეხურია **საგნების ასლები**. ვინაიდან ნამდვილი სპილო არც საკლასო ოთახში და არც სახლში არ გვყავს, სიტყვების მარაგის გასამდიდრებლად მის ასლს ვიყენებთ. ბავშვს ამ შემთხვევაშიც შეუძლია ნივთები ხელით მოსინჯოს, ზრდასრულმა კი დაუსახელოს ისინი. ეს ენის სწავლის ძალიან პრაქტიკული, ტაქტილური¹ მეთოდია.
- ამის შემდეგ პატარას უნდა ავუხსნათ, რომ სამგანზომილებიანი ობიექტები იგივეა, რასაც ორგანზომილებიან ფოტოებზე ხედავენ. შეგვიძლია **იდენტური ბარათები** დავამზადოთ, რომლებზეც ნივთის ფოტოები იქნება დატანილი და ბავშვი შეძლებს ნივთი ფოტოს შეადაროს. კარგი იქნება თუ ნივთებს ფოტოებს გადაუღებთ და ისეთ ზომას დაბეჭდავთ, რომ ფოტოზე გამოსახული ნივთი მის ნამდვილ ზომას შეესაბამებოდეს. პატარებს უყვართ, როცა ნივთებს ფოტოზე დებენ.
- როცა ბავშვი ფოტოებისა და ობიექტების შედარებაში გაინაწეება, შემდეგ ეტაპზე უკვე შეძლებს **იდენტური ობიექტების** დანყვილებას. შეგვიძლია შევქმნათ ბარათი ნაგვის მანქანის ნახატი, რომელიც ნამდვილს ჰგავს, მაგრამ მისგან განსხვავდება. ამ შემთხვევაში, ბავშვი იწყებს აბსტრაქტულად აზროვნებას და მთლიანობაში აღიქვამს ნაგვის მანქანას, აღარ ადარებს მას მხოლოდ ზომით, ფერით ან ფორმით. ამის გაკეთება სახლშიც ძალიან მარტივია. აიღეთ ილუსტრირებული

¹ შეხებითი

როგორ ვიზუალურად გავხილავთ ლექსიკონის მარაგის გადმოღობვას სამედიცინო გავრცელებით

პირველი ეტაპი საგნებისთვის სახელის დარქმევა

სიტყვების კალათის უმთავრესი დანიშნულებაა, ბავშვმა საგნის სახელი ისწავლოს. ვიღებთ ნივთს, წარმოვთქვამთ მის სახელს, გადმოვბრუნებთ, ხელით მოვხიზვავთ და დაგვაკვირდებით. იმის ნაცვლად, რომ დეტალურად აღვუწეროთ (მაგალითად, ასე: გრძელკისერა ცხოველი), ბავშვს მხოლოდ მის სახელს ვეუბნებით (ჭირაფი).

მეორე ეტაპი თამაში

შეგვიძლია ვითამაშოთ და ვნახოთ, რომელ ნივთს ამოიცნობს პატარა. მაგალითად, ჰკითხეთ: „შეგიძლია, სათქვეფელა მიპოვო?“ ბავშვი გვაჩვენებს სათქვეფელას და ვეტყვი: „შენ სათქვეფელა იპოვე“. ამის შემდეგ ნივთებს კვლავ ავუბრუნებთ.

ბარათებით მუშაობისას რამდენიმე სახეობის თამაში შეგვიძლია დავგეგმოთ:

- ბარათები გვერდებიდან დავალაგოთ და ბავშვს ვთხოვოთ, მოძებნოს ერთნაირი საგნები.
- პატარას ვთხოვოთ, აირჩიოს ნივთი, ჩვენ კი სათითაოდ ვაჩვენოთ ბარათები მანამ, სანამ ამ ნივთის შესაბამისს არ იპოვის.
- ბარათები მარაოსავით გავშალოთ (გამოსახულებიანი მხარე მოათავსეთ ქვემოთ) და ბავშვს ვთხოვოთ, ერთი ამოირჩიოს, შემდეგ კი ბარათის გამოსახულების შესაბამისი საგანი მოძებნოს.

როდესაც ბარათის შეუსაბამო საგანს აიღებს, დაიმახსოვრეთ, რომ ეს სახელი ეწეება. არ შეუსწოროთ და არ უთხრაოთ, რომ შეცდა. ამის ნაცვლად, ჰკითხეთ: „უი, გინდოდა ვიოლინო ჩელოზე დაგედო?“ მოგვიანებით შეგიძლიათ, პირველ ეტაპს დაუბრუნდეთ და საგნები კვლავ დაუსახელოთ.

მესამე ეტაპი შემოწმება

თუ ზუსტად ვიცით, რომ საგნების სახელები დაიმახსოვრეს, 3+ ასაკის ბავშვებს შეგვიძლია ვკითხოთ: „ეს რა არის?“ პატარას უნებარე, სწორი პასუხი რომ იცის და საკუთარი თავით ძალიან ემაყოფილია: 3 წლამდე ასაკის ბავშვებთან ამ ეტაპს ვტოვებთ, რადგან ამ დროს ისინი მეტყველებამდე საფეხურზე არიან. შეიძლება შეეშალოთ, რაც მათ თავდაჯერებულობაზე უარყოფითად იმოქმედებს. ვიდრე მესამე ეტაპზე გადახვალთ, დარწმუნდით, რომ პატარამ საგნის სახელი ნამდვილად იცის.

წიგნი და ნახატები ირგვლივ არსებულ ნივთებს შეადარეთ. ბავშვმა შეიძლება სათამაშო კაკადუ აიღოს, წიგნების კარადისკენ გაიქცეს და თავის საყვარელ წიგნში კაკადუს სურათი გაჩვენოთ.

- ბოლო საფეხურია სიტყვების ბარათები. ამ ბარათების დახმარებით, შეგვიძლია ბავშვს ვასწავლოთ სხვადასხვა თემატიკის ახალი სიტყვები – მანქანები, ზღის ხელსაწყოები და ა. შ.

წიგნები

პატარებისთვის შეგვიძლია საინტერესო წიგნები შევარჩიოთ, რომლებსაც ხმამაღლა წავუკითხავთ. წ წლამდე ასაკის ბავშვები სამყაროს იმის მიხედვით აღიქვამენ, რასაც ირგვლივ ხედავენ; ისეთი წიგნები უფრო მოსწონთ, რომლებიც მათთვის ნაცნობ ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს: წიგნები საყიდლებზე სიარულზე, ბებია-ბაბუასთან სტუმრობაზე, ჩაცმაზე, ქალაქის ცხოვრებაზე, სეზონების ცვლადობასა და ფერებზე. ჩვენს კლასში ერთ-ერთი ყველასთვის საყვარელი წიგნი ჯან ორმეროდის „მზის სხივია“ – უსიტყვო წიგნი, რომელშიც აღწერილია პატარა გოგონას ამბავი: როგორ იღვიძებს და შინიდან გასასვლელად ემზადება.

ნუ გაგიკვირდებათ, თუ პატარა კუდიანზე წიგნის ნაკითხვის შემდეგ დაასკვნის, რომ ისინი ნამდვილად არსებობენ და ძალიან საშიშებიც არიან. მონტესორის ფილოსოფიის მიხედვით, ბავშვი მინიმუმ 6 წლის უნდა იყოს, ვიდრე ფენტეზის ჟანრს გაეცნობა (განსაკუთრებით, საშიშს), რადგან ამ ასაკში პატარები უკვე იწყებენ ფანტასტიკურისა და რეალურის გარჩევას.

რა ვეძებთ წიგნში:

- **რეალისტური სურათები.** ეს ისაა, რასაც ბავშვები ყოველდღიურად ხედავენ და შეუძლიათ, მაშინვე დაუკავშირონ სინამდვილეს. იმის ნაცვლად, რომ ისეთი წიგნი შეარჩიოთ, რომელშიც საჭესთან დათვი ზის, ისეთი ილუსტრაციები მოძებნეთ, რომლებზეც მანქანას ადამიანი მართავს.
- **მომხიბვლელი ილუსტრაციები.** ბავშვი წიგნის ილუსტრაციებს აკვირდება და ყველაფერს ისრუტავს. ასე რომ, ეძებეთ ლამაზად ილუსტრირებული წიგნები.
- **სიტყვების რაოდენობა.** პატარებისთვის ისიც საკმარისია, თითო გვერდზე თითო სიტყვა ან მარტივი წინადადება ენეროს. ეს იქნება საძირკველი საიმისოდ, რომ მომავალში უფრო გრძელი წინადადებების აღქმა შეძლოს. ბავშვებს გარითმული ტექსტებიც მოსწონთ, ამიტომ პოეზიასაც ნუ დაივიწყებთ.
- **სხვადასხვა ტიპის ფურცლები.** დაიწყეთ სქელი მუყაოსფურცლიანი წიგნებით და ბავშვის ზრდასთან ერთად, თხელფურცლიანით ჩაანაცვლეთ. პატარებს ძალიან უყვართ სამგანზომილებიანი წიგნები. ასეთი წიგნების კითხვისას შეგიძლიათ, აუხსნათ, რომ ფრთხილად გადაშალოს და ფრთხილად წამოსწიოს ფიგურა.
- **წიგნები, რომლებიც ჩვენ მოგვწონს.** ბავშვები კითხვის სიყვარულს მშობლებისგან სწავლობენ, ამიტომ ისეთი წიგნები შეარჩიეთ, რომელთა ბევრჯერ წაკითხვა არ დაგლღით. მოემზადეთ, პატარა ხშირად იყვირებს: „თავიდან! თავიდან!“
- **მრავალფეროვნება.** ეძებეთ წიგნები, რომლებიც სხვადასხვანაირ ოჯახზე, ეროვნებასა და რელიგიაზე მოგვითხრობს.

პატარებს უნდა ვასწავლოთ, ზუსტად ისე მოექცნენ წიგნებს, როგორც, მაგალითად, მინის ჭიქას ეპყრობიან: წიგნს წელი მოძრაობით, ფრთხილად ვფურცლავთ და კითხვის დასრულების შემდეგ თაროზე ვაბრუნებთ.

დროდადრო ისეთ წიგნსაც გადააწყდებით, რომელიც რეალობას არ ასახავს, მაგრამ ძალიან მოგწონთ და გინდათ, გქონდეთ. ერთ სახალისო ხერხს გასწავლით. შეგიძლიათ, ბავშვს უთხრათ: „დათვები მართლა დადიან ბიბლიოთეკაში? არა. რა საინტერესოა! გამოგონილი ამბავი ჩანს. მოდი, ვნახოთ, რა მოხდება“.

პატარასთან საუბარი

გარემოს აღწერა

ყოველდღიურ საქმიანობაში გართული ზრდასრული ბავშვის ლექსიკური მარაგის გაზრდის უმთავრესი წყაროა. შეგიძლიათ დღის ნებისმიერი მონაკვეთი გამოიყენოთ იმისათვის, რომ პატარას აღწეროთ, რას აკეთებთ. ესაუბრეთ ნებისმიერ თემაზე – ჩაცმასა თუ საჭმლის მომზადებაზე. გამოიყენეთ მდიდარი სიტყვათა მარაგი და საგნები სწორად დაასახელეთ. მაგალითად, წარმოთქვით მათი სახელები, როცა დაინახავთ: ძაღლს, ბოსტნეულს, საჭმელს, მანქანებს, ხეებს, ჩიტებს და ა. შ.

თვითგამოხატვა

საუბარი სულ პატარა ბავშვებთანაც კი შეიძლება. ამ გზით პატარები ხვდებიან, რომ რასაც ამბობენ, მნიშვნელოვანია და მეტყველების დახვეწაზე ვარჯიშობენ. შეწყვიტეთ ნებისმიერი საქმე, რასაც უნდა აკეთებდეთ, შეხედეთ ბავშვს თვალებში და აცადეთ, თქვას, რის თქმასაც ცდილობს. რაოდენ რთულადაც უნდა მოგეჩვენოთ, ეცადეთ, თავი შეიკავოთ, რათა წინადადება მის ნაცვლად არ დაასრულოთ.

თუ პატარა ბურთს „ბა-ბას“ ეძახის, იმის საჩვენებლად, რომ ნამდვილად უსმენთ, საპასუხო წინადადებაში შეგიძლიათ, საგანი სწორად მოიხსენიოთ. მაგალითად, „ჰო, ბურთი ბაღში გადავარდა“.

დაუსვით მარტივი კითხვები, რომელთა მეშვეობითაც შეძლებენ, ამბავი მეტი დეტალით გაამდიდრონ. თუ პატარა მეტყველებამდე ასაკშია და ვერ გაგებინებთ, რა უნდა, შეგიძლიათ, სთხოვოთ, რომ გარკვევით.

სიჩუმის წუთები


არ დაგავიწყდეთ, დღის განმავლობაში სიჩუმეზე იზრუნოთ. ხმაურში ენის შესწავლა საკმაოდ რთულია. ამასთან, ზრდასრულებს პატარების შეფასება გვიყვარს. თუმცა, სრულიად ნორმალური იქნება, თუ ხანდახან ჩუმად ვისხდებით და ბავშვს უფლებას მივცემთ, საკუთარი თავი თავად შეაფასოს.

ბავშვებს იმაზე მეტი ესმით, ვიდრე „ბავშვურ ენაზე“ ლაპარაკი და მარტივი მითითებების მიცემა. მათ სურთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩავრთოთ.

1



5




2



6




3



4



7



8

01 / თვალისა და ხელის კოორდინაცია

N1 მარტივი ფაზლები

ამ მარტივ ფაზლს ხუთი ნაწილი აქვს და სულ პატარებისთვის იდეალურია. პანანინა სახელურები ჩაჭიდების უნარს ავარჯიშებს. მიზანშეწონილია 18 თვიდან.

N2 ჩაყრა

ვინრო ტრილში მონეტების ჩაყრით, ბავშვი ჩაყრა-ამოღების უნარს ივითარებს. ჩვენს კლასში ეს აქტივობა პატარებს ძალიან უყვართ. მიზანშეწონილია 16 თვიდან.

N3 ხრახნები და ჭანჭიკები

ეს ნაკრები მშვენიერი ინსტრუმენტია იმისთვის, რომ ბავშვმა ხრახნები და ჭანჭიკები სიდიდის მიხედვით დაალაგოს და ჭანჭიკს ხრახნი მოარგოს. თავდაპირველად პატარები შესაფერისი ზომის ხრახნის შერჩევით იწყებენ. უფრო მოზრდილები უკვე თავისუფლად ატრიალებენ ხრახნს და ჭანჭიკზე ამაგრებენ. გამოიყენება 2 წლიდან.

N4 „საიდუმლო“ ჩანთები

ეს „საიდუმლო“ ჩანთები იმისთვის გვჭირდება, რომ პატარამ ხელის შეხებით გამოიცნოს, რა დევს შიგნით. შეგვიძლია მათში თემატური ნივთები ჩავანყოთ ან საგნები წყვილ-წყვილად დავმალეთ. თუ უფრო გავართულებთ, სხვადასხვა ნივთის ჩანყოფაც შეგვიძლია. მიზანშეწონილია 2,5 წლიდან.

N5 აკინძვა

აკინძვა ორივე ხელს ერთდროულად ავარჯიშებს. პატარების შესაძლებლობების შესაბამისად, შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვადასხვა ფორმისა და ზომის ასაცმელი ძაფები და მძივები. მიზანშეწონილია 16 თვიდან.

N6 გახსნა-დახურვა

ბავშვებს უყვართ, როცა პატარა ნივთებს პოულობენ ძველ ჩანთებში. თავსახურიან ქილებში ან სხვადასხვანაირ კონტეინერში. შეიძლება გახსნან ელვაშესაკრავი, დუგმები, ბალთები და ა. შ. მიზანშეწონილია 18 თვიდან.

N7 დახარისხება

საგნების დახარისხება ფორმის, ზომისა და ფერის მიხედვით პატარებს ძალიან აერთობთ. პანანინა ლილების ფერების მიხედვით დახარისხება მიზანშეწონილია 2 წლიდან.

N8 პეგბორდები და რეზინები

მიყვარს იმის ყურება, ამ აქტივობის მეშვეობით როგორ ივარჯიშებენ პატარები თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარებს. ხის შვერილებზე რეზინის გადაჭიმვას დიდი კონცენტრაცია სჭირდება. შედარებით მოზრდილები ამ მასალისგან სახალისო ორნამენტებს ქმნიან. მიზანშეწონილია დაახლოებით 2 წლიდან.



1



2



3



4



5



02 / მუსიკა და მოძრაობა

N1 დასარტყამი ინსტრუმენტები

ინსტრუმენტები, რომლებიც დარტყმით ან ჩამოკვრით გამოსცემს ხმას, იდეალურია როგორც პატარა, ისე შედარებით მოზრდილი ბავშვებისთვის. გამოიყენეთ მეტალის სამკუთხედები, დოლები და ქსილოფონები. საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ პატარებს (მაგალითად, დაუჭირეთ ინსტრუმენტი, სანამ ურტყამს). გამოდგება ნებისმიერი ასაკის პატარებისთვის.

N2 პერკუსიული საკრავები

ჟღერუნა საკრავები დასაწყისისთვის იდეალური ვარიანტია. დღეს უკვე მარაკას არაერთი ვარიანტი არსებობს – კვერცხის ფორმიდან დაწყებული, ტრადიციულით დამთავრებული. მოძებნეთ ე. წ. „წვიმის ჟღერუნა“¹, რომელიც სწრაფად გადატრიალება-გადმოტრიალების დროს სასიამოვნო ხმას გამოსცემს. განკუთვნილია ნებისმიერი ასაკის ბავშვებისთვის.

N3 მუსიკალური ზარდახშები

სახელურის გადატრიალება და მუსიკის მოსმენა ბავშვებს ძალიან მოსწონთ. თავდაპირველად, შესაძლოა, ხელის შეშვებულ დასჭირდეთ. კარგი იქნება, თუ ზარდახშას ზრდასრული დაიჭერს, ბავშვი კი სახელურს დაატრიალებს. პატარებისთვის მოზრდილი, მყარი ზარდახშები შეარჩიეთ. შედარებით

მოზრდილები პატარა ზარდახშებსაც ადვილად უღებენ ალღოს. გამოიყენება ნებისმიერ ასაკში.



N4 ჩასაბერი ინსტრუმენტები

ისეთი უბრალო ინსტრუმენტები, როგორებიც, მაგალითად, ჰარმონიკა და ბლოკ-ფლეიტაა, პატარებისთვის მშვენიერი გასართობია – შეუძლიათ რიტმით, სიჩქარით და ხმით სხვადასხვანაირად ააჟღერონ და ექსპერიმენტები ჩაატარონ. მიზანშეწონილია შედარებით მოზრდილი ბავშვებისთვის.

N5 უპედლო ველოსიპედი ბალანსის შესანარჩუნებლად

როგორც კი ბავშვი საკმარისად მაღალი იქნება, უპედლებო, ბალანსის შენარჩუნებისთვის განკუთვნილი ველოსიპედი, შესაძლოა, უკეთესი არჩევანი აღმოჩნდეს, ვიდრე ტრადიციული, სამბორბლიანი ველოსიპედი. ორბორბლიან ველოსიპედს პატარა ფეხების მიწაზე დაბჯენით და მიწოლით მართავს, ხოლო როგორც კი სიჩქარეს აკრეფს, ფეხებს ზემოთ სწევს და ბალანსის შენარჩუნებას სწავლობს. პედლებთან ველოსიპედზე გადასვლამდე ეს ძალიან სასარგებლო ეტაპია. დროთა განმავლობაში, როცა მზად იქნება, ბავშვი დამატებითი თვლების გარეშე, დამოუკიდებლად შეძლებს ორბორბლიანი ველოსიპედის მართვას. გამოიყენება 2 წლის ასაკიდან.

¹ ჟღერუნა საკრავი, რომელსაც ჩრდილოეთ ჩილეში დიაგიტა ინდიელები წვიმის ცერემონიისას იყენებდნენ.



N6 გარეთ





სუფთა ჰაერზე გასვლა, გარეთ ნაპოვნი მასალისგან კოლაჟის ან ხელნაკეთი ნივთების შექმნა ან, უბრალოდ, ბუნების საგანძურის შეგროვება, ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო აქტივობაა, რაც ბავშვთან ერთად შეიძლება გააკეთოთ. ხშირად გადით გარეთ. უბრალოდ, სანვამარი ტანსაცმელიც გაიყოლეთ. ამ საქმიანობაში ნებისმიერი ასაკის ბავშვი შეიძლება ჩაერთოს.

N7 ბურთები

სხვადასხვა ზომის ბურთებით თამაში ავითარებს დარტყმის, გაგორების, კოორდინაციის უნარებს, ფიზიკურ მონაცემებს და, რა თქმა უნდა, ძალიან სახალისოცაა. ეცადეთ, სათამაშოდ გარეთ გახვიდეთ ხოლმე, რათა პატარებს საკმარისი სივრცე ჰქონდეთ. ასეთი თამაშები ნებისმიერი ასაკის ბავშვისთვის სასარგებლოა.

N8 სასრილო

ამ სასრილოს „პიკლერის სასრილო“ ჰქვია. შეგიძლიათ ის სახლში დადგათ. სასრილოს სიმაღლეს ბავშვის ზრდასთან ერთად შეცვლით. პატარებს მასზე აძრომაც ისევე მოსწონთ, როგორც ჩამოსრიალება. ასევე გამოგადგებათ ნებისმიერი სასრილო, რომელიც სათამაშო მოედანზეა. სასურველია, ისეთი შეარჩიოთ, რომელზეც ასვლასაც პატარა დამოუკიდებლად შეძლებს. აქტივობაში ჩართვა ნებისმიერი ასაკის ბავშვს შეუძლია.



03 / პრაქტიკული უნარები

N1 საკუთარ თავზე ზრუნვა

ბავშვს ბევრი შესაძლებლობა აქვს საიმისოდ, რომ საკუთარ თავზე ზრუნვა ისწავლოს. თავდაპირველად ვარჯიშებით და ვუხსნით, დროთა განმავლობაში კი სულ უფრო მეტ რამეს აკეთებს დამოუკიდებლად. პატარებს უყვართ, როცა რაღაცაში ინაფებიან და კარგად გამოსდით. ეს შეიძლება იყოს თმის დავარცხნა, კბილების გახეხვა, ცხვირის მოხოცვა, ხელების დაბანა. მიზანშეწონილია 15 თვიდან.

N2 საქმლის მომზადება

პატარებს უყვართ, როცა სასუსნავს თვითონ იმზადებენ ან საქმლის მომზადებაში გვეხმარებიან. მოძებნეთ ისეთი ინსტრუმენტები, რომლებსაც ბავშვი მოერევა. თავდაპირველად დახმარება დასჭირდება, ამიტომ შეგიძლიათ, აჩვენოთ, ვაშლი როგორ ითლება. შემდეგ ვაშლი საჭრელ დაფაზე მყარად დაიჭირეთ, ვიდრე პატარა კანს ზემოდან ქვემოთ გააცლის; აჩვენეთ, როგორ დაიჭიროს ვაშლის საჭრელი ხნორად და უსაფრთხოდ. შეგიძლიათ, ხილი შუაზე გაჭრათ, რათა საჭრელი უფრო ადვილად ჩაასრიდეს. ვაშლის დაჭრა ბავშვს შეუძლია 2 წლიდან.

N3 მაგიდის განწყობა

გამოიყენეთ ჭურჭლის დაბალი კარადა, რომლიდანაც ბავშვი თავისუფლად გამოიღებს თავის ჯამს, ჩანგალს, კოვზს, ჭიქას და მაგიდაზე, შესაბამის ადგილას დააწყობს. სასურველია, მაგიდის სპეციალური საფენი გამოიყენოთ, რომელზეც თითოეული ნივთის დასადები ადგილი იქნება მონიშნული.

N4 ცხობა

პატარებს შეუძლიათ, წინასწარ მომზადებული ინგრედიენტები ხის კოვზით შეურიონ, მოზილონ ცომი, გამოიყენონ საცხობი ფორმები და მორთონ ტკბილეული. და, დიახ – მზა ნამცხვრის დაგემოვნებაშიც მშვენიერი დამხმარეები არიან! ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობა ბავშვს შეუძლია 12 თვიდან.

N5 ფანჯრის ნმენდა

საოცარია, როგორ შეუძლიათ სულ პატარებსაც კი ფანჯრის საწმენდი სითხის ბოთლის თავს ხელი მოუჭირონ და სითხე მიწას შეასხან. ეს განმეორებითი ქმედება ძალის გამოსამუშავებლად ძალიან სასარგებლოა. ამის შემდეგ სთხოვეთ, საწმენდი ჯოხით, ზემოდან ქვემოთ, ჩამოწმინდონ სითხე, ბოლოს კი ტილოთი შეამშრალონ. მხოლოდ წყლის ან ცოტაოდენი ძმრის გამოყენებაც საკმარისია იმისათვის, რომ თქვენი მინები ბზინავდეს. ამ აქტივობაში ბავშვის ჩართვა მიზანშეწონილია 18 თვიდან.

N6 ყვავილებზე ზრუნვა

ყვავილებზე ზრუნვა მრავალსაფეხურიანი პროცესია, რომლითაც ბავშვი ერთდროულად ივარჯიშებს ნატიფ მოტორიკას, წყლის წაღების, დასხმისა და კონტროლის უნარებს, ამ ყველაფერთან ერთად კი სახლის იერსახეზეც ზრუნავს. პატარა დოქს ბავშვი ონკანის წყლით ავსებს, შემდეგ ლანგარზე დგამს და ყვავილებისკენ მიაქვს. ამგვარად წყალს არ ღვრის. საყვავილეში ძაბრით ჯერ წყალს ახხამს, მერე კი ყვავილებს აწყობს. ბოლოს ყვავილებიან ლარნაკს ხელსახოცზე დგამს (ეს დამატებითი ნაბიჯია, რომელიც კონცენტრაციის განვითარებას უწყობს ხელს). იქონიეთ ღრუბელი წყლის მოსაწმენდად. აქტივობა მიზანშეწონილია 18 თვიდან.


N7 დალაგება

პატარებს უყვართ, როდესაც დაგვაში, მოწმენდასა და მტკრის გადანმენდაში გვეხმარებიან. პატარა ზომის ცოცხი, შვებრა, ჯაგრისი, აქანდაზი, ხელთათმანი და ღრუბელი ბავშვს სახლზე ზრუნვას ასწავლის. ამასთან, ისინი მშვენიერი საშუალებაა ორივე ხელის ერთდროული მუშაობის უნარის გასავარჯიშებლად. ამ საქმიანობაში ბავშვების ჩართვა სასურველია 12 თვიდან.

1



2



3



4



04 / ხელოვნება და ხელნაკეთი ნივთები

N1 აკვარელის საღებავები

აკვარელის საღებავები იდეალურია იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც ხატვა უყვართ. სულ პატარებსაც კი შეუძლიათ მათით მუშაობა ისეთი დიდი არეულობის გამოწვევის გარეშე, როგორიც, როგორც წესი, მარკერის ან სხვა ტიპის საღებავების გამოყენებას მოსდევს. დაიწყეთ ერთი ფერით. მოძებნეთ ისეთი ნაკრები, რომელშიც თითოეული ფერი ცალ-ცალკე კონტეინერშია ჩასხმული. აირჩიეთ ერთ-ერთი და იმით იმუშავეთ. ბავშვს შეუძლია, ივარჯიშოს ფუნჯის დახველებასა, საღებავში მის ამოვლებასა და ქაღალდის მოხატვაში. ვამპობ „ივარჯიშოს“, რადგან ამ ასაკში პატარები ხატვას არ სწავლობენ – ისინი, უბრალოდ, ხევენ მასალის გამოყენების უნარს და საღებავის ქაღალდზე გადატანისთვის საჭირო ტექნიკას. ამგვარი აქტივობები შეგიძლიათ, დაიწყოთ 18 თვიდან.

N2 კერვა

დაიწყეთ მარტივი საკერავი მუყაოთი, ბლაგვი საკერავი ნემსით და ბოლოში განასკვული ძაფით. აჩვენეთ პატარას, როგორ გაუყაროს ნემსი ნახვრეტში, გადმოაბრუნოს მუყაო და ნემსი უკანა მხრიდან ამოქაჩოს; ამის შემდეგ ნემსი მომდევნო ნახვრეტში გაუყარეთ და იგივე გაიმეორეთ. საბოლოოდ მიიღებთ ნაკერს. როცა ნახვრეტები მთლიანად შეივსება, ნემსის მოსაშორებლად ძაფი მაკრატლით გადაჭერით და განასკვით. აქტივობა მიზანშეწონილია 2 წლიდან.

N3 მაკრატელი


თავდაპირველად ბავშვი სწავლობს მაკრატლის სწორად დაჭერას. ამ დროს მაგიდასთან უნდა იჯდეს. შეამჩნევთ, რომ მაკრატელს ორივე ხელით ხსნის და ხურავს, ამიტომ აჩვენეთ, როგორ გამოიყენოს სწორად. აიღეთ მტკიცე მუყაო და წვრილად დაჭერით. პატარა ნაწილები შეგიძლიათ, თქვენ დაიჭიროთ, ბავშვმა კი გადაჭრას. ბოლოს ნაჭრები მოაგროვეთ, კონვერტში ჩადეთ და დააწებეთ. პროცესი რამდენჯერმე გაიმეორეთ. როგორც კი პატარა ხელს გაინაწავს, დამოუკიდებლად შეძლებს ერთ ხელში – მაკრატლის, მეორეში კი მუყაოს წვრილი ნაჭრის დაჭერას. აქტივობა მიზანშეწონილია დაახლოებით 2 წლიდან.

N4 ფანქრით ხატვა


ამ აქტივობისთვის ყველაზე მეტად მსხვილი ფანქრების ან პასტელის ნაკრების გამოყენება მიყვარს. მრავალფეროვნებისთვის შეგიძლიათ, დროდადრო ქაღალდის ზომა, ფერი და მასალა ცვალოთ. გახსოვდეთ, ბავშვი მასალის გამოყენებას სწავლობს და არა – ხატვას. მიზანშეწონილია 12 თვიდან.



5



6



7



N5 ცარცი და საშლელი

მიეცით ბავშვს ცარცის მსხვილი ნატეხი – იმხელა, რომ ხელში ადვილად დაიჭიროს – და სახატავად ფართო სიერცე გამოუყავით (დაფა ან, თუნდაც, ტროტუარი). დიდ სიერცეში ხატვისას მთლიანი მკლავის გავარჯიშებას შეძლებს და, ამასთან, ცარცის და საშლელის გამოყენებასაც ისწავლის. მიზანშეწონილია 12 თვიდან.

N6 წებო

ქალაღდის პატარა ნაწილების ერთმანეთზე მიწებება ფუნჯისა და წებოს პატარა ქილის (ან, თუნდაც, წებოს მარკერის) გამოყენებით, ნატიფი მოტორიკის გავარჯიშების კარგი ხერხია. ბავშვს შეუძლია, წებო ქალაღდის ცალ მხარეს წაუსვას, გადმოაბრუნოს და სხვა ქალაღდზე დააწებოს. მიზანშეწონილია 18 თვიდან.

N7 თიხა / პლასტილინი / კინეტიკური ქვიშა

თიხაზე მუშაობა და მარტივი ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს ხელის მოძრაობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პატარებს შეუძლიათ, თიხა გააბრტყელონ, გამოძერწონ გრძელი ჯოხი, დაჭრან პატარა ნაწილებად, ბურთივით შეკრან ან წებისმიერი ფორმა მისცენ. მიყვარს, როცა დროდადრო თიხას პლასტილინით, ან კინეტიკური ქვიშით ვანაცვლებ, რათა ბავშვებმა სხვადასხვა ტიპის შეგრძნებები გამოცადონ. მიზანშეწონილია 16 თვიდან.

1



2




3



4



5



05 / ლექსიკური მარაგი

N1 საგნების ასლები

იმისთვის, რომ ახალი სიტყვები ადვილად დაიმახსოვროს, შეგვიძლია ბავშვს სხვადასხვა თემატიკის ნივთების ასლები შევთავაზოთ, მაგალითად, სამზარეულოს ატრიბუტების, აფრიკული ცხოველების ან მუსიკალური ინსტრუმენტების. პატარა დაიჭერს და შეისწავლის ნივთს, თქვენ კი ამ დროს მის სახელს ეტყვი. ესაა თვალსაჩინო და ხელშესახები მასალით სწავლების კიდევ ერთი მაგალითი. აქტივობაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი ასაკის ბავშვს.

N2 ბარათები

როცა ბავშვი წამოიზრდება, ახალი სიტყვების სასწავლად შეგვიძლია თემატური დასურათებული ბარათები შევთავაზოთ. ასეთ დროს იმდენად შეზღუდულები არ ვართ, როგორც წინა შემთხვევაში და მეტი თავისუფლება გვაქვს. გამოიყენება 18 თვიდან.

N3 წიგნები

როცა ისეთ წიგნს იპოვით, რომელიც ორივეს მოგწონთ, მიხედვით, ბავშვთან ერთად კითხვა რამხელა სიამოვნებაა. ეძებთ წიგნები სეზონების, ყოველდღიურობის, ცხოველების, ფერების, ფორმების, მანქანების, ბუნების და პატარას საყვარელი თემების შესახებ. მოზრდილი ბავშვებისთვის შეარჩიეთ შედარებით რთული და მეტდეტალიანი წიგნები, ან ისეთები, რომელთა

საშუალებითაც თვლას ისწავლის. მიზანშეწონილია ნებისმიერი ასაკის ბავშვისთვის.

N4 ნამდვილი საგნები

სიტყვების მარაგის გასამდიდრებლად საუკეთესო გზა იმ საგნების სახელების სწავლაა, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედავენ. გააცანით ბავშვს სახლში არსებული ყვავილებისა და სხვადასხვა ნივთის, ხეებისა და ჩიტების სახელები, რომლებსაც პარკში ხედავენ და ა. შ. ილუსტრაციაზე მოცემულია ნამდვილი და დახატული ლობიო. ამით ბავშვი სწავლობს, რომ სამგანზომილებიანი საგანი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორგანზომილებიან ნახატზე. მიზანშეწონილია 12 თვიდან; სურათებით – 14 თვიდან.

N5 საგნები და ბარათები (იდენტური და მსგავსი)

იდენტური ბარათების ნაკრების შესაქმნელად დახატეთ ან ფოტო გადაუღეთ სასურველ ნივთს. როგორც კი ბავშვი ისწავლის იდენტური ბარათებისა და შესაბამისი ნივთების დაკავშირებას, შეგვიძლია საქმე გავართულოთ და ბარათებზე ნივთის მსგავსი სურათები დავიტანოთ (არა იდენტური). საგანი შეიძლება იყოს სატვირთო, ბარათზე კი დატანილი იყოს ნებისმიერი სატვირთოს ფოტო (სხვა მოდელის, ფერისა და ზომის). ამით პატარა ზოგადად სატვირთოს ცნებას სწავლობს. ბარათები გამოიყენება 14 თვიდან.

დამატებითი შენიშვნა ღია სივრცისა და ბუნების შესახებ

„მიეცით ბავშვებს თავისუფლება, წაახალისეთ ისინი! მიეცით უფლება, წვიმის დროს გარეთ ირბინონ; ფეხსაცმელი გაიხადონ, როცა გუბეს ან ცვრიან ბალახს აღმოაჩენენ; ფეხშიშველებმა ირბინონ და ფეხები წყალში ატყაპუნონ; მშვიდად იძინონ, როცა ხე თავის ჩრდილქვეშ შეიფარებს; შეძახილებითა და კისკისით შეხვდნენ მზის პირველი სხივის გამოჩენას“.

– დოქტორი მარია მონტესორი, „ბავშვის აღმოჩენა“


მოხიბლული ვარ იმ ფაქტით, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დოქტორმა მონტესორიმ უკვე იცოდა, რამხელა მნიშვნელობა ენიჭებოდა ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში ბუნებასა და ღია სივრცეს. ბუნებას შეუძლია დაგვაშვიდოს, სილამაზის აღქმის უნარი გაგვიღვივოს და სამყაროსთან კავშირი გვაგრძნობინოს.

ბავშვები შეგრძნებებით სწავლობენ. დასაწყისში მოცემული ციტატა ნათლად გვიჩვენებს, რამდენად მდიდარი გამოცდილების მიღება შეუძლიათ პატარებს. ახლაც კი, როცა უკვე ზრდასრული ვარ, მკაფიოდ მახსოვს ის ემოცია, რომელიც ბავშვობაში, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი სიარულისას განვიცადე.

თუ ქალაქში ცხოვრობთ, შეგიძლიათ, რამდენიმე თვეში ერთხელ ქალაქგარეთ გასვლა დაგვემოთ. შეიძლება ერთი საღამო გაატაროთ ზღვის ნაპირზე ან რამდენიმე ღამე – ტყეში, კარავში ან ქოხში.

ქვემოთ წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს, როგორ შეგიძლიათ მონტესორის აქტივობების გამოყენება ბუნებასა და ღია სივრცეში.

- 1. სენსორული აქტივობები.** შეგიძლიათ აიღოთ კალათი, პარკში ან ახლო მდებარე ტყეში წახვიდეთ და სეზონის მიხედვით შეაგროვოთ ფოთლები, რკოები, ნაჭუჭები, ჯოხები, ქვები და გირჩები.
- 2. მოიყვანეთ ბოსტნეული.** ბოსტნეულის მოსაყვანად ბოსტნის გაშენება აუცილებელი არაა. დაგჭირდებათ რამდენიმე ქოთანის, სარწყავი, მიწა და თესლი. ნეშომპალას გამოყენებით პატარა სწავლობს, როგორ უბრუნდება საკვები ნივთიერებები მიწას.
- 3. მოძრაობა.** ხეზე აძრომა; ბალანსის შენარჩუნება კუნძზე ან მორზე; ტოტებზე ჩამოკიდება; საბურავით ქანაობა; უბედლო ველოსიპედის მართვა; ბურთით თამაში; სახტუნაოთი ხტუნვა; დაჭერობანას თამაში; სწრაფი სირბილი და ნელი სიარული.
- 4. ერთად აღმოაჩინეთ ბუნების მშვენიერება.** დააკვირდით მწერებს, ცვარს ფოთლებზე, მზის ჩასვლის ფერებს, მთიდან გადაშლილ ხედებს, ტბის მშვიდ



ლივლივს, ოკეანის ტალღების მოძრაობას, ქარისგან აშრიალებულ ფოთლებს, ან, უბრალოდ, დატკბით მეზობლის ბაღში მდგარი სკით და ფუტკრების ზუზუნით. აიღეთ გამადიდებელი შუშა და უფრო ახლოდან დააკვირდით გარემოს, ხელით შეეხეთ მცენარეებს, უსმინეთ ხეებისა და ბაღასის შრიას და შეიგრძენით წვიმით გალუმბული ყვავილების სურნელი.

5. **იპოვეთ წუთები სიჩუმისთვის:** მოძებნეთ ისეთი ადგილი, სადაც დასხდებით, დააკვირდებით ღრუბლებს, მიაყურადებთ ბუნებას ან, უბრალოდ, ისუნთქებთ.
6. **იპოვეთ განძი.** შეადგინეთ ნივთების ფოტოსურათებიანი სია და ერთად ეძებეთ. საგნები დამალეთ ბაღში, პარკში, ტყეში ან ნებისმიერ ადგილას.
7. **ააშენეთ ქოხი ან პატარა ხის სახლი და ბავშვის მეგობრები დაპატიჟეთ.**
8. **დამზადეთ ხელნაკეთი ნივთები ბუნებაში მოპოვებული მასალისგან.** გამოიყენეთ ტალახი, წყალი, ფოთლები, მინა, მარცვლეული, ბალახი და ნებისმიერი ბუნებრივი საგანძური, რომელსაც იპოვით. დაალაგეთ რიგებად ან მიეცით ფორმა. შეგიძლიათ, ერთად იმუშაოთ და ადამიანის სახე ან ცხოველიც შექმნათ.
9. **მოაწყვეთ „მუსიკალური კედელი“.** დაკიდეთ ბაღში ძველი ქვაბები, ტაფები, ზარები და ნებისმიერი ნივთი, რომელიც დარტყმის დროს ხმას გამოსცემს. შემდეგ აიღეთ ჯოხი და შექმენით მელოდია.
10. **შეისწავლეთ სამყარო ნებისმიერ ამინდში.** ცუდი ამინდი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ შეუფერებელი ტანსაცმელი. ჩაიცვით ამინდის შესაფერისად და იდგაფუნეთ გუბებში, გააკეთეთ თოვლის ბაბუა ან წანისვით მზისგან დამცავი კრემი და სანაპირო შეისწავლეთ. გარეთ ყოველდღე გადით.

ბონუსი: ყველაფერი, რაც წყალს უკავშირდება – განმინდეთ ფანჯრები, აავსეთ სათლი და შეღებეთ აგურები, ირბინეთ ბალახზე, როცა სარწყავი ჩართულია, შექმენით ქვიშისა და წყლის მდინარე ან იწუნავეთ სათამაშო მოედანზე.

რა მოვუხერხოთ სათამაშოებს, რომლებიც არაა მონტესორის ტიპის?

ცხადია, განსხვავდება მონტესორის საკლასო ოთახი და მონტესორის შთაგონებით მოწყობილი სახლი. მიუხედავად იმისა, რომ მონტესორის საკლასო ოთახში ჩვეულებრივ სათამაშოებს არ ვიყენებთ, არაფერი დაშავდება, თუ რამდენიმე სწორად შერჩეული სათამაშო სახლშიც გექნებათ. თუ მონტესორის სისტემა თქვენთვის სიახლეა, შეგიძლიათ, თამაშად გამოიყენოთ ის სათამაშოები, რომლებიც უკვე გაქვთ. პატარას საყვარელი სათამაშოები დაიტოვეთ, ხოლო რომლებითაც აღარ ერთობა, გააჩუქეთ. შეგიძლიათ, ზოგიერთი შეინახოთ და მოგვიანებით, თუ მოითხოვთ, გამოაჩინოთ.

სათამაშოები, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ:

- ლეგო
- ხის კუბები
- სამშენებლო, გადაუდებელი დახმარების და სამეურნეო სამუშაოებისთვის განკუთვნილი მანქანები
- ბელელი და ფერმის ცნოველები
- „პლეიმობილის“¹ ნაკრებები, რომლებიც რეალისტურია (და არა ზღაპრული – პრინცესებზე ან მეკობრეებზე)
- ხის ლაბირინთი-კონსტრუქცია
- ბუნებაში მოგროვებული საგნები
- ფაზლები
- მატარებლების ნაკრები
- სამაგიდო თამაშები

სახლში უნდა იყოს ოთახი ასეთი შემოქმედებითი თამაშებისთვის. ბავშვი მასალას სხვადასხვა ხერხით სწავლობს, აკეთებს აღმოჩენებს და ყოველდღიური ცხოვრების შთაგონებით ქმნის გამოგონილ სცენარებს. თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილი სათამაშოებით ამ თავში განხილულ მონტესორის აქტივობებს ვერ ჩაანაცვლებთ. ეს აქტივობები საგანგებოდ იმისთვისაა შექმნილი, რომ ბავშვმა ესა თუ ის უნარი დახვეწოს, სიამოვნება მიიღოს და მრავალმხრივ განვითარდეს.

თუ პატარა მონტესორის სკოლამდელ პროგრამას ახლა იწყებს, არ გირჩევთ, სახლშიც ზუსტად ის ნივთები იქონიოთ, რომლებსაც სკოლაში იყენებს. ამ შემთხვევაში გაკვეთილების მიმართ ინტერესს დაკარგავს. ამის ნაცვლად, შეგიძლიათ მონტესორის



¹ Playmobil – სათამაშოების გერმანული ხაზი, რომლის ნაკრებები რეალურ გარემოს ასახავს.

პრაქტიკისთვის

1. შეგვიძლია ბავშვს შევთავაზოთ თვალებისა და ხელების გასაფარჯიშებელი აქტივობა, რომელიც მის ნატიფ მოტორულ უნარებს დახვეწს?
2. შეგვიძლია პატარას შევთავაზოთ რამდენიმე აქტივობა, რომელიც მოძრაობასა და მუსიკისგან სიამოვნების მიღებაზე იქნება ორიენტირებული?
3. შეგვიძლია ბავშვი ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაერთოთ?
4. საჭმლის მომზადება / საკუთარ თავზე ზრუნვა / გარემოზე ზრუნვა
5. ხელოვნებასთან დაკავშირებულ რა აქტივობებში შეგვიძლია ჩაერთოთ პატარა?
6. როგორ შევქმნათ სახლში გარემო, რომელიც ბავშვის ლექსიკური მარაგის გამდიდრებას შეუწყობს ხელს?
7. ნივთები / ნიგნები / საუბარი

სისტემა სახლში დანერგოთ – ჩართოთ ბავშვი ყოველდღიურ ცხოვრებაში, მისცეთ თავისუფალი დრო სათამაშოდ და საიმისოდ, რომ რაღაც ახალი შექმნას; გახვიდეთ გარეთ და იპოვოთ დრო დასვენებისთვის. ბავშვები ახალ-ახალი უნარების ათვისებას ახერხებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართულობის, ხელნაკეთი ნივთების დამზადების, მოძრაობის, მუსიკის მოსმენისა და კითხვის მეშვეობით. ამ თავში მოცემულმა ინფორმაციამ დაგვაფიქრა, თუ როგორ ეხმარება ბავშვის განვითარებას მის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე დაკვირვება და მასზე მორგებული, მიმზიდველი აქტივობების შეთავაზება. შეგვიძლია ის ნივთები გამოვიყენოთ, რომლებიც უკვე გვაქვს. აუცილებელი არაა, პირველივე დღიდან სახლი მხოლოდ მონტესორის სათამაშოებით გადაავსოთ. ამის ნაცვლად, შეგვიძლია, ისინი ეტაპობრივად შემოიტანოთ. უბრალოდ, დააკვირდით ბავშვს, აიმაღლეთ თავდაჯერებულობა და მიჰყევით მის ნაბიჯებს.


ნუ დაივიწყებთ მარტივ დეტალებს, რომელთა წყალობითაც პატარებთან ერთად მოგონებებს ქმნით:

- მოდით, დავტკბეთ სიცილით.
- მოდით, ჩაერთოთ პატარები ყოველდღიურ საქმიანობაში.
- მოდით, დავტკბეთ წვიმის დროს გაჩენილი პატარა გუბებებით.
- მოდით, შევაგროვოთ შემოდგომის ფოთლები და ფანჯრებზე მივაკრათ.
- მოდით, შინ კარავი გავშალოთ.
- მოდით, ცოტა უფრო მეტი დრო მივცეთ ბავშვებს რაღაცების გამოსაკვლევეად.
- მოდით, წლის ნებისმიერ დროს შევაგროვოთ ნიჟარები სანაპიროზე.
- მოდით, უფრო დიდხანს ჩავეხუტოთ საყვარელ ადამიანებს.
- მოდით, ველოსიპედით სეირნობისას სუფთა ჰაერით დავტკბეთ.

სახლის მონყობა

4

- 72 როგორ მოვაწყოთ სივრცე მონტესორის
სტილით
- 73 ოთახ-ოთახ
- 83 ზოგადი პრინციპები, რომლებიც უნდა
გავითვალისწინოთ
- 83 მოვანესრიგოთ არეულობა
- 84 შევექმნათ მყუდრო გარემო
- 84 მოვაწყოთ სახლი ისე, რომ ცხოვრება
გავვიადვილოდეს
- 85 სივრცის გაყოფა
- 85 შეზღუდული სივრცე
- 86 რატომაც მნიშვნელოვანი სახლის გარემო
- 89 ტური სახლში



როგორ მოვაწყოთ სივრცე მონთასორის სტილით

როცა მონტესორის საკლასო ოთახში პირველად შეაბიჯებთ, მაშინვე შეამჩნევთ ლამაზად მოწყობილ სივრცეს, რომელიც ბავშვის მოთხოვნილებებზეა მოწყობილი.

იგივე პრინციპების დანერგვა სახლშიც მარტივად შეგიძლიათ. თქვენი მიზანი იდეალური სახლის მოწყობა არაა, უბრალოდ, სივრცე ბავშვის საჭიროებების მიხედვით უნდა გადააკეთოთ.

ყველაფერი ბავშვის შესაბამისი ზომის ვერ იქნება. ბოლოს და ბოლოს, სახლში სხვადასხვა სიმაღლის, წონისა და საჭიროებების მქონე ადამიანები ცხოვრობენ. თუმცა, ყველაზე გამოიძენება ერთი კუთხე, სადაც ბავშვი თავს კომფორტულად იგრძნობს და სიამოვნებასაც მიიღებს.


რვა რჩევა სახლის მოსაწყობად

1. **პატარა ზომის ავეჯი.** შეარჩიეთ ისეთი ავეჯი, რომელსაც ბავშვი დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე მოერევა. მოძებნეთ ისეთი სკამები და მაგიდები, რომლებიც პატარას სიმაღლეს შეესაბამება (მაგალითად, ისეთი სკამი, რომელზე ჯდომის დროსაც ფეხებს იატაკზე თავისუფლად დააწყოთ). შეგიძლიათ, ავეჯს სადგამებიც გადაუჭრათ.
2. **ესთეტიკური ინტერიერი.** ეცადეთ, ნახატები და მცენარეები ბავშვის სიმაღლეზე განალაგოთ, რათა პატარამ მათით ტკბობა თავისუფლად შეძლოს.
3. **დამოუკიდებლობა.** აქტივობისთვის საჭირო მასალა ყუთებში ან კალათებში ჩააწყვეთ. მოამზადეთ ყველა დამხმარე ატრიბუტი. ეცადეთ, ყველაფერი ისე მოაწყოთ, რომ ბავშვმა დამოუკიდებლად მუშაობა შეძლოს.
4. **მიმზიდველი აქტივობები.** შეარჩიეთ ასაკის შესაბამისი აქტივობები და საჭირო მასალა თაროზე განალაგეთ, იმის ნაცვლად, რომ სათამაშოების ყუთში ჩააწყოთ.
5. **რაც ნაკლები, მით უკეთესი.** თაროზე მხოლოდ რამდენიმე აქტივობის მასალის გამოყენა ბავშვს კონცენტრაციაში ეხმარება. იმისათვის, რომ გონება არ გაეფანტოს, გამოიყენეთ მხოლოდ პატარასთვის საინტერესო აქტივობები.
6. **ყველაფერს თავისი ადგილი აქვს.** პატარებს წესრიგის მძაფრი მოთხოვნილება აქვთ. როცა სახლში ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, ბავშვი სწავლობს, სად რა ნივთი უნდა დადოს.
7. **სივრცის აღქმა ბავშვის თვალზე.** ყოველთვის ჩაიმუხლეთ ბავშვის სიმაღლეზე და დააკვირდით, მისი სიმაღლიდან რა როგორ ჩანს. შეიძლება თაროების ქვეშ უშნოდ გამოშვებული კაბელი ან ობობას ქსელი შენიშნოთ და ეს ყველაფერი არც ისე სასიამოვნოდ მოგეჩვენოთ.
8. **შეინახეთ და შეცვალეთ.** იპოვეთ ისეთი სივრცე, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში, ბავშვისთვის მიუწვდომელი იქნება და თვალშიც არ მოხვდება (მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს კედელში ჩაშენებული კარადა, სხეფი, ასევე კონტეინერები, რომლებსაც საკუჭნაოში შეინახავთ ან დივნის უკან დამალავთ). იქ შეინახავთ საბავშვო აქტივობებისთვის საჭირო მასალის დიდ ნაწილს და როცა ბავშვს რამე ახლის კეთება მოუნდება, ჩანაცვლებას ადვილად შეძლებთ.

ოთახ-ოთახ

მოდით, გადავხედოთ სახლის სხვადასხვა ოთახს და ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები თითოეულ მათგანს მოვარგოთ.

გაითვალისწინეთ, რომ ეს მხოლოდ რჩევებია და არა – მზა რეცეპტი. ისინი თქვენს ინდივიდუალურ საჭიროებებს უნდა მოვარგოთ. სივრცის ან სინათლის შეზღუდვა შესაძლებლობას გვაძლევს, საქმეს შემოქმედებითად მივუდგეთ.



შესასვლელი

- ბავშვის სიმაღლეზე განთავსებული საკიდი, რომელზეც ჩანთას, ქურთუკს, ქუდსა და საწვინარს დაკიდებს.
- ფეხსაცმლის თარო ან კალათა
- სეზონური ნივთების კალათა (მაგალითად, ხელთათმანებისთვის, კაშნეებისთვის, ქუდეებისთვის, მზის სათვალეებისთვის და ა. შ.)
- სარკიანი პატარა მაგიდა ისეთი ნივთებისთვის, როგორებიცაა: ცხვრისახოცები, თმის სამაგრები და მზისგან დამცავი კრემი
- პატარა სკამი, რომელზეც ფეხსაცმლის ჩაცმა-გახდის დროს დაჯდება.

შენიშვნა: თუ ერთზე მეტი ბავშვი გყავთ, სასურველია, თითოეულს თავისი კალათა ჰქონდეს.

მისაღები ოთახი

- ორ- ან სამგანყოფილებიანი დაბალი თარო საბავშვო აქტივობების მასალის შესანახად. თუ სახლში ერთზე მეტი ბავშვი გყავთ, ქვედა თარო გამოყავით უმცროსისთვის, ხოლო ზედა – უფროსისთვის. გაითვალისწინეთ, რომ ზედა თაროს უმცროსი ვერ უნდა მისწვდეს (ასევე შეგიძლიათ, ისეთი კონტეინერი გამოიყენოთ, რომელსაც პატარა ვერ გახსნის). ჩემს საკლასო ოთახში მდგარი თაროს სიგანე 120 სმ-ია, სიღრმე – 30 სმ, სიმაღლე კი – 40 სმ.

- პატარა მაგიდა და სკამი, სასურველია ფანჯარასთან მდგარი. საჭიროების შემთხვევაში, ავეჯის სადგამის გადაჭრაც შეგიძლიათ. ჯდომისას ბავშვს ფეხები იატაკზე თავისუფლად უნდა ეწყოს. ჩვენი სკამები სიმაღლეში 20 სმ-ია, მაგიდა კი დაახლოებით – 35 სმ.
- ადვილად გადასახვევი იატაკის ხალიჩა (70 სმ x 50 სმ), რომელსაც კალათაში შეინახავთ და იმისთვის გამოიყენებთ, რომ ბავშვის სათამაშო ადგილი მონიშნოთ.

სამზარეულო

- დაბალი თაროები, კარადა, ურიკა ან უჯრა რამდენიმე საბავშვო კოვზით, ჩანგლით, ჭიქითა და მაგიდის საფენით. გამოიყენეთ ნამდვილი ჭურჭელი. ბავშვი ფრთხილად მოეპყრობა ნივთებს, თუ ეცოდინება, რომ შეიძლება გატყდეს. იმის ნაცვლად, რომ უთხრათ: „ჭიქა არ გაგივარდეს“, დროდადრო შეახსენეთ, რომ ის მტკრევადია და ორივე ხელი გამოიყენოს.
- კიბე ან საფეხურებიანი სადგამი, რომელიც პატარას დაეხმარება, სამზარეულოს დახლს მისწვდეს (ასევე შეგიძლიათ საჭმლის მოსამზადებელი ატრიბუტები სასაბავშვო ან სხვა დაბალ მაგიდაზე გადაიტანოთ).
- საბავშვო ზომის საშინაო ნივთები:
 - ცოცხი, შვებრა, პატარა აქანდაზი და ჯაგრისი
 - სანმენდი ხელთათმანი (შემოკერებული ქსოვილი, რომელშიც ბავშვი ადვილად ჩაყოფს ხელს და დაქცეულ სითხეს ადვილად შეამშრალავს)
 - ბავშვის ხელის ზომის ღრუბელი
 - მტვრის სანმენდი ტილო
 - საბავშვო წინსაფარი

- სამზარეულოს ატრიბუტები საჭმლის მოსამზადებლად:
 - გაშლის საჭრელი და ხილის გულის ამოსაჭრელი
 - მეტალის წვენსანური სახელურით ან ელექტროსანური
 - გადასასმელი, რომლითაც ბავშვი ადვილად წაუსვამს ორცხობილაზე საყვარელ დანამატებს
- საჭრელი იარაღები
 - რბილი საკვების დასაჭრელად (მაგალითად, ბანანისთვის) გამოიყენეთ დანა, რომელსაც მჭრელი პირი არ აქვს, მაგარი ხილისა და ბოსტნეულისთვის კი – დაკლაკნილი, სახელურიანი საჭრელი.
 - უნარების დახვეწასთან ერთად, შეგიძლიათ, პატარას საქმეც გაურთულოთ. მაგალითად, აჩვენეთ ბასრი დანა და ასწავლეთ, როგორ გამოიყენოს (ზრდასრულის ზედამხედველობით).
- წყლის დისპენსერი, დაბალი ნიჟარა ან პატარა დოქი, რომლიდანაც ბავშვი დამოუკიდებლად შეძლებს წყლის დაღევას (დაქცეული წყლის მოსაწმენდად იქვე იქონიეთ ღრუბელი ან ქსოვილის ნაჭერი).
- ადვილად გასახსნელი კონტეინერი ვიტამინებით სავსე სასუსნავეებით. ჩაყარეთ იმდენი, რამდენის მიღებაც ერთი დღის განმავლობაშია დასაშვები. თუ პატარა გადაწყვეტს, რომ საუზმის შემდეგ მთლიანად შეჭამოს სასუსნავი, ეს ნიშნავს, რომ მეორე დღემდე მეტს ვეღარ მიიღებს.
- ცხოებისთვის საჭირო საზომი ჭიქები და კოვზები, სასწორი და ამოსარევი
- ფანჯრის სანმენდი სითხით სავსე ბოთლები და მინის სანმენდი ჯოხები
- პატარა სარწყავი ქოთნის მცენარეებისთვის

შენიშვნა: ბასრი დანა შეინახეთ ბავშვისთვის მიუწვდომელ ადგილას და პატარას მისი გამოყენება მხოლოდ მაშინ ასწავლეთ, როცა ამისთვის მზად იქნება (აუცილებლად – ზრდასრულის ზედამხედველობით).

სასადილო

- წახემსებისთვის ბავშვს შეუძლია, თავისი დაბალი მაგიდა და სკამი გამოიყენოს. წახალისეთ, რომ მაგიდასთან ჭამოს (უფლება არ მისცეთ, საჭმლით ხელში აქეთ-იქით იაროს).
- მომწონს, როცა მთელი ოჯახი ერთად ვსადილობთ. ასეთი შემთხვევისთვის შეარჩიეთ ისეთი სკამი, რომელზეც პატარა დამოუკიდებლად ავა და ჩამოვა, მაგალითად, საფეხურიანი.
- მაგიდაზე დადგით პატარა დოქი, რომლიდანაც ბავშვი წყალს ან რძეს თვითონ ჩამოისხამს. ნუ აავსებთ ჭურჭელს – დაქცეული სითხის მოწმენდა გაგიჭირდებათ.
- იქვე გქონდეთ ნაჭრის ხელთათმანი ან ღრუბელი, რათა დაღვრილი სითხე მოწმინდოთ.
- შეგიძლიათ, სამზარეულოდან სასადილო მაგიდამდე ნივთები პატარა კალათით მიიტანოთ. მზადებისას, შესაძლოა, საფეხურიანი კიბე დაგჭირდეთ, რათა ბავშვი მაგიდას მისწვდეს.
- გამოიყენეთ მაგიდის საფენი, რომელზეც მონიშნული იქნება თეფშის, ჩანგლისა და ჭიქის დასადგამი ადგილები. ასეთი საფენი ბავშვს ამოცანას უმარტივებს. ჩვენი ერთ-ერთი მოსწავლის დედამ მშვენიერი რამ მოიფიქრა – შვილის საყვარელ ნაკრებს ფოტო გადაუღო, დაბეჭდა და ლამინირება გაუკეთა.
- თქვენი ხელით დაკრეფილი რამდენიმე ყვავილი ჩვეულებრივ სადილს განსაკუთრებულ დღედ აქცევს.

საძინებელი

- იქონიეთ იატაკის მატრასი ან საწოლი, რომელზეც ბავშვი დამოუკიდებლად ავა და ჩამოვა.
- თუ სივრცე ამის შესაძლებლობას გაძლევთ, დადგით პატარა თარო, რომელზეც რამდენიმე აქტივობას განალაგებთ. ბავშვი მათით გაღვიძებისთანავე, ჩუმად გაერთობა.
- წიგნების კალათა ან თარო
- დიდი ზომის სარკე ბავშვს ეხმარება საკუთარი სხეულის აღქმაში და ამარტივებს ჩაცმის პროცესს.
- თაროებიანი, უჯრებიანი ან საკიდიანი პატარა გარდერობი თაროებით, უჯრებით ან საკიდით, რომელსაც ბავშვი ადვილად მისწვდება. ასევე შეგიძლიათ, სპეციალური კალათი გამოიყენოთ, რომელშიც სეზონის შესაბამის ტანსაცმელს ჩააწყობთ. ჩაცმასთან დაკავშირებული პოტენციური „ბრძოლის“ თავიდან ასაცილებლად, გირჩევთ, არასეზონური ტანსაცმელი სხვაგან შეინახოთ.
- დარწმუნდით, რომ ოთახი პატარასთვის სრულიად უსაფრთხოა: დაფარეთ ელექტროროზეტები, კაბელები, ბავშვისგან მიუწვდომელ ადგილას დაკიდეთ ფარდის ზონრები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს (თამაშისას შეიძლება დაიხრჩოს) და ფანჯრებზე დაამაგრეთ ჩამკეტები.

სააბაზანო

- გამოსაცვლელი კუთხე. მას შემდეგ, რაც სიარულს ისწავლიან, ბავშვებს აღარ მოსწონთ, როცა აწვენენ და საფენებს ისე უცვლიან. ასეთ დროს შეგიძლიათ უკვე სააბაზანოში, ფეხზე მდგომებს გამოუცვალოთ. ამით ნელ-ნელა შეაგუებთ, რომ როცა ტუალეტში მოუწდება, ამ ოთახში უნდა შემოვიდეს. შეგიძლიათ ასწავლოთ ლამის ქოთნის ან უნიტაზის გამოყენება (ტუალეტის შესახებ უფრო დეტალურად მე-7 თავში მოგიყვებით).
- პატარა სადგამი იმისთვის, რომ სააბაზანოს ნიჟარას მისწვდეს ან აბაზანაში ჩაძვრეს.

- პატარა მყარი ან თხევადი საპონი, რომლითაც ხელების დაბანას დამოუკიდებლად შეძლებს.
- ხელმისაწვდომ ადგილას მოთავსებული კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა და სავარცხელი
- ბავშვის სიმაღლეზე დაკიდებული სარკე
- ჭუჭყიანი და სველი ტანსაცმლის კალათა
- დაბალი საკიდი პირსახოცისთვის, რომელსაც ბავშვი ადვილად მისწვდება.
- პატარა ბოთლები შამპუნისთვის, შხაპის გელისა და თმის ბალზამისთვის, რათა პატარამ მათი გამოყენება ისწავლოს. თუ ბოთლებისთვის ხელის მოჭერა მოსწონს, ყოველდღე ჩაასხით მათში ცოტაოდენი სითხე.

შემოქმედებითი სივრცე

- ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილას მოთავსებული პატარა სახატავი ნაკრები ფანქრებით, ქაღალდით, წებოთი, საფოსტო მარკებით, კოლაჟის ასაწყობი სხვადასხვა დეტალით
- როცა ბავშვი წამოიზრდება, შეგვიძლია ვასწავლოთ მაკრატლის, წებოვანი ლენტის და სტებლერის გამოყენება.
- აარჩიეთ ცოტა, მაგრამ ხარისხიანი მასალა.
- აქტივობები, ყველა ატრიბუტით, ჩააწყვეთ სხვადასხვა ყუთში. მაგალითად, ერთ ყუთში მოათავსეთ სახატავი მასალა, მეორეში კი – ისეთი აქტივობა, რომლის შესრულების დროსაც წებოს გამოყენებაა საჭირო.
- დაახლოებით 3 წლიდან ბავშვები იმ საგნების შეგროვებას იწყებენ, რომლებიც პრაქტიკულად სჭირდებათ. ასეთ დროს კარგი იქნება, თუ ცალკე ლანგარზე გექნებათ ყველა ის ნივთი, რომლებსაც დამოუკიდებლად, თავიანთი ფანტაზიის მიხედვით გამოიყენებენ.

- გაუმარტივეთ დალაგების პროცესი – გამოყავით სივრცე ნახატების გასაშრობად, ადგილი – იმ ქაღალდების შესანახად, რომლებსაც მოგვიანებით გამოიყენებენ და ნაგვის მოსაგროვებელი სივრცე.
- პატარებს, როგორც წესი, პროცესი უფრო აინტერესებთ, ვიდრე შედეგი. ასე რომ, გთავაზობთ რამდენიმე იდეას დასრულებული ნამუშევრების გამოსაფენად:
 - გამოიყენეთ საოფისე ღია თაროები ისეთი ნივთებისთვის, რომელთა შენახვაც უნდათ ან რომლებსაც, შესაძლოა, მოგვიანებით მიუბრუნდნენ. როგორც კი თარო შეივსება, ამოარჩიეთ საუკეთესო ნამუშევრები და ალბომში გადაიტანეთ.
 - იმ შემთხვევაში, თუ ნამუშევარი მეტისმეტად დიდია და არ გინდათ, დიდი ადგილი დაიკავოს, უბრალოდ, ფოტო გადაუღეთ და ისე შეინახეთ.
 - შეგიძლიათ, ძველი ნამუშევრები საჩუქრების შესაფუთ ქაღალდად აქციოთ.
 - წაახალისეთ პატარა, დახატოს ქაღალდის ორივე მხარეზე.
 - მოაწყვეთ ბავშვის ნამუშევრების გამოფენა. გამოიყენეთ მოძრავი ჩარჩოები, თოკი, რომელზეც ნამუშევრებს ჩამოკიდებთ ან მაცივარზე მისაკრავი მაგნიტები.

**მყუდრო
სამკითხველო
კუთხე**

- შეიძინეთ თარო, რომელზეც წიგნებს ისე განათავსებთ, რომ ბავშვი მათ ყდებს ხედავდეს. ასე პატარას ვეხმარებით, მარტივად აღიქვას წიგნები.
- დააწყვეთ რამდენიმე წიგნი, რომლებსაც საჭიროებისამებრ შეცვლით.
- კითხვისთვის განკუთვნილ კუთხეში განათავსეთ პუფები, ბალიშები, დაბალი სკამები ან დააგეთ რბილი ხალიჩა.

- ეცადეთ, საკითხავეი ადგილი ფანჯარასთან ახლოს იყოს – იქ, სადაც ბუნებრივი განათებაა.
- შეგიძლიათ მყუდრო საკითხავეი კუთხე ძველ გარდერობშიც მოაწყოთ, თუკი კარს მოხსნით, ან – პატარა კარავეი გაშალოთ, რომელშიც ადვილად შეძვრებით.

გარე სივრცე

- გამოიყენეთ გარე სივრცე ისეთი აქტივობებისთვის, როგორებიცაა: სირბილი, ხტომა, სრიალი, ცეკვა, საქანელაზე ან საბურავზე ქანაობა.
- მეზაღეობა – პატარა ფოცხი, მოკლეთარიანი ნიჩაბი, ბალის ფინალი და ხელის ურიკა
- სასურველია, გააშენოთ პატარა ბოსტანი, რომელზეც ბავშვი თავად იზრუნებს. ბოსტნეულის გაზრდა ყვავილნარსა და აივნის ქოთნებშიც შესაძლებელია. ამ გზით პატარა საკვები პროდუქტების მნიშვნელობის დაფასებას სწავლობს, რადგან საკუთარი თვალთა აკვირდება მათი ზრდის პროცესს და ხედება, რამდენი დრო სჭირდება მათ დამწიფებას.
- ადგილი, სადაც წყნარად ნამოწვება და ღრუბლებს დააკვირდება.
- წყლით სავსე სათლი და ფუნჯი კედლის ან მოკირწყლული გზის შესაღებად, ფანჯრების სანმენდი ბოთლი, მაგიდა და წყლის ტუმბო
- ქვიშის ორმო
- პატარა ქვებით მოწყობილი ლაბირინთი
- ადგილი კართან, სადაც საგარეო ფეხსაცმელს დააწყობენ ან სახლში შემოსვლამდე ჯაგრისით განმენდენ.
- კალათი სეზონური კოლექციების შესაგროვებლად

- ტალახის ჩირქნა, ზელა, მინასთან ურთიერთობა
- ტირიფის ტოტებისგან შეკრული ქოხი ან გვირაბი
- „საიდუმლო“ ბილიკები


გარეთ ბევრ ისეთ დეტალს გადააწყდებით, რომლებიც შთაგონებას მოგცემთ. მიყვარს, როცა „ბუნებრივ სათამაშო მიდამოს“ ვხედავ – როდესაც ბუნებრივი ელემენტები დიზაინს ერწყმის (მაგალითად, გორაკის დაქანებულ ადგილას მონყობილი სასრილო ან ქვებისგან გამოყვანილი ბილიკი). გირჩევთ, შთაგონებისთვის რასტი კილერის¹ ნამუშევრებს გადახედოთ. რასტი ბავშვებისთვის სწორედ ასეთ სათამაშო სივრცეებს ქმნის.

შენიშვნა: თუ ეზო არ გაქვთ, შეგიძლიათ ასეთი აქტივობები ახლომდებარე სათამაშო მოედანზე, ტყეში, სანაპიროზე, ტბაზე ან მთაში მოაწყოთ.

¹ მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: rustykeeler.com.

მონტაჟის სისტემის საბაზისო ნაპრაბი სახლისთვის

წარმოგიდგენთ რვა ძირითად ნივთს, რომელთა მეშვეობითაც მონტაჟის სისტემის შინ დანერგვას ზედმეტი დანახარჯის გარეშე შეძლებთ.



1. პატარა მაგიდა და სკამი; 2. დაბალი თარო; 3. წიგნების თარო/კარადა; 4. დაბალი საწოლი/იატაკის მატრასი, რომელზეც ბავშვი დამოუკიდებლად ავა და ჩამოვა;
5. დაბალი სკამი ნიჟარასა და უნიტაზზე მისაწვდომად; 6. დაბალი საკიდი საწმენდი საშუალებებისთვის; 7. სადგამი ან პატარა კიბე სამზარეულოში გამოსაყენებლად;
8. დაბალი საკიდი ქურთუკებისა და ჩანთების ჩამოსაკიდებლად.

ზოგადი პრინციპები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ

მოვანესრიგოთ არეულობა

ზოგიერთმა თქვენგანმა შეიძლება იფიქროს: „ჩემი სახლი ასეთი სუფთა ვერასდროს იქნება. სახლში ძალიან ბევრი ნივთი მაქვს“.

პირველი ნაბიჯია სათამაშოების, წიგნების, ხელნაკეთი ნივთებისა და ყველა იმ საგნის მოშორება, რომლებიც უწესრიგობას და ქაოსს იწვევს. ყუთში შეინახეთ ყველა სათამაშო, რომლითაც ბავშვი იშვიათად თამაშობს ან მისთვის მეტისმეტად რთულია. როცა პატარას სიახლე დასჭირდება, შეგიძლიათ, გადანახული რესურსი მიაშველოთ. მეორე ყუთში ჩააწყვეთ ის ნივთები, რომლებიც მისთვის უკვე მეტისმეტად მარტივია ან აღარ მოსწონს. ასეთ ნივთებს ან ახალი პატრონი მოუძებნეთ, ან პატარა და-ძმებისთვის გადაინახეთ.

დაიტოვეთ მხოლოდ ის ნივთები, რომლებსაც ბავშვი ხშირად იყენებს. მთავარია, საკმარისი რაოდენობის აქტივობები გქონდეთ, რათა პატარა მუდმივად ტონუსში იყოს.

ეს უწყვეტი პროცესი ბავშვს მიაჩვევს ნივთების ხელმეორედ გამოყენების, ნაგვის გადამუშავებისა და ქველმოქმედების იდეებს. პატარა შეძლებს, თავის სათამაშოებზე ისე იზრუნოს, რომ გარკვეული დროის შემდეგ ისინი სხვას გადასცეს.

პატარები ნივთებს ძნელად ელევიან. მიაჩვეით იმ აზრს, რომ ადრე თუ გვიან მისი სათამაშოები საქველმოქმედო ყუთში აღმოჩნდება და სხვას გადაეცემა. შესთავაზეთ, ბოლოჯერ ითამაშოს თავისი სათამაშოთი და როცა დაასრულებს, ყუთში ჩადოს. შემდეგ შეუძლია, გამოგყვეთ და მის წაღებაში დაგეხმაროთ. თუ ამას მაშინვე ვერ მოახერხებთ, აჯობებს, ყუთი დამალოთ, რათა ბავშვს ნივთებთან გამომშვიდობება კიდევ ერთხელ არ მოუწიოს.



მათ, ვისაც სახლში კიდევ უფრო მეტი სიმსუბუქის შეტანა სურს, ვურჩევ მარი კონდოს¹ წიგნს – „სახლის დალაგების მაგია, რომელიც თქვენს ცხოვრებას შეცვლის“. ავტორი გვიჩვენებს, მხოლოდ ის ნივთები დავიტოვოთ, რომლებიც სიამოვნებას გვანიჭებს ან გვჭირდება. სცადეთ და ეს პრინციპი ბავშვის სათამაშოებისა და ტანსაცმლის მოსანესრიგებლად გამოიყენეთ. და კიდევ: გაჩუქებაზე ყოველთვის გადაუხადეთ მაღლობა ნივთებს, რომლებიც აღარ გჭირდებათ.

¹ მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: konmari.com.

შევექმნათ მყუდრო გარემო

ზედმეტი ნივთების გატანა და არეულობის მოწესრიგება იმას არ ნიშნავს, რომ სახლს ხასიათი დაუჟკარგოთ. ბალიშები, გადასაფარებლები, მცენარეები და ნახატები ბავშვის სიმაღლეზე განათავსეთ; შეარჩიეთ ნატურალური მასალისგან დამზადებული კალათები, ხალიჩები და ინტერიერის სითბო შემატეთ.

ჩვენი სახლების დიზაინი იმ ქვეყნისა და დროის შესაბამისია, რომელშიც ვცხოვრობთ. იმისათვის, რომ უცხო კულტურების წეს-ჩვეულებებსაც გავეცნოთ, შეგვიძლია მათი ესთეტიკის შესაბამისი ავეჯი შემოვიტანოთ.

ძალიან მომწონს, როცა ინტერიერში ქალაქის გირლანდები, შეკერილი, მოქსოვილი ან ერთობლივად შექმნილი ხელნაკეთი ნივთებია გამოყენებული. ასეთი დეტალები სახლს გამორჩეულ იერს სძენს და ბავშვი მათ განსაკუთრებით უფრთხილდება.

ამგვარი ნივთები სახლში უნიკალურ გარემოს ქმნის და ინტერიერს ინდივიდუალურობას მატებს, თანაც ისე, რომ სივრცეს არ ტვირთავს. ისინი სახლს ნამდვილ სახლად აქცევს და ბავშვს სიმშვიდის, სითბოს და სიმყუდროვის განცდას უჩენს.

მოვანყოთ სახლი ისე, რომ ცხოვრება გაგვიადვილოს

ბავშვის აღზრდა, რბილად რომ ვთქვათ, სულაც არაა ადვილი საქმე, ამიტომ, ჯობია, სახლი ისე მოვანყოთ, რომ მასაც გავუადვილოთ ცხოვრება და საკუთარ თავსაც.

იმისთვის, რომ პატარა დამოუკიდებლად და წარმატებით გაუმკლავდეს სხვადასხვა ამოცანას, ნივთები მის სიმაღლეზე განალაგეთ. შეინახეთ ყველა საგანი, რომელსაც არ უნდა შეეხო. ბავშვის ზრდასთან ერთად, დროდადრო ცვალეთ ინტერიერიც და გადააკეთეთ ყველაფერი, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ.

ეს ისტორია სუზენ სტივენსონმა, მონტესორის გამოცდილმა მასწავლებელმა, მიაიმო. ყოველ ჯერზე, როცა საკლასო ოთახში რომელიმე ბავშვი დასახმარებლად მიმართავდა, ინიშნავდა, მოგვიანებით კი სივრცეს იმგვარად აწყობდა, რომ პატარას შესძლებოდა, დამოუკიდებლად ემოქმედა და დახმარება აღარ დასჭირვებოდა. თუ ბავშვი ხელსახოცს სთხოვდა, მომდევნო ჯერზე ხელსახოცი ისეთ ადგილას ხვდებოდა, რომელსაც თავისუფლად სწვდებოდა; თუ პატარა ყუთიდან ყველა ხელსახოცს ამოიღებდა, სუზენს ყოველთვის ჰქონდა გამზადებული პატარა კალათი, რომელშიც დამატებითი ხელსახოცები ეწყო.

გახსოვდეთ, ჩვენ გვინდა, სახლი ბავშვისთვის „კი“ სივრცედ ვაქციოთ, რომელიც ახალ-ახალი რაღაცების აღმოჩენაში დაეხმარება. როდესაც ვამჩნევთ, რომ „არას“ ხშირად ვამბობთ (მაგალითად, როცა პატარა სახიფათოდ მოქმედებს და მინას ურტყამს), ეს იმას ნიშნავს, რომ დროა, სივრცე გადავაკეთოთ და ყველანაირი „ცდუნების ობიექტი“ გავაქროთ. დაფარეთ ელექტროროზეტები და კაბელები, გადაიტანეთ ავეჯი იმ ადგილას, სადაც არ გინდათ, რომ ბავშვმა ითამაშოს, გამოიყენეთ ჩამკეტები კარადებზე, რომლებიც არ გინდათ, რომ გააღოს, საკუჭნაოში შეინახეთ მსხვერველადი ნივთები მანამ, სანამ პატარა არ წამოიზრდება.

თუ მთელი სახლის ამგვარად მოწყობა არ გამოგვდის, შეგვიძლია ერთი კუთხე მაინც გადავაკეთოთ „კი“ სივრცედ და დაბალი, საბავშვო გისოსებით შემოვლოთ (ვინაიდან

ჩვენი მთავარი ინტერესი ისაა, რომ ბავშვმა ბევრი იმოძრაოს, გირჩევთ, მოერიდოთ მანეთის გამოყენებას, რომელიც პატარას უზღუდავს სამოძრაო სივრცეს).

სივრცის გაყოფა

იმ შემთხვევაში, თუ ერთზე მეტი ბავშვი გყავთ, რამდენიმე რჩევას შემოგთავაზებთ:

- სივრცეები სხვადასხვა ასაკის შესაბამისად მოაწყვეთ:
 - გამოიყენეთ დაბალი თაროები უმცროსი ბავშვის აქტივობებისთვის. შედარებით მაღალ თაროზე დაალაგეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოზრდილისთვისაა განკუთვნილი ან მცირე ნაწილებისგან შედგება.
 - პატარა ნაწილები ისეთ კონტეინერში შეინახეთ, რომლის გახსნასაც უმცროსი ვერ შეძლებს.
 - გამოუყავით სივრცე თითოეულ ბავშვს. ყველაზე მარტივია, ორი სკამით და გადასადარებლით „სამალავი“ მოვანყოთ. შეგვიძლია გარედან აბრაც მივამაგროთ წარწერით – „პირადი სივრცე“. თუ მეორე ბავშვი შიგნით შესვლას დააპირებს, აბრაცზე მივუთითებთ: „შეხედე, „პირადი სივრცე“ ანერია. მგონი, შენს დას/ძმას არ უნდა, რომ ხელი შეეშალოს. წამოდი, სხვა რამით გავერთოთ“.
 - თუ პატარა უფროსი ძის ან ძმის აქტივობაში ერევა, შეეცადეთ, თამაში ისე გაამარტივოთ, რომ მანაც შეძლოს მონაწილეობის მიღება.
- სათამაშოების გაყოფა
 - შეიმუშავეთ გეგმა, როგორ უნდა გაუზიარონ ერთმანეთს სათამაშოები და აქტივობები (ამის შესახებ უფრო დეტალურად მე-7 თავში მოგიყვებით).
- ოთახის გაზიარება
 - ინდივიდუალურად მოაწყვეთ თითოეული ბავშვის კუთხე. მაგალითად, საწოლის თავზე დაკიდეთ თარო, რომელზეც პირად ნივთებს, ფოტოებს და სხვადასხვა კოლექციას დააწყობენ.
 - შეუქმენით პირადი სივრცე: მაგალითად, ფარდით გაყავით ოთახი ან, თუ ამის შესაძლებლობა გაქვთ, სხვადასხვა ოთახი გამოუყავით.
 - შეთანხმდით ერთად, როგორ აპირებენ თანაცხოვრებას: მაგალითად, როდის ჩააქრობენ შუქს და ა. შ.
 - მოაწყვეთ სივრცე ისე, რომ თითოეულს ჰქონდეს განმარტოების საშუალება.

შეზღუდული სივრცე

ადვილია იმის ფიქრი, დიდი სახლი რომ მქონოდა, ამ იდეებს მარტივად განვახორციელებდით. თუმცა, გეტყვით, რომ შესაძლებელია, და მეტიც – აუცილებელია ამ პრინციპების გათვალისწინება მაშინ, როცა სახლი პატარაა. ჩვენთვისვე აჯობებს, შეზღუდული სივრცე რაც შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახლი სწრაფად აირევა. მე, პირადად, პატარა სივრცეს შემოქმედებითი იდეების განხორციელების დამატებით შესაძლებლობად აღვიქვამ.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც, ვფიქრობ, დაგეხმარებათ:

- გამოიყენეთ ორსართულიანი ან დასაკეცი საწოლები, იაპონური სტილის გასასვლელი ლეიბები.
- შეიძინეთ მრავალფუნქციური ავეჯი, ან აიღეთ ავეჯის ნაწილი, რათა სათამაშო სივრცე შექმნათ.
- მოძებნეთ მსუბუქი, სადა ავეჯი. გამოიყენეთ ფერების ნეიტრალური პალიტრა, რათა ვიზუალურად უფრო დიდი სივრცე გამოჩნდეს.
- არეულობის თავიდან ასაცილებლად ჯობია, ზედაპირებზე ნაკლები ნივთი მოათავსოთ.
- აითვისეთ კედლები (დაკიდეთ პეგბორდები, რომლებზეც ხელნაკეთ ნამუშევრებს გამოფენთ). შეინახეთ ნივთები ისეთ ადგილებში, რომლებსაც ნაკლებად იყენებთ, მაგალითად, საწოლის ქვეშ ან ქერში.

რატომაა მნიშვნელოვანი სახლის გარემო

ეს იდეები დაგეხმარებათ, თავი აარიდოთ ქაოსსა და უნესრიგობას და თქვენი პატარასთვის უფრო საინტერესო სივრცე შექმნათ.

დამატებითი სარგებელი:

- ბავშვის ნახალისება და ყოველდღიურ საქმეებში ჩართვა;
- დახმარება, რომ უფრო დამოუკიდებელი გახდნენ;
- მთელი ოჯახისთვის მშვიდი, მყუდრო და შემოქმედებითი სივრცის შექმნა;
- ბავშვის კონცენტრაციის გაუმჯობესება საგანგებოდ შერჩეული აქტივობებით ისე, რომ შედეგად ნაკლები არეულობა მივიღოთ;
- ისეთი პირობების შექმნა, რომელთა დახმარებითაც ბავშვი სილამაზის დაფასებას და „შესრუტვას“ შეძლებს;
- ჩვენება, თუ როგორ უნდა მიხედონ საკუთარ ნივთებს;
- იმ კულტურის შესწავლაში დახმარება, რომელშიც ცხოვრობენ.

სახლის-სწორად მოწყობა ბავშვთან ჰარმონიულ თანაცხოვრებაში გვეხმარება. იმედი მაქვს, ეს იდეები შთაგონების წყაროდ იქცევა და ცვლილებებს დღესვე დაიწყებთ. ინტერიერის გადაკეთება გვიანი არასდროსაა. მერწმუნეთ, დროთა განმავლობაში მას ბავშვის საჭიროებებზე კიდევ უფრო მორგებულ, მიმზიდველ და საინტერესო სივრცედ აქცევთ.


პრაქტიკისთვის:

1. გვაქვს...

- საბავშვო ავეჯი?
- მცენარეები და ნახატები?
- საშუალებები, რომელთა დანმარებითაც ბავშვი უფრო დამოუკიდებელი გახდება?
- მიმზიდველი აქტივობები?
- ადგილი ყველაფრისთვის და ყველაფერი – თავის ადგილას?
- სათავსო?

2. შეგვიძლია სივრცეს ბავშვის თვალებით შევხედოთ?

3. შეგვიძლია ყველა ოთახში ცალკე კუთხე გამოვყოთ ჩვენი პატარასთვის?






მესკურსია სახლში

ავსტრია

ახლა კი დროა, „Eltern vom Mars“¹ -ის დამაარსებლის, ანას სახლი შთაგონების წყაროდ ვაქციოთ!

მოდით, ანას ავსტრიულ მონტესორულ სახლში შევიჭყიტოთ, სადაც ყველაფერი ბავშვის სიმაღლეზეა განლაგებული. აქ ყველა კუთხე უბრალო და ლამაზია. პატარას ყველაფერი თავის ადგილას ხვდება, დამატებითი რესურსები კი მუდამ მზადაა. სადა ფერთა პალიტრა მშვიდ გარემოს ქმნის. შეიძლება საცხოვრებლად აქ გადავიდეთ?

¹ ბლოგი, რომლის ავტორია მონტესორის მეთოდის სერტიფიცირებული სპეციალისტი, მშობელი და ლექტორი – ანა. მან ვენაში დააარსა საკუთარი სკოლა, რომელიც მთლიანად მონტესორის პედაგოგიკაზეა დაფუძნებული; ანა, ასევე, უძღვება პოდაკასტს – Montessori starts with you (მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: elternvommars.com).



თვითზრუნვის კუთხე

თვითზრუნვის ეს პატარა კუთხე უბრალო და მიმზიდველია. ამ ადგილას ბავშვს შეუძლია, ცხვირი მოიხოცოს, სახე შეიმშრლოს ან თმა დაივარცხნოს. დაბალ სკამზე ორი კალათია – ერთში ხელსახოცები აწყვია, მეორეში კი სავარცხელი დევეს. სკამის ქვეშ მოთავსებული კალათი გამოყენებული ხელსახოცებისთვისაა განკუთვნილი; ვერტიკალურად დაკიდებული სარკე ბავშვს შესაძლებლობას აძლევს, სახლიდან გასვლამდე მთლიანად აღიქვას საკუთარი თავი.



ხელოვნების კუთხე


ეს კუთხე შედარებით მოზრდილებისთვისაა განკუთვნილი. ღია თაროები ძალზე მიმზიდველი და ბავშვის საჭიროებებზე მორგებულია. ლანგრებსა და კონტეინერებზე დაკვირვებით მარტივი მისახვედრია, რა მასალის გამოყენება შეუძლია პატარას.

თაროს თავზე მოთავსებული ფანქრები ფერების მიხედვითაა ჩანაწობილი მინის უბრალო ფლაკონებში. თითოეულ მათგანს გარედან შესაბამისი ფერის სახელი აწერია.

პატარა გამჭვირვალე კონტეინერები მძივებითა და აკინძვისთვის საჭირო მასალითაა სავსე; იქვეა ორნამენტებიანი წებოვანი ლენტები, სახვრეტი და მაკრატელი; მარკერები და ფუნჯები, ფანქრების მსგავსად, გამჭვირვალე კონტეინერებშია მოთავსებული; იქვეა აკვარელის საღებავებიც.

თაროს თავზე მუსიკის საკრავია. ბავშვს დამოუკიდებლად შეუძლია შეარჩიოს და ჩართოს სასურველი მელოდია, რომელიც სივრცეს მეტ მყუდროებას შემატებს.


თაროს გვერდით პატარა სკამი და მაგიდაა (თუმცა ამ ფოტოზე არ ჩანს), რომელზეც ბავშვი ამ აქტივობებს შეასრულებს.



სამზარეულო

სამზარეულოს ქვედა უჯრაში ყველა ის ნივთია, რომელთა დახმარებითაც ბავშვი საჭმლის მომზადებაში შეძლებს მონაწილეობას.

დანა-ჩანგალი ქილაში დევს, ხოლო კალათებში ცომის გასაბრტყელებელი, სადღვეები და საფცქენელია მოთავსებული. იქვეა სახეხი, წვეწაწური, მოხარშული კვერცხის საჭრელი და ვაშლის საფცქენელი.



გარე სივრცე

ესაა მიმზიდველი სივრცე, რომელშიც ბავშვს ბევრი საინტერესო რამის აღმოჩენა შეუძლია.

ფოტოზე ხედავთ საკიდებზე ჩამოკიდებულ ცოცხს და ბალის ხელსაწყოებს; იქვეა სარწყავი და სათლიც. ქოთნის მცენარეების მორწყვა სასიამოვნო პროცესია, ამიტომ ფერტიკალური სადგამი ყვავილების ქოთნებითაა დატვირთული.

როცა ხელსაყრელი ამინდია, გარე სივრცე სხვა ტიპის აქტივობებისთვისაც გამოიყენება. სწორედ ამიტომ, საუზმისთვის მუდამ მზადაა პატარა ლანგარი, მაგიდა და სკამი.

აღვზარდოთ ცნობისმოყვარე ბავშვი, რომელიც გრძნობს, რომ მისი ესმით და ხედავენ

5

პირველი ნაწილი



ნაასახლისეთ პატარას ცნობისმოყვარეობა

- 96 ცნობისმოყვარეობის ხუთი ინგრედიენტი
- 96 ენდეთ ბავშვს
- 96 მრავალფეროვანი სასწავლო გარემო
- 97 დრო
- 97 უსაფრთხოება და დაცულობა
- 98 ხელი შევეწყოთ ინტერესის გაღვივებას
- 98 ცნობისმოყვარე ადამიანის აღზრდის შვიდი პრინციპი
- 98 მიჰყევით პატარას
- 99 ნაასახლისეთ კეთებით სწავლა
- 100 ჩართეთ ბავშვი ყოველდღიურ საქმიანობაში.
- 101 იმოქმედეთ ნელა
- 101 „დამეხმარე, რომ ჩემს თავს დავეხმარო“
- 104 ნაასახლისეთ შემოქმედებითობა
- 106 დაკვირვება

მეორე ნაწილი

მიიღეთ ბავშვი ისეთი, როგორიც არის

- 109 აგრძნობინეთ თავი საჭიროდ და მნიშვნელოვნად, მიიღეთ ისეთი, როგორიც არის
- 110 გახდით „მთარგმნელი“
- 111 ყველა ემოცია მისაღებია, მაგრამ ყველა საქციელი – არა
- 112 შექების ნაცვლად, გამოიყენეთ უკუკავშირი
- 114 იარღიეები



ნაახალისეთ პატარას ცნობისმოყვარეობა

როგორც მეორე თავში აღვნიშნეთ, მონტესორის მასწავლებლებს არ სჯერათ, რომ ბავშვი ჭურჭელია, რომელიც ცოდნით უნდა აივსოს. ბავშვებს გულწრფელად უყვართ სწავლა, რაღაც ახლის აღმოჩენა და შემოქმედებითი გამოსავლის მოძებნა.

ამ ხუთი ინგრედიენტის დახმარებით, მშობლებს შეგვიძლია პატარას ცნობისმოყვარეობა სახლშიც წავახალისოთ.

ცნობისმოყვარეობის ხუთი ინგრედიენტი

1. ენდეთ ბავშვს

დოქტორი მონტესორი მოგვინოვებს, გვჯეროდეს – ბავშვს ბუნებრივად აქვს სწავლისა და განვითარების სურვილი; მან შინაგანად იცის, რაზე უნდა იმუშაოს, რათა განვითარდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მრავალფეროვან გარემოს შევუქმნით, არ მოგვიწევს, რაღაც ვაიძულოთ და არც იმაზე ვიღვლეებთ, რომ თანატოლებთან შედარებით, განსხვავებულად ვითარდება.

უნდა გვჯეროდეს, რომ ბავშვები საკუთარ უნიკალურ გზას მიჰყვებიან, უნიკალური გზით ვითარდებიან და ამას მხოლოდ მათთვის შესაფერის უნიკალურ დროში აკეთებენ.

პატარებს უნდა მივცეთ ნება, თავად შეიცნონ საკუთარი სხეულის საზღვრები. ისინი ცნობისმოყვარე მოსწავლეები არიან, რომლებსაც ირგვლივ არსებული სამყაროს შესწავლა უნდათ. რა თქმა უნდა, პროცესში შეიძლება უსიამოვნებებსაც (ხანდახან – საჭიროსაც) გადავანყდეთ, რომლებსაც თავიდან ვერ ავიცილებთ. საბოლოოდ, ბავშვები სწორედ ასე სწავლობენ. თუ ხელის შეშვება დასჭირდებათ, ყოველთვის მათ გვერდით ვიქნებით: „უი, იტკინე? იცი, როცა რაღაც გტკივა, მიჩირს, გიყურო. მაგრამ, შიხარია, რომ შენს სხეულს შეუძლია, თვითონ განიკურნოს. მაგარია, არა?“

მუდმივად ენერგიულობთ, როგორ ვითარდება ბავშვი და საკუთარ თავს რაშეს ხომ არ უშაგებს. იქნებ ვცადოთ, გვერდით გადავდოთ მომავალზე ლელვა და დავტკბეთ იმ უნიკალური ეტაპებით, რომლებსაც ჩვენი შვილი გადის?

2. მრავალფეროვანი სასწავლო გარემო

იმისთვის, რომ ბავშვმა ცნობისმოყვარეობა, სამყაროს შეცნობის და სწავლის სურვილი გამოიმუშაოს, მრავალფეროვანი გარემო უნდა შევუქმნათ.

აუცილებელი არაა, ეს გარემო ძვირადღირებული მასალით შევქმნათ. ბუნებაში პატარ-პატარა აღმოჩენების კეთება სრულიად უფასოა. მუყაოს პატარა მილში ჯაჭვის ან ძაფის ჩაშვება არაფერი დაგიჯდებათ, არც გამომშრალი მარცვლეულის დახარისხება დააკლებს რამეს თქვენს ბიუჯეტს.

მესამე თავში ვისწავლეთ, რომ ბავშვს უნდა დავაკვირდეთ და ისეთი აქტივობები შევთავაზოთ, რომლებიც იმ მომენტში საჭირო უნარის გავარჯიშებაში დაეხმარება.

როგორ გამოიყურება გარემო – ფიზიკური თუ სოციალური – რომელშიც პატარებს უნვეთ ყოფნა? როგორები არიან მათი გარშემოყოფები? რამდენად მრავალფეროვანია გარემო იმისთვის, რომ ბავშვმა რაღაც ახალი აღმოაჩინოს?

3. დრო

იმისთვის, რომ განვითარდნენ და აღმოჩენების, კვლევისა და სიახლეების შეცნობის წყურვილი დაიკმაყოფილონ, ბავშვებს დრო სჭირდებათ.

მიეცით დრო კვლევისთვის, მოძრაობისთვის; იმისთვის, რომ ლექსიკა გაიმდიდრონ; აცადეთ, ახალ-ახალი კავშირები დაამყარონ; მიეცით დრო ცნობისმოყვარეობის დამყოფილებისთვის.

არ აქვს მნიშვნელობა, ვმუშაობთ თუ მთელ დღეს ბავშვთან ვატარებთ. მოდით, ვეცადოთ, რაც შეიძლება შემოქმედებითად გავატაროთ დრო. შეგვიძლია ყოველდღე სრულიად თავისუფალი 15-30 წუთი გამოვყოთ? უქმეებზე – ერთი-ორი საათი? რომელი კალდებულებების გვერდზე გადადება შეგვიძლია?

4. უსაფრთხოება და დაცულობა

როგორც მშობლებს, შეგვიძლია პატარებს ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო და დაცული გარემო შევუქმნათ. ფიზიკურ უსაფრთხოებას იმით უზრუნველყოფთ, რომ ვიცავთ პატარებს ელექტროსადენებისგან, გადატვირთული ქურებისა და სხვა საფრთხეებისგან; ვცდილობთ, სახლი დაცულ გარემოდ ვაქციოთ – ის მცირე ნაწილი მაინც, სადაც ბავშვი თავისუფლად დაიკმაყოფილებს თავის ინტერესებს.

მნიშვნელოვანია, პატარებს ემოციური დაცულობაც ვაგრძნობინოთ – ისეთებად მივიღოთ, როგორებიც არიან. ამის წყალობით, შეძლებენ, მაშინაც კი გვენდონ, როცა რთული პერიოდი ექნებათ.

უსაფრთხოების და დაცულობის განცდა ბავშვებს აძლევთ უფრო მეტ თავისუფლებას და ისინიც სამყაროს უფრო ცნობისმოყვარე თვალებით უყურებენ.

როგორ შეგვიძლია პატარას ვაჩვენოთ, რომ მის გვერდით ვართ, როცა რთული პერიოდი აქვს? შეგვიძლია, თვალებში ჩავხედოთ და ვიგრძნოთ ის ძლიერი ემოციები, რომლებსაც უმკლავდება, მაშინაც კი, თუკი მიზეზი უმნიშვნელოდ გვეჩვენება?

5. ხელი შევუწყოთ ინტერესის გაღვივებას

ბავშვს ხშირად დავუხვავთ კითხვები იმ სამყაროს შესახებ, რომელსაც ყოველდღე ვხედავთ; ნავაქვით, გაამახვილოს გრძნობები და ხშირად გავიღებთ ბუნებაში.

რამდენად ხშირად ვჭეუქნით პატარას აღტაცების მომგვრელ წუთებს? რას ვთავაზობთ, რომ სამყარო ყველა გრძნობით აღიქვას? ვაცნობთ ბუნებას ისე, რომ შთაგონებისა და გაოცების განცდა დაეუფლოს?

ცნობისმოყვარე ადამიანის აღზრდის შვიდი პრინციპი

თუ ბავშვს ზემოთ მოცემული ხუთი ინგრედიენტით მოვამარაგებთ, ამით მას შევუქმნით ძლიერ საძირკველს, რომლის წყალობითაც შეძლებს სამყაროს შესწავლას, განივითარებს ფიქრის უნარს და დამოუკიდებლობას.

ამ ხუთ საბაზისო ინგრედიენტს შეგვიძლია შვიდი პრინციპი დავაშენოთ, რომელთა წყალობითაც ბავშვი ცნობისმოყვარე პიროვნებად ჩამოყალიბდება.

1. მიჰყევით ბავშვს – მიეცით უფლება, წარმართოს პროცესი.
2. წაახალისეთ კეთებით სწავლა – მიეცით უფლება, თავად იკვლიოს.
3. ჩართეთ ბავშვი ყოველდღიურ ცხოვრებაში – მიეცით უფლება, დაგეხმაროთ.
4. ნელა იმოქმედეთ – მიეცით უფლება, საკუთარი ტემპით განვითარდეს.
5. „დამეხმარე, რომ ჩემს თავს დავეხმარო“ – მიეცით უფლება, დამოუკიდებელი და პასუხისმგებლობიანი იყოს.
6. წაახალისეთ შემოქმედებითი ნიჭი – მიეცით უფლება, ხშირად გაოცდეს.
7. დააკვირდით და მიეცით უფლება, რაღაცები გასწავლოთ.

მოდით, ყველა პრინციპს სათითაოდ გადავხედოთ და ვნახოთ, როგორ დაგვეხმარება ისინი, მონტესორის სისტემა ყოველდღიურ ცხოვრებაში დაენერგოთ.

1. მიჰყევით პატარას

„ბავშვი ასე სწავლობს. ესაა გზა, რომელსაც მიჰყვება. ისე სწავლობს, რომ ვერც კი ხვდება, საერთოდ თუ სწავლობს... და მუდამ სიხარულისა და სიყვარულის ბილიკით მიდის“.

- დოქტორი მარია მონტესორი, „დრუბელი გონება“

უკვე აღვნიშნეთ, როგორი მნიშვნელოვანია, ბავშვს ჰქონდეს უფლება, წარმართოს პროცესი. რამდენადაც შესაძლებელია, ვეცადოთ, ხელი არ შევეშალოთ, როცა რაღაცაზე ბოლომდე კონცენტრირებულია და მივყვეთ მის ინტერესებს. ვფიქრობ, ამის კიდევ ერთხელ გამეორება ურიგო არ იქნება, რადგან სწორედ ესაა მონტესორის სისტემის საფუძველი.

ეს იმას ნიშნავს, რომ სასეირნოდ წასვლას ჩვენ ვწყვეტთ, ბავშვი კი წინ მიგვიძღვის. უნდა გავჩერდეთ და მის ტემპს მივყვეთ;

ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინ, როცა პატარას მთავარი ინტერესი შუქურებია, მათზე ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, მათ სანახავად დავდივართ, მათ შესახებ წიგნს ვკითხულობთ და ბავშვთან ერთად შუქურების მაკეტებსაც ვაკეთებთ;

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ბავშვს დილით ადრე გაღვიძება უჭირს, საღამოობით მომდევნო დღისთვის ყველაფერს ვამზადებთ.

მივყევით ბავშვს, ნიშნავს, მივყევით მის უნიკალურ ტემპს, დავაკვირდეთ, განვითარების რა ეტაპზეა და თავს არ მოვახვიოთ ჩვენი წარმოდგენები სწავლა-განვითარების შესახებ.

ვეცდები, უფრო ნათლად განვმარტო. მივყევით ბავშვს, არ ნიშნავს, უფლება მივცეთ, როცა უნდა და რაც უნდა, ის აკეთოს. საჭიროების შემთხვევაში, ზღვარი უნდა დავუწესოთ და დავრწმუნდეთ, რომ თავადაც უსაფრთხოდაა და მისი გარემოც.

როცა მივხვდებით, რომ ბრძანებებს ვაძლევთ, მორალს ვუკითხავთ ან მეტიმეტად ვრცელ ინფორმაციას ვაწვდით, საკუთარ თავს ვკითხოთ: „როგორ ვიპოვო გზა, რომ განზე გავდგე და მივცე უფლება, თვითონ მართოს პროცესი?“

ალბათ ფიქრობთ: „კი მაგრამ, რაღაცების კეთება მაინც მოგვინევს: უნდა ჩავიცვათ, საბავშვო ბაღში წავიდეთ, ვისადილოთ, ვიბანაოთ“. მერწმუნეთ, ამას აუცილებლად შეძლებთ, თანაც ისე, რომ ბავშვს მიჰყევით. ეცადეთ, პატარას მოურიგდეთ, იმის ნაცვლად, რომ მოქრთამოთ, დაემუქროთ ან დასაჯოთ. მე-8 თავში განვიხილავთ, როგორ უნდა დავანესოთ ზღვარი და დავამყაროთ კონტაქტი ბავშვთან.

2. წაახალისეთ კეთებით სწავლა

პატარები ყველაზე კარგად სწავლობენ შეხებით, ყნოსვით, სმენით, დაგემოვნებითა და დანახვით. იმისთვის, რომ ცნობისმოყვარეობა გავუღვივოთ, ისეთი გზები უნდა მოვძებნოთ, რომელთა საშუალებითაც შეძლებს, ახალი გამოცდილება პრაქტიკიდან მიიღოს.

როცა კითხვების დასმას დაიწყებს, იმის ნაცვლად, რომ მზა პასუხი გავცეთ, შეგვიძლია ვუთხრათ: „არ ვიცი. მოდი, ერთად გავარკვიოთ“. შემდეგ პატარა ექსპერიმენტი ჩავატაროთ და ერთად ვიკვლიოთ (მაგალითად, მივცეთ გამადიდებელი შუშა, რათა მისთვის საინტერესო საგანს ახლოდან შეხედოს); შეგვიძლია წავიყვანოთ ზოოპარკში, ბიბლიოთეკაში ან გამოვკითხოთ მეზობელი, რომელიც კონკრეტულ საკითხს უკეთ იცნობს. ამით პატარა სწავლობს, რომ როცა რაღაც არ იცის, შეუძლია თვითონ გაარკვიოს და საკუთარი გამოცდილებით ისელმძღვანელოს.

სახლში ბავშვი სხვადასხვა ნივთს ეხება და ასე იკვლევს გარემოს, იმის ნაცვლად, რომ ვუთხრათ: „არ შეეხო“, ჯობია, დავაკვირდეთ, რა უნარის გაუმჯობესებაზე მუშაობს და შესაბამისი აქტივობა შევთავაზოთ. თუ თაროდან წიგნებს იღებს, უკანვე დავუწყოთ, რათა მოქმედების გამეორება შეძლოს; თუ არ გვიჩვენა, იმწუთას რაიმე თამაშში ჩაერთოს,

სხვა აქტივობა შეეთავაზოთ (მაგალითად, ყუთიდან ჩვენი შარფების ამოღება); თუ ჩვენი საფულიდან ბარათებს და ფულს იღებს, კალათში ისეთი ნივთები ჩავუწყობთ, რომლებსაც გახსნის, დახურავს და შეგნით რაიმე საინტერესოს იპოვის. საკლასო ოთახში ძველი საფულე გვაქვს, რომელშიც ჩემი ძველი ბარათები დევს.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ბუნება იდეალური რესურსია კეთებით სწავლის და სენსორული უნარების გაუმჯობესებისთვის: ქარი და მზის სხივები სახეზე, ქვიშიანი თითები, ტალღების ხმა და ფოთლების შრიალი, ზღვის სურნელი და ფოთლები ტყეში.

3. ჩართეთ ბავშვი ყოველდღიურ საქმიანობაში

პატარებს აინტერესებთ, რას ვაკეთებთ; უნდათ, ოჯახის სრულყოფილიანი წევრები იყვნენ. როცა ფეხზე გვეკონწილებიან, ამას მხოლოდ იმისთვის არ აკეთებენ, რომ ნერვები მოგვიშალონ.

მე-3 თავში განვიხილეთ ის ყოველდღიური საქმეები, რომლებშიც შეგვიძლია ჩვენი პატარები ჩავრთოთ.

იქნებ საქმლის მომზადებაში გვეთხოვა დახმარება? შეეთავაზოთ: „სადილს ვამზადებ. რაში დამეხმარები, რისი გაკეთება გინდა?“ გამოვიყენოთ საფეხური, რათა სამზარეულოში თავისუფლად მუშაობა შეძლოს; დაგვიდოთ წინსაფარი, რომელსაც მოირგებს; ყურადღება მივაქციოთ, რომ ხელები დაიბანოს; ვთხოვოთ, გარეცხოს სალათის ფურცლები. მიეცით უფლება, დაგტოვოთ, თუ ინტერესს დაკარგავს.

შეგვიძლია სარეცხის დარეცხვა დამლელი, რუტინული საქმიანობიდან საინტერესო აქტივობად ვაქციოთ, რომელსაც ბავშვთან ერთად ვაკეთებთ. მახსოვს, როცა ჩემი ბიჭი სულ პატარა იყო, ხელში ვიყვანდი, რათა სარეცხი მანქანის ლილაკებს მისწვდომოდა. ხშირად მეხმარებოდა გარეცხილი ტანსაცმლის გამოღებაში და ვიდრე სარეცხს ვფენდი, სარეცხით თამაშობდა (შეგვიძლია ერთი თოკი ბავშვის სიმაღლეზე გააბათ). გავიმართლა, რომ მაშინ ავსტრალიაში ვცხოვრობდით და სარეცხის თოკების გაბმა გარეთ შეგვეძლო. ჩემი გოგონა იქვე თამაშობდა და შემოგვცქეროდა. ხანდახან მეგონა, ოჯახურ იდილიაში ვიყავი. თუმცა, ძირითადად, ეს ყველაფერი მაინც ორგანიზებულ ქაოსს ჰგავდა, რომელიც სახალისო იყო.

საქმიანობაში ბავშვის ჩართვა ნიშნავს, რომ პროცესი გაინელება და შეიძლება შედეგი არცთუ ისე იდეალური იყოს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ დროს ძლიერ კავშირს ვამყარებთ ჩვენს პატარასთან და ისეთ მოგონებებს ვქმნით, რომლებიც მთელი ცხოვრება გაგვყვება. თუ თქვენც ჩემსავით ცდილობთ, ეს ყველაფერი ყოველდღიურ სამსახურსა და ვალდებულებებს შეუთავსოთ, დასაწყისისთვის თავისუფალი დრო გამოიყენეთ. შესაძლოა, ყოველ უქმეებზე მოგინოთ დამატებით ერთი-ორი საათის გამოყოფა, რათა ბავშვთან ერთად გარეცხოთ სარეცხი, გამოაცხოთ ნამცხვარი ან მოუაროთ მცენარეებს. გასაგებია, რომ საამისოდ ყოველთვის არ გვექნება არც დრო და არც ნერვები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია პატარა მაინც ჩავრთოთ პროცესში – ვთხოვოთ, გააწყოს მაგიდა, ჩამოისხას თავისი სასმელი და სადილობის დასრულების შემდეგ თეფში ნიჟარაში ჩადოს. ჯობია, იმ საქმიანობით დავინყოთ, რისი კეთებაც ბავშვთან ერთად ყველაზე მეტად გვიყვარს და გვსიამოვნებს.

უფრო მეტი საკითხის შესახებ იხილეთ მე-3 თავის პარაგრაფში – „პრაქტიკული უნარები“ ან დანართში.

4. იმოქმედეთ ნელა

„აჩქარდით, როცა საჭიროა და შეანელეთ სვლა, თუ აუცილებელია. ეცადეთ, იმ ტემპით იცხოვროთ, რომელსაც მუსიკოსები „ტემპო ჯუსტო“, ანუ „შესაფერის სიჩქარეს“ უწოდებენ“.

- კარლ ონორე, „ნელი ტემპის უპირატესობები“

პატარების „ტემპო ჯუსტო“, ჩვენს ტემპთან შედარებით, ბევრად უფრო ნელია. ბავშვებს სიჩქარე არ უყვართ (იმ გამონაკლისის გარდა, როცა ღია სივრცეში აღმოჩნდებიან და მაშინვე სარბენად მიუწევენ გული).

შეჩერდით და დააკვირდით ტროტუარზე გაჩენილ ბზარებს; ისწავლეთ სიამოვნების მიღება პროცესისგან და არა – შედეგისგან. ნელი ტემპი ბავშვს სიახლეების ძიებისა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისთვის საკმარის დროს აძლევს. კარგი იქნება, თუ პატარებს ჩვენც მივბაძავთ. ისინი გვახსენებენ, რომ ხანდახან ტემპი უნდა შევანელოთ და ანშყოთი დავტკბეთ. ცოტა ხნით გვერდზე გადავდოთ მოვალეობებზე ფიქრი, წარსულსა და მომავალზე დაუსრულებელი ღელვა.

თუ გვინდა, ბავშვთან საერთო ენა გამოვნახოთ, ნელა მოქმედება უნდა ვისწავლოთ და ყოველდღე არ ვუმოვროთ: „ისევ ვაგვიანებთ!“. ამით პატარას ვსტრესავთ, რის გამოც გვიძალიანდება და კიდევ უფრო გვაგვიანებს.

თუ აუჩქარებელი ტემპით ვიცხოვრებთ, იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა სიჩქარე მართლა დაგვჭირდება (მაგალითად, თუ ავტობუსზე გვაგვიანდება ან მაღვიძარამ არ დარეკა), ბავშვი ბევრად უფრო დაუბარლად იმოქმედებს. თუ ყოველდღე ავაჩქარებთ, ჩვენს თხოვნას ზუსტად იმ დროს არ გაითვალისწინებს, როცა ყველაზე მეტად დაგვჭირდება.

5. „დამეხმარე, რომ ჩემს თავს დავეხმარო“

„დამეხმარე, რომ ჩემს თავს დავეხმარო“ – ეს ფრაზა მონტესორის სისტემაში ხშირად გამოიყენება და შემდეგს ნიშნავს:

- ყველაფერი ისე მოაწყვეთ, რომ ბავშვმა წარმატებას დამოუკიდებლად მიაღწიოს.
- ჩაერიეთ რაც შეიძლება ნაკლებად, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. უკან დაიხიეთ და აცადეთ, თვითონ სცადოს.
- მიეცით დრო გაგარჯიშებისთვის.
- გამოიჩინეთ მიმღებლობა და მხარი დაუჭირეთ.

ჩოგორ შევძინოთ ბავშვს ახალი უნარები

დაყავით ამოცანა რამდენიმე პატარა ეტაპად და თითოეული ძალიან ნელა აჩვენეთ. ბავშვი უფრო სწრაფად აითვისებს, თუ ამ დროს არ ისაუბრებთ. უბრალოდ, უთხარით: „შეხედე!“ და ნელი, მკაფიო მოძრაობები შეასრულებთ.

უნარების ჩამოყალიბება

მომწონს, რომ ჩვენს საკლასო ოთახში მონტესორის აქტივობებისთვის საჭირო მასალა შერწყმულია. როცა პატარა მარტივი ამოცანიდან რთულზე გადადის, შეუძლია, ერთი უნარი მეორეზე დაყრდნობით გამოიმუშაოს.

შეგვიძლია იგივე პრინციპი სახლშიც გამოვიყენოთ. ზრდასა და მეტი ცოდნის მიღებასთან ერთად, ბავშვი უნარებსაც იძენს, რაშიც უნდა დავეხმაროთ. ამოცანები დროთა განმავლობაში უფრო გაურთულდება, მრავალეტაპიანი გახდება და მათ შესასრულებლად რამდენიმე ეტაპის გავლა იქნება საჭირო.

თავდაპირველად ვაჩვენოთ, როგორ ჩაიცვას ფეხსაცმელი; შემდეგ – როგორ მოქაჩოს მისი შესაკრავი. როგორც კი ამ უნარში გავარჯიშდება, ასაფხრენი შესაკრავის გადაჭერა ვასწავლოთ, შემდეგ წავახალისოთ, ფეხსაცმელი დამოუკიდებლად ჩაიცვას.

მივცით დრო

ყოველდღიურ რუტინაში საკმარისი დროის გამოყოფით ბავშვს დამოუკიდებელი ქმედებისკენ ვუბიძგებთ. უფლება მივცეთ, საკუთარი ტემპით ჩაიცვას. ეს განუხაზღვრელი დროის მიცემას არ ნიშნავს. შეგვიძლია, უბრალოდ, 10-15 წუთი დავინიშნოთ, ვიდრე დამოუკიდებლად ჩაიცვამს, ჩვენ კი იქვე ჩამოვსხდეთ და ფინჯანი ჩაი დავლიოთ. სიამოვნებასაც მივიღებთ და პატარასაც დავეხმარებით, დამოუკიდებლად ჩაცმის უნარი გამოიმუშაოს.

წვიმიან დღეებშიც შეგვიძლია ვივარჯიშოთ. მაგალითად, უფლება მივცეთ, წინდები გაიხადოს, ჩაიცვას და ეს პროცესი რამდენჯერმე გაიმეოროს.

ასეთი აქტივობებით, ერთი მხრივ, ბავშვთან მჭიდრო კავშირს ვამყარებთ, მეორე მხრივ კი, ჩვენს თავსაც ვაძლევთ რაღაც ახლის აღმოჩენის შესაძლებლობას. პატარა სწავლობს დამოუკიდებლად მოქმედებას და უფრო თავდაჯერებული ხდება.

როცა ბავშვი რაღაცის კეთებას საჭიროზე მეტ დროს ანდომებს და ამის გამო ნერვები გვეშლება, ბრაზის გამოხატვის ნაცვლად, ჯობია, მშვიდად მივიღოთ ის ფაქტი, რომ ამჯერად უნდა დავეხმაროთ, თუმცა ხვალ კიდევ ერთხელ ვცადოთ.

შეცდომებს მშვიდად მიუდექით

„არაფერი ისე არ თრგუნავს ინიციატივას, როგორც იმის ხელმეორედ გაკეთება, რაც ბავშვმა უკვე გააკეთა“.

– ჯინ კ. მილერი, მარიან უაიტ დანლეპი,
„გაცნობიერებული მშობლობის ძალა“

შეცდომები სწავლის მარტივი საშუალებაა. ბავშვი შეცდომებს დაუშვებს – დაამსხვრევს ნივთებს, დააქცევს წყალს და ხანდახან სხვასაც ავნებს; როცა დახმარებას გვთავაზობს, შესაძლოა, საქმეს ისე კარგად ვერ გაართვას თავი, როგორც ჩვენ.

დასჯის, ჭკუის სწავლებისა და მისი გამოსწორების მცდელობის ნაცვლად, სცადეთ:

1. თუ რაღაცის სახელს არასწორად ამბობს, ჩუმად ჩაინიშნეთ და სხვა დროს ასწავლეთ. მოგვიანებით უფრო ინტერესით დაიმასხოვრებს, ვიდრე მაშინ, როცა ეშლება. მონტესორის სისტემაში ამისთვის სპეციალური ფრაზა გვაქვს: „ასწავლე სწავლით და არა – შესწორებით“.
2. თუ რამეს გატეხს ან დააქცევს, მზად გქონდეთ ნივთები, რომლებსაც ადგილის მოსასუფთავებლად გამოიყენებს.
3. მხარი დაუჭირეთ, როცა სხვას რამეს დაუშავებს და თავისი საქციელის გამოსწორებას შეეცდება.
4. მიეცით მაგალითი, რომ შეცდომების დაშვების დროს საკუთარ თავს ძალიან მკაცრად არ მოეპყროს და აჩვენეთ, როგორ მოიხადოს ბოდიში: „მაპატიე. მინდოდა, მეტევა, რომ...“, ანდა „ასე უნდა მოვექცეულიყავი, მაგრამ...“.

დახმარების შეთავაზება

იმის ნაცვლად, რომ ბავშვის დასახმარებლად მაშინვე წამოვფრინდეთ, ჯობია, მოვიცადოთ და დავაკვირდეთ, როგორ გაართმევს თავს სირთულეს დამოუკიდებლად. თუ ამოცანა მეთისმეტად რთულია და შეფერხდა, შეგვიძლია დახმარება ამ სიტყვებით შევთავაზოთ:

„გინდა, მე ან ვინმე სხვა დაგეხმაროთ?“

„გინდა, გარვენო, როგორ გააკეთო?“

„ასე თუ სცადე?“

და, რაც მთავარია, ვეხმარებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს უნდა.



6. წაახალისეთ შემოქმედებითობა

„მიზანმიმართული ქმედებისა და პრობლემების გადაჭრის რაც უფრო დიდი გამოცდილება აქვს ბავშვს, მისი წარმოსახვის უნარი მით უფრო სასარგებლოდ, შემოქმედებითად და ეფექტიანად გარდაიქმნება“.

- სიუზენ სტივენსონი, „ბედნიერი ბავშვი“

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მონტესორის მიდგომა ხელს არ უწყობს ბავშვის შემოქმედებითი ნიჭისა და წარმოსახვის უნარის განვითარებას. ამის მიზეზად ასახელებენ ჩვენს აქტივობებს, რომლებიც კონკრეტული ამოცანის შესრულებისთვისაა განკუთვნილი და არა – ნებისმიერი მიზნით გამოყენებისთვის; იმასაც ამბობენ, რომ საკლასო ოთახებში სათამაშო კუთხე არ გვაქვს და ექვს წლამდე ბავშვებს ფანტაზიის გაღვივებაში ხელს არ ვუწყობთ, რადგან პატარების მთელ ყურადღებას რეალური სამყაროსკენ მივაპყრობთ.

წარმოსახვა და ფანტაზია სხვადასხვა რამაა

ფანტაზია ისეთი რამის გამოგონებას ნიშნავს, რაც სინამდვილეში არ არსებობს. ექვს წლამდე ბავშვებს უჭირთ განასხვავონ, რა ნამდვილია და რა – გამოგონილი. ტანია შერონისა და ჟაკლინ დ. ვულის სამეცნიერო კვლევაში – „ოცნებობენ მონსტრები? როგორ ასხვავებენ პატარები ფანტაზიასა და რეალობას“ – ბავშვებს აჩვენეს ფანტასტიკური და ნამდვილი ცხოველების სურათები. აღმოჩნდა, რომ 3 წლის პატარებს მათი ერთმანეთისგან გარჩევა უჭირთ.

ასეთ შემთხვევას ერთხელ მაინც თქვენც შეესწრობოდათ: ბავშვს წიგნში ან ტელევიზორში ნანახი არსება აშინებს – იქნება ეს დრაკონი, მონსტრი თუ სხვა რამ. პატარასთვის ისინი სრულიად რეალურია.

წარმოსახვის შემთხვევაში პირიქითაა: ჩვენი გონება დაგროვებულ ინფორმაციას შემოქმედებითად გარდაქმნის და მის სხვადასხვა ვარიაციას გვთავაზობს. მონტესორის სისტემაში ვცდილობთ, ფუნდამენტად რეალობა გამოვიყენოთ – მომავლის პატარა მარცვლებს ვთესავთ, რომლებიდანაც შემოქმედებითი და მდიდარი წარმოსახვის მქონე ადამიანი გაიზრდება. მყარი საძირკვლის ჩასაყრელად, ადრეულ წლებს კეთებით მიღებული გამოცდილების შეძენას ვუთმობთ. შევამჩნევთ, რომ 2,5 წლიდან ჩვენი პატარა თამაშისას უკვე სხვადასხვა სიუჟეტს იგონებს. ეს იმის ნიშანია, რომ ამუშავებს ინფორმაციას, რომელსაც გარემოდან იღებს (წარმოსახვა); თამაშობს სახლობანას, მასწავლებლობანას, გვიცხობს ტორტებს; ახერხებს, შემოქმედებითი იყოს ისე, რომ ფანტასტიკურ არსებებთან დაკავშირებულ სტრესს თავი აარიდოს (ფანტაზია).

სასურველია, ასეთი თამაშებისთვის ისეთი მასალა შევთავაზოთ, რომელსაც მრავალმხრივად გამოიყენებს. მაგალითად, შარფები და სხვა ამგვარი ნივთები ბევრ თამაშში გამოადგება, მაშინ, როცა მეხანძრის ფორმას ერთადერთი მიზნით თუ გამოიყენებს.

რეალობაზე კონცენტრაცია ბავშვის შემოქმედებით უნარს კი არ ზღუდავს, აღრმავებს. ეს აშკარა ხდება გარდატეხის ასაკში, როცა წარმოსახვა განსაკუთრებით ძლიერდება და თინეიჯერები ზოგადსაკაცობრიო თუ სოციალური პრობლემების გადაჭრას შემოქმედებითი გზებით იწყებენ.

მხატვრულ-შემოქმედებითი ნიჭი

როგორც მე-4 თავში აღვნიშნეთ, მხატვრულ-შემოქმედებითი უნარის განსავითარებლად ბავშვს მდიდარი და საინტერესო გარემო უნდა შევუქმნათ. გაითვალისწინეთ:

- აქტივობები დაალაგეთ ბავშვის სიმაღლეზე.
- გამოიყენეთ მიმზიდველი ნივთები შემოქმედებითი უნარის წასახალისებლად – ლამაზ ლანგრებზე მოათავსეთ ასაკის შესაბამისი მასალა.
- მოაწყვეთ ნახატებიანი კუთხე და მცენარეებით გააფორმეთ. ლამაზი გარემო პატარას შთააგონებს და მისგან ესთეტიკურ სიამოვნებასაც მიიღებს.
- სახატავი და ხელნაკეთი ნივთების დასამზადებელი მასალის შეჩვენებას რაოდენობას ყოველთვის ხარისხი ამჯობინეთ.

არსებობს სხვა საკვანძო პრინციპებიც, რომელთა გათვალისწინებითაც ბავშვის მხატვრულ-შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას შეძლებთ:

- აქტივობაში შემოიტანეთ მრავალმხრივი მასალა (მოერიდეთ ნაკრებებისა და გასაფურადებელი რვეულების გამოყენებას, რომლებიც ბავშვს წინასწარ უკარნახებს, როგორ უნდა მოიქცეს).
- წახალისეთ შემოქმედებითობა – მიეცით პატარას დრო და მოეშადათ პროცესის შემდგომი არეულობისთვის. გამოყავით ისეთი სივრცე, სადაც ნივთების დასვრა პრობლემა არ იქნება. მოდუნდით, აპყვეით ბავშვს და მასთან ერთად შექმენით რაიმე.
- ჰკითხეთ, არ მიუთითოთ. ინსტრუქციების მიცემის ნაცვლად, წახალისეთ პატარას ცნობისმოყვარეობა.
- მიეცით დრო მოწყენილობისთვის. როცა საქმე არ გვაქვს და არც ტექნოლოგიებით ვირთობთ თავს, ბავშვს მოწყენის შანსი ეძლევა. მისი გონება ოცნებას იწყებს. ასეთ დროს, შესაძლოა, სხვადასხვა იდეა გაუჩნდეს და ახალი კავშირები დაამყაროს. როცა გონება მოწყენილია, სტიმულაციას ითხოვს და გამოსავალს შემოქმედებითი გზებით ეძებს.
- ყურადღება გაამახვილეთ პროცესზე და არა – შედეგზე. აღნიშნეთ ის ძალისხმევა, რომელიც ბავშვმა რალაცის გაკეთებაში ჩადო: „დიდი წრე დაგისატავს“, „ჩანს, აქ ორი ფერი შეგირევია“.
- აჩვენეთ პატარას, რომ შეცდომები არ არსებობს. სწავლის პროცესში ექსპერიმენტების ჩატარება აუცილებელია, მაშინაც კი, როცა შედეგი ისეთი არაა, როგორიც წარმოგვედგინა.

რაც ყველაზე მთავარია, შეგვიძლია ბავშვთან ერთად დრო მხიარულად გავატაროთ და ერთად შევქმნათ რალაცები.



7. დაკვირვება

მონტესორის სკოლის მასწავლებლები ხშირად ურჩევენ მშობლებს: „უბრალოდ, ბავშვს დააკვირდით“, პასუხად კი იღებენ: „კი მაგრამ, რაზე დავაკვირდე? რატომ ან როგორ?“

დაკვირვება – ესაა პროცესი, როცა ყოველგვარი შეფასების და ანალიზის გარეშე, უბრალოდ, ვუყურებთ ბავშვის მოქმედებებს. ის შეიძლება შევადაროთ ვიდეოკამერას, რომელიც ობიექტურად აღბეჭდავს მომხდარს და ფაქტს არ აანალიზებს.

მონტესორის სკოლის მასწავლებლის ბავშვზე დაკვირვების შედეგი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: „ჯონის ფანქარი მარჯვენა ხელიდან უსხლტება და ძირს ეცემა. ის ფანჯარაში იყურება; სიმძიმის ცენტრი მარცხენა ფეხიდან მარჯვენაზე გადააქვს; მუხლებს ხრის და ფანქარს მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითების გამოყენებით იღებს“.

დაკვირვების დროს მეცნიერული სიზუსტით ვინერტ იმას, რასაც ვხედავთ და არა-ფერს ვაფასებთ. ვმოქმედებთ ფაქტებიდან გამომდინარე და დასკვნები არ გამოგვაქვს.

ვაფიქსირებთ დეტალებს, ვამჩნევთ ცვლილებებს და ვცდილობთ, მომხდარიდან დასკვნები არ გამოვიტანოთ. ამ გზით საშუალება გვეძლევა, ბავშვს ყოველდღე ახალი თვალთ შევხედოთ.

როგორ გამოვიყენოთ ბავშვზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია?

ეს ინფორმაცია ბევრ რამეში გვეხმარება.

უპირველესად, ვაცნობიერებთ, რომ ბავშვი საკუთარი უნიკალური ტემპით ვითარდება; საშუალება გვაქვს, მის ცნობისმოყვარეობას მივყვეთ და ვნახოთ, რა აინტერესებს.

ეცადეთ, თავი შეიკავოთ და არ ჩაერიოთ. იმის ნაცვლად, რომ ცნობისმოყვარეობა და შემოქმედებითობა შეუზღუდოთ, ყველაფერს ისე შეხედეთ, როგორც ახალ შესაძლებლობას. მაგრამ, როცა საქმე პატარას უსაფრთხოებას ეხება, დელიკატურად ჩარევა აუცილებელია.

როცა ბავშვს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვაკვირდებით, ისეთი უმცირესი დეტალების შემჩნევას ვიწყებთ, რომლებიც სხვა შემთხვევაში გამოგვეპარებოდა.

დაკვირვებით შეგვიძლია გარემოში ის ფაქტორები აღმოვაჩინოთ, რომლებიც ახალისებს ან, პირიქით, ზღუდავს ბავშვის უნარს, იყოს დამოუკიდებელი, მოძრავი, კომუნიკაბელური და ა. შ.

დაკვირვება გვეხმარება, პატარა ცნობისმოყვარე პიროვნებად აღვზარდოთ. გარდა ამისა, ბავშვს უფრო ჯანსაღად, განსჯის გარეშე ვუყურებთ და აღარ გვინდა, თავს მოვახვიოთ ჩვენეული აზრები მისი განვითარების შესახებ.

რას უნდა დავაკვირდეთ

ნატივობის მოძრაობის უნარი

- როგორ ჰქონდა ხელს და იჭერს ნივთებს?
- რომელი ხელის რომელ თითებს იყენებს?
- როგორ უკავია ფუნჯი ან ფანქარი?
- რომელ ნატივ მოტორულ უნარს ივარჯიშებს და რა აქტივობებს იყენებს საამისოდ (ორი თითით ნივთის აღება, ძაფზე წამოცმა და ა. შ.)?

სივრცითი მოძრაობის უნარი

- როგორ დგება და ჯდება?
- როგორ დადის (ფეხებს შორის მანძილი, ხელების მოძრაობა)?
- ინარჩუნებს თუ არა ბალანსს?
- რომელი მოძრაობის გავარჯიშებას ცდილობს?
- ირჩევს თუ არა ისეთ აქტივობებს, რომლებშიც მთელი სხეულითაა ჩართული?
- როგორია გარემო – მოძრაობაში ეხმარება თუ ხელს უშლის?

კოორდინაცია

- რა ხმებს/სიტყვებს იყენებს?
- როგორი დიმილი აქვს?
- როგორ ტირის (ინტენსივობა, ხანგრძლივობა)?
- როგორია მისი სხეულის ვნა?
- როგორ გამოხატავს თავს?
- გეკონტაქტებათ თუ არა თვალებით, როცა ესაუბრებით?
- როგორ ლექსიკას იყენებს?
- როგორ რეაგირებს კომუნიკაციის დროს?

კოგნიტიური განვითარება

- რა აინტერესებს?
- რისი შესწავლა ან გაუმჯობესება უნდა და რომელი აქტივობების შესრულება შეუძლია?
- რამდენ ხანს ასრულებს ერთ აქტივობას?

კომუნიკაციური განვითარება

- როგორ ურთიერთობს თანატოლებსა და ზრდასრულებთან?
- აკვირდება თუ არა გარშემომყოფებს?

- როგორ ითხოვს დახმარებას?
- როგორ ეხმარება სხვებს?

ფიზიკური განვითარება

- როდის ტირის, იღიმის და იცინის?
- როგორ გარემოში გრძნობს თავს კომფორტულად და თავს როგორ იმშვიდებს?
- როგორ პასუხობს უცნობებს?
- როგორ რეაგირებს განშორებაზე?
- როგორ იქცევა, როცა რაღაც ისე არ ხდება, როგორც წარმოედგინა?

ჭამა

- რამდენს და რას ჭამს?
- პასიური მჭამელია თუ აქტიური? თვითონ ჭამს თუ ვინმეს დახმარებით?

ძილე

- ძილის როგორი რეჟიმი აქვს?
- ღრმად სძინავს თუ არა?
- როგორ იძინებს?
- რომელ პოზაში სძინავს?
- როგორ იღვიძებს?

დამოუკიდებლობა

- დამოუკიდებლობის რომელ ნიშნებს ამჟღავნებს?
- როგორი ურთიერთობა აქვს ზრდასრულებთან?

დანსაცმელი

- ტანსაცმელი ეხმარება თუ ხელს უშლის მოძრაობასა და დამოუკიდებლად მოქმედებაში?
- ცდილობს თუ არა, დამოუკიდებლად გაიხადოს და ჩაიცვას ტანსაცმელი?
- გამოხატავს თუ არა სურვილს, ჩაიცვას ან არ ჩაიცვას კონკრეტული სამოსი?

თვითდაკვირვება

- ჩაინერეთ, რას ეუბნებით ბავშვს და როგორია თქვენი ურთიერთკავშირი.
- რამე ხომ არ გახსენდებათ, როცა ბავშვს აკვირდებით?
- როგორ რეაგირებთ, როცა პატარა არ ჭამს ან არ იძინებს?
- რას ამბობთ, როცა რაღაც ისეთს აკეთებს, რაც მოგწონთ ან არ მოგწონთ?

* უნარი, რომელიც გულისხმობს მოძრაობაში მთელი სხეულის ჩართვას: ადგომა, სირბილი, ხიარული, ზტომა ან, თუნდაც, ჯდომა.


რეცეპტი ბავშვის ცნობისმოყვარეობის ნასახალისებლად

ხუთი ინგრედიენტი

1. ენდუ.
2. შეუქმენით
მრავალფეროვანი გარემო.
3. მიეცით საკმარისი დრო.
4. აგრძნობინეთ თავი
უსაფრთხოდ და დაცულად.
5. ხელი შეუწყვეთ ინტერესის
გაღვივებას.

შვიდი პრინციპი

1. მიჰყევით ბავშვს.
2. წახალისეთ კეთებით სწავლა.
3. ჩართეთ ყოველდღიურ
საქმიანობაში.
4. იმოქმედეთ ნელა.
5. დაეხმარეთ, რათა საკუთარ
თავს დაეხმაროს.
6. წახალისეთ
შემოქმედებითობა.
7. უბრალოდ, დააკვირდით.



მიიღეთ ბავშვი ისეთი, როგორიც არის

პატარებს უნდათ, თავი მნიშვნელოვნად, მთლიანობის ნაწილად იგრძნონ; უნდათ, ისეთებად მივიღოთ, როგორებიც არიან. თუ ამას გავიზრებთ, თავიდან ავირიდებთ კონფლიქტს, ნაკლებად გავლიზიანდებით და თანდათან მათ მხარდამჭერებად ვიქცევით.

აგრძნობინათ თავი საჭიროდ და მნიშვნელოვნად, მიიღეთ ისეთი, როგორიც არის

როცა სამყაროს ბავშვის თვალთ შევხედავთ, შევძლებთ, ყველაფერი მისი პოზიციიდან დავინახოთ. ეს იგივეა, რაც თანაგრძნობა. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარია გვესმოდეს, რომ ყველა ადამიანი, თავის მხრივ, მართალია.

თუ პატარა მეგობარს სათამაშოს ართმევს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდად იქცევა. თუ მისი თვალთ შევხედავთ, მივხვდებით, რომ, უბრალოდ, კონკრეტული სათამაშოთი თამაში სწორედ იმ დროს უნდა. დავაკვირდეთ, დახმარება ხომ არ სჭირდება და საჭიროების შემთხვევაში ჩავერიოთ.

როდესაც ბავშვი მცენარის ქოთნიდან მიწას იღებს და ირგვლივ ფანტავს, გვგონია, რომ რაღაცას აფუჭებს. თუმცა, როგორც კი მისი თვალთ შევხედავთ, მივხვდებით, რომ გარემოში რაღაც ისეთს ხედავს, რის გამოკვლევაც სწორედ იმ დროს უნდა. კარგად დავაკვირდეთ და გადავწყვიტოთ, ჩავერიოთ და მცენარე ავილოთ, თუ მიწა ქოთანში დავაბრუნოთ.

ვიდრე დავასკვნით, რომ ენის გამოყოფითა და სიცილით ცდილობს, ნერვები მოგვიშალოს, ვეცადოთ, სიტუაციას მისი თვალთ შევხედოთ. მივხვდებით, რომ ბავშვი ცდილობს, ახალი ხმა გამოცადოს, ჩვენი რეაქცია შეამოწმოს და გაარკვიოს, რას რა მოჰყვება. თავდაპირველად დააკვირდით, თვითონ გაჩერდება თუ არა. თუ არ შეწყვეტა ასე მოქცევა, სხვა რამ შევთავაზოთ. მაგალითად, უთხარი: „არ მომწონს, ენას რომ მიყოფ. მაგრამ კარგი, ნავიდეთ და იმ ხალიჩაზე წამოგვკოტრილდეთ“.

როცა წინააღმდეგობის განცდას ვწყვეტთ და უბრალოდ, კრიტიკის გარეშე ვაკვირდებით პატარას, მას ისეთად ვხედავთ და ვიღებთ, როგორიც არის.

კითხვა – „როგორ მოვიქცე, რომ ჩემი შვილი ნაკლებად მორცხვი, უფრო კონცენტრირებული, აქტიური და ხელოვნებით მეტად დაინტერესებული იყოს?“ – ნიშნავს, რომ ბავშვს ისეთს არ ვიღებთ, როგორიც არის. საუკეთესო გამოსავალია, ვაჩვენოთ, რომ ზუსტად ისეთი გვიყვარს, როგორიც ახლაა. სერიოზულად ვაძულებ. სწორედ ესაა ის, რაც თითოეულ ადამიანს უნდა – იგრძნოს, რომ მნიშვნელოვანია, იგრძნოს, რომ საჭიროა, იგრძნოს, რომ ისეთად იღებენ, როგორიც არის.

გახდით „მთარგმნელი“

როცა რაღაცებს ბავშვის გადმოსახედიდან შევხედავთ, შევძლებთ, მისი მთარგმნელის ფუნქციაც შევითავსოთ ისე, თითქოს მის ნათქვამს ლექსიკონში ვეძებთ.

„ჩემთვის იმის თქმა გინდა, რომ...?“ სასარგებლო ფრაზაა ბავშვის სურვილების გადმოსათარგმნად.

როცა პატარა საჭმელს იატაკზე ყრის, შეგვიძლია ვუთხრათ: „იმის თქმას ცდილობ, რომ მეტის ჭამა აღარ გინდა?“

ეს მიდგომა შედარებით მოზრდილებზეც შეგვიძლია გამოვიყენოთ მაშინ, როცა შეუფერებლად იქცევიან ან ვინმეს ეუხეშებიან: „მგონი, ამწუთას ძალიან გაბრაზებული ხარ, იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ არ მოგწონს, როცა შენს ნივთებს ეხებიან?“

ამ მიდგომით შევძლებთ, ბავშვის გარდა, ზრდასრულების, მაგალითად, პარტნიორის ან ბავშვის ბებია-ბაბუის მთარგმნელიც გავხდეთ. თუ შევამჩნევთ, რომ პატარას ქცევა აღიზიანებთ, შეგვიძლია ბავშვს ავუხსნათ: „მგონი, ბაბუა ფიქრობს, რომ ჯობია, მაგიდასთან ჭამო, შენ კი საჭმლით ხელში სიარული გინდა“.

ხანდახან ჩვენი
მოვალეობაა,
ავხსნათ ბავშვის
ენა



ყველა ემოსია მისაღებია, მაგრამ ყველა
საქციელი - არა

შეიძლება იკითხოთ: „კი მაგრამ, თუ ბავშვს ისეთად მივიღებ, როგორიც არის და მისი ყველანაირი ემოცია მისაღები იქნება, მის ნებისმიერ საქციელზეც თვალი უნდა დავხუჭო?“

არანაირად. უნდა ჩავერიოთ ნებისმიერი შეუფერებელი ქცევის გამოვლინებისას. ზრდასრულები ხშირად პატარას პრეფერენტალური ქერქის (ტვინის რაციონალური ნაწილი) ფუნქციას ვითავსებთ, რომელიც ჯერ კიდევ ვითარდება. უნდა ჩავერიოთ ჩვენი და სხვების, უპირველესად კი, მათივე უსაფრთხოებისთვის; უნდა ავუხსნათ, რომ შესაძლოა, სხვას არ დაეთანხმოს, მაგრამ ეს ზრდილობიანად უნდა გამოხატოს; უნდა ვაჩვენოთ, როგორ გახდეს პასუხისმგებლობიანი ადამიანი.

მაგალითად, შეგვიძლია ვუთხრათ:

„შენს ძმას/დას რომ არ ეთანხმები, ნორმალურია, მაგრამ უფლებას ვერ მოგცემ, რამე დაუშავო. შენ მარცხნივ დაჯდები, ის კი - მარჯვნივ“.

„უფლებას ვერ მოგცემ, მატკინო/ასე მელაპარაკო/შენს თავს ავნო. თუმცა, გამჩნევ, რომ რალაც მნიშვნელოვანი ხდება და ვცდილობ, გაგიგო“.

შეჯახის ნაცვლად, გამოიყენეთ უკუკავშირი

მონტესორის მასწავლებლები ცდილობენ, ბავშვებს დაეხმარონ, აიმაღლონ თავდაჯერებულობა, მიიღონ საკუთარი თავი ისეთებად, როგორებიც არიან; ისწავლონ, როგორ დაამყარონ ურთიერთობა სხვებთან ისე, რომ თავი კომფორტულად იგრძნონ.

1970-1980-იან წლებში მშობლებს უყვარდათ საკუთარი შვილების ქება და ასე ცდილობდნენ მათი თავდაჯერებულობის ამაღლებას. მათგან ხშირად გაიგონებდით ასეთი ფრაზებს: „ყოჩაღ!“, „კარგი ბიჭი ხარ!“, „კარგი გოგო ხარ!“. ნიდერლანდელებს ასეთი ფრაზა გვაქვს – „goed zo!“, რომელსაც ყველაფერს ვარგებთ. ბავშვებს ვაქებთ, როდესაც რაიმეს დახატავენ, უნიტაზს ჩარეცხავენ; ტაშს ვუკრავთ და თითოეულ პატარა მიღწევას უდიდეს გამარჯვებად ვუთვლით.

შექება გარეგანი მოტივატორია, რომელიც თავად ბავშვისგან არ მოდის.

ალფი კონი¹ თავის სტატიის მიხედვით – „ხუთი მიზეზი იმისთვის, რომ აღარ თქვათ ყოჩაღ!“ – შექების სანაღმდეგოდ რამდენიმე თეზას წარმოადგენს:

- შექება მშობელმა შეიძლება გამოიყენოს სავაჭრო ინსტრუმენტად მანიპულაციისთვის, როცა ბავშვის მოტივირება უნდა.
- შესაძლოა, პატარა შექებაზე დამოკიდებული გახდეს.
- მუდმივად შექების მომლოდინე ბავშვმა, შესაძლოა, დაკარგოს ბედნიერების განცდა, იმის ნაცვლად, რომ პანანინა მიღწევებით მოგვრილი სიხარული შეიგრძნოს.
- შექების მომლოდინე ბავშვი მოტივაციას კარგავს, რადგან, რასაც ამისთვის აკეთებს, სინამდვილეში, მისთვის მნიშვნელოვანი არაა.
- შექებამ, შესაძლოა, მიღწევების რაოდენობა შეამციროს – როცა ქმედება უცილობელ წარმატებას გულისხმობს, ინტერესი და პროცესით მიღებული სიამოვნება ქრება.

მონტესორის მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ ბავშვი შესაფერისად მოქცევას მაშინ ეჩვევა, როცა ეხმარებით შინაგანი მოტივაციის განვითარებაში – შინაგანი რადარისა, რომელიც უკარნახებს, რომ რაღაც სწორია ან – არასწორი; რომლის საშუალებითაც მიხვდება, რა ეხმარება (ან აზიანებს) მას და სხვებს.

¹ ამერიკელი ფსიქოლოგი, ავტორი, ლექტორი, განათლების ექსპერტი

შექების ნაცვლად, შეგვიძლია ვუთხრათ...

გაგვიკვირდებათ, რამდენად ხშირად ვამბობთ სიტყვას „ყოჩაღ!“. როცა ამას გავაცნობიერებთ, უკვე შეგვიძლია, მიდგომა შევცვალოთ. ალტერნატივის ძებნისას საუკეთესო გამოსავალი ისეთი ფრაზების გახსენება იქნება, რომლებსაც ზრდასრულს ვეტყვოდით.

გიზიარებთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც პირველად ამოვიკითხე ადელ ფაბერისა და ილაინ მაზლიშის¹ წიგნში – „როგორ ვესაუბროთ ბავშვს ისე, რომ მოგვისმინოს და როგორ მოვუხსენოთ ისე, რომ გვესაუბროს“. მათგან ყველაზე მეტად ერთი მომწონს: ბავშვს ვეუბნებით, კონკრეტულად რა მოგვეჩვენა და ამის აღსანერად იმაზე გაცილებით მდიდარ ლექსიკას ვიყენებთ, ვიდრე, უბრალოდ, სიტყვას – „ყოჩაღ!“.

1. აღწერეთ, რას ხედავთ

ყურადღება გაამახვილეთ პროცესზე და არა – შედეგზე. აღწერეთ, რა როგორ გააკეთა. უკუკავშირისას აღწერეთ ფაქტები, ბავშვის ქმედებები და მიღწევები.

„თეფში სამზარეულოში წაგიღია“.

„როგორც ჩანს, ძალიან კმაყოფილი ხარ“.

„თვითონ ჩაგიცვამს“.

„კუბები კალათაში ჩაგინყვია და მერე უკან, თაროზე დაგინყვია“.

„ლურჯი და წითელი საღებავი გამოგიყენებია. აქ მორევს ვხედავ“.

2. სიტყვიერი შეჯამება

„ჩანთა ჩაგილაგებია და სანაპიროზე წასასვლელად მომზადებულხარ. აი, ამას ჰქვია დამოუკიდებლობა“.

„ბებოს ჩანთის შემოტანაში დაეხმარე. აი, ამას ჰქვია მზრუნველობა“.

„დაქცეული წყალი თავად მოგიწმენდია, თანაც – ჩემი თხოვნის გარეშე. აი, ესაა სიმარჯვე“.

3. აღწერეთ, რას გრძნობთ

„როგორ გამახარე!“

„რა სასიამოვნოა, როცა ოთახში შედიხარ და ყველაფერი თავის ადგილას დევს“.

¹ ამერიკელი ავტორები, რომლებმაც არაერთი წიგნი მიუძღვნეს მშობლობისა და ბავშვებთან ურთიერთობის საკითხებს.

იარლიყები

ბავშვის მიღება ისეთად, როგორიც არის, ნიშნავს, რომ კრიტიკის გარეშე მივიღოთ.

მაქსიმალურად უნდა შევიკავოთ თავი, რომ ბავშვს რაიმე იარლიყი არ მივანებოთ.

სავარაუდოდ, ყველა ვიცნობთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა იარლიყს ატარებენ: მასხარა, მორცხვი, მოუსვენარი და ა. შ. დადებითი შინაარსის იარლიყების (ჭკვიანი, ათლეტური) ტარებაც კი რთულია, რადგან ადამიანის ქცევა ყოველთვის მათი შესაბამისი არაა.

ამგვარი იარლიყი, შესაძლოა, ბავშვს მთელი ცხოვრება გაჰყვეს და ვერასოდეს მოიშოროს.

ამის საპირისპიროდ, ვეცადოთ, პატარას საკუთარი თავი სხვა რაკურსით დავანახოთ. გაიხსენეთ ხოლმე შემთხვევები, როცა რაღაც სირთულეს გაუმკლავდა. დაე, ესმოდეს, როგორ ვუყვებით გარშემომყოფებს, რომ ბეჯითად იშრომა და ბევრი წინაღობა გადალახა. მაგალითად, ეს ფრაზა „გიყურებდი, ჭიქა მაგიდასთან როგორ ფრთხილად, ორივე ხელით მიიტანე. ძალიან მომეწონა“ შეგვიძლია ვუთხრათ ბავშვს, რომელსაც სხვა შემთხვევაში დაუდევარს დაუძახებდნენ.

იარლიყები ხშირად და-ძმებთან მიმართებითაც გამოიყენება. როგორც კი ოჯახში პატარა გაჩნდება, პირველი შვილი მომენტალურად „უფროსი ძმა/და“ ხდება. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა – ყოველთვის უნდა ეცადო, სწორად მოიქცე და შენს პატარა დედმა-მიშვილს აჩვენო, როგორია „უფროსი“ რომ ხარ. იმის ნაცვლად, რომ პასუხისმგებლობა ყოველთვის უფროსს აეკიდოთ, შეგვიძლია, ასაკის მიუხედავად, **ბავშვებს დავავალოთ, ერთმანეთს მიხედონ**. დავრწმუნდეთ, რომ უმცროსსაც, უფროსის მსგავსად, ასაკისთვის შესაფერისი პასუხისმგებლობა დავაკისრეთ.



მოდით, მივიღოთ ჩვენი პატარა ისეთი, როგორიც არის – მაშინაც, როცა რაღაც უბრალო და მაშინაც, როცა რაღაც ანუხებს. ყოველთვის.

როცა ბავშვს უფლებას ვაძლევთ, იყოს ცნობისმოყვარე და ვაგრძნობინებთ, რომ მნიშვნელოვანია, ვიღებთ ისეთს, როგორიც არის – ეს ნდობისა და ურთიერთკავშირის მტკიცე საძირკველია. სწორედ ესაა, რაც შემდგომ დაგვეხმარება, მასთან მოვრიგდეთ და ზღვარი დავუწესოთ.

თუ პატარასთან კავშირს დავკარგავთ, ნაკლებად დაგვიჯერებს. ნდობის გარეშე ზღვრების დანერგვა გაგვიჭირდება.

პრაქტიკისთვის

1. როგორ მივცეთ ბავშვს უფლება, უფრო ცნობისმოყვარე იყოს?
 - გრძნობს პატარა, რომ ვენდობით?
 - მისი სასწავლო გარემო მრავალფეროვანია?
 - ვაძლევთ საკმარის დროს იმისთვის, რომ ყველაფერი დამოუკიდებლად იკვლიოს და საკუთარი ტემპით განვითარდეს?
 - ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად რამდენად უსაფრთხო გარემოს ვუქმნით?
 - როგორ ვახალივით აღმოჩენისგან მოგვრილ სიხარულს?
2. წესად აქციეთ, ყოველდღე, 10-15 წუთის განმავლობაში დააკვირდეთ პატარას.
 - იყავით ცნობისმოყვარე.
 - იყავით ობიექტური.
 - მოერიდეთ შეფასებას და დასკვნების გამოტანას.
3. როგორ ვაგრძნობინოთ ბავშვს, რომ მნიშვნელოვანი და საჭიროა, რომ ისეთს ვიღებთ, როგორიც არის?
 - შეხედეთ მოვლენებს მისი თვალით.
 - იყავით მისი მთარგმნელი.
 - შექების ნაცვლად, გამოიყენეთ უკუკავშირი.
 - ნუ მიაწვდებთ იარღილებს.

როგორ გავუდვივოთ ბავშვს კასუხისმგებლობის გრძნობა და თანამშრომლობის უნარი

6

პირველი ნაწილი


თანამშრომლობის უნარის განვითარება

- 118 რატომ არ ვიყენებთ მონტესორის
სისტემაში მუქარას, მოქრთამვას და
სასჯელს
- 120 გადავჭრათ პრობლემა ბავშვთან ერთად
- 123 როგორ ჩავრთოთ ბავშვი პროცესში
- 124 როგორ ვესაუბროთ პატარას ისე, რომ
მოგვისმინოს
- 126 საკუთარი მოლოდინების მართვა
- 128 დამატებითი რჩევა – წარწერების
გამოყენება

მეორე ნაწილი

საზღვრების დანერგვა

- 130 საზღვრების დანერგვა ნორმალურია
- 131 დაანერგეთ მკვეთრი საზღვარი
- 132 იყავით თავაზიანი და პრინციპული
- 134 მიიღეთ უარყოფითი ემოციები
- 135 როგორ გავუმკლავდეთ ტანტრუმს
- 138 როგორც კი დამშვიდდება, აღვადგინოთ
ურთიერთკავშირი
- 138 დავეხმაროთ პატარას შეცდომების
გამოსწორებაში
- 141 რჩევები, რომლებიც საზღვრების
დანერგვაში დაგვეხმარება
- 143 სამართლიანია თქვენ მიერ დანერგული
საზღვრები?



თანამშრომლობის უნარის განვითარება

როცა ბავშვი არ გვიჩვენებს

ვასწავლოთ პატარას თანამშრომლობა – რთული ამოცანაა. ბავშვები შინაგანად ცნობისმოყვარეები, იმპულსურები არიან და საკუთარ სურვილებს მიჰყვებიან. პატარების დასამორჩილებლად ზრდასრულები ნშირად მუქარას, მოქრთამვას, დასჯას იყენებენ და მათ დაუსრულებლად უმეორებენ ერთსა და იმავეს.

ამ დროს ზრდასრულები საკუთარ თავს ვეკითხებით: „კი მაგრამ, რატომ არ მიჟვრება?“

„თუ ბავშვს რაღაცას ათასჯერ ეუბნებით და მაინც ვერ აგებინებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ პრობლემა მასში არაა“.

- უოლტერ ბ. ბერბი

რატომ არ ვიყენებთ მონთაჟორის სისტემაში მუქარას, მოქრთამვას და სასჯელს

სიტყვა „დისციპლინა“ მოდის ლათინური სიტყვიდან „Disciplina“ და დასწავლას ან სწავლებას ნიშნავს. ასე რომ, ჯობია, დავფიქრდეთ, რას ვასწავლით ბავშვებს და რას ითვისებენ ჩვენ მიერ დადგენილი წესებით.

მუქარა, ქრთამი და სასჯელი გარეგანი მოტივატორებია. სასჯელის თავიდან აცილების ან ჯილდოს მიღების მიზნით, ბავშვი შეიძლება დაგვემორჩილოს, მაგრამ ამას ხანგრძლივი შედეგი არასდროს აქვს. ამგვარი დისციპლინა მხოლოდ სწრაფი გამოსავალია, რომელიც ბავშვის ყურადღების გადასატანად თუ გამოდგება.

ერთხელ სკოლაში იმის გამო დამსაჯეს, რომ მასწავლებლის შესახებ არცთუ ისე სასიამოვნო წერილი დავწერე (თავის დასაცავად ვიტყვი, რომ საშინო ქალი იყო, თუმცა მისთვის დრაკონი მაინც არ უნდა მეწოდებინა). რა თქმა უნდა, მან ჩემი წერილი იპოვა. სასჯელის გამო ისეთი გაბრაზებული ვიყავი, რომ ყველას ვეუბნებოდი, ნახეთ, როგორი ბოროტია-მეთქი. გაამართლა სასჯელმა? საერთოდ არა. იმის ნაცვლად, რომ არასწორი საქციელის გამო სინდისის ქენჯნა მეგრძნო, მივიჩნიე, რომ მე კი არა, მასწავლებელმა დააშავა.

როცა პატარას დასჯით ვემუქრებით (მაგალითად, დროის შეზღუდვით), ამით ჩვენ შორის არსებულ ნდობას ზხარს ვუჩენთ. ასეთ დროს ორი რამ შეიძლება მოხდეს: ზრდასრულის შიშით პატარა იწყებს ისე მოქცევას, როგორც ეუბნებიან, ან პოულობს გზას და მშობლისგან მალულად მაინც იმას აკეთებს, რაც უნდა.

ანალოგიურად, მუქარამ და ქრთამმაც შეიძლება აიძულოს ბავშვი, დაგვიჯეროს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენი დახმარება უნდა, არამედ იმიტომ, რომ, უბრალოდ, სურს, თავი აარიდოს ნეგატიურ შედეგს (სასჯელს), ან მიიღოს სარგებელი (ჯილდო). დროთა განმავლობაში მუქარისა თუ მოქრთამვის ფორმებიც იცვლება. თუ ბავშვი მიჩვეულია, რომ რალაციის კეთების შემდეგ სტიკერს იღებს, მოსალოდნელია, რომ ამ სტიკერის „ფასი“ ნელ-ნელა გაიზრდება.

ასეთი მეთოდებით ბავშვის დაყოლიება დამღლეელია. ასეთ დროს მთელი პასუხისმგებლობა ზრდასრულებს გვეკისრება. ვფიქრობთ: „როგორ ვაიძულო, ჩაიცვას/ჭამოს/ხელები დაიბანოს?“ საბოლოოდ, ვბუზღუნებთ, ბავშვი კი მაინც არ გვიჯერებს.

- არსებობს სხვაგვარი მიდგომაც.
- ყოველ ჯერზე, როცა გამოწვევის წინაშე ვდგებით, შეგვიძლია ამას ისე შევხედოთ, როგორც შესაძლებლობას, ვასწავლოთ პატარას, მან კი ისწავლოს.
- მოდით, თანამშრომლობისთვის საჭირო ინსტრუმენტებს ბავშვთან ურთიერთობის ისეთი მეთოდები დავამატოთ, რომლებიც მასთან კავშირის განმტკიცებაში დაგვეხმარება (თანაც ისე, რომ კონტროლი არ დავკარგოთ).
- მოდით, ჩვენს თავს ვკითხოთ: „რით შემიძლია, ამწუთას დავეხმარო?“
- თანამშრომლობის უნარის გაღვივება გულისხმობს:
- პრობლემის გადაჭრას ბავშვთან ერთად
- ბავშვის აქტიურ ჩართულობას პროცესში
- ისეთი ფორმით საუბარს, რომ პატარამ მოგვისმინოს
- ჩვენი მოლოდინების კონტროლს
- მცირე ბონუსს

შენიშვნა: იმისთვის, რომ ბავშვმა დაგვიჯეროს, ჩვენი ურთიერთობა ნდობასა და ურთიერთკავშირზე უნდა იყოს დაფუძნებული. თუ გეჩვენებათ, რომ გამოწვევებთან გამკლავება „ბრძოლით“ გიხდებათ, ჯობია, უკან დაბრუნდეთ და წინა თავში მოცემულ იდეებს გადახედოთ.

გადავწყრათ პრობლემა ბავშვთან ერთად

როგორც წესი, თავდაპირველად ბავშვთან ერთად მუშაობის ისეთ გზას ვეძებ ხოლმე, რომლის წყალობითაც გაუჩნდება განცდა, რომ სიტუაციას თვითონ აკონტროლებს. მიუხედავად იმისა, რომ პატარები არიან, ბავშვებს უნდათ, ყველაფერში ჩართულები იყვნენ.

ბავშვი სიტუაციას არ აკონტროლებს, მაგრამ შეუძლია, პრობლემის გადაჭრაში წვლილი შეიტანოს. შეგვიძლია ვკითხოთ: „ეს პრობლემა როგორ მოვაგვაროთ?“ და გამოსავალი ერთად მოვიძებნოთ.

რა თქმა უნდა, იდეების უმრავლესობა ჩვენი იქნება, მაგრამ ამ პროცესში პატარა სწავლობს. ნუ შეცდებით – ხანდახან ბავშვებს შესანიშნავი იდეები უჩნდებათ (ხშირ შემთხვევაში – ჩვენსაზე გაცილებით კრეატიულიც).

- „შენ პარკში გინდა დარჩენა, მე კი წასვლას ვაპირებ. როგორ მოვაგვაროთ ეს საკითხი?“
- „გინდა, ჯერ ამ სათამაშოს აწყობა დაამთავრო და მაისური მერე ჩაიცვა? კარგი, მე წავალ, ჩავიცვამ და რომ დაებრუნდები, ვნახავ, დახმარება ხომ არ გჭირდება.“
- „აქ ორი ბავშვია, სათამაშო კი ერთი გვაქვს. საინტერესოა, ამ პრობლემას როგორ გადაწყვეტილი“.


დახმარება ისეთ პატარასაც შეუძლია, რომელმაც ჯერ ლაპარაკიც კი არ იცის. მაგალითად, თუ დამ ან ძმამ მისი სათამაშო აიღო, შეიძლება სხვა სათამაშო შესთავაზოს და გადაუცვალოს.

თუ გაცილებით სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე, შესაძლო გამოსავლების სია შევადგინოთ. თუ სულელური იდეა გაგვიჩნდება, ისიც მივამატოთ. ბოლოს სიას ბავშვთან ერთად გადახედეთ და ისეთი ვარიანტი ამოარჩიეთ, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება. დაანესეთ გარკვეული დრო, რომლის გასვლის შემდეგ ნახავთ, გაამართლა ამ გზამ თუ რამის შესწორებაა საჭირო. პატარებთან ასეთი ფორმალობის დაცვა სავალდებულო არაა, მაგრამ გვახსოვდეს, რომ დროთა განმავლობაში შეგვიძლია პროცესი გავართულოთ.

სავარაუდოა, რომ ბავშვი მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობას აიღებს და მას შეასრულებს. სხვათა შორის, ეს უნარი სამომავლოდ სხვებთან ურთიერთობაში თავჩენილი პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება (ამ საკითხს მივუბრუნდებით მე-7 თავში, როცა დაძმებზე ვისაუბრებთ).

პრობლემის გადაჭრის პროცესში პატარების ჩართვით საგრძნობლად ვიმსუბუქებთ პასუხისმგებლობას. ღიაობა და მიმღებლობა კი საშუალებას გვაძლევს, ზედმეტი ჩარევის გარეშე მივიღოთ ისეთი შედეგები, როგორსაც ვერც კი წარმოვიდგენდით.

შევადგინოთ სია ბავშვთან ერთად



ბავშვთან ერთად პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა სიის შედგენაა (სასურველია, ფოტოსურათებით).

თუ პატარა ჩაცმისას ჭირვეულობს, შევადგინოთ ცხრილი, რომელშიც ჩამოვწერთ დილის რუტინის შემადგენელ თითოეულ ნაბიჯს; თუ დასაძინებლად მომზადება ეძნელება, დავწეროთ ყველა ეტაპი, რომელიც ძილის წინ აუცილებლად უნდა შესრულდეს – წყლის დალევიდან დაწყებული, ტუალეტში შესვლით დამთავრებული.

შეგვიძლია ყველა ნაბიჯი დავასურათოთ: დავხატოთ ან ფოტოები გადავიღოთ და დავბეჭდოთ. თუ ბავშვს ეტაპების თანმიმდევრობის შეცვლა ყოველდღე სურს, თითოეულს წებოვანი სტიკერი მივაკრათ ან ფოტოებს ლამინირება გავუკეთოთ და უკანა მხრიდან ასაფხრენი სამაგრი მივამაგროთ.

ბოლოს სიას ჩავხედოთ და ვნახოთ, რის მერე რა ნაბიჯი მოდის. ამგვარად, წინასწარ შედგენილი სია საქმეს ჩვენ ნაცვლად გააკეთებს. პატარას მივუთითოთ: „ხედავ, სიაში შემდეგი რა მოდის?“, ან „სიაში წერია, რომ ამის შემდეგ კბილები უნდა გავიხეხოთ“.

როცა ბავშვი სიის შედგენაში მონაწილეობს, საკუთარ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობასაც იღებს.

დილა

საწოლის გასწორება

საუზმე

ჩაგმა

თმის დავარცხნა

კბილების გახეხვა

ფეხსაცმლის / კალთოს ჩაცმა



საღამო

ვახუშტი

ბანობა

კიშპის ჩაცმა

კბილების გახეხვა


ფეხის დაღვრა

თბალებში შესვლა / საფინის გამოცვლა

ფლავრის გაკეთება

ჩახუთება

ძილი



როგორ ჩავართოთ ბავშვი პროცესში

ასაკის შესაბამისად, მიეცით არჩევანის გაკეთების უფლება

ბავშვებს არჩევანის საშუალება უნდა მიეცეთ, რათა ურთიერთთანამშრომლობა წავახალისოთ. ცხადია, ისეთ სერიოზულ არჩევანს არ ვგულისხმობ, როგორიც, მაგალითად, სკოლის არჩევაა. ვსაუბრობ ასაკისთვის შესაფერის ყოველდღიურ არჩევანზე. შევთავაზოთ, აირჩიოს, რომელი ფერის მაისურის ჩაცმა უნდა (ასარჩევად სეზონის შესაბამისი ტანსაცმელი უნდა მიეცეთ); როცა საბანაოდ შედის, აბაზანაში კენგურუსავით ჩახტომა ურჩევნია თუ კიბორჩხალასავით გადაცოცება.

ეს პატარას აძლევს სიტუაციის კონტროლის და თანამონაწილეობის შეგრძნებას.

შენიშვნა: ზოგიერთ ბავშვს არჩევანის გაკეთება არ უყვარს. როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ამჯერადაც გირჩევთ, ისე მოიქცეთ, როგორც თქვენი პატარასთვის იქნება უკეთესი.

მიანოდეთ ინფორმაცია

იმის ნაცვლად, რომ მივუთითოთ: „ფორთხლის ქერქი ნაგვის ურნაში ჩააგდე!“, ინფორმაცია მივანოდოთ: „ფორთხლის ქერქის ადგილი ნაგვის ურნაშია“. შემდეგში თვითონ მიხვდება, რომ ქერქი ურნაში უნდა ჩააგდოს. ამას თავისი სურვილით გააკეთებს და არა – ჩვენი კარნახით.

გამოიყენეთ ერთი სიტყვა

ხანდახან, როცა ბავშვს მითითებას ვაძლევთ, მეტისმეტად ბევრ სიტყვას ვიყენებთ. „პარკში მივდივართ. ფეხსაცმელი უნდა ჩავიცვათ. ფეხსაცმელი ჩვენს ფეხებს იცავს. კარგია, თუ ჩავიცვამთ. სად არის შენი ფეხსაცმელი? უკვე ჩაიცვი?“ და ასე შემდეგ, დაუსრულებლად.

ეცადეთ, გამოიყენოთ ერთი სიტყვა – „ფეხსაცმელი“. ამ შემთხვევაში, ბავშვს მოუნებს, გაარკვიოს, რა უნდა ქნას და სიტუაციის გაკონტროლებას შეძლებს.

ზრდასრულები პატარებს პატივისცემით საესე საუბრის მაგალითს უნდა ვაძლევდეთ. ბავშვები ამას სწრაფად ითვისებენ. ერთხელ მთელი ოჯახი გარეთ გასასვლელად ვეზადებოდით და მეტისმეტად ვინრო შემოსასვლელში ვიცვამდით. ჩემმა ბიჭმა, რომელიც მაშინ 7 წლის იყო, მითხრა: „დედა, თასმები“. ძირს დავიხედე და აღმოვაჩინე, რომ მისი ფეხსაცმლის თასმებზე ვიდექი. ჩემს შვილს შეეძლო, ეყვირა: „დედააა! აუცილებლად ჩემს თასმებზე უნდა დაგებიჯებინა?!“.

ეს მაგალითი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ის, რასაც ვაკეთებთ, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რასაც ჩვენს შვილებს ვეუბნებით.

მიიღეთ ბავშვისგან თანხმობა


პროცესში ჩართვა პატარას უჩენს განცდას, რომ თვითონაც რაღაცის ნაწილია, ეს კი მასთან საერთო ენის გამონახვაში გვეხმარება. თუ ვიცით, რომ ბავშვს შინიდან გასვლა ან პარკიდან წამოსვლა არ უნდა, შეგვიძლია გავაფრთხილოთ, რომ ხუთ წუთში გავდივართ. შემდეგ შევამოწმოთ, რომ ნამდვილად გაიგო ჩვენი ნათქვამი და გეგმა შევადგინოთ. შეიძლება პატარამ ვერ გაიგოს, ხუთი წუთი ზუსტად რამდენია, თუმცა დროთა განმავლობაში ამას მიეჩვევა.

შესთავაზეთ: „როგორც ვხედავ, ფაზლებს აწყობ, ჩვენ კი ხუთ წუთში გავდივართ. ეშიშობ, წასვლამდე დამთავრებას ვერ მოასწრებ. როგორ გირჩევნია, რომ დავბრუნდებიო, მერე დაამთავრებ, თუ შევინახოთ და სხვა დროს ააწყობ?“

სათამაშო მოედნის დატოვებამდე შეახსენეთ: „წასვლამდე ხუთი წუთი დარჩა. რომელ საქანელაზე დაჯდები ბოლოჯერ?“

ბავშვისთვის რამის შესახსენებლად მაღვიძარას გამოყენება არ მიყვარს, რადგან დროთა განმავლობაში ეს მეთოდი გარეგან მოტივატორად გადაიქცევა ხოლმე. თუმცა, ხანდახან მისი გამოყენება დაგეხმარებათ, პატარასგან თანხმობა მიიღოთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ტაიმერის დაყენებაში მონაწილეობა თავადაც მიიღო. სიის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც თქვენ კი არა, ტაიმერი ატყობინებს, რომ დრო ამოიწურა.

როგორ ვესაუბროთ პატარას ისა, რომ მოგვიხმინოს



გამოიყენეთ დადებითი კონტექსტი

იმის ნაცვლად, რომ ბავშვს უთხრათ რა არ გააკეთოს, გამოიყენეთ დადებითი ფრაზები და ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რისი გაკეთება შეუძლია. „არ ირბინო“ (რა არ უნდა გააკეთოს) შეცვალეთ ფრაზით: „როგორც წესი, სახლში დავდივართ“ (რა გვინდა, გააკეთოს).

იმის ნაცვლად, რომ მივუთითოთ: „არა, მანდ არ აძვრე!“, უთხრათ: „ან ფეხები იატაკზე დაანყვე, ან ეზოში გადი და იქ იძრომიალე“.

ხშირად, როცა ბავშვს ვეუბნებით: „ნუ ყვირი!“, ტონს ჩვენც ვუნწევთ. თავდაპირველად მოგვბაძავს და ისიც გვიყვირებს, შემდეგ კი ზუსტად იმას გააკეთებს, რაც ავუკრძალეთ. ამიტომაც გირჩევთ, შესთავაზოთ (თუ გნებავთ, ჩურჩულითაც): „მოდი, ხმადაბლა ვილაპარაკოთ“.

ესაუბრეთ პატივისცემით

ჩვენი საუბრის ტონი ბავშვისადმი პატივისცემას უნდა გამოხატავდეს. დამიჯერეთ, წუნუნით ან მუქარით სავსე მკაცრი ხმა ჩვენს განზრახვას სულ სხვანაირად წარმოაჩენს. ასეთი ტონი არ გამოდგება ბავშვისადმი პატივისცემის საჩვენებლად.

კარგი იქნება, თუ დროდადრო გადავამოწმებთ, რამდენად მშვიდად ვსაუბრობთ (თვითდამშვიდების მეთოდებზე მე-8 თავში მოგიყვებით). ხანდახან შეგვიძლია ვიჩუროდეთ კიდეც და ჩვენი პატარა აუცილებლად ყურდაცქვეტილი მოგვისმენს.

სთხოვეთ დახმარება

პატარებს უყვართ, როცა პროცესში ვერთავთ. ასე რომ, თუ გვინდა, შინ შემოვიყვანოთ, შეგვიძლია ვთხოვოთ, გასაღები დაგვიჭირონ ან ჩანთის ნაწილებში დაგვეხმარონ; საყიდლებზე წასვლისას პროდუქტების დასურათებული სია მივცეთ, რომელზეც თვითონ იქნებიან პასუხისმგებლები (ფოტოები შეგვიძლია კულინარიული ჟურნალებიდან ამოვჭრათ ან თვითონ დავხატოთ). მიეცით უფლება, პროდუქტები თაროებიდან ჩამოიღოს, კალათიდან ამოალაგოს და დახლებზე დადოს.

ხშირად უთხარით „კი“

თუ „არას“ დღეში ასჯერ ვეტყვით, ბოლოს ბავშვი ამ სიტყვას საერთოდ აღარ მიაქცევს ყურადღებას. ჯობია, „არა“ ისეთი შემთხვევებისთვის შემოვინახოთ, როცა საქმე მის უსაფრთხოებას შეეხება.

როცა ზღვრის დაწესება გვინდა, ჯობია, ალტერნატიული გზა გამოვინახოთ და სათქმელი ისე მივანოდოთ, რომ დავეთანხმოთ.

დავუშვათ, ბავშვს კიდეც ერთი ორცხობილა უნდა, მაგრამ ჯერ პირველი არ დაუმთავრებია. შეგვიძლია მშვიდი ტონით ვუთხრათ: „კი, მეორე ორცხობილასაც აუცილებლად მოგცემ... ოღონდ ჯერ პირველი დაამთავრე“. თუ ორცხობილები აღარ დარჩა, ვუთხრათ: „კი, კიდეც გაქმევ, როცა მალაზიაში წავალთ. მოდი, საყიდლების სიაში ჩავწეროთ“.

დრო დაგვჭირდება, ვიდრე მუდმივად „არას“ თქმას გადავჩვევით. კარგი იქნება, თუ ჩავინიშნავთ ყველა შემთხვევას, როცა „არას“ ვამბობთ, გონებაში შევასწორობთ (თუ გნებავთ, მეგობართან ერთად) და დადებით პასუხად ვაქცევთ.

იხუმრეთ

ბავშვები იუმორზე კარგად რეაგირებენ, ამიტომ ხუმრობა მშვენიერი გზაა მათთან კავშირის განსამტკიცებლად.

ხანდახან, როცა პატარებს ჩაცმაში ვეხმარები და მიძალიანდებიან, თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს მათ ფეხსაცმელს ვიცვამ. მაშინვე სიცილი უტყდებათ და მეუბნებიან: „არა, სიმონ, ეს ჩემი ზომაა“. მერე კი დამოუკიდებლად იცვამენ.

იუმორი განსაკუთრებით მაშინ გამოგვადგება, როცა მოთმინებას ვკარგავთ. ნებისმიერი სულელური სიმღერის წალიღინებასაც კი შეუძლია, დაძაბულობა განმუხტოს და გაგვადიმოს. ხუმრობა კარგი საშუალებაა ყველაფრის თავიდან დასაწყებად.

როცა ბავშვი ყველაფერზე „არას“ გეუბნებათ


ადვილი მისახვედრია, როდის გადის ბავშვი ამ ფაზას. ჰკითხეთ, უნდა თუ არა ტუალეტში შესვლა, ჩაცმა ან შოკოლადი – ყველაფერზე „არას“ გიპასუხებთ.

ასეთ დროს ჯობია, მიდგომა შეცვალოთ და უთხრათ, რა ხდება, იმის ნაცვლად, რომ რამე ჰკითხოთ. მაგალითად, „ჭამის/ბანაობის/შინ წასვლის დროა“. ამის გაკეთება პატივისცემის ტონითაც შეიძლება. ესაუბრეთ თბილად, კეთილგანწყობილად, მაგრამ ყოველთვის თქვენ წარმართეთ პროცესი და უჩვენეთ, როგორ უნდა მოიქცეს.

აჩვენეთ

ხანდახან ჯობია, ავდგეთ და პირდაპირ ვაჩვენოთ, რას ვთხოვთ, იმის ნაცვლად, რომ ერთი და იგივე სხვა ოთახიდან ვუძეოროთ. თუ ბავშვი მაინც ვერ ხვდება, ფორთოხლის ქერქი სად უნდა წაიღოს, მივიდეთ ნაგვის ურნასთან, ფიზიკურად შევჩვენოთ, ვუჩვენოთ და მივუთითოთ: „ამაში ჩაყარე“.

მოქმედება უფრო მეტს ამბობს, ვიდრე – სიტყვები.



საკუთარი მოლოდინების მართვა

გქონდეთ ასაკისთვის შესაფერისი მოლოდინები და იყავით მზად

იმის მოლოდინი ნუ გვექნება, რომ ბავშვი ყოველთვის ისე მოიქცევა, როგორც გვინდა. ექიმის მოსაცდელში, კაფეში ან პატარებელში ჩუმად ჯდომა მისთვის, შესაძლოა, ძალიან რთული იყოს. გახსოვდეთ, პატარებს კვლევის, აღმოჩენის, მოძრაობისა და კომუნიკაციის დაუოკებელი სურვილი აქვთ, თანაც, ძალიან იმპულსურები არიან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი საქციელი ყოველთვის უნდა გავამართლოთ, არამედ იმას, რომ შეგვიძლია მზად ვიყოთ.

თავდაპირველად, შესაძლოა, მოლოდინი გაგვიცრუდეს – ვეღარ მოვახერხოთ ჟურნალის წაკითხვა, ტელეფონის შემოწმება ან დარეკვა. მზად იყავით, რომ როცა ბავშვი კაფეში ან რესტორანში მიგყავთ, შესაძლოა, ახმაურდეს. ამ დროს შეგვიძლია აჩვენოთ, როგორ ამზადებს კერძებს მზარეული ან იქვე მდგარი აკვარიუმი დაათვალიერებინოთ.

როდესაც თვითმფრინავში ჩასხდომას ელოდებით, აეროპორტის შენობის ფანჯრებთან დასხედით და პატარასთან ერთად ადევნეთ თვალი, როგორ ემზადება თვითმფრინავი ასაფრენად.

ეცადეთ, ყველაფრისთვის მზად იყოთ. არ დაგავინყდეთ, წინასწარ მოიმარაგოთ წყალი, საკვები, რამდენიმე საყვარელი წიგნი და სათამაშოებით სავსე პატარა ჩანთა. სადაც უნდა იყოთ, მზად იყავით, ბავშვს დაეხმაროთ და მასთან კავშირი არ დაკარგოთ.

ვიდრე რამეს თხოვთ, დაელოდეთ, დანყებული საქმე დაამთავროს

თუ ბავშვი ფაზლების ანყობითაა გართული და ამ დროს ვეტყვით, წასასვლელად მოემზადოს, დიდი შანსია, რომ ჩვენს თხოვნას ყურადღებას არ მიაქცევს. ასეთ დროს შეიძლება ვიფიქროთ, რომ არ გვიჯერებს.

როცა მსგავს სიტუაციაში ვხვდები (მაგალითად, წერილს ვწერ და ამ დროს ვიღაც ხელს მიშლის), ვლიზიანდები. მინდა, ჯერ ეს საქმე დავამთავრო და შემდეგ გადავიდე სხვა ამოცანის შესრულებაზე, რათა შევძლო და მასაც მთელი ყურადღება დავუთმო.

ასე რომ, თუ გვინდა, ბავშვმა ქამოს ან ტუალეტში შევიდეს, ჯობია, მოვიცადოთ, ვიდრე დანყებულ საქმეს დაასრულებს და შემდეგ უკვე თამამად ეუთხრათ, რაც გვინდა.

მიეცით დრო გააზრებისთვის

პატარებს (შედარებით მოზრდილებსაც) ნათქვამის გასააზრებლად გარკვეული დრო სჭირდებათ.

დავუშვათ, პიჟამას ჩაცმა ვთხოვეთ და პასუხი ვერ მივიღეთ. ასეთ დროს გონებაში ათამდე ნელა დავითვალთ. ეს დაგვეხმარება, მოვიცადოთ, ვიდრე ბავშვი ნათქვამის გააზრებას შეძლებს.

ვიდრე სამამდე ან ოთხამდე დავითვლიდი, ალბათ თხოვნა უკვე ორჯერ მექნებოდა ხმამაღლა გამეორებული, შეიძამდე მისვლისას კი – სამჯერ, როდესაც გონებაში რვამდე ან ცხრამდე ვიყავი ასული, ვამჩნევდი, რომ ბავშვი რეაგირებას იწყებდა.

მართალი არაა, რომ პატარები არ გვისმენენ, უბრალოდ, ნათქვამის გასააზრებლად მეტი დრო სჭირდებათ.

მიჰყევით ყოველდღიურ რუტინას

არ იფიქროთ, რომ ბავშვს ყოველდღე ერთი და იმავე რიტმით ცხოვრება არ მოსწონს. ასე ჩვენც მარტივად შეგვიძლია გავაკონტროლოთ რეჟიმი: გაღვიძება, ჩაცმა, საუზმე, შინიდან გასვლა, ნახემსება, შუადღის ძილი, სადილი, ბანაობა, დასაძინებლად მომზადება. აუცილებელი არაა, მკაცრად განვირგოთ მივყევით, მაგრამ რაც უფრო თანმიმდევრულია რუტინა, წინააღმდეგობა მით უფრო სუსტდება (ყოველდღიურ რეჟიმს უფრო დეტალურად მე-7 თავში განვიხილავთ).

დამატებითი რჩევა



წარწერების გამოყენება

მიუხედავად იმისა, რომ პატარების უმრავლესობამ კითხვა არ იცის, პატარ-პატარა მინაწერები მაინც დაგვეხმარება. შეგვიძლია დავეწეროთ „აძრომა არ შეიძლება“ და ფურცელი მაგიდაზე მოვათავსოთ. შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, წარწერაზე მივა-ნიშნებთ. წერილობითი ფორმით გადმოცემულ ინფორმაციას უფრო დიდი ავტორიტეტი აქვს. წესს წარწერა აწესებს და არა – ზრდასრული, რომელიც მას, უბრალოდ, იმეორებს. წესი კი ყოველთვის ურყევია.

წარწერების გამოყენება სამზარეულოშიც შეგვიძლია. მაგალითად, ლუმელის ჩართვი-სას პატარას მივუთითოთ გამაფრთხილებელ ნიშანზე, რომელზეც ეწერება: „ცხელია“. ამით შევახსენებთ, რომ ლუმელთან მიახლოება და მასთან შეხება საშიშია.

ასეთი წარწერები მაშინაც შეგვიძლია გამოვიყენოთ, როდესაც ბავშვმა კითხვა ჯერ არ იცის. თუმცა, გირჩევთ, აქაც ზომიერება დაიცვათ. როცა სახლი მინაწერებითაა აჭრელებული, გავლენას აუცილებლად დაკარგავს.

წარწერების გამოყენების კიდევ ერთი გზა დღიურია. თუ ბავშვი გაბრაზებულია, რომ რაღაც ისე არ მოხდა, როგორც წარმოედგინა, შეგვიძლია ეს დღიურში ჩავიწეროთ და ნახატებიც მივახატოთ. ამით პატარას ვაგრძნობინებთ, რომ ვუსმენთ და მისი გვესმის. ხანდახან მხოლოდ ესაა ის, რაც სჭირდებათ.

იდეები თანამშრომლობის უნარის გასაღვივებლად

გადავჭრათ პრობლემა ბავშვთან ერთად

- ჰკითხეთ: „როგორ გადავჭრათ ეს პრობლემა?“
- შეადგინეთ სია.

როგორ ჩავართოთ ბავშვი პროცესში

- მიეცით ასაკის შესაფერისი არჩევანი.
- მიაწოდეთ ინფორმაცია.
- გამოიყენეთ ერთი სიტყვა.
- მიიღეთ ბავშვისგან თანხმობა.

როგორ ვესაუბროთ პატარას ისე, რომ მოგვისმინოს


- გამოიყენეთ დადებითი კონტექსტი.
- ესაუბრეთ პატივისცემით.
- სთხოვეთ დახმარება.
- ხშირად უთხარი „კი“.
- იხუმრეთ.
- როცა ბავშვი ყველაფერზე „არას“ გპასუხობთ, შეცვალეთ ენა.
- აჩვენეთ.

საკუთარი მოლოდინების მართვა

- გქონდეთ ასაკისთვის შესაფერისი მოლოდინი და მზად იყავით.
- ვიდრე რამეს სთხოვთ, ეცადეთ, დაელოდოთ, დაწყებული საქმე დაამთავროს.
- მიეცით დრო გააზრებისთვის.
- მიჰყევით ყოველდღიურ რუტინას.

დაშატაბითი რჩევა

- გამოიყენეთ წარწერები



საზღვრების დანესება

დავეხმაროთ ბავშვს, აიღოს პასუხისმგებლობა

ბავშვთან ურთიერთობა მუქარის, ქრთამისა და სასჯელის გარეშე შესაძლებელია. მაგრამ თუ პატარა თანამშრომლობაზე მაინც უარს ამბობს, დროა, ზღვრის დანესება ვისწავლოთ.

მონტესორის სისტემაში ეს ბავშვზე ზრუნვის ყველაზე რთული ნაწილია. პატარას საკმარისი თავისუფლება უნდა მიეცეთ, რათა ცნობისმოყვარეობა გამოავლინოს და სამყარო იკვლიოს, მაგრამ – გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში. დადგენილი წესების დაცვით მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფთ. გარდა ამისა, პატარა სწავლობს სხვების პატივისცემას და მომავალში საკუთარი საზღვრების დანესებასაც მარტივად შეძლებს.

ნიდერლანდებში შევამჩნიე, რომ აქაურები (რა თქმა უნდა, ზოგადად ვგულისხმობ) ამას ძალიან ბუნებრივად აკეთებენ. იშვიათად მხედვება ნიდერლანდელი მშობელი ან აღმზრდელი, რომელსაც ბავშვთან ბრძოლა უნევს, ან მასთან ისეთი კამათი მოსდის, რომ ყვირილზე გადადის. ზოგჯერ მხედვებიან მშობლის ველოსიპედის უკანა სკამზე შემომსხდარი ბავშვები, რომლებიც ტირიან, ზრდასრულები კი სიმშვიდეს ინარჩუნებენ, გზას აგრძელებენ და პატარებს თბილი სიტყვებით ამშვიდებენ.

გასწავლით, როგორ დაანესოთ ზღვარი ისე, რომ არ დაკარგოთ პატივისცემა არც ბავშვის და არც ოჯახის წევრების მიმართ.

საზღვრების დანესების უნარი პრაქტიკით გამოიუშავდება და ახალი ენის შესწავლას ჰგავს. საქმე გაგვიადვილდება, თუ იმ ადამიანების რჩევებს მოვისმენთ, რომლებიც ბავშვებს ამ მიდგომით ზრდიან. შეგვიძლია ერთმანეთს გამოცდილება გავუზიაროთ და სირთულეებიც განვიხილოთ. შეცდომის დაშვებისას ერთმანეთს შევახსენოთ, რომ იმას ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია და მიღებულ გამოცდილებას ისე შევხედოთ, როგორც ბავშვისთვის ბოდიშის მოხდის კიდევ ერთ შესაძლებლობას.

საზღვრების დანესება ნორმალურია

ჩემი შვილები რომ პატარები იყვნენ, მეგონა, მხოლოდ მათი გაბედნიერება მევალებოდა. გულწრფელად რომ გითხრათ, ეს ყველაზე მარტივია. მშობლებს გვევალება, შვილებს ყველა სირთულესთან გამკლავებაში დავეხმაროთ – მათთან ერთად ვიზიგმოთ, დავეხმაროთ იმედგაცრუების გადალახვაში; მათ გვერდით ვიყოთ სიხარულისა და მწუხარების დროს.


ხანდახან, მათივე უსაფრთხოებისთვის, საზღვრების დანესება გვინევს. ჩარევა აუცილებელია იმისათვის, რომ ისწავლონ პატივისცემა და ჰქონდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა.

საზღვრების დანესება არც ისე მარტივია. შესაძლოა, პატარას ეს არ მოეწონოს. მაგრამ, როდესაც საზღვარს გულისხმიერად და სიყვარულით ვანესებთ, ბავშვი რწმუნდება, რომ მისთვის მხოლოდ საუკეთესო გვინდა და ჩვენი კავშირი უფრო მტკიცდება.

რთული პერიოდები ბიროვნულ ზრდაში გვეხმარება. მათი გადალახვით ჩვენი პატარებიც იზრდებიან. რა მშვენიერია, რომ ბავშვები გრძნობენ, როგორ ძლიერ გვიყვარს ისინი, მაშინაც კი, როცა ტანტრუმი ეწყებათ, თმას გვანინკნიან ან ჩაცმასე უარს ამბობენ.

დაანახეთ მკვეთრი საზღვარი

დაანახეთ შინ ქცევის წესები



პატარებს განსაკუთრებით სჭირდებათ წესრიგი. აუცილებელია, იცოდნენ, რას უნდა ელოდონ; უნდა იცოდნენ, რომ რაღაცები არ იცვლება; რომ შეუძლიათ, მშობელთან თავი დაცულად იგრძნონ, იმის მიუხედავად, გამოძინებულია ზრდასრული თუ საათში ერთხელ უწევდა ღამით გაღვიძება.



მეტისმეტად ბევრი შეზღუდვის დანერგვა დიქტატურაში გადაგვეზრდება, ამიტომ უკეთესია იქნება, თუ შინ მოქცევის რამდენიმე მნიშვნელოვან წესს შემოვიღებთ და მათ მიეცემათ. მარტივი წესები უსაფრთხო და ჰარმონიული ოჯახური გარემოს შექმნაში დაგვეხმარება. საზოგადოებაშიც ხომ არსებობს კანონები, რომლებსაც ყველა ვიცავთ.

რამდენ ჩვენგანს გვაქვს შემუშავებული ასეთი წესები? იქნებ მაცივარზე მივაკარით ან ჩარჩოში ჩავსვით და მისაღები ოთახის კედელზე დავკიდეთ? იქნებ თითოეულ წესზე ოჯახის წევრებთან ერთად ვიმსჯელებთ?

როცა სემინარებზე მშობლებს ამგვარ კითხვებს ვუსვამ, ვხვდები, რომ უმრავლესობას ამ საკითხზე არასდროს უფიქრია. ეს იმას ნიშნავს, რომ წესებს ჰაერზე ვისვრით და წამიერად ვიგონებთ. ასეთი წესების დამახსოვრება არათუ პატარებისთვის, ჩვენთვისაც კი რთულია. წარმოიდგინეთ, საგზაო წესები ყოველდღიურად რომ იცვლებოდა – შექნიშნის წითელი ფერი ზოგჯერ გაჩერებას ნიშნავდა, ზოგჯერ კი – სიარულს. რა გასაკვირია, რომ ბავშვები იზნევიან, როცა აზრს ყოველ წუთს ვიცვლით.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე წესი. სასურველია, თითოეული თქვენს ინდივიდუალურ საჭიროებებს მოარგოთ და ისე გამოიყენოთ.

შინ ქცევის წესების მაგალითები

- **ერთმანეთის მიმართ ვიჩენთ თავაზიანობას.** ეს იმას ნიშნავს, რომ უთანხმოების შემთხვევაშიც კი არავის არაფერს ვუშავებთ და არავის დავცინით. ამით ბავშვი სწავლობს როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების პატივისცემას.
- **ვჭამთ მაგიდასთან.** ეს პრაქტიკული წესი კრძალავს საჭმლით სიარულს სახლში, გვახსენებს იმასაც, რომ ჭამა და თამაში ერთდროულად არ შეიძლება და იმასაც, რომ ჭამა დროის ერთად გატარების კიდევ ერთი შანსია.
- **საშინაო საქმეებში ერთმანეთს ვეხმარებით.** ასაკის მიუხედავად, საშინაო საქმეებში ერთმანეთს ვეხმარებით და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

- უხეშად თამაში მხოლოდ ორმხრივი შეთანხმების შემდეგ შეიძლება. პატარებს ამ წესის სრულყოფილად გაგება უჭირთ, მაგრამ არსს მაინც ხვდებიან: თუ ვინმე გეუბნება: „გაჩერდი“, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც არ სიამოვნებს და თამაში უნდა შეწყვიტო.

ეს ძირითადი წესები ის ფუნდამენტია, რომელსაც ყოველთვის დაეყრდნობით. ბავშვის ზრდასთან ერთად, შეგიძლიათ რაღაცები შეცვალოთ, ოღონდ – არა კამათისას. შეარჩიეთ ნეიტრალური დრო (იდეალურ შემთხვევაში, დაგეგმეთ).

იყავით თავაზიანი და პრინციპული

„თუ რაღაცას ამბობ, გააკეთე. თუ აკეთებ, იმოქმედე თავაზიანად და მტკიცედ“.

- ჯინ ნელსენი, „პოზიტიური დისციპლინა: პირველი სამი წელი“

თუ ჩვენი მცდელობების მიუხედავად ბავშვი თანამშრომლობაზე უარს ამბობს, გადავიდეთ თავაზიან, თუმცა პრინციპულ მოქმედებაზე.

დავუშვათ, საფენის გამოცვლაზე უარს ამბობს, საჭმელს ძირს ყრის ან სათამაშო მოედნიდან წამოსვლას აპროტესტებს. ასეთ დროს ვაგრძნობინებთ, რომ მისი ემოციები გვეხმის, თუმცა, ზომების მიღება საჭიროა. ჩვენ ხომ ლიდერები ვართ – პატივსაცემი ლიდერები.

როცა ბავშვს ვეხებით, ამას ნაზად ვაკეთებთ. ვიყვანთ ხელში და სიტუაციას მოკლედ ვუხსნით; ვუცვლით საფენს; ვებმარებთ, თეფში სამზარეულოში გაიტანოს; მოგვყავს პარკიდან; ვანესებთ მკაფიო საზღვარს, ოღონდ ამას სიყვარულით ვაკეთებთ.

იმოქმედეთ თანმიმდევრულად და ბავშვის ასაკის შესაბამისად

ნებისმიერი შედეგი ლოგიკურად უნდა მოჰყვებოდეს კონკრეტულ ქმედებას. როდესაც ჩვენი ქმედებები არაა მიზნუბედოვრივი, პატარებს უჭირთ ლოგიკის პოვნა – ვერ ხვდებიან, რატომ ვერ წავლენ პარკში ან რატომ ვერ მიიღებენ ნაყინს, თუ არ დაგიჯერებენ.

ერთხელ თვითმფრინავში გავიგონე, როგორ ეუბნებოდა მამა შვილს: „თუ წესიერად არ მოიქცევი, თვითმფრინავს უკან მივაბრუნებთ და შინ დავბრუნდებით“. ასეთი მუქარის შესრულება ხომ შეუძლებელია.

გირჩევთ, დაივიწყოთ ე. წ. საქებარი სტიკერებიც. სერიოზულად. ეს ქრთამია და სხვა არაფერი.

ამის ნაცვლად, უფრო თანმიმდევრულად მოიქეცით. თუ პატარა შინ ბურთით თამაშობს, არადა, გავაფრთხილეთ, რომ შეეწყვიტა, ლოგიკური იქნება, ბურთი ჩამოვართვათ და დავაკვირდეთ, შემდეგში ამ წესს რამდენად დაიცავს.

მეტი სიცხადისთვის ერთ ამბავს მოგიყვებით. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჩემი

შვილები უკვე მოზრდილები იყვნენ, მაინც ნათლად დაინახავთ, რას ნიშნავს ლოგიკური, მიზანმიმართული და თავაზიანი ქმედება.

ბავშვები მაშინ 7 და 8 წლისანი იყვნენ. ბეკფიეტს¹ მივდიოდით. ჩხუბობდნენ და ერთმანეთის პირად სივრცეში იჭრებოდნენ. მალე ფეხებზე დაბიჯებაც დაუწყეს ერთმანეთს. ველოსიპედის მართვაში ხელს მიშლიდნენ, ამიტომ ვთხოვე, გაჩერებულიყვნენ. არცერთმა ყური არ შეიბერტყა, ამიტომ ველოსიპედი მშვიდად გავაჩერე და ორივეს მოვთხოვე, გადმოსულიყვნენ. ვუთხარი, რომ ვიდრე არ დამშვიდდებოდნენ, ფეხით მოუწევდათ სიარული.

იმ მომენტში თავაზიანად და მტკიცედ მოქმედება რთული იყო. თავდაპირველად ძალიან გაბრაზდნენ, მაგრამ ტონი მაინც არ შემიცვლია. ვუთხარი: „როგორც ვხედავ, გაბრაზდით, ველოსიპედიდან რომ გადმოგსვით“. მცირეხნიანი სიარულის შემდეგ ვკითხე, იყვნენ თუ არა მზად, კიდევ ერთხელ გვეცადა. ამის შემდეგ ვერც ერთ შემთხვევას ვეღარ ვინსენებ, მსგავსად რომ მოქცეულიყვნენ.

დაანესეთ საზღვრები ნათლად და გასაგებად

საზღვრების დაწესების დროს, სასურველია, ვუთხრათ: „ვერ მოგცემ უფლებას, ...“, „ვაპირებ, ესა და ეს გავაკეთო“. ამით ნათლად ვაჩვენებთ ჩვენს როლს. მიმართვის ასეთი ფორმებით პატივისცემასაც გამოვხატავთ. თუ გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ბავშვმა ნათქვამი ნამდვილად გაიგო, ახლოს მივიდეთ, მის სიმაღლეზე დავიხაროთ და გავუმეოროთ:

- „ვერ მოგცემ უფლებას, სათამაშო მეგობარს ასე წაართვა. ახლა ნაზად შეგეხები და სათამაშოს გამოგართმევ“.
- „ვერ მოგცემ უფლებას, ვინმეს დაარტყა. სხვა ადგილას გადაგიყვან“.
- „აქ ბალიშს დავდებ, რომ არაფერი დაიშავო“.
- „ვაპირებ, დაგანვინო. თუ კბენა მოგნონს, შეგიძლია ეს ვაშლი ჩაკბირო“.

წესების ყოველდღე გამეორება საჭირო არაა

როგორც კი ბავშვი წესებში გაერკვევა, მათი ყოველდღე ახსნა და გამეორება საჭირო აღარაა.

დავუშვათ, ჭამის დროს პატარა საკვებს ძირს ყრის, ჩვენ კი გამუდმებით ვუმეორებთ, რომ საჭმლის ძირს დაყრის უფლებას ვერ მივცემთ და საკვები იმისთვისაა, რომ შეჭამოს. არაა საჭირო, ვაჭრობა დავუწყოთ და ნაირ-ნაირი შანსი მივცეთ.

თუ ასეთი ქცევა გაგრძელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკლები უნდა ვილაპარაკოთ და თავაზიან, მკაფიო ქმედებაზე გადავიდეთ. მაგალითად, უთხარით: „როგორც ჩანს, მეტის ჭამა აღარ გინდა, ამიტომ თეფში სამზარეულოში მიმაქვს“.

¹ Bakfiets – ველოსიპედი წინ მისაბმელით, რომელშიც ოთხი ბავშვის მოთავსებაა შესაძლებელი.

დაანესეთ უსაფრთხოებისთვის აუცილებელი საზღვრები

თუ ბავშვი რაიმე სახიფათოს აკეთებს, აუცილებლად უნდა ჩაგერიოთ. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა „არას“ თამამად ვამბობთ. ეს გვეხმარება, საშინ სიტუაციაში პატარას ყურადღება მივიქცეოთ.

სახიფათოა: ცხელზე შეხება, ელექტროსადენებთან მიახლოება, გზაზე გადარბენა, ქუჩაში ზრდასრულის გარეშე გასვლა, ფანჯრის სიახლოვეს თამაში.

ხელში აიყვანეთ და უთხარი: „არა, ამასთან შეხების უფლებას ვერ მოგცემ“, შემდეგ კი ადგილს გაარიდეთ.

თუ ბავშვი მაინც იმ ადგილას ბრუნდება, იმავეს გამეორება მოგიწევს. ასეთ შემთხვევებში ვცდილობ, გარემო შევცვალო და სახიფათო ნივთები დავშალო – დავფარო ელექტროგაყვანილობა დივნით, გადავიტანო მინის კარადა ისეთ ოთახში, რომლის კარიც იკეტება და ა. შ.

თუ ბავშვი იცინის, როდესაც საზღვარს უწესებთ

რთულია, თავი შეიკავო, როცა ბავშვი საზღვრის დანესების მომენტში იცინის. გირჩევთ, ამ შემთხვევაშიც თავაზიანად და პრინციპულად იმოქმედოთ. შესაძლოა, პატარა მიჩვეულია, რომ მის სიცილზე ღიზიანდებით. სიმშვიდე შეინარჩუნეთ და უთხარი: „შენ ახლა ერთობი, მაგრამ უფლებას ვერ მოგცემ, შენს ძმას/დას ავნო“.

მიიღეთ უარყოფითი ემოციები

სავარაუდოდ, ბავშვი უკმაყოფილებას გამოთქვამს, როცა შეზღუდვას დაუწესებთ. ასეთ დროს, უბრალოდ, მიიღეთ პატარას ემოციები და მოვლენებს მისი თვალით შეხედეთ.

გამოიცანით, რას გრძნობს ბავშვი

„არაძალადობრივი კომუნიკაციის“ წყალობით, ვისწავლე, როგორ გამოვიცნო ბავშვის ემოციები, იმის ნაცვლად, რომ, უბრალოდ, სახელები დავარქვა.

- „როგორც ჩანს, ...“
- „იმის თქმა გინდა, რომ ...?“
- „გრძნობ, რომ ...?“
- „თითქოს ...“
- „ფიქრობ, ...“

ჰკითხეთ ბავშვს, გულდანყვეტილი ხომ არ არის და გამოიცანით, რას გრძნობს („იმის თქმა გინდა, რომ გეწყინა, პარკიდან რომ მივდივართ?“), ან აღწერეთ, როგორ გამოიყურება („გაბრაზებული მეჩვენები“).

შეიძლება არასწორად გამოიყენოთ, მაგრამ არა უშავს. შესაძლოა, პატარამ საპასუხოდ გიყვიროთ: „არ ვარ გაბრაზებული!“ ან „გული არ მწყდება!“. გახსოვდეთ, ამით ბავშვს ეხმარებით, გაერკვეს საკუთარ ემოციებში.

იყავით კომენტატორი

ეს ტექნიკა პირველად ჯენეტ ლენსბერისგან¹ ვისწავლე. სპორტული კომენტატორის მსგავსად, ჩვენც შეგვიძლია, უბრალოდ, აღვწეროთ ფაქტები (როგორც დაკვირვების დროს ვიქცევით). ეს გვეხმარება, რთულ პერიოდებში ემოციურად გავემიჯნოთ სიტუაციას და სწორი სახელი მოვუძებნოთ მომხდარს. ამგვარი დამოკიდებულება არ მოგვცემს საშუალებას, თავით შევეჯახოთ პრობლემას.

შეგიძლიათ პატარას მიმართოთ: „საქანელას მაგრად ეჭიდები. ნაზად გეხები და ხელებს გაშვებინებ. გულში გიკრავ და ასე ვტოვებთ პარკს“.

მიეცით ძლიერი ემოციების გამოხატვის უფლება

ბავშვების ემოციების მიღება მაშინაც შეგვიძლია, როცა რაღაც ისე არ ხდება, როგორც წარმოედგინათ (მაგალითად, როცა ისეთი რაღაცის ჩაცმა უნდათ, რაც არ შეიძლება). აცადეთ, იბოხოქრონ. თუ უფლებას მოგცემენ, ჩაეხუტეთ, თუ არა, ყურადღება მიაქციეთ, რომ უსაფრთხოდ იყვნენ. როცა დამშვიდდებიან, ჩახუტება კვლავ შესთავაზეთ.

დაე, ბავშვმა ყველა ემოცია თავისუფლად გამოხატოს, მათ შორის – ყველაზე უარყოფითიც. აჩვენეთ, რომ მაშინაც გიყვართ, როცა ცუდად იქცევა. ეცადეთ, დამშვიდებულს უკვე ბოდიშს მოხდაში დაეხმაროთ.

რჩევა

შევამჩნიე, რომ როცა პატარები მშვიდდებიან, ღრმად სუნთქვას იწყებენ. დააკვირდით ასეთ ფიზიკურ სიმპტომებს. ისინი გიკარნახებთ, დამშვიდდა თუ არა ბავშვი.

როგორ გავუმკლავდეთ ტანტრუმს

როცა ბავშვს ტანტრუმი (ბრაზისა და გაღიზიანების უეცარი შეტევა) ემართება, ამით გვეუბნება, რომ მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც წარმოედგინა; უნდა გავაცნობიეროთ, რომ პატარას უჭირს. შეიძლება რაღაც დააშავა, მაგრამ ასეთ დროს, უპირველესად, მის დამშვიდებაზე ზრუნვა გვევალება.

¹ ავტორი წიგნებისა – „არ არსებობს ცუდი ბავშვი“, „როგორ ვიზრუნოთ ბავშვზე“

ძალიან მომწონს დენიელ სიგელის¹ და თინა პეინ ბრაისონის² ნიგნში – „გონიერი ბავშვი“ – მოცემული შედარება – გაბრაზებული ბავშვი სახურავადილ სახლს ჰგავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტვინის ზედა ნაწილი (დიდი ნახევარსფეროს ქერქი), რომელიც რაციონალურ გადაწყვეტილებებსა და თვითკონტროლზე პასუხისმგებელი, ბავშვისთვის მიუწვდომელი ხდება.

რა ახსნა-განმარტებაც უნდა შევთავაზოთ ამ დროს, მაინც ერთ ყურში შეუშვებს და მეორიდან გამოუშვებს. ამიტომ, თავდაპირველად „სახურავის“ თავის ადგილას დაბრუნებაზე უნდა ვიზრუნოთ – ანუ დავეხმაროთ, დამშვიდდეს.

შესთავაზეთ ჩახუტება, მაგრამ მზად იყავით, რომ შეიძლება უარი მიიღოთ. ზოგ ბავშვს ჩახუტება ამშვიდებს, ზოგს კი არ უყვარს. თუ პატარა ჩახუტებაზე უარს გეუბნებათ, საკმარისია, უბრალოდ, დარწმუნდეთ, რომ უსაფრთხოა.

ამგვარი „ემოციური აფეთქება“ ნორმალურია. იმის ნაცვლად, რომ მოვთხოვით, რთული ქცევა რაც შეიძლება სწრაფად შეწყვიტოს, ვაცადოთ, ვიდრე ყველა ემოციას გამოხატავს; ვაჩვენოთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მზად ვართ; მივცეთ დრო დამშვიდებისთვის და როგორც კი დანყნარდება, ბოდიშის მოხდაში დავეხმაროთ. სულ ესაა.

პატარას ტანტრუმი შეიძლება ქუჩაში, სუპერმარკეტში ან პარკში დაემართოს. არა უშავს, ნუ აღელდებით. გადაიყვანეთ გზიდან და მიეცით დრო, დამშვიდდეს. სიმშვიდე შეინარჩუნეთ და არ დააჩქაროთ პროცესი; ნუ ეცდებით ბავშვის ყურადღების გადატანას სხვა რამეზე; აცადეთ, ემოციები ბოლომდე გამოხატოს.

ერთხელ ჩემმა 2 წლის ბიჭმა, რომელიც ჩაცმას აპროტესტებდა, 45-წუთიანი ტანტრუმი მოაწყო – საშინლად გაბრაზდა, მერე მოიწყინა და შერცხვა. ერთდროულად უამრავი ემოცია განიცადა. მთელი ეს დრო მშვიდად ვიყავი და მასთან კონტაქტი არ გამინწყვტია (ალბათ ამის შემდეგ ჩვენი კავშირი კიდევ უფრო გამყარდა, რადგან მიხვდა, მაშინაც მიყვარდა, როცა გაბრაზებული იყო). საბოლოოდ, ნელ-ნელა ტირილს უკლო და ღრმად ამოისუნთქა: „ახლა მზად ვარ, ჩავიცვა“.

იმ დღეს სადმე სასწრაფოდ რომ ვყოფილიყავით წასასვლელები, ჩაცმაში დავეხმარებოდი და რაც შეიძლება ფრთხილად ვიმოქმედებდი; გამოვიყენებდი კომენტატორის ტექნიკას, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენე და ვეტყვოდი: „ჩაცმა გიჭირს? თუ გინდა, შენით ჩაიცვი ან დაგეხმარები. ვხედავ, ჩემი დახმარება გჭირდება. ხელებს სწევ, რადგან არ გინდა, სახელოში გაუყარო. მოდი, მაისურს თავზე ნაზად გადაგაცვამ. ცდილობ, მოიძრო. გმაღლობ, რომ მითხარი, როგორ გიჭირს“.

¹ ამერიკელი ფსიქიატრი, Mind sight institute-ის თანადამფუძნებელი. მეტი ინფორმაციისთვის ენციკლ ვებგვერდს: drdanschiel.com.

² ფსიქოთერაპევტი, მკვლევარი, The Center for Connection-ის აღმასრულებელი დირექტორი. მეტი ინფორმაციისთვის ენციკლ ვებგვერდს: tinabryson.com.

სწორია თუ არა ტანტრუმის იგნორირება?

ბევრისგან მსმენია, რომ ჯობია, ტანტრუმს საერთოდ არ მივაქციოთ ყურადღება. ასეთი მიდგომა გულისხმობს, რომ თუ ბავშვს დავეხმარებით ან არასასურველ ქმედებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, მას წავახალისებთ.

ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები.

წარმოიდგინეთ, რომ მეგობარს მოუყევით, რა საშინლად იფრინეთ; როგორ დაგიკარგეს ბარგი, ავიაკომპანიამ იმედი როგორ გაგიცრუათ; რომ არანაირი დახმარება არ შემოუთავაზებიათ. თუ მეგობარი ყურადღებას არ მოგაქცევთ და ოთახიდან გავა, იფიქრებთ, რომ საერთოდ არ აღელვებს თქვენი ამბავი. ძალიან გაბრაზდებით, რადგან გინდოდათ, თქვენთვის მოესმინა, დაემშვიდებინეთ და დახმარება შემოეთავაზებინა.

ტანტრუმის იგნორირებისას ბავშვის ემოციების ადრესატი ჩვენ ვხდებით და არა – პრობლემა, რომელმაც ეს ემოციები გამოიწვია. ეს კი წარმოშობს კონფლიქტს სწორედ იმ დროს, როცა პატარას ყველაზე მეტად სჭირდება მხარდაჭერა.

მშვიდი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ბავშვს საშუალებას აძლევს, ემოციები თამამად გამოხატოს. არასდროს შეეშინდება ჩვენ წინაშე ეს გააკეთოს, რადგან ეცოდინება, რომ ნებისმიერ შემთხვევაში – მაშინაც კი, როცა მისი ემოციები ძლიერია – მშვიდად ვიქნებით. დროთა განმავლობაში გამოხატვის უფრო ჯანსაღ ფორმებსაც მიაგნებს.

მოუწყვეთ „მშვიდი კუთხე“

წიგნში – „პოზიტიური დისციპლინა: პირველი სამი წელი“ – ჯეინ ნელსენი გვითხრობს, როგორ მოვანყოთ „მშვიდი კუთხე“ 3+ ასაკის პატარებისთვის. ეს უნდა იყოს ადგილი, რომელიც სავსე იქნება მათი საყვარელი ნივთებით; ადგილი, რომელსაც თავს შეაფარებენ ყოველთვის, როცა დამშვიდება დასჭირდებათ. პატარები თვითონ გადაწყვეტენ, როდის შევიდნენ იქ და – რამდენი ხნით. რაც მთავარია, „მშვიდი კუთხე“ არაა დასჯის ფორმა.

თუ ხედავთ, რომ ბავშვი გაბრაზებულია, შესთავაზეთ: „გინდა, შენს მშვიდ კუთხეში წახვიდე და დამშვიდდე?“, ანდა: „მშვიდ კუთხეში ერთად ხომ არ წავსულიყავით?“. თუ პატარა უარზეა და ხვდებით, რომ დამშვიდება თქვენ უფრო გჭირდებათ, უთხარით: „მშვიდ კუთხეში მე წავალ“.

ამ ნაბიჯის მიზანია, ბავშვს დავეხმაროთ, რაც შეიძლება სწრაფად დამშვიდდეს.

როგორც კი დამშვიდდება, აღვადგინოთ ურთიერთკავშირი

ბავშვი დამშვიდებისთანავე შეძლებს მომხდარზე საუბარს. ჩახუტება კვლავ შესთავაზეთ ან დაელოდეთ, ვიდრე თვითონ გთხოვთ. მიიღეთ მისი ემოციები და მოვლენები მისი თვალთ დაინახეთ. ეცადეთ, გამოხატოთ თანაგრძნობა: „ოჰო! შენთვის როგორი რთული ყოფილა. როგორც მივხვდი, არ მოგეწონა. ძალიან გაბრაზებული ჩანდი“.

დავეხმაროთ პატარას შეცდომების გამოსწორებაში

„როცა პატარა დამშვიდდება, შეცდომები აუცილებლად უნდა გამოასწოროს – ძირს დაყრილი ნივთები აიღოს, დახეული ფურცლები მოაგროვოს და გადაყაროს, ბალიშები საწოლზე ან დივანზე დააბრუნოს. ზრდასრულს შეუძლია დახმარება შესთავაზოს. კარგი იქნება, სხვა მხრივაც თუ დავეხმარებით – მაგალითად, შევაკეთებთ გატეხილ სათამაშოს. ეს უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული გაკვეთილია, რომლითაც ბავშვი შეცდომის გამოსწორებას სწავლობს“.

- ჯეინ ნელსენი, „პოზიტიური დისციპლინა: პირველი სამი წელი“

როგორც კი ბავშვი დამშვიდდება, შევეცადოთ, შეცდომის გამოსწორებაში დავეხმაროთ. ამით პატარა პასუხისმგებლობის აღებას სწავლობს. აღდგენითი სამართალი (როგორ გამოვასწორო?) გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სასჯელი (რამის ჩამორთმევა).

მიიღეთ ბავშვის ყველა ემოცია (მათ შორის, ძლიერ უარყოფითიც), დაეხმარეთ დამშვიდებაში, სოლო როგორც კი მზად იქნება, ასწავლეთ, როგორ აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე.

თუმცა, თუ ვიჩქარებთ, პატარა წინააღმდეგობას გაგვიწევს და არაფრის გამოსწორება არ მოუწდება. ამიტომ, ჯობია, ჯერ დავრწმუნდეთ, რომ ნამდვილად დამშვიდდა და შემდეგ ვიმოქმედოთ.

ტანდრუმთან გამკლავების გზები

პრობლემით გამოწვევი მიზეზები და თუ შეგიძლიათ, თავიდან აირიდეთ

- იმედგაცრუება
- ბრაზი და მრისხანება, როცა რაღაც ისე არ ხდება, როგორც უნდა
- ყველაფრის კონტროლის სურვილი
- კომუნიკაციის სირთულე (განსაკუთრებით მაშინ, როცა სამეტყველო ენა ჯერ კიდევ ღარიბია)

დაეხმარეთ, დაეხმადეს

- როდესაც პატარას ძლიერი ემოციები შემოაწვება, შესთავაზეთ ჩახუტება, ზურგზე ხელის გადასმა, ხელში აყვანა, რაიმე მელოდის წაღლინება.
- თუ თავიდან გიშორებთ, დარწმუნდით, რომ უსაფრთხოა და არაფერს დაუშვავს არც საკუთარ თავს და არც სხვებს. დარწმუნდით მის სიახლოვეს და შესთავაზეთ: „თუ დახმარება დაგჭირდება, შენ გვერდით ვარ. როცა მზად იქნები, შეგვიძლია ერთმანეთს ჩავეხუტოთ“.
- თუ სათამაშოებს და-ძმას ესვრის ან ცდილობს დაგარტყათ, ყველას უსაფრთხოებისთვის აჯობებს, იმ ადგილს გაარიდოთ. აუხსენით: „დარტყმის უფლებას ვერ მოგცემ. უსაფრთხოება ჩემთვის მნიშვნელოვანია. შეგიძლია ამ ბალიშს დაარტყა“.

მიდარებით უფროსი ბავშვები

- 3+ ასაკის ბავშვს შეგიძლია მოეუწყოთ „მშვიდი კუთხე“, რომელსაც იმ დროს მიაკითხავს, როცა რაიმეზე გაბრაზდება. ასეთ კუთხედ გამოდგება კარავი, რომელშიც ბალიშებს და მის საყვარელ ნივთებს მოვათავსებთ.
- გაბრაზებულს ჰკითხეთ, ხომ არ უნდა ცოტა ხნით თავის „მშვიდ კუთხეში“ წავიდეს და დამშვიდდეს.

შეცდომების გამოწვევა - ნაბიჯი, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

როგორც კი ბავშვი დაწყნარდება, შეცდომის გამოსწორებას ვინწყებთ. მაგალითად, თუ კედელზე რაიმე მიახატა, მის ჩამორეცხვაში დამეხმარება; თუ თავისი დის ან ძმის სათამაშო გატეხა, ერთად შევაკეთებთ.

ამ გზით პატარა სწავლობს პასუხისმგებლობის აღებას მაშინ, როცა რაღაცას არასწორად აკეთებს.

როგორ გამოვასწოროთ შეცდომა

როცა პატარა თანატოლს დაარტყამს, ჯერ დავამშვიდოთ, შემდეგ კი დავებმაროთ შეცდომის გამოსწორებაში: შევთავაზოთ, გადაამოწმოს, მეორე ბავშვი როგორაა, შესთავაზოს ხელსახოცი, ბოდიში მოუხადოს და ა. შ.

იმის საჩვენებლად, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები დროთა განმავლობაში შეცდომების დამოუკიდებლად გამოსწორებას, ხშირად მომაქვს ჩემი შვილების მაგალითი.

ერთხელ ჩემს გოგონას მეგობარი ეწვია და ჩვენთან დარჩა. ჩემმა ბიჭმა თავი გარიყულად იგრძნო და გადაწყვიტა, მათ ოთახში მალეიძარა დილის 04:00 საათზე დაეყენებინა. დილით გოგონები გაცოფებული და მხვდნენ. სიტუაციის განმუხტვის მიზნით ჩავერიე. ვეცადე თანამეგრძნო ჩემი ბიჭისთვისაც, რომელმაც თავი გარიყულად იგრძნო და გოგონებისთვისაც, რომლებსაც შუალდამისას გაეღვიძათ და ამის გამო გაბრაზდნენ. საბოლოოდ, შევთანხმდით, რომ გოგონებს საუზმეს ჩემი ბიჭი მოუმზადებდა, რომელიც ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი დარჩა, რადგან ფრანგული ტოსტების გაკეთების შესაძლებლობა მიეცა. როცა ეს გოგონა ჩვენთან მეორედ დარჩა, ჩემს ბიჭს ეკითხე, ისევ თუ აპირებდა მათ გაღვიძებას. მაშინვე მიპასუხა, რომ, რა თქმა უნდა, არა. მართლაც, ასეთი რამ აღარასდროს განმეორებულა.

მივცეთ შეცდომის გამოსწორების მაგალითი

თუ ბავშვი ჯერ კიდევ ძალიან პატარაა, შეგვიძლია, უბრალოდ, შეცდომის გამოსწორების მაგალითი მივცეთ. შესთავაზეთ: „მოდი, ვნახოთ, ჩვენი მეგობარი ხომ კარგადაა“, ან პირდაპირ მის თანატოლს მიმართეთ: „ბოდიში, რომ დაგარტყა. კარგად ხარ?“. მაგალითის მიცემა გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე ბავშვის იძულება, ბოდიში მოიხადოს. ბოდიში არაფერს ნიშნავს, თუ პატარა თავისთვის ბურტყუნებს ან სარკასტულად საუბრობს.

ეს მრავალნაირად შეიძლება გააკეთოთ. მაგალითად, ბოდიში მოიხადეთ, როცა რაღაც დაგავინწყდებოდა და ადამიანებს იმედს გაუცრუებთ, ან როცა ქუჩაში შემთხვევით ვინმეს დაეჯახებით. საჭიროების შემთხვევაში, ბავშვსაც უნდა მოეუბოდიშოთ (მაგალითად, მაშინ, როცა ვწუხვართ, რომ მასთან კამათს სათანადოდ ვერ გავუმკლავდით). როცა გაიზრდება, ეცოდინება, როგორ უნდა მოიხადოს ბოდიში გულწრფელად.

ძალიან რთულია, ბავშვს პასუხისმგებლობის აღებაში დაეხმარო. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, რომლითაც ჩვენს შვილს სხვების პატივისცემას ვასწავლით.

რჩევები, რომლებიც საზღვრების დაწესებაში დაგვეხმარება

დააწესეთ საზღვარი მაშინ, როცა ჯერ კიდევ პატარაა

რთულია, ბავშვებს პატივისცემით მოვექცეთ მაშინ, როცა ზღვარს გადადიან. როდესაც მათ მეტიმეტ თავისუფლებას ვაძლევთ და ვცდილობთ მოვერგოთ, საბოლოოდ მოთმინებას ვკარგავთ და ვლიზიანდებით.

თუ ბავშვი რაღაც ისეთს აკეთებს, რაც არ გვსიამოვნებს, ჯობია, საზღვარი მშვიდად და დროულად დავანესოთ.

თავდაპირველად შეიძლება პატარას საქციელი მისაღებიც იყოს, მაგრამ მოგვიანებით გაგვადიზიანოს. ამ დროსაც არაა გვიან, რომ ვუთხრათ: „ბოდიში. თავიდან თანახმა ვიყავი, ქვიშა დაგეფანტა, მაგრამ გადავიფიქრე. ამის უფლებას ვეღარ მოგცემ“ (თუ ბავშვი გაბრაზდება, მიიღეთ მისი უარყოფითი ემოციები და გამოიყენეთ ტანტრუმთან გამკლავების ხერხები).

როცა ვბრაზდებით

გახსოვდეთ, ბავშვის გზამკვლევი ვართ. ვერ შევძლებთ კარგი ლიდერები ვიყოთ, თუ რთულ სიტუაციაში მოთმინებას ვკარგავთ და ვბრაზდებით. ასეთ დროს პატარას პრობლემა ჩვენი პრობლემა ხდება, ამიტომ მხარი უნდა დაუჭიროთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის მაგივრად მოვაგვაროთ ყველაფერი.

- როცა პატარას ნვლებით ვაჭმევთ, ჩვენი პრობლემაა.
- როცა ნვლებით ვაცმევთ, ჩვენი პრობლემაა.
- როცა ნვლებით ვახერხებთ, პარკიდან წამოვიყვანოთ, ჩვენი პრობლემაა.

აცადეთ ბავშვს, თვითონ გაუმკლავდეს პრობლემას, უბრალოდ, დაეხმარეთ.

- მოუშაადეთ წუტირინტებით მდიდარი საკვები, მაგრამ უფლება მიეცით, თვითონ გადაწყვიტოს, რამდენს შეჭამს.
- ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყევით შემუშავებულ სისტემას, მაგრამ თუ ჩაცმაზე მაინც უარს ამბობს, დართეთ ნება, ეცვას პიჟამა და გარეთ ისე გაიყვანეთ.
- გააფრთხილეთ, რომ პარკიდან ხუთ წუთში აპირებთ მის წაყვანას. გეგმა არ შეცვალეთ და არც სხვა მშობელთან სალაპარაკოდ შეჩერდეთ. დათქმულ დროს გადით პარკიდან და საჭიროების შემთხვევაში, წამოსვლაში დაეხმარეთ.

თანმიმდევრულობა

პატარები გარესამყაროს წესებში გარკვევას ცდილობენ: დღეში რამდენჯერმე ამონ-მებენ ჩვენ მიერ შემუშავებულ წესებს – აინტერესებთ, ყველაფერი ისე იქნება, თუ რამე შეიცვალა. როდესაც თავად ვცემთ პატივს ჩვენს საზღვრებს, ამით ბავშვსაც ვეხმარებით. პატარა ხდება, რომ ჩვენი „არა“ მართლა „არა“ ნიშნავს, რომ საიმედოები ვართ და ყველაფერს მისი კეთილდღეობისთვის ვაკეთებთ.

თუ „არას“ ვეტყვი, მაგრამ მეორე წუთს მისი წუნუნის გამო გადავთქვამთ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ წუნუნი ჭრის. ფსიქოლოგები ამას „ნერტილოვან სტიმულირებას“¹ უწოდებენ. თუ ერთხელ მაინც მოახერხებენ და პასუხს შეგაცვლევენ, სხვა დროსაც იმავს ეცდებიან. თუ დარწმუნებულები არ ვართ, ვუთხრათ: „არ ვიცი, დარწმუნებული არ ვარ“, ან: „ვნახოთ“.

პრაქტიკისთვის

1. როგორ გავუღვივოთ ბავშვს თანამშრომლობის უნარი?
 - ვაგვარებთ პრობლემას ბავშვთან ერთად?
 - ვაძლევთ პატარას არჩევანის უფლებას?
 - შეგვიძლია ჩვენი საუბრის სტილი შევცვალოთ?
 - ჩვენი ან მისი მოლოდინის შეცვლა ხომ არაა საჭირო?
 - ვიყენებთ წარწერებს?
2. ვმოქმედებთ თუ არა თავაზიანად და პრინციპულად საზღვრების დანესტებისას?
 - შემუშავებული გვაქვს შინ ქცევის წესები?
 - სწავლობს თუ არა ამით რამეს ბავშვი?
3. ვიღებთ პატარას უარყოფით ემოციებს და ვეხმარებით თვითრეგულაციაში?
4. ვეხმარებით შეცდომის გამოსწორებაში მას შემდეგ, რაც დამშვიდდება?

შენიშვნა: „არას“ თქმამდე კარგად დავფიქრდეთ. თუ წუნუნის შემდეგ ნაყინს მაინც ვაძლევთ, ჯობდა, თავიდანვე დავთანხმებოდით და მერყეობა თავიდან აგვერიდებინა.

ბავშვებს სჭირდებათ მშობლები, რომლებიც მათ სიყვარულს აგრძნობინებენ:

- იღებენ ისეთებად, როგორებიც არიან.
- აძლევენ სამყაროს შეცნობის უფლებას და ახალისებენ ცნობისმოყვარეობას.
- მათთან ერთად მუშაობენ თანამშრომლობის უნარის ჩამოყალიბებაზე.
- აწესებენ საზღვრებს, რათა ბავშვებმა თავი დაცულად იგრძნონ, ისწავლონ თავიანთ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება და პატივი სცენ გარშემოყოყვებს.

ბავშვებს არ სჭირდებათ არც უფროსი და არც მსახური. ამიტომ მოდიოთ, ვიქცეთ ჩვენი შვილების გზამკვლელებად.

„ბავშვის თავისუფლება უნდა იზღუდებოდეს იმ საზოგადოების კოლექტიური ინტერესების გათვალისწინებით, რომელშიც ის ცხოვრობს. ამას ვუწოდებთ ზრდილობიან ქცევას. უნდა გავაგრძნოთ ბავშვის ქმედებები, რომლებიც საზიანო, შეუფერებელი ან უზრდელოა, მაგრამ სხვა ნებისმიერი შინაარსისა და ფორმის საქციელი არ უნდა დავუშალოთ, არამედ პირიქით, ყურადღებით დავაკვირდეთ“.

– დოქტორი მარია მონტესორი, „ბავშვის აღმოჩენა“

¹ ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში – განმეორებითი ქმედებით სხვაზე ზემოქმედება და სასურველის მიღწევა

სამართლიანია თქვენ მიერ დანახებული საზღვრები?

ბავშვისთვის ყველაფერი ნათელია?

- შემოიღეთ შინ ქცევის რამდენიმე მთავარი წესი.
- დაიცავით საზღვრები.

შენდუღვების საფუძველი სიმშვიდეა?

- „დაეშვით“ ბავშვის სიმაღლეზე.
- ისაუბრეთ მკაფიო, სიყვარულით სავსე ხმით.
- უპირველესად, საკუთარი ბრაზი გააკონტროლეთ.
- გამოხატეთ პატივისცემა და გაუგეთ, როცა სევდიანი ან იმედგაცრუებულია.
- იყავით მის გვერდით – ხელში აიყვანეთ ან, თუ მეტისმეტად გაბრაზებულია, უბრალოდ, იზრუნეთ მის უსაფრთხოებაზე.

რა არის საზღვრების დანახების მთავარი მიზანი?

- შეზღუდვების საფუძველი ნამდვილად ბავშვის უსაფრთხოების დაცვა და სხვების მიმართ პატივისცემის სწავლაა?
- გახსოვდეთ, „იმიტომ, რომ ასე მინდა/ვთქვი“ მიზეზად ვერ გამოდგება.

შენდუღვები ბავშვის ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისია?

- შესაძლოა, წესები ბავშვის ზრდასთან ერთად შეიცვალოს.

უბიძგებს თუ არა შექმნილი გარემო ბავშვს გამოსავლის ძიებისკენ?

- ხანდახან პრობლემის გადაჭრის საუკეთესო იდეები სწორედ ბავშვებს უჩნდებათ.

რეკომენდაციების კრებული გამოყენება

7

პირველი ნაწილი

ყოველდღიური რუტინა

- 146 დღის რეჟიმი
- 148 ოჯახური რიტუალები
- 149 ჩაცმა და შინიდან გასვლა
- 152 კვება
- 156 ძილი
- 159 კბილების გახეხვა

მეორე ნაწილი



როგორ გაუმკლავდეთ ცვლილებებს

- 160 უნიტაზი
- 163 საწოგარასთან დამშვიდობება
- 164 დედმამიშვილები

მესამე ნაწილი

სასარგებლო უნარები, რომლებიც კატარას უნდა
განეწყვიტაროთ

- 169 გაზიარება
- 170 ვასწავლოთ კატარას, როგორ შეაწყვეტინოს
ზრდასრულს საუბარი ზრდილობიანად
- 171 ინტროვერტი ბავშვებისთვის საჭირო
უნარები
- 173 დარტყმის / კბენის / ხელის კვრის /
ნივთების სროლის ფაზა
- 176 კონცენტრაციის უნარის გამომუშავება
- 177 იმედგაცრუებასთან გამკლავება
- 178 როცა ბავშვი თქვენზეა მოწებებული
- 180 გაჯეტები
- 181 ბილინგვიზმი



ყოველდღიური რუტინა

მჯერა, რომ შეგიძლია, ყოველდღიური სირთულეები პატარებთან ერთად გადავლახოთ და მეტიც – მათგან საუკეთესო გამოცდილება შევქმნათ. უკვე გითხარი, რომ იდეალისტი ვარ?

დღის რეჟიმი

ბავშვი წარმატებით ვითარდება მხოლოდ მაშინ, როცა წინასწარ შედგენილი რეჟიმით ცხოვრობს – იცის, რა ხდება და რას უნდა ელოდებოდეს. ასე თავს დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობს.

აუცილებელი არაა, მკაცრად განერილი გრაფიკი შევიმუშაოთ. მთავარია, ყოველდღე ერთსა და იმავე მოდელს მივყვეთ. ამ შემთხვევაში პატარა შეძლებს წინასწარ განსაზღვროს, რა მოხდება შემდეგ, რისი წყალობითაც გარდამავალი პერიოდების სირთულეებს მინიმუმამდე დავიყვანთ. დღის რეჟიმი პატარას ხასიათსა და ინტერესებს უნდა მოვარგოთ.

დროთა განმავლობაში რაღაცები შეიცვლება, თუმცა ამას მომზადებულები შევხედებით.

ზრუნვა = ურთიერთკავშირი

დღის ძირითად ნაწილს პატარაზე ზრუნვაში ვატარებთ – ვაცმევთ, ვაჭმევთ, ვუცვლით, ღამის ქოთნის გამოყენებაში ვეხმარებით, ვბანთ. იმის ნაცვლად, რომ ერთი სული გვქონდეს, ყოველდღიური რუტინის ამ საფეხურებს როდის დავასრულებთ, ჯობია, მათ, როგორც ბავშვთან კავშირის ძვირფას წუთებს, ისე შევხედოთ.

სწორედ ასეთ დროს შეგიძლიათ პატარას ღიმილით დატკბეთ, თვალებში ჩახედოთ, ესაუბროთ და თქვენი ამბები მოუყვეთ; მოუსმინოთ, რის თქმას ცდილობს (თუნდაც ჯერ ლაპარაკი არ იცოდეს), ფრთხილად შეეხოთ და ჩაეხუტოთ.

ასეთი მომენტები შესაძლებლობას გაძლევთ, უბრალოდ, ერთად იყოთ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე.

დღის რეჟიმის ნიმუში

- გაღვიძება
- აბაზანაში თამაში
- მშობლებთან ჩახუტება, წიგნის კითხვა
- ღამის ქოთნის გამოყენება / საფენის გამოცვლა
- საუზმე
- ჩაცმა, სახის დაბანა და კბილების გახეხვა
- თამაში / დილის გასეირნება / საყიდლებზე გასვლა / ბაღში წასვლა
- სადილი
- ღამის ქოთნის გამოყენება / საფენის გამოცვლა
- შუადღის ძილი / დასვენება
- ღამის ქოთნის გამოყენება / საფენის გამოცვლა
- თამაში / შუადღის გასეირნება
- ნახევსება
- ბალიდან დაბრუნება
- თამაში
- ვანშამი
- ბანაობა
- ღამის ქოთნის გამოყენება / საფენის გამოცვლა
- ზღაპარი ძილის წინ
- ძილი



ოჯახური რიტუალები

ოჯახური რიტუალები დაუვინყარი
მოგონებების შესაქმნელად მშვენიერი
საშუალებაა.



შეგიძლია განსაკუთრებული თარიღების აღსანიშნავად ჩვენი რიტუალები შეექმნათ.
ასეთი მოვლენებია:

- დაბადების დღეები
- დღესასწაულები
- სეზონების ცვლილება (შექმნათ სეზონური ნაკეთობები, მოვამზადოთ საჭმელი, მოვანყოთ ექსკურსიები)
- არდადეგები
- ყოველკვირეული რიტუალები (პარასკევ საღამოს პარკში გასეირნება, კვირა დილას განსაკუთრებული საუზმის მომზადება და ა. შ.)

დროთა განმავლობაში ბავშვი ამ რიტუალებს მიეჩვევა და მოუთმენლად დაელოდება,
ზრდასრულ ასაკში კი ბავშვობიდან სწორედ ისინი შემორჩება.

თუ მშობლები სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, ეს დამატებით შესაძლებ-
ლობას გაძლევთ, რომ განსხვავებული კულტურების შერწყმით უნიკალური ოჯახური
ტრადიციები შექმნათ.

მსგავსი რიტუალები შეგიძლიათ ყველაფერს მოარგოთ: საკვებს, რომელსაც მიირ-
თმევთ, სიმღერებს, რომლებსაც მღერით, საყვარელ ადამიანებს და ა. შ.

მონტესორის სკოლაში თითოეული ბავშვის დაბადების დღეს განსაკუთრებულად
ვზეიმობთ. მზის გამოსახულებას პატარა იმდენ წრეს დაარტყამს, რამდენი წელიც
შეუსრულდა. ამ ქმედებით ბავშვებს ვაჩვენებთ დედამიწისა და მზის ურთიერთკავშირს
და იმას, დრო როგორ გადის.

ბავშვობაში ყოველთვის წინასწარ ვიცოდი, დაბადების დღის წვეულებებზე რომელ
კერძებს მოამზადებდნენ და რას ვითამაშებდით. ზაფხული ჩემთვის იყო ბევრი მანგო,
ალუბალი, მთელ დღეს საცურაო კოსტიუმით სიარული, ბალახზე ფენშიშველი სირბილი
და ამის გამო საშინელი ავსტრალიური სარეველათი დაჩხვლეტილი ფეხის გულები.
ახლა, მოულოდნელად, ნოსტალგია შემომანვა – ის ჩხვლეტია სარეველაც კი მენატრება.

ამსტერდამში მცხოვრებ ჩვენს ოჯახს ბევრი ტრადიცია აქვს. პირველ დეკემბერს
ხელნაკეთ კალენდარს ვამზადებთ, რომელშიც ქალაქის პატარა ნაკუნებს ვმაღავ.
თითოეულზე სახალისო აქტივობა წერია: ღამით გასეირნება და საახალწლოდ მორთული
ქალაქის მონახულება, ნამცხვრის გამოცხობა, ხელნაკეთი ნივთების შექმნა. 5 დეკემბერს
სინტერკლაასს აღვნიშნავთ – ესაა ლექსების წერისა და ერთმანეთისთვის სიურპრი-
ზების მონყოფის ნიდერლანდური ტრადიცია. მოგვიანებით, შანუკას¹ დღესასწაულზე,
სანთლებს ვანთებთ და „Maot Tzur“-ს² ვვალდებ. შობას საჩუქრებს ვცვლით და ერთად
ევახშმობთ. ამ დღესასწაულს ყოველთვის მოკრძალებულად აღვნიშნავთ. მთავარია,
ერთად ვიყოთ, არაა აუცილებელი, იდეალურად გამოვიყურებოდეთ.

¹ ებრაული დღესასწაული, რომელიც აღინიშნება რვა დღის განმავლობაში – 25 ქისლევიდან 3
თევეთამდე (დეკემბერ-იანვარი). დღესასწაულზე საგანგებო რვაშტიიან ლამპარში ყოველდღე
ანთებენ ერთით მეტ კელაპტარს. ამის გამო შანუკას „სინათლეთა დღესასწაულსაც“ უწოდებენ.

² ებრაული ლიტურგიკული საგალობელი, რომელსაც შანუკას დღესასწაულზე გალობენ.



თუ გინდათ, მეტი გაიგოთ სხვადასხვა ოჯახურ ტრადიციაზე, გირჩევთ წაიკითხოთ ამანდა ბლექ სოულის¹ წიგნი – „შემოქმედებითი ოჯახი“.

ჩაცმა და შინიდან გასვლა

ხშირად ჩაცმა და შინიდან გასვლა ნამდვილ ბრძოლას ჰგავს. დამუქრებას ან მოქრთამვას სჯობს, სხვა ხერხებს მიემართოთ.

ვიმეორებ, ჩაცმის პროცესი შეგვიძლია პატარასთან ურთიერთობის ძვირფას გამოცდილებად ვაქციოთ.

მარტივად ჩახაცმელი სამოსი

როგორც კი პატარები რალაცების დამოუკიდებლად კეთებას დაიწყებენ („მე თვითონ“ ფაზა), ისეთი სამოსი შეარჩიეთ, რომელსაც მარტივად გადაიცვამენ ან ოდნავ ხელის წაშველება დასჭირდებათ.

კარგი არჩევანია:

- შორტები და შარვლები ელასტიკური წელით, რათა ყოველ ჯერზე ელვაშესაკრავის ან ღილების შეკვრა-გახსნა არ მოუწიოთ.
- მაისურები ფართო ყელით (ან კნოპებით), რათა თავზე ადვილად ჩამოიცვან.
- ფეხსაცმელი ასაფხრენი ან კნოპებიანი შესაკრავით, რომლის შეკვრა-გახსნა, თასმინთან შედარებით, გაცილებით მარტივია.
- მოერიდეთ:
- გრძელ კაბას, რომელიც პატარებისთვის რთული მოსახმარია და მოძრაობაშიც ხელს უშლით.
- კომპინეზონს, რომლის დამოუკიდებლად ჩაცმა-გახდაც ბავშვებს უჭირთ.
- ტანზე მომდგარ ტანსაცმელს.

¹ შეგიძლიათ გაეცნოთ ამანდას ბლოგს: soulemama.com.

ადგილი ყველაფრისთვის და ყველაფერი - თავის ადგილზე

როგორც მე-4 თავში ვისაუბრეთ, სახლი ისე უნდა მოვანყოთ, რომ ერთმანეთს ცხოვრება გავუმარტივოთ. როცა ადგილი ყველაფრისთვის გვაქვს, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზეა და ადვილი საპოვნელია. ასეთ შემთხვევაში, იშვიათად მოგვინევს დაკარგული ხელთათმანის ან ფეხსაცმლის ძებნა.

ქარგი იქნება, თუ შემოსასვლელში გვექნება:


- ქურთუკებისა და შარფების საკიდი
- კალათი ხელთათმანებისა და ქუდებისთვის
- ფეხსაცმლის დასაწყობი თარო
- სკამი, რომელზეც ფეხსაცმლის ჩაცმა-გახდის დროს ჩამოსხდებით

წინასწარ მომზადებული გარემოს წყალობით, დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იშვიათად მოვისმენთ ფრაზას: „სადაა ჩემი მეორე ფეხსაცმელი?“ ქალსური სიტუაციის თავიდან აცილებით კი შევძლებთ, ბავშვთან კავშირი განვამტკიცოთ და მასთან ერთად მშვიდად ვიმოქმედოთ.

ვასწავლოთ დამოუკიდებლად კეთება

არ დაგავინყდეთ, როცა შინიდან გასვლა არ გვეჩქარება, შეგვიძლია ბავშვებს დამოუკიდებლად ჩაცმა ვასწავლოთ. პატარებს უყვართ, როცა რაღაცას თვითონ აკეთებენ. მაგალითად, შეგვიძლია ქურთუკის მონტესორის მეთოდით ამობრუნება ვასწავლოთ, რათა შემდეგ დამოუკიდებლად შეძლონ მისი ჩაცმა.

ქურთუკის ამობრუნება მონტესორის მეთოდით



1. დააფინეთ ქურთუკი იატაკზე. ბავშვი დააყენეთ კაპიუშონთან.
2. ხელები გააყოფინეთ სახელოებში. შემდეგ კი ორივე მელავი თავს ზემოთ აანეწინეთ.
3. ქურთუკი ზურგზე ჩამოუსრიალდება.

უნარების განვითარება

პატარებს ჩაცმის დროს დახმარება სჭირდებათ. ეს მათი უნარების განვითარების შესაძლებლობაა. თუ პროცესს მცირე საფეხურებად დავყოფთ, ამის დამოუკიდებლად კეთება გაუადვილდებათ. დროთა განმავლობაში სულ უფრო უკეთ შეძლებენ დამოუკიდებლად ჩაცმას და მეტი რამის შესრულებას.

ყოველთვის აცადეთ, ჯერ დამოუკიდებლად სცადოს. მაქსიმალურად შეიკავეთ თავი – ბავშვებს ძალიან უყვართ, როცა რაღაცას თვითონ უმკლავდებიან. ჩამოაცვით მაისური და დააკვირდით, მოახერხებს თუ არა, ხელები სახელოებში გაყოს.

თუ შეატყობთ, რომ აღელდა, დახმარება შესთავაზეთ. ჩაერიეთ, მიეხმარეთ, შემდეგ კი კვლავ უკან დაიხიეთ და ნახეთ, თავს როგორ გაართმევს. თუ ფეხსაცმლის ჩაცმის დროს წვალბას, შეგიძლიათ ფეხსაცმლის ძირი იატაკზე დააფიქსიროთ, ვიდრე თვითონ ფეხს ყოფს. ბოლოს დააკვირდით, შეძლებს თუ არა დამოუკიდებლად გაგრძელებას.

თუ თავიდან გიმორბთ, შესთავაზეთ: „კარგი. უბრალოდ, მითხარი, თუ დახმარება დაგჭირდება“.

დროთა განმავლობაში პატარა უფრო და უფრო მეტი რამის გაკეთებას მოახერხებს დამოუკიდებლად. თავდაპირველად შეიძლება მასთან ერთად იცვამდეთ ერთ ოთახში, თუმცა მოგვიანებით აღმოაჩნენ, რომ უკვე ოთახიდან გასვლა შეგიძლიათ და მხოლოდ დროდადრო ამოწმებთ, როგორ ართმევს თავს პროცესს.

შეანელეთ ტემპი, მიეცით დრო, დაამყარეთ კავშირი

რა დრო გჭირდებათ მოსამზადებლად, როცა შინიდან გასვლა არ გეჩქარებათ? თხუთმეტი წუთი? ოცდახუთი წუთი? დაფიქრდით და სწორედ ეს დრო გამოყავით მზადებისთვის.

თუ გიჭირთ უსაქმოდ ჯდომა და იმის ყურება, პატარა თავისი ტემპით როგორ იცვამს, აქციეთ პროცესი სასიამოვნოდ – მიირთვით ფინჯანი ჩაი ან ყავა (ცხელი სასმელი ისეთ ადგილას დადგით, სადაც ბავშვი ვერ მისწვდება), ჩართეთ მშვიდი მუსიკა და ა. შ.

როცა ჩაცმას აპროტესტებს

შეიძლება გავლიზიანდეთ, როცა ბავშვი ფეხსაცმლის ჩაცმაზე უარს ამბობს. არადა, წინა დღეს, როცა ეს დამოუკიდებლად მოახერხა, ძალიან კმაყოფილი ჩანდა. გახსოვდეთ, რომ არც ჩვენ მოგვწონს ყოველდღე სადილის მომზადება. მზად იყავით დახმარებისთვის და შესთავაზეთ: „გინდა, დღეს ფეხსაცმლის ჩაცმაში დაგეხმარო?“

გახსოვდეთ: ბავშვები სწავლობენ, როგორ არ იყვნენ ჩვენზე დამოკიდებული. ერთ დღეს ჩვენი დახმარება დასჭირდებათ, მეორე დღეს კი ამის დამოუკიდებლად გაკეთებას მოგვთხოვენ. ამას „დამოუკიდებლობის კრიზისი“ ვუწოდებ.

თუ ეს თქვენი მუდმივი პრობლემაა, კიდევ ერთხელ მიუბრუნდით მე-ნ თავში მოცემულ რჩევებს თანამშრომლობის უნარის გაღვივების შესახებ. აქ კი გთავაზობთ რამდენიმე იდეას, რომელიც ჩაცმის პროცესში დაგეხმარებათ:

- დაელოდეთ, ვიდრე აქტივობას დაასრულებს.
- მიეცით დრო თქვენი თხოვნის გასააზრებლად.
- შესთავაზეთ ტანსაცმლის რამდენიმე ვარიანტი, რომლიდანაც სასურველს ამოარჩევს.
- იხუმრეთ.
- გაითვალისწინეთ პატარას ასაკი და არ ელოდოთ უფრო მეტს.
- გამოიყენეთ გეგმა
- შენიშვნა: საფენის გამოცვლას შეიძლება იმის გამო აპროტესტებდეს, რომ ასეთ დროს ზურგზე წოლა არ მოსწონს. შეიძლება ეს თავს დაუცველად აგრძნობინებს. შეგვიძლია დაბალ სკამზე დავსხდეთ, ბავშვი მუხლებს შორის დავიყენოთ და საფენი ასე გამოვუცვალოთ. თუ ცოტას ვივარჯიშებთ, მარტივად გამოგვივა. რაც შეეხება გასუფთავებას კუჭში გასვლის შემდეგ, ბავშვი ისე გადავხაროთ, რომ აბაზანის კიდე ან დაბალ სკამს მოეჭიდოს და ასე გავასუფთავოთ.

როგა გვეჩქარება

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს ნელა მოქმედების უფლებას ვაძლევთ, საჭირო არაა, წმინდანები ვიყოთ და განუსაზღვრელი დრო მივცეთ. თუ გვეჩქარებათ, უთხარით: „მესმის, გინდა შენით ჩაიცვა, მაგრამ უკვე გასვლის დროა. მოდი, ახლა მე ჩავაცმევ“. საჭიროების დროს აუცილებლად დაანსეთ შეზღუდვები.

ნაზი შეხებით და კომენტატორის მეთოდის გამოყენებით, მიახედრეთ პატარა, რომ გენიანადმდეგებათ. „მაისურს გაცმევ, შენ კი ხელებს იქნევ. იმის დეჟა გინდა, რომ არ მოგწონს ჩაცმა? ახლა მარცხენა ხელის აწევაში დაგეხმარები...“

შეგიძლიათ კართან დადგეთ და იმის მაგივრად, რომ დააშინოთ: „იცოდე, უშენოდ წავალ!“, მშვიდად და მკაფიოდ უთხარით: „უშენოდ არ წავალ. ახლა ფეხსაცმელს ჩავიცვამ და აქ დაგელოდები“.

კვება



კვება ბავშვთან ურთიერთობის განმტკიცების კიდევ ერთი საშუალებაა, თუმცა, შესაძლოა, ამ პროცესმა თავის ტკივილიც გაგვიჩინოს. მშობლებს გვინდა, პატარა საკმარის საკვებს იღებდეს, რათა ჯანმრთელი იყოს და შუალამისას მოშივებულმა არ გაიღვიძოს. შეიძლება საჭმლით სიარულს ან თამაშის დროს ჭამას მივაჩვიოთ, რათა დარწმუნებული ვყოფილიყავით – ნამდვილად საკმარისი საკვები მიიღო. ხანდახან პირიქითაც ხდება და იმაზე ვლელავთ, რომ ბავშვი მეტისმეტად ბევრს ჭამს.

მონტესორის მიდგომა ამ შემთხვევაშიც განსხვავებულია.

მაგიდას აუცილებლად ლამაზად ვანყობთ და როცა ამის შესაძლებლობა გვაქვს, ყვავილებითაც ვაფორმებთ. ბავშვი საჭმლის მომზადებაში გვეხმარება და მაგიდასთან ჯდება (თავდაპირველად – ჩვენი დახმარებით). მთავარია, რომ ვცდილობთ, რაც შეიძლება ხშირად ვისადილოთ ერთად.

ზრდასრულის როლი კვების ჩვევების ჩამოყალიბებაში

საკვებთან ჯანსაღი დამოკიდებულებისა და სასარგებლო კვებითი ჩვევების ჩამოყალიბებაზე ჩვენ, ზრდასრულები ვართ პასუხისმგებელნი; ჩვენ ვწყვეტთ, სად, როდის და რას ჭამს ბავშვი. იმის ნაცვლად, რომ ჩვენ ვაჭამოთ, ვეცადოთ, პატარას ისეთი პირობები შევუქმნათ, რომ ამოცანას დამოუკიდებლად გაართვას თავი და საკუთარი ტემპით იმდენი ჭამოს, რამდენიც უნდა. არავითარი თამაში, დესერტით მოჭრთამვა და აიპოდი!

სადილობისას მაგიდასთან ჯდომის წესების დაცვა ბავშვს ასწავლის, რომ:

- სადილი ოჯახის წევრებთან ურთიერთობის მშვენიერი შესაძლებლობაა.
- მაგიდასთან ჯდომა უფრო უსაფრთხოა, ვიდრე საჭმლით ხელში პირგამოტენილი სიარული.
- დროის ერთ მონაკვეთში მხოლოდ ერთ ამოცანას ვასრულებთ (ვჭამთ ან ვთამაშობთ. ორივე ერთად არ გამოვა).
- ჭამა მხოლოდ მაგიდასთან შეიძლება.

როგორც მე-4 თავში აღვნიშნეთ, სასურველია, სამზარეულო ისე მოვანყოთ, რომ ბავშვმა დამოუკიდებლად მოქმედება შეძლოს და საჭმლის მომზადებაშიც დაგვეხმაროს. ხშირად პატარები უფრო მეტად იმ საკვებით ინტერესდებიან, რომლის მომზადებაშიც თვითონ მონაწილეობენ. ასევე, როდესაც წყლის დამოუკიდებლად დასხმა შეუძლიათ, წყურვილსაც მარტივად იკლავენ.

სად ვჭამთ

ხშირად ბავშვებს სადამოკიდებლობით უყვართ ჭამა, ჩვენი გრაფიკი კი, შესაძლოა, ამის შესაძლებლობას არ გვაძლევდეს. ამის მიუხედავად, სწორედ ჩვენ ვაძლევთ მათ ჯანსაღი კვებითი ჩვევებისა და ურთიერთობების მაგალითს, ამიტომ კარგი იქნება, თუ პატარებთან ერთად ვივარდებთ. თუ მაინცდამაინც ნოყიერად ჭამა არ გვინდა, შეგვიძლია, უბრალოდ, მსუბუქად წავიხემსოთ.

მიყვარს, როცა მთელი ოჯახი ერთად ვვარდებოთ. სასურველია, ბავშვისთვის ისეთი სკამი შეიძინოთ, რომელზეც დამოუკიდებლად აძვრება – იმ მაღალი სკამისგან განსხვავებულს, რომელსაც წინ პატარა ლანგარი უმაგრდება. ასეთი სკამი პატარას აიძულებს, მაგიდისგან მოშორებით იჯდეს და ასვლა-ჩასვლისას ჩვენ გვთხოვოს დახმარება.

შეგიძლიათ გამოიყენოთ დაბალი მაგიდა და სკამიც. ასეთ მაგიდასთან ჩემი კლასის ბავშვები წახეშების დროს სხდებიან, მე კი ძირს დადებულ ბალიშზე ვჯდები და მათ ასე ვუერთდები. მსმენია, რომ ამ მეთოდს ზოგი ყოველი ჭამის დროს იყენებს. ყველაფერი ოჯახის ინდივიდუალურ საჭიროებებზეა დამოკიდებული.

არ ველი, რომ პატარები მაგიდასთან სადილის ბოლომდე გაჩერდებიან. როცა ჩემი

შვილები ჭამას ამთავრებდნენ, თეფშები სამზარეულოში მიჰქონდათ, შემდეგ კი სათამაშოდ გარბოდნენ. ცოტა რომ წამოიზარდნენ, მაგიდასთან უფრო დიდხანს ისხდნენ და საუბრით ტკბებოდნენ.

თუ ბავშვს თამაში უნდა და მაგიდიდან საჭმლით ან ჩანგლით ხელში დგება, შევახსენოთ: „შეგიძლია წახვიდე, მაგრამ საჭმელს/ჩანგალს მაგიდაზე ვტოვებთ“. საკლასო ოთახში ამ ფრაზას ხშირად ვიმეორებ. თუ პატარას ჭამის გავრძელება მოუნდება, მაგიდასთან უნდა დაბრუნდეს, ხოლო თუ გვეტყვის, რომ მორჩა, ვაჩვენებთ, როგორ ააღაგოს მაგიდა და ეუხსნით, რომ ადგომა ჭამის დასრულებას ნიშნავს.

როდის ვჭამთ

ვამჯობინებ, ბავშვებს ყოველთვის ერთსა და იმავე დროს ვაჭამო. წინააღმდეგი ვარ, ნებისმიერ დროს შეეძლოთ სამზარეულოში შესვლა. სამჯერადი კვება (საუზმე, სადილი, ვახშამი) და წასახმსებლების მცირე ულუფა ორგანიზმს საკვების გადასამუშავებლად საკმარის დროს აძლევს და, ამასთან, ხელს უშლის შებერილობის წარმოქმნას.

რას ვჭამთ

როცა გვინდა, ბავშვს არჩევანის საშუალება მივცეთ, ჩვენთვის მისაღები საკვების რამდენიმე ვარიანტი შევთავაზოთ. მართალია, პატარებს არ შეუძლიათ განსაზღვრონ, რომელია ჯანსაღი საკვები, თუმცა არჩევანის გაკეთებითაც ბევრს ისწავლიან. მთავარია, რა სახის საკვებს შევთავაზებთ და რა ფორმით.

12 თვის ბავშვს უკვე შეუძლია რძე პირდაპირ ჭიქიდან დალიოს. დაიწყეთ პატარა ჭიქით და მცირე ულუფებით. ჩაასხით მხოლოდ იმდენი, რამდენსაც უპრობლემოდ მოწმენდთ. დროთა განმავლობაში პატარას სანრუპიანი ჭიქა/ბოთლი ალარ დასჭირდება. რაც შეეხება ძუძუთი კვებას, ისიც მხოლოდ დღის განსაზღვრულ მონაკვეთებშია მისაღები.

ჩემს შვილებს დროდადრო შაქრის მიღების უფლებასაც ვაძლევდი, თუმცა – ზომიერად. შეზღუდული რაოდენობით ახლაც იღებენ შაქარს. ეს პირადი გადანეგებილებაა, უბრალოდ, ვეცადოთ, თანმიმდევრულები ვიყოთ.

რამდენს ვჭამთ

საბედნიეროდ, დიდი ხანია, წარსულს ჩაჰბარდა მოსაზრება, რომ თეფშზე არსებული საკვები ბოლომდე უნდა შეგვეჭამა. ჩვენი მიზანია, ბავშვმა საკუთარი სხეულის მოსმენა ისწავლოს და ხვდებოდეს, როდის ნაყრდება. იმის ნაცვლად, რომ პატარას თეფში გავუფსოთ, ჯობია, მცირე ულუფით დავინწყოთ და თუ მოუნდება, შემდეგ თვითონ დაიმატოს.

მიეცით უფლება, ზრდასრულივით მოიქცეს. გჯეროდეთ, რომ საკმარის საკვებს მიიღებს. როგორც წესი, პატარები თავს არ იშვივებენ. ჩვენი კონტროლის გარეშეც შეუძლიათ სხეულის მოსმენა და საბოლოოდ, მაინც იმდენს ჭამენ, რამდენიც სჭირდებათ.

ხშირად „ცუდ მჭამელებს“ მადა ზრდასთან ერთად ეცვლება. შეიძლება არცერთ კერძს ბოლომდე არ ამთავრებდნენ და უცებ, სიმაღლეში მატებასთან ერთად, დღეში სამჯერ დაიწყონ ჭამა, ნახევსება და მაინც შიოდეთ. მათმა სხეულმა ზუსტად იცის, რა სჭირდება.

ძალიან პატარებსაც კი შეუძლიათ, კოვზისა და ჩანგლის გამოყენება ისწავლონ. ჯობია, ჩანგლით დავიწყოთ, რადგან, კოვზთან შედარებით, ადვილი მოსახმარებელია. ვაჩვენოთ, როგორ ვიყენებთ, შემდეგ კი წინ დავუდოთ, რათა თვითონ სცადონ. ვიდრე ხელს კარგად გაივარჯიშებენ, სასურველია, კოვზით ასაღებად შედარებით სქელი მასა, მაგალითად, ბურღულის ფაფა შევარჩიოთ.

„ბრძოლა“ ჭამის დროს

თუ გვინევს, ბავშვს ხელით ვაჭამოთ, მოვექრთამოთ ან სხვადასხვა მეთოდით ყურადღება გადავატანინოთ, საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ ეს ჩვენი პრობლემაა და დროა, სასარგებლო კვებითი ჩვევები გამოვიმუშაოთ.

პატარას, უბრალოდ, აუხსნათ, რომ აზრი შევიცვალეთ; რომ გადავწყვიტეთ, ერთად ჭამით სიამოვნება მივიღოთ; რომ ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი სხეულის მოსმენა ისწავლოს და თვითონ გადანყვიტოს, რამდენს შეჭამს.

საუზმით დაიწყეთ. შესთავაზეთ ნუტრიენტებით მდიდარი საკვები, მასთან ერთად ისაუბრეთ და საჭმლის გარდა, ყველაფერზე ესაუბრეთ. თუ მაინც არაფერს ჭამს, ჭკუის სწავლების გარეშე, უბრალოდ ჰკითხეთ, დაამთავრა თუ არა და დაეხმარეთ, თეფში სამზარეულოში წაიღოს. შეგიძლიათ, ასეც უთხრათ: „სხეულს უსმენდი და გითხრა, მეტის ჭამა აღარ მინდაო?“

თუ ცოტა ხანში დაბრუნდება და საჭმელს მოითხოვს, ნუ აღელდებით, მკაფიოდ აუხსენით, რომ ჭამის დრო აღარაა და შემდეგ ჯერზე უფრო დიდ ულუფას მიიღებს.

ასე მოიქცით სადილის და ვახშმის დროსაც. კარგი იქნება, თუ რამდენიმე დღით ნასახმსებლებს ამოიღებთ. ვიდრე ჯანსაღი კვებითი ჩვევების გამომუშავებას ვცდილობთ, ჯობია, ბავშვი სასუსნავებით არ დანაყრდეს. თუ დღის განმავლობაში საკმარისს არ ჭამს, საღამოს გვარიანად მოშივებული იქნება. გაამდიდრეთ რაციონი მისი საყვარელი კერძებით, მაგრამ თუ მაინც განსხვავებული რამ მოინდომა, ნუ მოუმზადებთ. ამ დროს ბავშვები სწავლობენ, რომ თვითონაც ის უნდა ჭამონ, რასაც მთელი ოჯახი ჭამს.

ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად ჩაინერეთ, რას ჭამს. სია მაცივარზე მიაკარით და განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციოთ. ეცადეთ, ჭამის საკითხი დიდი პრობლემად არ აქციოთ და ნურც ხშირად ახსენებთ, იყავით თავდაჯერებული. სულ რამდენიმე დღეში თქვენი „ბრძოლა“ დასრულდება, ცოტა ხანში კი ბავშვი უკვე მაგიდასაც მიუჯდება და თვითონ შეჭამს.

შენიშვნა: დარწმუნდით, რომ პატარა საკვებზე უარს ჯანმრთელობის პრობლემის გამო არ ამბობს. თუ ერთი კვირის შემდეგ მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, მიმართეთ ექიმს. გაითვალისწინეთ, რომ საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობის ცვლილებასთან ერთად, შესაძლოა, კუჭის მოქმედებაც შეიცვალოს.

როდესაც ბავშვი საჭმელს ისვრის

ბავშვებს სამყაროს კვლევა უყვართ. საჭმლის სროლა მათთვის ერთგვარი ექსპერიმენტიც შეიძლება იყოს – აინტერესებთ, რა დაემართება საკვებს, როცა ძირს დავარდება. როგორც წესი, ასეთ ქცევას მაშინ იწყებენ, როცა მეტი ჭამა აღარ უნდათ – გვეუბნებიან, რომ დაამთავრეს. ვკითხოთ: „იმის თქმას ცდილობ, რომ მეტი აღარ გინდა?“ შეგვიძლია ხელები ავწიოთ და ვასწავლოთ: „როცა მეტი აღარ გინდა, ასე მაჩვენე. ახლა თეფში სამზარეულოში გავიტანოთ. მითხარი, თუ დახმარება დაგჭირდება“.

თუ ჭამა ჯერ არ დაუსრულებიათ, მაგრამ საჭმელს მაინც ძირს ყრიან, თავაზიანად და მკაფიოდ ვუთხრათ, რომ დროა, თეფში სამზარეულოში გაიტანოს, რაშიც სიამოვნებით დავეხმარებით. ვიმეორებ: პატივისცემით, და არა – მუქარის ტონით, მკვეთრი ზღვარი დაუწესოთ. საერთოდ, საჭმლის სროლაც განვითარების ერთ-ერთი ფაზაა. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და იყავით თანმიმდევრული. ესეც გაივლის.

როდესაც წყალს განზრახ აქცევენ, ჭიქას ვართმევ და მშვიდად ვეუბნები: „აქ დავდგამ. როცა მოგწყურდება, მითხარი და მოგანოდებ“. თუ ამის შემდეგ წყალს მთხოვენ და იმავეს იმეორებენ, ჭიქას მშვიდად ვიღებ და სადილის დასრულებამდე მაგიდაზე აღარ ვდგამ.

ძილი



მნიშვნელობა არ აქვს, ბავშვს თავის ოთახში სძინავს თუ ჩვენთან. მონტესორის ტრენინგზე გვიჩვენეს, რომ უკეთესი იქნება, თუ პატარა საკუთარ ოთახში დაიძინებს. თუმცა ძილი იმდენად ინტიმური საკითხია, ჯობია, ისე მოიქცეთ, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ.

დაახლოებით 12-16 თვიდან ბავშვი შუადღით ერთხელ იძინებს, ღამით კი 10-12 საათს სძინავს. ხშირად მშობლებს აინტერესებთ, ჰყოფნის თუ არა პატარას ძილი. თუ ბავშვი დილით კარგ გუნებაზე იღვიძებს და დღის განმავლობაშიც ბედნიერია, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზეა.

სად დავაძინოთ პატარა

ძილისთვის განკუთვნილი კუთხე უნდა იყოს უსაფრთხო, მონესრიგებული და სადა, რათა პატარას ყურადღება არ გაეფანტოს. მონახეთ გზა, რომ სანოლზე დამოუკიდებლად ავიდეს და ჩამოვიდეს. დაახლოებით 14 თვიდან უკვე შეგიძლიათ სპეციალურ საბავშვო სანოლში გადაიყვანოთ, რომლის ცალი კედელიც დაბალია ან გამოიყენოთ იატაკზე დასაგები მატრასი.

შეიძლება ღამის სანათის გამოყენება მოგვინდეს. სარა ოქველ-სმიტი¹ თავის სტატი-
აში – „მარტივი მეთოდი, რომლითაც თქვენი პატარას ძილს დღესვე გააუმჯობესებთ!“

¹ ცნობილი ექსპერტი აღზრდის საკითხებში. მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: sarahockwell-smith.com.

– გვიჩვენებს, მოვერიდოთ თეთრ და ლურჯ განათებას და უპირატესობა მივანიჭოთ წითელ შუქს, რომელიც ხელს არ უშლის მელატონინის გამოყოფას.

არ დაგვაფიქვდეს წყლის დადგმა საწოლთან იმ შემთხვევისთვის, თუ ბავშვს ღამე მოსწყურდება.

შეგვიძლია პატარა ჩვეულებრივ საწოლში დავანვინოთ ან უფლება მივცეთ, ხანდახან ჩვენთან დაიძინოს ხოლმე. ეს მხოლოდ და მხოლოდ თქვენი გადასაწყვეტია.

თუ ბავშვის ძილის ხარისხი არ მოგწონს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული ძილის რუტინა არ ამართლებს და რაღაც უნდა შევცვალოთ.

ძილისწინა რუტინა

უკვე ვისაუბრეთ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ბავშვს მივცეთ უფლება, თავად მართოს პროცესი და ზედმეტად არ ჩავერიოთ. ეს ძილსაც ეხება.

შემუშავეთ რეგულარული ძილის რეჟიმი. გამოყავით ერთი საათი ბანაობისთვის, კბილების გახეხვისთვის, ზღაპრის წაკითხვისთვის; მოუყევით პატარას, რა მოხდა დღის განმავლობაში, შემდეგ კი ჩაძინებაში დაეხმარეთ.

ზოგიერთი პატარასთვის ჩაძინება დაბადებიდანვე ძალიან მარტივია და როცა დაღლილია, მშობლის დახმარების გარეშე, თვითონ იძინებს. ეს ყველა მშობლის ოცნებაა. როგორც წესი, ასეთ ბავშვებს თავიდანვე თანმიმდევრული ძილის რეჟიმი აქვთ და არ სჭირდებათ დამატებითი ჩარევა. მათ არც ჭამის დროს ეძინებათ.

ზოგიერთ პატარას ძილის წინ ზღაპრის მოსმენა უყვარს და თვითონ იძინებს მაშინ, როცა სხვები ძილის წინ ტირიან. თუ ვიცით, რომ დანაყრებულია, მშრალი საფენი აცვია და დღისით კარგად ითამაშა, ტირილი ძილისთვის მზადყოფნის ნიშანია. თუმცა, არ გირჩევთ, მტირალი ბავშვი მარტო დატოვოთ.

გიზიარებთ მარტივ მეთოდს, რომლის გამოყენებითაც ბავშვს ჩაძინებაში დაეხმარებით. როცა ძილისწინა რუტინას დაასრულებთ, მის საწოლთან მიდგმულ სკამზე უბრალოდ ჩამოჯექით, ან, თუ გნებავთ, წიგნი წაუკითხეთ. თუ პატარა ტირის, დროდადრო ზურგზე ხელი გადაუსვით და დაამშვიდეთ. ხელში არ აიყვანოთ. თუ წამოდგება, უკანვე დააწვინეთ. მოერიდეთ ბევრ საუბარს და თვალეში დიდხანს ყურებას.

როცა ასე დაძინებას იხწავლის, სკამი ნელ-ნელა კარისკენ გადაცურეთ და დაახლოებით 2 კვირის შემდეგ ოთახის გარეთ დადგით, ოღონდ ისე, რომ ბავშვი გხედავდეთ. როგორც წესი, ამ დროისთვის პატარას უკვე აღარ სჭირდება, საწოლთან ჩამოვუსხდეთ.

თუ ბავშვი ავადაა ან კბილები ამოსდის, განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება, რამაც, შესაძლოა, ძილის რუტინა დაგვირღვოს. თუმცა, როგორც კი თავს უკეთ იგრძნობს, კვლავ ჩვეულ რეჟიმს დაგვუბრუნდეთ.

ჩაძინების ასოციაციები და ღამით გაღვიძება

ღამელამობით ყველა გავდივართ ფხიზელი ძილის ფაზას, შემდეგ კი ღრმად ვიძინებთ. როგორც წესი, ეს იმდენად სწრაფად ხდება, რომ გაღვიძებისას არც კი გვახსოვს. თუმცა, გარემოების ცვლილებისას – მაგალითად, თუ ბალიში სანოლიდან ჩამოვარდა – გვეღვიძება, მის ძებნას ვიწყებთ და თავიდან გვიწევს ჩაძინება.

იგივე ხდება ჩვილების შემთხვევაშიც. თუ მაშინ იძინებენ, როცა ვარწვეთ ან ვაჭმევთ, ფხიზელი ძილის ფაზის დადგომისთანავე ეღვიძებათ და გვეძებენ. ხელახლა ჩაძინებას მანამ ვერ შეძლებენ, სანამ იმავე ფაზებს კიდევ ერთხელ არ გაივლიან. ამგვარად, მშობელი იქცევა ჩაძინების ასოციაციად.

როცა პირველი შვილი გამიჩნდა, გიჟური რეჟიმით ვცხოვრობდი. თვეების განმავლობაში ძილის წინ ვარწვედი და ვაჭმევდი. შუალამისას იღვიძებდა და ძუძუს მთხოვდა. ისევ ვაჭმევდი. შემდეგ მუცელი ასტკივდებოდა (ახლა ვხვდები, რომ საჭმლის მონელებისთვის საკმარისი დრო არ ჰქონდა) და კვლავ იღვიძებდა.

შემდეგ ჭკუა ვისწავლე. მეორე შვილი დაბადებიდან მივაჩვიე მკაცრად განსაზღვრულ რეჟიმს – ჭამა, თამაში, ძილი. ასეთი რეჟიმი ყველასთვის მოსახერხებელი იყო, რადგან ზუსტად ვიცოდით, რას რა მოჰყვებოდა. სანოლში ძილმორეული, თუმცა ჯერ კიდევ ფხიზელი წვებოდა. თავის სანოლში ძილი უყვარდა და ჩაძინებაში დახმარებაც დიდად არ სჭირდებოდა (თუმცა სხვაგან ვერ იძინებდა. ალბათ, უცხო გარემო მეტისმეტად საინტერესო იყო და ყურადღებას უფანტავდა).

თუ ბავშვი ღამით იღვიძებს და ჭამას ითხოვს, ჩვენ კი გვინდა, გადავაჩვიოთ, მოეძებნოთ გზა, რომ ამ დროს რაც შეიძლება ნაკლები ვაჭამოთ. რძის გადატანა ბოთლში და წყლით განზავება ერთ-ერთი მეთოდია. ვიცნობდი მეძუძურ დედას, რომელსაც ერთხელ შემთხვევით სასტუმრო ოთახის დივანზე ჩაეძინა. ბავშვს ამ დროს თავის ოთახში ეძინა და არ გაუღვიძია. ამის შემდეგ მთელი კვირა დივანზე იძინებდა და ბავშვმა ღამით გაღვიძება საერთოდ შეწყვიტა.

თუ პატარა ღამით იღვიძებს და ითხოვს ჩახუტებას, წყალს, საბნის გასწორებას ან საყვარელ სათამაშოს, ამაზე დღის განმავლობაში, ნეიტრალურ დროს დაელაპარაკეთ. „გახსოვს, წუხელ რომ გაგეღვიძა, საბნის შეკეცვას რომ ითხოვდი და ვერ იძინებდი? მოდი, მოვიფიქროთ, როგორ შეიძლება, თავს მიხედო. რამე იდეა ხომ არ გაქვს? იქნებ სანოლის მთელ სიგრძეზე გადავაფაროთ და ორჯერ უფრო მაგრად შევკეცოთ? ან ვივარჯიშოთ, რომ დამოუკიდებლად შეძლო ამის გაკეთება“.

თუ ამ ყველაფრის შემდეგ ბავშვს ჩაძინება მაინც უჭირს, რაც ცუდად მოქმედებს როგორც მის, ისე თქვენს ჯანმრთელობასა და ზოგად კეთილდღეობაზე, გირჩევთ, სპეციალისტს მიმართოთ.

კბილეების გახეხვა

კბილეების გახეხვის შესახებ მონტესორის სისტემაში განსაკუთრებული მითითებები არ არსებობს, თუმცა ესეც შეიძლება იქცეს პრობლემად, როდესაც ბავშვებს პროცესი არ უყვართ.

კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ პატარას პატივისცემით ვეპყრობით და ვეხმარებით იმ ამოცანების წარმატებით შესრულებაში, რომლებსაც განვითარების კონკრეტულ ეტაპზე უმკლავდება. ვაძლევთ უფლებას, თავი იგრძნოს პროცესის წარმართველად. დართეთ ნება, თავად აირჩიოს, როდის გაიხეხავს კბილებს: ბანაობამდე, ბანაობის დროს თუ შემდეგ, წაიყვანეთ მალაზიაში და თავად შეარჩევინეთ კბილის ჯაგრისი. თუმცა, აქვე ხაზს ვუსვამ, რომ კბილების გამოხეხვა არჩევანი ვერაფრით იქნება.


შეგახსენებთ: ყველაფერი ისე უნდა მოვანყოთ, რომ ბავშვმა დამოუკიდებლად მოქმედება შეძლოს. ჯობია, პატარებს დავეხმაროთ და დავრწმუნდეთ, რომ კბილები კარგად გაიხეხეს. როცა ბავშვს ვეხმარებით, ნაზად და პატივისცემით უნდა მოვექცეთ. თავი მათ ადგილას წარმოვიდგინოთ – რა უცნაური იქნება, ვინმე პირში ჯაგრისს რომ გვიტრიალებდეს.

აჯობებს, ჩვენც ბავშვთან ერთად გავიხეხოთ კბილები და პირის ღრუს ჰიგიენაზე ზრუნვის მნიშვნელობაზე ვესაუბროთ. შეგვიძლია ამ დროს ვილიდინოთ: „აი, ასე ვიხეხავთ კბილებს, ვიხეხავთ კბილებს, ვიხეხავთ კბილებს. ვიხეხავთ კბილებს ყოველ დილას და საღამოს“. ამას ყურადღების გადასატანად კი არ ვაკეთებთ, უბრალოდ, პროცესს სიმსუბუქეს ვმატებთ.

თუ პატარა იგრძნობს, რომ მისი ყურადღების გადატანას ვცდილობთ, იმასაც მიხვდება, რომ საერთო ენის გამოწვევას ნაცვლად, ვატყუებთ და უფრო მეტად შეგვენი-ნააღმდეგება. საქებარი სტიკერების მსგავსად, რომლებიც მხოლოდ დროებით შედეგს იძლევა, ყურადღების გადატანის ხრიკებიც მანამ იქნება ეფექტიანი, სანამ ბავშვი მათგან არ დაიღლება. შემდეგ კი ორჯერ მეტი შრომის განწევა მოგვინევს, საქმის ბოლომდე მიყვანა რომ ვაიძულოთ.

თუ ბავშვთან საუბარი სცადეთ, მაგრამ კბილების გახეხვას მაინც აპროტესტებს, მშვიდად და თავდაჯერებულად უთხარით: „ახლა კბილების გახეხვაში დაგეხმარები. სააბაზანოში დავბრუნდეთ. ახლა პირს გაგიღებ...“ ამ შემთხვევაში თავაზიანად და თანმიმდევრულად მოქმედებთ.

როგორ გავუმკლავდეთ ცვლილებებს



უნიტაზი

აუცილებელი არაა, წამებად გვექცეს პერიოდი, როცა ბავშვი უნიტაზის გამოყენებას სწავლობს. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მნიშვნელოვანია, საკითხისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება ჩამოვუყალიბოთ და ზიზღით არ შევხედოთ ხოლმე დასვრილ საფენებს. პატარამ უნდა იცოდეს, რომ ეს სრულიად ბუნებრივი პროცესია და არა – რაღაც საზიზღრობა.

ჩემმა ერთ-ერთმა კოლეგამ საინტერესო მოსაზრება გამიზიარა. როცა ბავშვი სიარულს სწავლობს, ეცემა, დგება და კვლავ ეცემა, ვფიქრობთ, რომ ძალიან საყვარელია. უნდა გვახსოვდეს, რომ როცა საპირფარეშოს გამოყენებას სწავლობს, იატაკზე შარდავს ან შარვალში ისაქმებს, ამ დროსაც ვარჯიშობს და ცდილობს, გამოუვიდეს, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში საქმე შარდსა და განაგალთან გვაქვს.

ასე რომ, ყველანაირი ზედმეტი ფიქრის გარეშე, სიამოვნებით დაეხმარეთ პატარას ამ ფაზის მშვიდად გავლაში.

უნარების ჩამოყალიბება

როცა პატარა უნიტაზის გამოყენებას სწავლობს, უპირველესად, ტანსაცმლის ჩანთა-ამონევაში ვარჯიშობს, შემდეგ კი საცვლებზე გადადის.

როცა ბავშვს საფენს უცვლით, ღამის ქოთანზე/უნიტაზზე დაჯდომა შესთავაზეთ: „ღამის ქოთანზე/უნიტაზზე დაჯდომა ხომ არ გინდა?“, მაგრამ ძალა არასდროს დაატანოთ. ეს, უბრალოდ, ყოველდღიური რუტინის ნაწილად აქციეთ. ბოლოს კი უთხარით: „რადგან უკვე მორჩი და ქოთანზე/უნიტაზზე აღარ გჭირდება, ახალ საფენს ჩაგაცმევ“.

ნაჭრის საფენი ბავშვს ეხმარება, მოშარდვის შემდეგ მცირე სისველე იგრძნოს, რაც სხეულის გაცნობიერების პროცესს აჩქარებს.

აცადეთ ბავშვს, წარმართოს პროცესი

გახსოვდეთ უმთავრესი პრინციპი – მიჰყევით პატარას.

ეს ნიშნები მიგახვედრებთ, რომ ბავშვი დამოუკიდებელი მოქმედებისთვის მზადაა:

- საფენს ქვემოთ იქაჩავს, როცა ხვდება, რომ სველი ან დასვრილია.
- კუჭში გასვლის დროს იცუცქება ან მოფარებულ ადგილას მიდის.
- შეუძლია გვითხრას, მოშარდა თუ კუჭში გავიდა.
- საფენის გამოცვლისას ზოგჯერ გვერდითაა დახმებული.
- იხსნის საფენს.

მოაწყვეთ სააბაზანო ბავშვთან ერთად

თუ ბავშვი უნიტაზს იყენებს, პატარა საფეხური დაგვჭირდება, რათა დამოუკიდებლად მოახერხოს მასზე დაჯდომა. შემდეგ კი, თავი რომ უსაფრთხოდ იგრძნოს, მასზე ფეხებს დაანეჭოს.

სასურველია, აბაზანაში ცალ-ცალკე კუთხე გამოვყოთ ჭუჭყიანი ტანსაცმლისა და სუფთა საცვლებისთვის. გუბების მოსაწმენდად რამდენიმე ტილოც დაგვჭირდება.

როდესაც ყველაფერს მოვანერგებთ, თავს უფრო მშვიდად ვიგრძნობთ და აქეთ-იქით სირბილიც აღარ მოგვინებს საჭირო ნივთების საპოვნელად. თუ პატარა ღამის ქოთანთან/უნიტაზთან ვერ მიასწრებს, მშვიდად ვუთხრათ: „უი, დასველებულხარ. აქ ყველაფერია, რაც გეჭირდება. მოდი, გავამშრალე“.

აქციეთ ნორმად

ჩართეთ ბავშვი პროცესში – ერთად შეიძინეთ საცვლები და ღამის ქოთანი. გამოიყენეთ სპორტული შარვალი, რომელსაც ცოტაოდენი სისველის შეკავება შეუძლია. ასეთი შარვლები ბავშვს მაშინ ეხმარება, როცა ტუალეტამდე დროულად მისვლას სწავლობს.

მიეცით უფლება, სახლში საცვლებით იაროს. პატარები სწავლობენ, სისველე რა შეგრძნებაა, ამიტომ შეიძლება დადგნენ და უყურონ, შარდი ფეხებზე როგორ ჩამოსდით. უნარების ჩამოყალიბების დროს პირველი ეტაპი სწორედ საკუთარი სხეულის გაცნობიერებაა.

მონტესორის სკოლის მასწავლებლები ამ დროს ბავშვს ეუბნებიან: „სველი ტანსაცმელი გაცვია. მოდი, გამოვიცვალოთ“, და – არასოდეს ამას: „ეს რა მოგსვლია!“.

თავდაპირველად ღამის ქოთანზე/უნიტაზზე დაჯდომა რაც შეიძლება ხშირად შევთავაზოთ. თუ პატარას ვკითხავთ, ტუალეტში ხომ არ უნდა, დიდი ალბათობით, იუარებს. ესაა ჩვეულებრივი რეაქცია ბავშვისა, რომელიც დამოუკიდებლობას სწავლობს. დაველოდოთ, ვიდრე რაიმე აქტივობაში ჩაებმება და შუა პროცესში ვუთხრათ: „ღამის ქოთანზე დაჯდომის დროა“.

როგორც ნესი, რამდენიმე კვირაში ბავშვი საკუთარი სხეულის აღქმას იწყებს და თვითონ გვეუბნება, რომ ტუალეტში უნდა. ნელ-ნელა აღმოვაჩენთ, რომ უფრო და უფრო დიდხანს შეუძლია თავის შეკავება. საბოლოოდ, ტუალეტის შესხენება საერთოდ აღარ დასჭირდება.

მთელი ღამე მშრალად

როცა შევამჩნევთ, რომ ბავშვს უკვე ხანგრძლივად შეუძლია შეკავება, შეგვიძლია საფენებზე უარი ვთქვათ და საცვლებზე გადავიდეთ.

დააფინეთ სქელი პირსახოცი პატარას თეთრეულზე ან გამოიყენეთ ლეიბის დამცავი. ორივეს ძალიან მარტივად გამოცვლით.

შეკავება

ხანდახან ბავშვს კუჭში გასვლის ემინია, რადგან ერთხელ ეტკინა ან ოდესღაც ვიღაცის რეაქციის გამო უნიტაზზე დაჯდომის შეეშინდა. შეიძლება მიზეზი ვერც გავიგოთ. თუ ეჭვობთ, რომ ეს ჯანმრთელობის პრობლემას უკავშირდება, ექიმს გაესაუბრეთ.

თუ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, ეცადეთ, მოდუნებაში დაეხმაროთ. გაამხნევეთ და მშვიდად უთხარით: „კუკები მაშინ გამოვა, როცა ამისთვის მზად იქნება. დაველოდოთ, ჩვენ ხომ ძალიან ჭკვიანი სხეულები გვაქვს“. შემდეგ ეცადეთ, ამაზე ბევრი არ ისაუბროთ. თუ მუცელი სტკივა, მსუბუქად დაუზილეთ.

როდესაც, კუჭში გასვლის დროს, პატარა მოფარებულ კუთხეს ეძებს, შესთავაზეთ, ტუალეტში შევიდეს. ურჩიეთ, ღამის ქოთანზე/უნიტაზზე საფენით დაჯდეს. თანდათან ღამის ქოთანზე/უნიტაზზე საფენის/საცვლის გარეშე ჯდომისასაც უსაფრთხოდ იგრძნობს თავს.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენ, უბრალოდ, მხარს ვუჭერთ პატარებს და უნარების ჩამოყალიბებაში ვეხმარებით.

თუ უნიტაზის გამოყენებაზე უარს ამბობს

ბავშვს უნიტაზზე დაჯდომა არ უნდა ვაიძულოთ. ეს მისი სხეულია. ვერ დავაჩქარებთ და ვერც მის მაგივრად ვიმოქმედებთ. მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ მხარი დავუჭიროთ და საკითხზე ერთად ვიმუშაოთ.

დავრწმუნდეთ, რომ როცა ტუალეტში მიგვყავს, რაიმე აქტივობაში არაა ჩართული. ხშირ-ხშირად შევთავაზოთ ღამის ქოთანზე/უნიტაზზე დაჯდომა და გვჯეროდეს, რომ

მის გამოყენებას იხსნავს. ბავშვი უპირობოდ უნდა მივიღოთ იმ პროცესებთან ერთად, რომელთა გავლაც განვითარების სხვადასხვა ეტაპზე უწევს.

როცა იატაკზე განზრახ შარდავს

ხანდახან ბავშვი, რომელიც უნიტაზს იყენებს, მოულოდნელად იატაკზე განზრახ შარდავს. დააკვირდით – ხშირად ამით გვეუბნება, რომ მის ცხოვრებაში რაღაც ისეთი ხდება, რაც არ მოსწონს (მაგალითად, შეიძლება უმცროსმა დედამამიშვილმა ზოხვა დაიწყო და მისი სივრცე დაიკავა).

ასეთ დროს ერთი სურვილი ამოძრავებთ – დავინახოთ. დავაკვირდეთ ცნობისმოყვარედ და ვეცადოთ, გავუგოთ. მივიღოთ მათი ემოციები, მაგრამ საქციელი არ მოვუწონოთ. მშვიდად უთხარი: „გაბრაზებული ხარ? იატაკზე მოშარდვის უფლებას ვერ მოგცემ, მაგრამ მინდა, ვისაუბროთ იმაზე, რაც მოხდა“. შეგვიძლია საერთო ენა ისევ გამოვნახოთ და მოვიფიქროთ, როგორ გადავჭრათ პრობლემები ერთობლივი ძალისხმევით (იხ. მე-5 და მე-6 თავები).

საწოვარასთან დამშვიდობება

მონტესორის სისტემაში საწოვარა თითქმის არ გამოიყენება, განსაკუთრებით კი პირველ წელს. თუმცა, ბავშვის გადაჩვევაც არ იქნება დიდი პრობლემა, თუ ამას თანმიმდევრულად გავაკეთებთ.

რაც უნდა პატარა იყოს ბავშვი, ავუხსნათ, რომ რაღაცის შეცვლას ვაპირებთ.

თავდაპირველად მხოლოდ ძილის დროს გამოვიყენოთ საწოვარა. ვიდრე ბავშვი გაიღვიძებს, საწოლის გვერდით, ყუთში დავმალეთ.

თუ პატარა საწოვარას სხვა დროსაც ითხოვს, დავაკვირდეთ, რატომ უჩნდება ამის სურვილი და მიზეზი დავადგინოთ. შეიძლება, უბრალოდ, თამაში უნდა ან ჩვენთან მეტ კონტაქტს და ჩახუტებას ითხოვს. იქნებ ანერვიულებულია და დამშვიდება სჭირდება.

გთავაზობთ რამდენიმე იდეას, რომლებიც დაგეხმარებათ, საწოვარა ჩაანაცვლოთ:

- საწრუპიანი ბოთლის გამოყენება
- წყლის საწრუპით აბუყბუყება და ბუშტებზე დაკვირვება
- საპნის ბუშტების გაბერვა
- ბანაობის შემდეგ სწრაფ-სწრაფად შემშრალება
- მაგრად ჩახუტება
- ცომის მოზელა
- აბაზანის სათამაშოების ჩაბლუჯვა
- ზურგის ნელა და მაგრად დახელა

შეგვიძლია ბავშვთან ერთად შევიმუშაოთ საწოვარასთან დამშვიდობების გეგმა. ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია მისი ჩუქება ჩვენი შეგობრისათვის, რომელსაც ახლახან პატარა შეეძინა.

საერთოდ, ბავშვს რამდენიმე დღე სჭირდება, საწოვარას გარეშე დაძინებას რომ მიეჩ-

ვიოს. შესაძლოა, ამ დღეების განმავლობაში თქვენი მხარდაჭერა დასჭირდეს. ფრთხილად იყავით, რათა ჩაძინების პროცესის ახალი ასოციაცია არ გააჩინოთ.

დედამიწილია



მშობლებს ხშირად უთქვამთ, რომ ჩვენი რეკომენდაციები უფრო მათ წაადგებათ, ვისაც ერთი შვილი ჰყავს. ერთზე მეტი ბავშვის მშობლებს უჭირთ დროის გამონახვა, თითოეულ ბავშვზე დაკვირვება, მათი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება და დედამამიწილებს შორის არსებული კონფლიქტების გადაჭრა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, როცა სახლში ახალშობილია, ან როცა მოზრდილი ბავშვები ცდილობენ, უმცროსები თავიანთ ქუთაზე ატარონ.

როცა ოჯახში ახალშობილია

წიგნში – „დედამამიწილების ურთიერთობა პაექრობის გარეშე“ – ადელ ფაბერი და ილიან მამლიში ჰყვებიან ისტორიას, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რას გრძნობს ბავშვი, როცა ოჯახში ახალშობილი ჩნდება.

წარმოიდგინეთ, თქვენი მეუღლე ერთ დღეს სახლში მოდის და გეუბნებათ: „ისე ძალიან მიყვარხარ, რომ ახალი ცოლის მოყვანა გადაწყვიტე. ის ჩვენს ძველ საწოლში დაიძინებს, შენს ტანსაცმელს ჩაიცვამს და ყველაფრის მასთან გაყოფა მოგინევს“. ეფიქრობ, საშინლად გაბრაზდებოდი და იეჭვიანებდი. ზუსტად ასევე, სულ არაა გასაკვირი, რომ ოჯახში ახალი წევრის შემოსვლა ბავშვზე დიდ გავლენას ახდენს.

არსებობს არაერთი მეთოდი იმისთვის, რომ ბავშვი წინასწარ შევამზადოთ ახალშობილის მისაღებად. ვესაუბროთ პატარას, როგორი იქნება ჩვენი ცხოვრება მისი დის/ძმის დაბადების შემდეგ. განსაკუთრებულ დახმარებას გაგინევთ წიგნები რეალისტური ილუსტრაციებით, რომლებზეც ნაჩვენებია იქნება, როგორ უვლიან მშობლები ჩვილს და ამავე დროს, ძველებურად ატარებენ დროს უფროს ბავშვებთან. უფლება მიეცით, მუცლად მყოფ პატარას უმღეროს, ელაპარაკოს და მასთან ურთიერთობა დაიწყოს. კარგი იქნება, თუ ჩვილისთვის სივრცის მომზადებაში დაიხმართ. ასევე, შეგიძლიათ უკანასკნელად დატკბეთ ოჯახის ახლანდელი შემადგენლობით (მთელი ცხოვრება გამყვება მოგონება, როცა ჩემი გოგონას დაბადების წინა დღეს მე და ჩემი ბიჭი პარკში სასაეროდ წავედით).

როცა ოჯახის ახალ წევრთან შეხვედრის დრო მოვა, ჩვილი იქამდე დავანვინოთ, ვიდრე უფროსი ბავშვი ოთახში შემოვა, რადგან ასე უფრო გავუადვილებთ ცვლილებების მიღებას. ბავშვისთვის რთული იქნება, ჩვილით ხელში ჩვენი დანახვა.

ეცადეთ, პირველი კვირების განმავლობაში სახლში ბევრმა ადამიანმა არ იმოძრაოს. თუ შეგიძლიათ, ვინმე დაიხმარეთ, რათა გქონდეთ საშუალება, უფროს ბავშვთანაც გაატაროთ დრო.

ზოგიერთ ბავშვს უყვარს, როცა ახალშობილის მოვლაში გვებმარება – მოაქვს სუფთა საფენი ან საპონი, როცა ბანაობის დრო დგება. ზოგს ეს პროცესი საერთოდ არ აინტერესებს და ესეც ნორმალურია.

როდესაც ჩვილს აჭმევთ, იქვე დაიდეთ წიგნების კალათა და უფროსის საყვარელი სათამაშოები. ასე შეძლებთ, ახალშობილიც გამოკვებოთ და უფროს ბავშვსაც დაუთმოდეთ ყურადღება.

როცა ბავშვი თამაშობს და ჩვილს აღვიძებს, შეგვიძლია ამ დროს ახალშობილს მოვუყუევით, რას აკეთებს მისი უფროსი და/ძმა. ეს ჩვილს წაადგება, უფროსს კი მოეწონება, პატარასთან მასზე რომ ვსაუბრობთ.

როცა ბავშვი ახალშობილის გამო ნერვიულობს

პატარებმა შეიძლება პირდაპირ მოგვახალონ, რომ ახალ ბავშვს ვერ იტანენ. ასეთ დროს ბავშვები უფრო ემოციურები და დაუმორჩილებლები ხდებიან.

ამგვარი ქცევით პატარები გვეუბნებიან, რომ უჭირთ. იმის ნაცვლად, რომ ვუთხრათ: „სინამდვილეში, სულაც არ გძულს“ და მისი შეგრძნებები უარყვით, გავიხსენოთ, რომ საჭიროა, მოვლენებს მათი თვალთ შევხედოთ, თანავუგრძნოთ და მხარი დაუჭიროთ.

ჯობია, უფლება მივცეთ, ყველანაირი უარყოფითი ემოცია გამოხატოს. ვკითხოთ: „გაღიზიანებს, რომ იმ ნივთებს ეხება, რომლებითაც შენ თამაშობ ხოლმე?“, შემდეგ კი მოვუხმინოთ. ვაცადოთ, ყველა დაგროვებული ემოცია ამოუშვას.

თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფლება მივცეთ, ისე მოიქცეს, როგორც უნდა. მაგალითად, თუ ახალშობილს ურტყამს:

- დაუყოვნებლივ ჩაერიეთ და ხელები ფრთხილად გაანეწინეთ. აუხსენით: „ვერ მოგცემ უფლებას, დაარტყა. ჩვილს ნაზად უნდა მოვექცეთ“.
- გახდით მათი შეგრძნებების მთარგმნელი. უთხარით: „პატარა ტირის. ამით გეუბნება, რომ არ მოსწონს, რასაც აკეთებ“.
- შესთავაზეთ ურთიერთობის უსაფრთხო გზები. შესთავაზეთ: „მოდით, ამის ნაცვლად რბილი სათამაშო შორიდან დავანახოთ“.

გამოყავით დრო თითოეული ბავშვისთვის

ბავშვებთან დროის გასატარებლად სხვადასხვა გზის გამოჩანაგა შეიძლება: წავიდეთ სუპერმარკეტში, გავისეირნოთ, შემდეგ კი კაფეში რამე გემრიელი მივირთვათ, ან სათამაშო მოედანზე ათი წუთით შევიდეთ.

როცა ბავშვი რაღაცას გვთხოვს, ჩვენ კი არ გვცალია, ჩავინეროთ და ამ საკითხზე მხოლოდ მისთვის განკუთვნილ დროს დაველაპარაკოთ.

იყავით ნეიტრალური

ბავშვებს უყვართ, როდესაც თავიანთ კამათში გვრთავენ. ელიან, რომ რომელიმეს მხარს დაუჭიროთ. ზოგჯერ საკუთარ თავსაც ვახსენებ ხოლმე: „შეინარჩუნე ნეიტრალიტეტი და არცერთის მხარე არ დაიჭირო“.

ვალდებულნი ვართ, ორივეს გაგვუგოთ, ვიზრუნოთ მათ უსაფრთხოებაზე და შუამავლის როლი მოვირგოთ, რათა ორივე მხარემ თავისი პასუხისმგებლობა აიღოს. ეცადეთ, მოვლენებს ორივეს თვალთ შევხედოთ და ზომიერად არ ჩაერიოთ პროცესში.

ერთხელ, როცა ჩემი ბიჭი 2 წლის იყო, გოგონა კი - 9 თვის, ორივეს ერთი და იმავე მანქანით თამაში მოუწია. მახსოვს, ჩემთვის ვთქვი: „ერთი მანქანა და ორი ბავშვი - ეს უკვე პრობლემაა“. ვფიქრობდი, რისი გაკეთება შემეძლო - სხვა სათამაშო მომეტანა, ერთ-ერთის ყურადღება სხვა რამეზე გადამეტანა, ან როგორმე მომეხერხებინა, რომ სათამაშო ერთმანეთისთვის ეთხოვებინათ. ზუსტად ამ დროს ჩემმა ბიჭმა მანქანას უკანა ნაწილი მოაძრო და დას მისცა, წინა კი თავისთვის დაიტოვა. მან იმაზე უფრო ჭკვიანური გამოსავალი მოძებნა, ვიდრე მე მოვიფიქრებდი.

აღზარდეთ ისე, თითქოს დიდი ოჯახი გყავთ

წიგნში „განვითარება“ აღმზრდელობითი საკითხების ექსპერტი მაიკლ გროსი გვიჩვენებს, დედამამიშვილები ისე აღზარდონ, თითქოს ოჯახში ოთხი ან მეტი ბავშვი იყოს. დიდ ოჯახში მშობლებს არ შეუძლიათ ყველა კონფლიქტი მოაგვარონ და თითოეული ბავშვი გაართონ. ისინი გემის კაპიტნის ფუნქციას ასრულებენ, ოჯახის წინამძღოლები არიან და საძირკველს უყრიან ოჯახურ ღირებულებებს.

როდის ჩავერიოთ

ხშირად, როცა ჩვენი შვილები ჩხუბობენ, მაშინვე მივცვივდებით და ვეკითხებით: „ეს ვინ ქნა?!“ ამ დროს ბავშვები თავდაცვას იწყებენ ან ცდილობენ, ყველაფერი სხვას გადააბრალონ: „ამან დაიწყო!“

გთავაზობთ რამდენიმე გზას, რომელთა დახმარებითაც უკეთ შეძლებთ კონფლიქტის მართვას.

1. ეცადეთ, კამათის დროს გხედავდნენ

როცა კინკლაობენ, დარჩით ოთახში და დარწმუნდით, რომ გხედავენ. ამ დროს ბავშვები ხედეზიან, რომ ვიცით მათი კამათის შესახებ, თუმცა დარწმუნებულები ვართ, რომ ყველაფერს დამოუკიდებლად მოაგვარებენ.

2. დააკვირდით

როცა კინკლაობა ცხარე კამათში გადადის, შეჩერდით და დააკვირდით. ბავშვები გრძნობენ, როცა მათ გვერდით ვართ, მაშინაც კი, თუ არაფერს ვამბობთ.

3. შეახსენეთ შინ ქცევის წესები

თუ ხედავთ, რომ თამაში გონივრულ ზღვარს სცდება და უხეშობაში გადადის, ჯობია, ჩავერიოთ და შეახსენოთ: „უხეშად თამაში მხოლოდ ორმხრივი თანხმობით შეიძლება“; „გინდა, გაჩერდეს? მგონია, რომ აღარ გსიამოვნებს“.

4. დაეხმარეთ

როცა კონფლიქტს თვითონ ვერ აგვარებენ, ჩაერიეთ.

- განსჯის გარეშე მოუსმინეთ ორივე მხარეს.
- მიიღეთ მათი ემოციები და აჩვენეთ, რომ ორივესი გესმით.
- აღწერეთ პრობლემა.
- უთხარი, რომ გაინტერესებთ, როგორ აპირებენ პრობლემის მოგვარებას.
- უკან დაიხიეთ და აცადეთ, გამოსავალი თვითონ იპოვონ.

შეგიძლიათ უთხრათ:

„აშკარაა, რომ ერთმანეთზე გაბრაზებულები ხართ“ (ემოციების აღიარება).

„რთული მდგომარეობაა – ორი ბავშვი და ერთი ლეკვი“ (პრობლემის აღწერა).

„ესე იგი, ორივეს ლეკვის ხელში აყვანა გინდათ“ (სურვილების დაკონკრეტება).

„დარწმუნებული ვარ, თქვენ ორნი ისეთ გამოსავალს იპოვით, რომელიც როგორც თქვენთვის, ისე ლეკვისთვისაც სამართლიანი იქნება“ (უკან დახევა).

5. დაამოწმეთ ერთმანეთს, ვიდრე დამშვიდდებიან

როცა ბავშვების ჩხუბი ყველანაირ ზღვარს სცდება, სასურველია, დროებით ერთმანეთს დააშოროთ. აუხსენით: „ორ გაბრაზებულ ბავშვს ვხედავ. ვერ მოგცემთ უფლებას, ერთმანეთს ურტყათ. ვიდრე დამშვიდდებით, შენ იმ ოთახში წადი, შენ კი აქ დარჩი“.

ეს მეთოდი მაშინაც ამართლებს, როცა ბავშვებმა ჯერ ლაპარაკი არ იციან.

6. მოაგვარეთ პრობლემა

როგორც კი კონფლიქტი ჩაცხრება, შეგიძლია პრობლემის მოგვარებაზე ერთად ვიზრუნოთ. როგორც მე-6 თავში აღვნიშნეთ:

- ყველანი ერთად ვინწყებთ პრობლემის გადაჭრაზე ფიქრს (ზოგჯერ პატარები ყველაზე კარგ გამოსავალს გვთავაზობენ).
- ყველა ვეთანხმებით მიღებულ გადაწყვეტილებას.
- ვაკვირდებით, რამდენად ამართლებს ეს გზა და რამის შეცვლა ხომ არაა საჭირო.

მადლიერების გრძნობის გაღვივება და ერთად ყოფნის წახალისება

შევეჭმნათ ისეთი სიტუაციები, რომლებიც ერთმანეთის გვერდით თავს კმაყოფილად და ბედნიერად აგრძნობინებთ (ასაკობრივ სხვაობას მნიშვნელობა არ აქვს). ეს ხელს შეუწყობს ბავშვების დაახლოებას.

ნეიტრალურ დროს ვესაუბროთ დედამამიშვილის ყოლის დადებით მხარეებზე ან ვკითხოთ, თვითონ რა მოსწონთ ამაში.

აუხსენით, რომ არაა აუცილებელი, ახლო მეგობრები იყვნენ, თუმცა ვალდებული არიან, ერთმანეთს პატივი სცენ.

თითოეულ ბავშვს ინდივიდუალურად მიუდევით

როგორც ყველანაირ საკვებში ერთნაირი რაოდენობის ბარდას ვერ ჩავეყრით, ასევე ვერ აღვზრდით ყველა ბავშვს ერთნაირად. ამის ნაცვლად, **თითოეულს, მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად უნდა მივუდგეთ.**

იქნება შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთს მეტი ყურადღება დასჭირდება. მაგალითად, დაბადების დღეზე ან ისეთ დროს, როდესაც მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. მთავარია, თითოეულმა ბავშვმა იცოდეს, რომ როცა დაგჭირდებათ, მათ გვერდით ვიქნებით.

თუ ბავშვები ჩვენს ყურადღებას ერთდროულად ითხოვენ, ვუთხრათ: „როგორც კი ამ საქმეს მოვრჩები, მოვალ და დაგეხმარები“. თუ ჩვენთან ლაპარაკი ერთდროულად მოინდომეს, ავუხსნათ, რომ მზად ვართ, ორივეს მოვუხმინოთ, მაგრამ – რიგრიგობით. განვუმარტოთ: „ახლა შენ მოგისმენ, შემდეგ კი შენგან მაინტერესებს, რისი თქმა გინდა“.

მოერიდეთ დედამამიშვილების შედარებას. შეიძლება ხანდახან მაინც წამოგვცდეს: „შეხედე, შენი ძმა რა კარგად ქაშს!“.

ბავშვები ერთმანეთს ხშირად ეჯიბრებიან. მთავარია, მთელი ყურადღება პიროვნებაზე გადავიტანოთ და არა – დაზე ან ძმაზე. მაგალითად, თუ პატარა გვეუბნება, რომ მის დას/ძმას მეტი ყველი აქვს, ვკითხოთ: „გინდა, ყველი დაგიმატო?“ ამგვარად, შევძლებთ, თითოეულ ბავშვს ინდივიდუალურად მოვეპყროთ.

მასაჟი ნაწილი

სასარგებლო უნარები, რომლებიც

პატარას უნდა

განვუვითაროთ



გაზიარება

ჩემი თვეების შვილი თავის ნივთებს მარტივად გვიზიარებდა და მალევე პოულობდა სხვა გასართობს.

ეს ნებაყოფლობითი გაზიარების უნარი მალევე იცვლება. 1-იდან 3 წლამდე პატარებს უმძაფრდებათ „მეს“ განცდა და უნდათ, ყველაფერი იდეალურად გამოუვიდეთ. დაახლოებით 14-16 თვის ასაკში შეიძლება შევნიშნოთ, რომ ბავშვი თავის ნივთებს გარშემო იგროვებს, იშორებს მეგობარს, რომელიც მის მოქმედებებს აკვირდება, ან უყვირის თანატოლს, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშაგებია.

2,5 წლამდე პატარები ძირითადად თანატოლების გვერდით სხედან, მაგრამ მაინც ცალკე თამაშობენ, რადგან სათამაშოების გაზიარება და ერთად თამაში დიდად არ ხიბლავთ. ამიტომაც, ნუ გვუჩვენებთ მოლოდინი, რომ ამ ასაკის ბავშვი თავის სათამაშოს სხვას ადვილად დაუთმობს (თუ უფროსი და/ძმა ჰყავთ ან ბაღში თამაშობენ, შეიძლება გაზიარება უფრო ადრე ისწავლონ).

რიგრიგობით თამაში

მონტესორის სკოლებში ასეთი წესი გვაქვს: იმის ნაცვლად, რომ ბავშვს ვთხოვთ, თავისი ნივთები სხვას გაუზიაროს, რიგრიგობით თამაშს ვთავაზობთ. პატარას შეუძლია, იმდენ ხანს ითამაშოს, რამდენ ხანსაც უნდა. ეს ეხმარება კონცენტრაციის უნარის გაუმჯობესებაში, ასევე, ერთი და იმავე ქმედების მრავალჯერ გამეორებით მის სრულყოფაში. ბავშვი ამ დროს იმასაც სწავლობს, რომ თავის რიგს უნდა დაელოდოს, რაც ძალიან სასარგებლო ჩვევაა.

იგივე წესი შეგვიძლია სახლშიც შემოვიღოთ.

- დააკვირდით და დარწმუნდით, რომ პატარა თანახმაა, მის მოქმედებებს სხვა ბავშვი დააკვირდეს ან, სულაც, შეუერთდეს თამაშში. სხეულის ენით ბევრი რამის გაგება შეგვიძლია. ზომავზე მეტად ნუ ჩაერევით – მიეცით უფლება, უსიამოვნებებს დამოუკიდებლად გაუმკლავდეს.

- როდესაც თანატოლი სათამაშოს სთხოვს, დაეხმარეთ, უთხრას: „ახლა ჩემი ჯერია, მალე მოგცემ“.
- დაამშვიდეთ, როცა ვერ ითმენს: „გინდა, ახლავე ითამაშო? მალე შენი ჯერი მოვა“.
- თუ პატარა ფიზიკურ აგრესიაზე გადადის, ჩაერიეთ – ფრთხილად გამოსწიეთ უკან ან ბავშვებს შორის ჩადექით. აუხსენით: „ვერ მოგცემ უფლებას, შენს მეგობარს ხელი ჰკრა. იმის თქმა ხომ არ გინდოდა, რომ შენი რიგი იყო?“.

დაახლოებით 2,5 წლის პატარები უკვე სხვებთან თამაშით ინტერესდებიან. გავითვალისწინოთ, რომ ამ დროს ჩვენი დახმარება სჭირდებათ. უნდა ვასწავლოთ, როგორ იპოვონ საჭირო სიტყვები თავიანთი აზრის გამოსახატავად და როგორ ისწავლონ გამოცდილებიდან. აუხსენით: „მგონი, შენს მეგობარს უნდა, მარტომ ითამაშოს. მოდი, ცოტა ხანში დავბრუნდეთ და მერე ითამაშე“.

სათამაშო მოედანზე

თუ თქვენი პატარა საქანელაზე ქანაობს, სხვა კი ელოდება, იქვე მდგომ ბავშვს უთხარი: „მგონი, შენც გინდა ქანაობა. რომ მორჩება, შეგიძლია დაჯდე. საქანელა მალე გათავისუფლდება“. ამით ბავშვსაც და მშობელსაც ვეუბნებით, რომ ვხედავთ, როგორ გველოდებიან და რომ მათი რიგი აუცილებლად დადგება.

პატარას კი შესთავაზეთ: „ნახე, სხვასაც უნდა საქანელაზე დაჯდომა. მოდი, ათამდე დავითვალოთ და დავსვათ“. ამით ვასწავლით, როგორ გამოიჩინოს პატივისცემა სხვების მიმართ.

როცა სტუმრებს ველოდებით

როცა სტუმრებს ველოდებით, ბავშვს წინასწარ ვკითხოთ, რომელიმე სათამაშოს შენახვა ხომ არ უნდა. შემდეგ გადავამოწმოთ, რომ თანახმაა, სხვებმა დანარჩენი სათამაშოებით ითამაშონ. ამით ვეხმარებით, წინასწარ შევმზადოს და თავად გადანყვიტოს, მის მეგობრებს რომელი სათამაშოების აღება შეეძლება.

ვასწავლოთ პატარას, როგორ შეაწყვეტინოს ზრდასრულს საუბარი ზრდილობიანად

პატარას უნდა ვასწავლოთ, როგორ შეაწყვეტინოს ზრდასრულს საუბარი ზრდილობიანი ფორმით.

ჩემი შვილების პირველმა მონტესორის მასწავლებელმა ბავშვები გააფრთხილა, რომ როცა სხვისთვის რაიმეს ახსნით იქნებოდა დაკავებული, მათ კი რაღაცის თქმა ენდომებოდათ, მხარზე ხელი დაედოთ. ამით მასწავლებელი მიხედვებოდა, რომ პატარებს მისთვის რაღაც მნიშვნელოვნის თქმა სურდათ და როგორც კი შეძლებდა, მოუსმენდა.

ეს წესი შეგვიძლია სახლშიც დავენერგოთ. თუ ტელეფონზე ვსაუბრობთ ან ვინმეს ველაპარაკებით, ბავშვს კი ამ დროს ჩვენთვის რაღაცის თქმა უნდა, მხარზე ხელის მსუბუქი დარტყმით ვანიშნოთ, რომ ასე უნდა მოიქცეს. ამის შემდეგ, როგორც კი შესაფერის დროს გამოვნახავთ, ეკითხავთ, რისი თქმა სურდა.

ამ უნარს გავარჯიშება სჭირდება, თუმცა ნამდვილად ეფექტიანია. ამგვარი ჟესტით ერთმანეთს უხმოდ ვეუბნებით: „ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რის თქმასაც აპირებ. მალე მოგისმენ“.

ინტროვერტი ბავშვებისთვის საჭირო უნარები

ინტროვერტი ბავშვების მშობლები ხშირად ლელავენ, რომ მათი შვილები სხვებივით კომუნიკაბელურები და თავდაჯერებულები არ არიან. შესაძლოა, აღიარებდნენ კიდევ, რომ ბავშვი ინტროვერტია, მაგრამ წუხდნენ, რომ ცხოვრების სირთულეებთან გასამკლავებლად საჭირო უნარები არ გააჩნია და თავდაჯერებულად მოქმედებას ვერ შეძლებს.

სიუზენ კეინი წიგნში – „სიჩუმე: ინტროვერტების ძალა სამყაროში, რომელიც მუდმივად ლაპარაკობს“ – წერს, რომ სათანადოდ ვერ ვაფასებთ ინტროვერტების ემპათიისა და მოსმენის უნარს. შეგვიძლია ინტროვერტ შვილებს ისე დავენმაროთ, რომ მათი გადაკეთება არ ვცადოთ.

უპირველესად, **მიიღეთ ბავშვი ისეთი, როგორიც არის**. კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ მე-5 თავი და გაიხსენეთ ძირითადი პრინციპები. მოერიდეთ იარლიყების მიწებებას (მაგალითად, არ უწოდოთ თქვენს პატარას მორცხვი). მომავალში ამგვარი იარლიყები უხერხულ სიტუაციებში თავის მართლების მიზეზად იქცევა ხოლმე („უბრალოდ, მორცხვია“). ამის ნაცვლად, ასწავლეთ, სირთულეებს როგორ გაუმკლავდეს (შკითხეთ: „დრო გჭირდება, ბავშვებს რომ შეუერთდე?“). ეცადეთ, სხვებს არასდროს შეადაროთ. ნუ ეტყვი: „ნახე, ისინი ერთად რა კარგად თამაშობენ“.

როცა ბავშვს უპირობოდ მიიღებთ, **მოვლენებს მისი თვალთ შეხედვით და უკეთ გაუგებთ**. ყურადღებით მოუსმინეთ, თუ საჭიროა, ხელში აიყვანეთ, დაამშვიდეთ და თავი უსაფრთხოდ აგრძნობინეთ: „ლევა, ბებოსთან/დაბადების დღეზე/მალაზიაში რომ მივდივართ?“.

ასეთი მიდგომა დაგეხმარებათ, პატარა **წინასწარ შეამზადოთ** ისეთი შემთხვევებისთვის, რომელთა გამოც შეიძლება აღელდეს.

თუ ბავშვს სოციალურ სიტუაციებთან შესაგუებლად გარკვეული დრო სჭირდება, უფლება მიეცით, თქვენ გვერდით იდგეს და გარემოს დააკვირდეს მანამ, სანამ მოქმედებისთვის მზად არ იქნება. არაა საჭირო, ამაზე ყურადღება გაუმახვილოთ და ბუზი სპილოდ აქციოთ. ჩვეულებრივად გააგრძელეთ საუბარი. როცა მზად იქნება, თვითონ ჩაებმება ურთიერთობებში.

დროთა განმავლობაში ბავშვს იმ **უნარების განვითარებაში** უნდა დაგეხმაროთ, რომლებიც ძალას შემატებს და დაარწმუნებს, რომ ყველაფერს გაუმკლავდება.

როგორ მოვახერხოთ ეს?

- როლების გაცვლა. მაგალითად, შეუძლია ივარჯიშოს, როგორ მიესალმოს ზრდასრულს ან როგორ მიულოცოს დაბადების დღე მეგობარს.
- იმ შემთხვევაში, თუ სიტუაცია მისთვის მეტისმეტად სტრესულია, ასწავლეთ, როგორ მოიხადოს ბოდიში და განმარტოვდეს. მაგალითად ასე: „ცოტა ხნით ნავალ და ჩემთვის ვიქნები“.
- ავარჯიშეთ, როგორ მოიქცეს მაღაზიაში ფულის გადახდის ან კაფეში რაიმის შეკვეთის დროს. თუ დახმარება დასჭირდება, მის გვერდით იქნებით. შესთავაზეთ: „იქნებ, უფრო ხმამაღლა უთხრა? მგონი, მიმტანმა ვერ გაიგო“.
- ასწავლეთ მარტივი ფრაზები, რომელთა წარმოთქმისასაც თავს თავდაჯერებულად იგრძნობს. მაგალითად, როცა რაღაც არ მოსწონს, ურჩიეთ, თქვას: „გაჩერდი. არ მომწონს, რასაც აკეთებ“.

დაბოლოს, შეგვიძლია ბავშვს თავდაჯერება შევმატოთ და სიხარულით აღვნიშნოთ ხოლმე მისი უნარები; ამავე დროს, ვასწავლოთ საკუთარ თავსა და გარემოზე ზრუნვა.

თუ პატარა მეტისმეტად თავდაჯერებულია, უყვარს სხვა ბავშვებთან მისვლა და ჩახუტება, მათ კი ასეთი ყურადღება არ სიაშოვნებთ, აუცილებლად უნდა განვუმარტოთ სხვების ამგვარი ქცევის მიზეზი და ავუხსნათ: „ჯობია, ჯერ ვკითხოთ, უნდა ჩახუტება თუ არა“. პატარამ შეიძლება ეს ამბავი გულთან ახლოს მიიტანოს და იფიქროს, რომ ვიღაცას მასთან ურთიერთობა არ უნდა. ვასწავლოთ, როგორ მიიღოს სხვები უპირობოდ.

ზრდასრულებს უნდა გვახსოვდეს, რომ ვიდრე ბავშვს შევუბნობთ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ წინააღმდეგი არაა. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სხვის შვილს ეხება. ჩახუტებამდე შევეუთანხმდეთ პატარას: „შეიძლება ჩაგეხუტო?“ (მოუღებელია იმპერატიული მიმართვა: „მოდი, ჩამეხუტე!“). ამით პატივს ვცემთ ბავშვის არჩევანს, თვითონ გადანევიტოს, როდის და როგორ შევხებით, ან, საერთოდ, შევხებით თუ არა.



დართყმის / კბენის / ხელის კვრის / ნივთების სროლის ფაზა

კომუნიკაციის სწავლისას პატარები ზოგჯერ სიტყვებს იყენებენ, ზოგჯერ კი – სხეულის ენას. ხანდახან, გვირგვინს, გვკბენენ და ხელს გვკრავენ. უნდა გვესმოდეს, რომ ეს კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა, თუმცა, ცხადია, არასასიამოვნო. ბავშვებს ამ ფაზის გადალახვაშიც უნდა დავეხმაროთ.

თუ ჩვენი შვილი სხვებს ურტყამს, კბენს ან ხელს ჰკრავს, ბავშვების უსაფრთხოებაზე უნდა ვიზრუნოთ. აღელვება საჭირო არაა – პატარასაც გადაეძება. მის გვერდით დავდგეთ ან ძირს დავსხდეთ და გავამხნეოთ. ჩავერიოთ თავაზიანად, მივიღოთ მისი ემოციები, მაგრამ აღვეკვეთოთ არასასურველი ქცევა და ბავშვები ერთმანეთს დავაშოროთ.

ჯობია, ცოტა ხანს გარეთ აღარ გავიდეთ, თუ ვხვდებით, რომ პატარას ხმაურიან გარემოში ყოფნა არ სიამოვნებს.

ქცევაზე დაკვირვება

მონტესორის სკოლის მასწავლებლებს თითქმის ყველაფერზე ერთი პასუხი აქვთ – „დააკვირდით“. ეცადეთ, გაარკვიოთ, როგორი სიტუაციები იწვევს არასასურველ ქცევას. გთავაზობთ კითხვების ჩამონათვალს, რომლებსაც ხშირად ვსვამ ხოლმე:

- **დრო.** დღის რომელ მონაკვეთში იქცევა ასე? მშვიდრი ან დაღლილი ხომ არაა?
- **ცვლილებები.** კბილები ხომ არ ამოსდის? რამე ხომ არ შეიცვალა, მაგალითად, ბავშვი შეგეძინათ ან ახალ სახლში გადახვედით?
- **აქტივობა.** რას აკეთებს იმ დროს, როცა ეს ხდება?
- **სხვა ბავშვები.** რამდენი ბავშვია ირგვლივ? ყველა მისი ასაკისაა, მასზე უმცროსები თუ უფროსები?
- **ემოციების გამოხატვა.** ვიდრე ეს მოხდება, როგორ გამოიყურება? თამაშის განწყობაზეა? იმედგაცრუებული ან დაბნეული ხომ არაა?
- **გარემო.** დააკვირდით გარემოს. ხმაურიანია თუ მშვიდი? მეტიმეტად ფერადი და გამაღიზიანებელი ხომ არაა? ირგვლივ არეულობაა? კედლებზე მეტიმეტად ბევრი ნახატი ხომ არაა, რაც შეიძლება სენსორული გამაღიზიანებელი იყოს?
- **ზრდასრულები.** როგორ ვრეაგირებთ მის ქცევაზე? მეტიმეტ მღელვარებას ხომ არ გამოვხატავთ?

არასასურველი ქცევის თავიდან არიდება

თუ დავაკვირდებით, შევძლებთ ქცევის თავისებურება ამოვიცნოთ და განვსაზღვროთ, როგორ დავეხმაროთ პატარას.

- **შიმშილი.** სადილამდე, ვიდრე ძალიან მოშივდება, მიეცით ნასახემსებელი (ეს ნერვული სისტემის დამშვიდებაშიც დაეხმარება).
- **კბილების ამოჭრა.** შესთავაზეთ ღრძილების სხვადასხვანაირი სათამაშო.
- **კვლევის მოთხოვნილება.** მიეცით უფლება, სათამაშოები პირში ჩაიდოს და ამგვარად გამოიკვლიოს.
- **ნერვული სისტემის აღმგზნები გარემო.** შეამცირეთ დეტალები, რომლებიც აღაგზნებს ნერვულ სისტემას და ბავშვს აღიზიანებს.
- **ხმაური.** თუ გარემო მეტისმეტად ხმაურიანია, ეცადეთ, იქაურობას რაც შეიძლება ხსრაფად გაარიდოთ.
- **არეული დღის რეჟიმი.** იქნებ დღე არ გაქვთ დაგეგმილი და პატარას არეულ რეჟიმთან შეგუება უჭირს? ადროვეთ, დაწყებული საქმე დაასრულოს და დარწმუნდით, რომ თამაშისთვის საკმარისი დრო რჩება.
- **პირადი საზღვრების დაცვა.** ასწავლეთ, როგორ დაიცვას პირადი საზღვარი და უთხრას თანატოლებს: „ჯერ მე ვიყენებ. მალე მოგცემ“; დაეხმარეთ, თავი აარიდოს სიტუაციებს, სადაც შეიძლება პირადი სივრცე შეეზღუდოს.
- **სიყვარულის არასწორად გამოხატვა.** სიყვარულის გამოსახატავად ზოგიერთმა პატარამ შეიძლება გვიკბინოს. ავუხსნათ, რომ საამისოდ სხვა გზებიც არსებობს, მაგალითად, ჩახუტება.
- **სოციალური უნარები.** თუ სხვა ბავშვს ხელს ჰკრავს, შეიძლება უნდა, რომ ჰკითხოს: „გინდა, ვითამაშოთ?“. დაეხმარეთ საჭირო სიტყვების პოვნაში.
- **სმენისა და მხედველობის პრობლემები.** ასეთი პრობლემების მქონე ბავშვმა შეიძლება თავი თავგზააბნეულად იგრძნოს და აგრესიული რეაქციები გამოავლინოს.
- **ნერვული სისტემის დამშვიდება.** შეისწავლეთ და გამოიყენეთ ნერვული სისტემის დამშვიდების ხერხები, მაგალითად, მავრად ჩახუტება.

ბავშვები ჩვენი ემოციებისადმი ძალიან მგრძნობიარეები არიან. ამიტომ, როცა თანატოლებთან ერთადაა, ვეცადოთ, სიმშვიდე შევინარჩუნოთ და აღვლევება არ შეგვეტყოს. შეიძლება პატარამ ჩვენი მღელვარება იგრძნოს, რაც მის უარყოფით განცდებს კიდევ უფრო გაამძაფრებს.

სცადეთ, ყოველი დილა ახალი ფურცლიდან დაიწყოთ და ბავშვს ახლებურად შეხედოთ. თქვენს თავს შეახსენეთ, რომ ესეც გაივლის.

როგორ მოვიქცეთ, როცა გვირტყამს, გვკბენს ან ხელს გვკრავს?

მკაფიოდ უნდა ავუხსნათ, რომ ნებისმიერი ემოციის გამოხატვის უფლება აქვს, თუმცა დარტყმა, კბენა და ხელის კვრა მიუღებელია. აღიარეთ ბავშვის ემოციები და კონფლიქტს გააჩნდეთ. როგორც კი დამშვიდდება, დაეხმარეთ შეცდომის გამოსწორებაში – მოიკითხეთ ბავშვი, რომელსაც ავნო და მობოდიშების მაგალითი მიეცით.

შეგიძლიათ უთხრათ:

„გაბრაზებული ჩანხარ. კბენის უფლებას ვერ მოგცემ. ძირს გსვამ“. დავრწმუნდეთ, რომ ვიდრე დამშვიდდება, უსაფრთხოდაა. ამის შემდეგ, სასურველია, ვასწავლოთ, დაინტერესდეს იმითაც, ჩვენ როგორ ვართ: „აბა, ვნახოთ, რამე ხომ არ ვიტკინე. შეეხედოთ. ჰო, აქ ცოტა განითვლებული მაქვს“. თუ დასამშვიდებლად საკმარის დროს მივცემთ, ვნახავთ, რომ მოუწდება, ნატკენზე მოგვეფეროს ან გვაკოცოს.

„არ მოგეწონა, თმაზე რომ შეგეხო? დარტყმა არ შეიძლება, ვერ გაგიშვებ. მოდი, სადმე წყნარ ადგილას დავსხდეთ, რომ დამშვიდდე“. როცა დამშვიდდება, დაეხმაროთ, მეორე ბავშვის მდგომარეობა შეამოწმოს ან მივცეთ ბოდიშის მოხდის მაგალითი. „ბოდიში, რომ ჩემმა შვილმა დაგარტყა. მგონი, გაღიზიანებული იყო, მაგრამ შენთვის არ უნდა დაერტყა. ხომ კარგად ხარ?“.

შეგიძლია ბავშვს პრობლემის ახსნაში დაეხმაროთ. მაგალითად, ავუხსნათ, რომ იმან გააღიზიანა, მისი სათამაშო სხვა ბავშვმა რომ აიღო.

დარტყმის, კბენისა და ხელის კვრის ფაზის გადალახვას დიდი მოთმინება სჭირდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის საქციელი პიროვნულად არ უნდა მივიღოთ და ამ რთული პერიოდის გადალახვაში აუღელვებლად დავეხმაროთ.

თუ ბავშვი დარტყმის, კბენის ან ხელის კვრის შემდეგ იცინის

როცა პატარა დარტყმის, კბენის ან ხელის კვრის შემდეგ იცინის, ეს იმას ნიშნავს, რომ ამოწმებს, სადამდე შეუძლია შეტოვა. ამ დროს საჭიროა, მკაფიოდ განუხსნავდეთ, რა დაშვებულია და რა – არა. იმის ნაცვლად, რომ ვუთხრათ, სიცილი შეწყვიტოს, ჩავერიოთ და მიუღებელი ქცევა შევანყვეტინოთ.

თუმცა, თუ სიცილი ჩვენში მძაფრ რეაქციას იწვევს, გავუხიაროთ, თავს როგორ ვგრძნობთ და ცოტა ხნით გავერიდოთ სიტუაციას. ავუხსნათ: „მწყინს, როცა მირტყამ. უსაფრთხოება ჩემთვის მნიშვნელოვანია. ახლა წავალ და დასამშვიდებლად ჩაის მოვიმზადებ. თავს უკეთ რომ ვიგრძნობ, დავბრუნდები“.

ნივთების სროლა

გავიმეორებ, რომ ესეც ჩვეულებრივი ფაზაა. ბავშვებს უნდათ, რომ ყველაფერს შეეხოთ და შეისწავლონ სამყარო, რომელსაც ხედავენ.

- დააკვირდით, ასეთი ქცევა რაიმე თავისებურებით ხომ არ ხასიათდება.
- წინასწარ მიიღეთ ზომები. მაგიდა მოასუფთავეთ და არ დატოვოთ მასზე არაფერი, რისი გადმოყრაც შეიძლება. ასეთ პერიოდში, სასურველია, ხის სათამაშოები შევინახოთ, რადგან შეიძლება ვინმე დაშავდეს.
- მიეცით უფლება, პარკში ისროლოს ყველაფერი, რაც მოესურვება, ხოლო შინ – მხოლოდ რბილი ნივთები (წინდები იდეალური ვარიანტია).
- თავაზიანად, გარკვევით და თანმიმდევრულად აუხსენით, რისი სროლა შეუძლია: „ამის სროლა არ შეიძლება, მაგრამ შეგიძლია აი, ეს პატარა ბალიშები ისროლო“.

კონცენტრაციის უნარის გამოუმუშავება

„მთავარია, აქტივობა იმდენად საინტერესო იყოს, რომ ბავშვი მთელი არსებით ჩაერთოს მასში“.

- დოქტორი მარია მონტესორი, „ღრუბელი გონება“

რაიმეს კეთება მაინცდამაინც იმას არ ნიშნავს, რომ საქმეზე ვართ კონცენტრირებული. კონცენტრაციაში ყველა შეგრძნებაა ჩართული. თუ გვინდა, პატარას ამ უნარის გამომუშავებაში დავეხმაროთ, უპირველესად, დავაკვირდეთ, რა აინტერესებს და რომელი უნარების გავარჯიშებას ცდილობს. შემდეგ მივცეთ დრო და შესაძლებლობა, წინასწარ მოვუშალოთ გარემო, რათა აქტივობა რამდენჯერაც უნდა, იმდენჯერ გაიმეოროს.

რჩევები კონცენტრაციის უნარის გამომუშავებისთვის

1. ეცადეთ, არ შეანყვებით

ხანდახან ბავშვის საქმეში მეტისმეტად ვერევი: ვკარნახობთ თავსატეხის ნაწილების სახელებს, ფერებს და ა. შ. მიენდეთ პატარას. იყავით ჩუმად, როცა რაღაცითაა გართული და უპასუხეთ, თუ გკითხავთ.

სამეტყველო ენის გამდიდრებაში მაშინაც შეგიძლია დავეხმაროთ, როცა ბუნებას ერთად ვიკვლევთ, როცა საქმელს ვამზადებთ ან პატარაზე ვბრუნავთ. აუცილებელი არაა, ეს მაშინ მოვინდომოთ, როცა ბავშვი რაღაცაზეა კონცენტრირებული.

2. დააკვირდით, რას იშეორებს

უჯრებს ხსნის და ხურავს? კალათიდან ნივთებს იღებს და უკან აბრუნებს? ტანსაცმელს ახარისხებს? კენჭებს აგროვებს? იატაკს წმენდს? საქმელს ამზადებს? ეს განმეორებითი მოქმედებები გვიკარნახებს, რა აინტერესებს პატარას.

როცა დაასრულებს, ჰკითხეთ, კიდევ ხომ არ უნდა, გაიმეოროს. შეგიძლიათ შესთავაზოთ იმავე აქტივობის ოდნავ გართულებული ვერსია.

3. რაც ნაკლები, მით უკეთესი

შესთავაზეთ მხოლოდ რამდენიმე აქტივობა. ნებისმიერი აქტივობა, რომელიც მეტისმეტად ადვილი ან მეტისმეტად რთულია, შეინახეთ. ბავშვი უფრო მეტად კონცენტრირებულია, როცა მცირე არჩევანი აქვს. ამასთან, ნათლად დავინახავთ, რომელ აქტივობას აღარ იყენებს — ეს კარგი ნიშანია საიმისოდ, რომ გავარჩიოთ, რომელი სათამაშო შევინახოთ და ახლით ჩავენაცვლოთ.

4. ნუ დაეხმარებით ზომაზე მეტად

როცა პატარას რაღაცის კეთება უჭირს, მოვიცადოთ და დავაკვირდეთ, თვითონ თუ გაართმევს თავს. თუ შევამჩნივეთ, რომ დანებებას აპირებს, ჩავერიოთ და დავეხმაროთ, მერე კი უკან დავიხიოთ და ვაცადოთ, თავად გააგრძელოს. ამით ბავშვს დავეხმარებით, ამოცანაზე უფრო დიდხანს იმუშაოს და კონცენტრაცია შეინარჩუნოს. მაგალითად, შეგვიძლია გასაღების გადატრიალებაში დავეხმაროთ, შემდეგ კი დავაკვირდეთ, ყუთის დამოუკიდებლად გახსნას თუ შეძლებს.

5. გამოყავით საგანგებო სივრცე

რბილი ხალიჩა ან დაბალი მაგიდა ბავშვს ეხმარება, მთელი ყურადღება აქტივობაზე გადაიტანოს. როცა აირჩევს, რით ითამაშოს, დავეხმაროთ და საჭირო მასალა ხალიჩაზე ან მაგიდაზე დავეუწყოთ.

თუმცა, თუ თამაში პირდაპირ აქტივობების თაროსთან დაიწყო, გირჩევთ, კონცენტრაცია არ დაურღვიოთ. ჩარევამ შეიძლება ყურადღება გაუფანტოს და დანებული საქმე საერთოდ მიატოვოს.

იმედგაცრუებასთან გამკლავება

როცა ვხედავთ, რომ ბავშვი იმედგაცრუებულია, მაშინვე გვინდა დავეხმაროთ. ასეთი შემთხვევებისთვის დოქტორ მონტესორის კრიალოსანი ჰქონდა, რომელსაც მშვიდად მარცვლავდა, რათა საქმეში ნაადრევად არ ჩარეულიყო.

ბავშვის ძალისხმევა მნიშვნელოვანია. პატარებს ისეთ ამოცანებზე მუშაობა მოსწონთ, რომლებიც ოდნავ რთულია, თუმცა არც იმდენად, რომ მაშინვე დანებდნენ. ჯობია, მოვიცადოთ და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავერიოთ, როცა შევატყობთ, რომ დანებებას აპირებს.


როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ:

- ვაჩვენოთ. ჰკითხოთ: „გინდა, გაჩვენო?“, „გინდა, დავეხმარო?“. შემდეგ ნელა ვაჩვენოთ (უსიტყუოდ), მაგალითად, როგორ ჩასვას ფაზლის ნაჭერი შესაბამის ადგილას.
- მივცეთ სიტყვიერი მინიშნება: „შემობრუნება სცადე?“

ხანდახან დახმარებაზე უარს გვეუბნებიან და იმედგაცრუება ბრაზში გადაეზრდებათ ხოლმე. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ემოციები აბსოლუტურად ნორმალურია. შემდეგში კიდევ ცდიან და გამოუვათ.

როცა პატარას ამგვარად ვამხნევებთ, ვაცნობიერებთ, რომ იმედგაცრუება სწავლის პროცესის ნაწილია.

როცა ბავშვი თქვენზეა მონათესაური



ზოგიერთ ბავშვს დამოუკიდებლად თამაში არ უყვარს და ხშირად მშობელს ტულეტში გასვლის უფლებასაც კი არ აძლევს. ასეთ ქცევას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს:

- ტემპერამენტი. ზოგიერთ პატარას ურჩევნია, მშობლების გვერდით იყოს, რათა თავს უსაფრთხოდ გრძნობდეს.
- მოგზაურობა, ყოველდღიური რუტინის ცვლილება, ავადმყოფობა, გარემოს შეცვლა, ახალ საბავშვო ბაღში გადასვლა. ასეთმა რადიკალურმა ცვლილებებმა შეიძლება ბავშვი დაძაბოს.
- ყურადღება სხვა რამეზე გვაქვს გადატანილი, მაგალითად, სადილს ვამზადებთ ან მიიღს ვნერტ.
- დამოუკიდებლად მოქმედება არ შეუძლია, რადგან შესაბამისი უნარები არ გააჩნია; ვერ სწვდება იმას, რაც სჭირდება; მიჩვეულია მშობლების დახმარებას.

ბავშვებს ზედამხედველობა სჭირდებათ და ეს ბუნებრივია. მარტო საათობით ვერ ითამაშებენ. ასევე, დროის ერთად გატარებაც მნიშვნელოვანია. მაგრამ თუ ბავშვი მუდმივად ფეხზეა ჩამოკიდებული ან ხელში აყვანას ითხოვს, უნდა დავეხმაროთ და ვასწავლოთ, როგორ ითამაშოს მარტომ.

- თავდაპირველად ერთად ითამაშეთ. შემდეგ გაჩერდით და დააკვირდით. მიეცით უფლება, თამაშში წამყვანი როლი შეასრულოს. ნელ-ნელა შედარებით მოშორებით დასხედით.
- დაუთმეთ ბავშვს მთელი თქვენი ყურადღება, შემდეგ კი გააფრთხილეთ, რომ სამზარეულოში გადიხართ ჩაიდნის ასადულებლად და მალევე დაბრუნდით. შემდეგ კვლავ გადით, ამჯერად ჩაის დასაყენებლად და დაბრუნდით. ამით ბავშვი მიეჩვევა, რომ როცა ოთახიდან გადიხართ, უკან აუცილებლად ბრუნდებით.
- როცა თქვენთან ერთად უნდა ყოფნა და არ გმორდებათ, ნუ გაღიზიანდებით, მაგრამ ისე მოაწყვეთ, რომ ოდნავ მოიწყინოს. მაგალითად, თუ დაბადების დღის წვეულებაზე ხართ და გვერდით გიდგათ, რომელიმე მშობელს გაუბით საუბარი. როდესაც მზად იქნება, თანატოლებს თვითონ შეუერთდება.

აკეთეთ ერთად

ჩართეთ ბავშვი ყოველდღიურ ცხოვრებაში. დროთა განმავლობაში სულ უფრო უკეთ შეძლებს დამოუკიდებლად თამაშს, იქამდე კი დატკბით მასთან გატარებული დროით.

- გამოიყენეთ ხის პატარა საფეხური, რათა სამზარეულოში ნივთებს მისწვდეს და თქვენი დახმარება შეძლოს.
- ნება დართეთ, სარეცხი მანქანის ლილავს თითი დააჭიროს.
- მიეცით წინდები და უთხარით, დაანყვილოს მანამ, სანამ სარეცხს რეცხავთ.
- შეიძლება გითხრათ: „დედიკო, შენ გააკეთე“. დაეხმარეთ, შემდეგ კი უკან დაიხიეთ და დააკვირდით, დანარჩენს თავს თუ გაართმევს. იქვე იყავით, რომ თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს.

გაუგეთ ბავშვს

- შეხედეთ მოვლენებს ბავშვის თვალთ და აღიარეთ მისი ემოციები. იმის ნაცვლად, რომ უთხრათ: „ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება“, აგრძნობინეთ, რომ მისი გესმით: „გეშინია?“. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემა უნდა მოუგვაროთ. ამით, უბრალოდ, აგრძნობინებთ, რომ მისი გესმით.
- დაეხმარეთ ემოციურად. დაინყეთ დღე ჩახუტებით და წიგნის კითხვით. ამით ბავშვს „ემოციურ რეზერვუარს“ უვსებთ. მოგვიანებით, როცა რაღაცაზე აწუხუნდება, შესთავაზეთ ჩახუტება და ბალანსის აღდგენაში დაეხმარეთ.
- ბავშვის „სიყვარულის ენა“¹ შეიძლება შეხება ან დროის თქვენთან გატარება იყოს. თუ ასეა, ბუნებრივია, რომ პატარას თქვენთან დიდხანს ყოფნა უნდა, რადგან ამით რწმუნდება, რომ გიყვართ.
- ინტროვერტ ბავშვებს ზოგჯერ ხალხმრავლობა თრგუნავთ, ამიტომ შეიძლება თქვენ გვერდით დგომა დაიწიონ. თუ პატარაზე ასეთი გარემო შეტისმეტად ცუდად მოქმედებს, ეცადეთ, მალე დატოვოთ იქაურობა.

აგრძნობინეთ თავი უსაფრთხოდ

- თუ ახალ ადგილას მიდიხართ, პატარა ექსკურსია ჩაუტარეთ, რათა ორიენტირება გაუადვილდეს.
- ყოველთვის წინასწარ უთხარით, სად მიდიხართ და ჩუმად არ გაიპაროთ: „ტუალეტში მივდივარ. ორ წუთში დავბრუნდები“. ბავშვმა შეიძლება იტიროს, მაგრამ ნელ-ნელა მიეჩვევა, რომ როცა აფრთხილებთ, რომ დაბრუნდებით, სიტყვას ასრულებთ.
- კარგი იქნება, თუ წვეულებებზე ადრე მიხვალთ. ზოგიერთ ბავშვს უჭირს იმ ოთახში შესვლა, რომელიც უკვე ბავშვებითაა სავსე.

თუ ბავშვი თქვენზეა მონებებული, თავი უსაფრთხოდ აგრძნობინეთ და უბიძგეთ, სამყაროს შესწავლა დაიწყოს (თუნდაც ძალიან პატარა ნაბიჯებით). დროთა განმავლობაში უფრო შორს წავა, თუმცა ბოლოს ისევ თქვენთან დაბრუნდება და მოგიყვებათ, რა გადახდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შვილები უკვე თინეიჯერები არიან, მათთვის დღემდე მნიშვნელოვანი ვარ – მიყვებიან, რა ხდება მათ თავს, შემდეგ კი კვლავ აგრძელებენ მათთვის უცნობი სამყაროს შესწავლას.

¹ გარი ჩეპმენი წიგნში „სიყვარულის ხუთი ენა“ გვთავაზობს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ადამიანები 5 სხვადასხვა გზით გამოხატავენ და იღებენ სიყვარულს. ესენია: სიტყვები, დრო, დახმარება, საჩუქრები და შეხება. იმისათვის, რომ ერთმანეთს სიყვარული ვაგრძნობინოთ, აუცილებელია ვიცოდეთ, რომელ ენაზე „მეტყველებს“ ჩვენი საყვარელი ადამიანი, ანუ გამოხატვისა და მიღების რომელი ფორმაა მისთვის ყველაზე სასურველი.

გაჯიღები

მონტესორის მეთოდის მიმდევარ მშობლებს გვინდა, ჩვენმა პატარებმა ყველაფერი საკუთარ თავზე გამოცადონ და კეთებით შეიმეცნონ სამყარო, ეკრანები კი ასეთ მდიდარ სენსორულ გამოცდილებას არ იძლევა.

ვებგვერდზე *Screen-Free Parenting*¹ მოცემულია ბევრი სასარგებლო კვლევა ეკრანთან გატარებული დროის შესახებ. შედეგები ასეთია:

- პატარები გაჯეტებით ენას ვერ სწავლობენ. ეს შესაძლებელია მხოლოდ ადამიანებთან კომუნიკაციით.
- გაჯეტები აუარესებს ბავშვის ძილისა და ყურადღების ხარისხს.
- ეკრანთან დიდხანს ყოფნა საშიშია ჯანმრთელობისთვის. სასურველია, ეს დრო ბავშვმა სუფთა ჰაერზე გაატაროს.

როგორ მოვიქცეთ

ცდუნების თავიდან ასარიდებლად, შეინახეთ გაჯეტები მიუწვდომელ ადგილას. დააკვირდით საკუთარ თავსაც – მეტისმეტად დიდ დროს ხომ არ უთმობთ ეკრანთან ყოფნას?

თუ კაფეში ხართ და პატარამ მოინყინა, სამზარეულოში გაასეირნეთ და აჩვენეთ, მზარეულები როგორ ფუსფუსებენ. თან იქონიეთ წიგნი, რათა ასეთ დროს წაუკითხოთ ან – რაიმე აქტივობა, რომლითაც გაერთობა.

თუ ბავშვი გაღიზიანებულია და გინდათ დაამშვიდოთ, იმის ნაცვლად, რომ გაჯეტი მიაჩნოთ, გამოიყენეთ მე-6 თავში მოცემული იდეები. პატარა ისწავლის საკუთარი ემოციების ამოცნობას, დამშვიდდება და შეძლებს, რთული სიტუაციებიდან დასკვნები გამოიტანოს.

პირადი გამოცდილება

როცა ჩემი შვილები პატარები იყვნენ, გაჯეტებს და ელექტროსათამაშოებს იშვიათად იყენებდნენ. ტელევიზორს არასდროს ვტოვებდი ჩართულს; როცა კაფეში მივდიოდით, წიგნები მიგვქონდა. დროდადრო საგანგებოდ შერჩეულ სატელევიზიო პროგრამებს და მოკლემეტრაჟიან ფილმებს ვუყურებდით.

ჩემი შვილების მონტესორის სკოლაში 6+ ასაკის ოცდაათი ბავშვისთვის მხოლოდ ორი კომპიუტერი იყო გამოყოფილი. როცა ინფორმაციის მოძიება უნდოდათ, ადგილის დაჯავშნა უნევდათ.

დაახლოებით ამ დროს შინ გაჯეტების შეზღუდული დროით გამოყენება დავუშვიტ. ფრთხილად შევარჩიე ყველა ის პროგრამა და თამაში, რომელთა ყურებაც შეეძლოთ, თუმცა მაინც ყოველთვის ვაკონტროლებდი. ასევე, ამით ბავშვებს შესაძლებლობა მივეცი, წარმოდგენა ჰქონოდათ, მათი მეგობრები სკოლაში რა თემებს განიხილავდნენ.

¹ აღზრდა ეკრანის გარეშე

მათ, ვინც შიშობთ, რომ თქვენი პატარა თანატოლებს ჩამორჩება, დაგამშვიდებთ და გეტყვით, რომ ჩემი შვილები მშვენივრად იყენებენ კომპიუტერს – შეუძლიათ ვებგვერდის ანყოფა, პრეზენტაციების შექმნა და მარტივი თამაშის კოდის წერაც.



საკითხის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად გირჩევთ სიუ პალმერის წიგნს – „ტექნიკური ბავშვობა: რა მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე მსოფლიო ბავშვებს და როგორ მოვიქცეთ“. ეს პრაქტიკული სახელმძღვანელო გვაჩვენებს, როგორ მოქმედებს თანამედროვე ტექნოლოგიები ჩვენს პატარებზე.

ბილინგვიზმი

პატარების „ღრუბელი გონება“ და ვნის ათვისების „მგრძნობიარე პერიოდი“ შესანიშნავ ნიადაგს იძლევა იმისთვის, რომ რამდენიმე ენა ისწავლონ. მცირე ძალისხმევით შედეგად, ბავშვი უცხო ენას მარტივად ითვისებს, თუმცა ზრდასრულის მხარდაჭერა მაინც სჭირდება.

თუ პატარას შინ ერთზე მეტი ენა ესმის, გამოვიყენოთ მიდგომა – „ერთი ადამიანი – ერთი ენა“. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული მშობელი ბავშვს თავის მშობლიურ ენაზე ელაპარაკება, ოჯახური საუბრები კი წინასწარ შეთანხმებული „ოჯახური ენით“ წარიმართება.

გთავაზობთ პრაქტიკულ მაგალითს.

ჩვენი სახლის მოპირდაპირე მხარეს ოჯახი ცხოვრობდა. ერთი-ერთი მშობელი ბავშვს იტალიურად ესაუბრებოდა, მეორე – გერმანულად, ერთმანეთს კი ინგლისურად ელაპარაკებოდნენ. პატარა ორენოვან საბავშვო ბაღში დადიოდა, სადაც ნიდერლანდურს და ინგლისურს იყენებდნენ. ბავშვმა ერთი მშობლისგან ისწავლა იტალიური, მეორისგან – გერმანული, ხოლო ქუჩაში რომ დამინახავდა, ინგლისურად მესაუბრებოდა (ეს გოგონა ახლა ნიდერლანდურ სკოლაში, ნიდერლანდურ ენაზე სწავლობს, შინ კი კვლავ იტალიურად და გერმანულად საუბრობენ. ინგლისურად ლაპარაკი იშვიათად უნევს, თუმცა მშვენივრად ესმის).

ასევე შეგვიძლია მივმართოთ მეთოდს – „გამოყენების ტერიტორია“. ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარ ვთანხმდებით, როდის და სად გამოვიყენებთ კონკრეტულ ენას. მაგალითად, შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ შაბათ-კვირას ვსაუბრობთ ინგლისურად, გარეთ – ადგილობრივ ენაზე, შინ კი – მშობლიურ ენაზე.

განსაზღვრეთ უცხო ენის სწავლების მიზანი. თუ საბოლოოდ ის გინდათ, რომ ბავშვმა ამ ენაზე განათლების მიღება შეძლოს, კვირის განმავლობაში დროის 30% სწორედ ამ

ენაზე საუბარს უნდა დაუთმოს. დააკვირდით, დროის გაზრდა ხომ არ არის საჭირო. სთხოვეთ თინეიჯერ შვილს, პატარას ამ ენაზე წაუკითხოს და ეთამაშოს, აიყვანეთ ძიძა, რომელიც ამ ენაზე საუბრობს, ან შეიყვანეთ ისეთ ბაღში, სადაც ამ ენას ასწავლიან. იფიქრეთ შემოქმედებითად.

ზოგიერთი მშობელი ღელავს, რომ თუ ბავშვი ორენოვან გარემოში გაიზრდება, მეტყველების პრობლემები შეექმნება. კვლევების თანახმად, ერთზე მეტი ენა პატარას მეტყველების განვითარებას ხელს არ უშლის, პირიქით. 1,5 წლის ბავშვმა, რომელსაც მხოლოდ ერთი ენა ესმის, შეიძლება იცოდეს ათი სიტყვა, მაშინ, როცა ის, ვინც ორენოვან გარემოში იზრდება, შეიძლება ხუთი სიტყვა ერთ ენაზე იცოდეს, ხუთი კი – მეორეზე. ამ შემთხვევაში ისე ჩანს, თითქოს ბავშვი კარგად ვერ მეტყველებს, თუმცა რეალურად მანაც ათი სიტყვა იცის.

მკვლევრები მშობლებს გვირჩევენ, არ შეეწყვიტონ მშობლიურ ენაზე საუბარი და ვეცადოთ, ბავშვს ადგილობრივი ენის შესწავლაშიც დავუხმაროთ. თუმცა, იმისათვის, რომ უცხო ენა ისწავლოს, მშობლიური ენის ცოდნა აუცილებელია. სასურველია, ბავშვს ისეთი გარემო შევუქმნათ, სადაც ადგილობრივ ენაზე ხშირად ისაუბრებს.


მონტესორის პრინციპების გამოყენებით ვსწავლობთ, როგორ ვიქცეთ ბავშვის წინაშე. ძლოდად, ვმოქმედებთ თავაზიანად და მკაფიოდ; ხელს ვუწყობთ იმ უნარების განვითარებას, რომლებიც საჭიროა; ყოველდღიურად ვმუშაობთ პატარასთან მტკიცე კავშირის ჩამოყალიბებაზე.



თუ საკითხის შესახებ მეტი გაინტერესებთ, გირჩევთ წაიკითხოთ კოლინ ბეიკერის წიგნი – „ბილინგვიზმის სახელმძღვანელო მშობლებისა და მასწავლებლებისთვის“.



პრაქტიკისთვის:

1. როგორ ვიყენებთ ყოველდღიურ რუტინას ბავშვთან ურთიერთობის განსამტკიცებლად?
2. როგორ ვეხმარებით კვებაში, ძილსა და უნიტაზის გამოყენებაში? შეგვიძლია ამ საკითხებს მღელვარების გარეშე მიუდგეთ?
3. შეგვიძლია დედმამიშვილების კონფლიქტის დროს ნეიტრალური პოზიცია დავიკავოთ?
4. როგორ ვასწავლით ბავშვს:
 - სხვას გაუზიაროს თავისი სათამაშო?
 - ზრდასრულს ზრდილობიანად შეაწყვეტინოს საუბარი?
5. როგორ ვიქცევით, თუ პატარა:
 - ინტროვერტია?
 - გვირტყამს, გვკბენს, ხელს გვკრავს ან ნივთებს ისვრის?
6. როგორ ვუვითარებთ კონცენტრაციის უნარს?
7. რას ვაკეთებთ, როცა ჩვენზეა მოწებებული?



8

- 186 რას ნიშნავს ზრდასრულობა?
- 187 საკუთარ თავზე ფიზიკური ზრუნვა
- 188 განვითარებაზე ორიენტირებული
აზროვნების ჩამოყალიბება
- 188 დავინწყით და დავასრულოთ დღე სწორად
- 190 ვისწავლოთ ანმყოში ყოფნა
- 191 დაკვირვება
- 191 ვისწავლოთ „ემოციური ქურჭლის“ შევსება
- 192 შევანელოთ ტემპი
- 194 გავხედეთ ბავშვის გზამკვლევი
- 195 ვაქციოთ სახლი დამხმარე რესურსად
- 196 ვიყუროთ გულწრფელი
- 196 ავიდოთ პასუხისმგებლობა ჩვენს
ცხოვრებასა და არჩევანზე
- 197 ვისწავლოთ შეცდომებზე
- 197 დავტკბეთ მიღწევებით
- 198 თვითშემეცნება
- 199 გავაგრძელოთ ვარჯიში



რას ნიშნავს ზრდასრულობა?


დოქტორ მონტესორის კარგად ესმოდა, რამხელა მუშაობაა საჭირო საკუთარ თავზე. ის ამ პროცესს „ზრდასრულის მომზადებას“ უწოდებდა. როგორ ვიქცეთ საუკეთესო მაგალითად ჩვენი შვილებისთვის? როგორ შევინარჩუნოთ სიმშვიდე, როცა შინ მოუსვენარი პატარა გვყავს? როგორ გადავჭრათ სხვადასხვა პრობლემა?

ჩვენი მიზანი იდეალურ მშობლებად გადაქცევა არაა. როცა ამას ვცდილობდი (ან მეგონა, რომ ვცდილობდი), საბოლოოდ, სტრესი მივიღე, ოჯახთან კავშირი დაკარგე და გამუდმებით ვნერვიულობდი. არადა, ჩვენი მიზანი მხიარულება და საყვარელ ადამიანებთან დროის სასიამოვნოდ გატარება უნდა იყოს. ამაზე ზრუნვა ახლავე უნდა დავიწყოთ.

პარტნიორს ვერ შევცვლით, მაგრამ შეგვიძლია მის ქმედებებზე ჩვენი რეაქცია შევცვალოთ. შვილებსაც ასე მივუდგეთ. ვინ იფიქრებდა, რომ ბავშვის აღზრდა ასეთ სულიერ მოგზაურობად გვექცეოდა?

მერედა, რა მოგზაურობად! ხანდახან ვნატრობ, ეს ყველაფერი იქამდე მცოდნოდა, ვიდრე მშობელი გავხდებოდი. მაგრამ, ვიცით ის, რაც ვიცით... სულ ვფიქრობ, ჩემს შვილებთან ერთად მეც როგორ გავიზარდე; ვფიქრობ, რას ხედავენ ჩემი შვილები. ალბათ იმას, როგორ ცდილობს დედა და არასწორად გამოსდის, შემდეგ კვლავ ცდილობს და უკეთეს შედეგს იღებს; როგორ სწავლობს მუდმივად და ვითარდება.

ის, რაც ვისწავლე, შეიძლება ყველას არ გამოადგეს. არ მინდა, ვინმეს მივუთითო, როგორ იცხოვროს. უბრალოდ, როგორც მშობელი და მონტესორის სკოლის მასწავლებელი, გიზიარებთ პირად გამოცდილებას და მეთოდებს, რომლებიც დამეხმარა.



საკუთარ თავზე ფიზიკური ზრუნვა

ყველაფერი გაცილებით უკეთ გამოგედის, როდესაც ჩვენი სხეულის, გონებისა და სულის სიჯანსაღეზე ვზრუნავთ. თუ გვინდა, ოჯახზე ზრუნვა შევძლოთ, უპირველესად, საკუთარ თავს უნდა მივხედოთ.

აუცილებელია, ვიკვებოთ ჯანსაღად, ვიმოძრაოთ, ვიაროთ ველოსიპედით ან, უბრალოდ, სუფთა ჰაერზე ვისეირნოთ. ვეცადოთ, საღამოობით, როცა ხელს არავინ გვიშლის, აბაზანაში დიდი დრო გავატაროთ. ყოველთვის შეგვიძლია ახალ-ახალი გზების გამონახვა იმისთვის, რომ დღეს სილალე და სიმშვიდე შევმატოთ.

როცა საკუთარ თავს პრიორიტეტად მივიჩნევთ, დანაშაულის გრძნობა გვიჩნდება ხოლმე. მივიღოთ ეს შეგრძნება, მაგრამ არ დავემორჩილოთ. გახსოვდეთ, ამით ბავშვს აძლევთ მაგალითს, როგორ იზრუნოს საკუთარ თავზე.

თუ გადაღლილი ან „გადამწვარი“ ხართ, დახმარება ითხოვეთ. დაიხმარეთ ძიძა, ბები-ა-ბაბუები, მეგობარი ან პარტნიორი. ამით პატარა ისწავლის, რომ ჩვენს ცხოვრებაში არიან განსაკუთრებული ადამიანები, რომლებსაც გენდობით და რომელთა გარემოცვაშიც უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს. ასე რომ, ყველა მხარე მოგებული დარჩება.

თუ დეპრესია შემოგვიტევენ, აუცილებლად ექიმს მივაკითხოთ. როცა ჩემი შვილები ორ წლამდე ასაკის იყვნენ, მივხვდი, დეპრესია მენწყებოდა და ექიმთან მივედი. ძალიან დამესმარა საუბარი და იმის გაცნობიერება, რომ ჩემზეც ვილაც ზრუნავდა მაშინ, როცა თავად მუდამ სხვებზე ვზრუნავდი. ამიტომ, თუ დეპრესია განუხებთ, სპეციალისტი დაგეხმარებათ და გირჩევთ, რა მოიმოქმედოთ.

განვითარებაზე ორიენტირებული აზროვნების ჩამოყალიბება

თუ ველით, რომ ჩვენი შვილის სკოლის მასწავლებლები პროფესიულად მუდმივად უნდა ვითარდებოდნენ, მშობლებიც ასევე უნდა ვიქცეოდეთ (ამ წიგნის საშუალებით თქვენ უკვე მუშაობთ განვითარებაზე ორიენტირებული აზროვნების ჩამოყალიბებაზე, რადგან ეცნობით ბავშვის აღზრდის მეთოდებს).

შეგიძლია:

- ვისწავლოთ მეტი ბავშვის განვითარების ეტაპების შესახებ.
- თუ ჩვენი შვილი სხვებისგან განსხვავდება, გავიგოთ მეტი ამ საკითხის შესახებ და მივიღოთ საჭირო დახმარება.
- გავიაროთ სხვადასხვა კურსი. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს პოზიტიური დისციპლინა ან არაძალადობრივი კომუნიკაცია.
- ვიკითხოთ წიგნები და გავეცნოთ კვლევებს; მოვუსმინოთ პოდკასტებს და აუდიონიგნებს.
- ვიზრუნოთ საკუთარი ცხოვრების გამრავალფეროვნებაზე და ვიკითხოთ ისეთი ლიტერატურა, რომელიც ბავშვის აღზრდას არ უკავშირდება.
- ვისწავლოთ შინაგანი ხმისა და ინტუიციის მოსმენა. დროდადრო ფიქრების „გამორთვა“ და შინაგანი ხმის მოსმენა ის უნარია, რომლის განვითარებაც ძალიან წაგვადგება.

დავინფოთ და დავასრულოთ დღე სწორად



ჩემი დილისა და საღამოს რუტინა ყველაზე მეტად მეხმარება ისეთ მშობლად წარმოვაჩინო საკუთარი თავი, როგორიც ჩემი შვილებისთვის ვარ. რუტინა მეხმარება განვსაზღვრო, როგორ გავატარო დღე და შეძლებისდაგვარად მომზადებული დავხვდე ყველა „სიურპრიზს“. თუ დილით სწორ განწყობას შევიქმნი, ეს დღის ბოლომდე გაგრძელდება.

მაშინაც კი, როცა ჩემი შვილები ძალიან პატარები იყვნენ, ვცდილობდი, ოჯახის წევრებზე ნახევარი საათით ადრე ავმდგარიყავი და გარკვეული დრო მხოლოდ საკუთარი თავისთვის დამეთმო.

თუ ადრე გაღვიძება გვიჭირს, გამოვნახოთ საშუალება, რომლის წყალობითაც ჩვენს დილის რუტინაში ოჯახის წევრებსაც ჩავერთავთ. ეს შეიძლება იყოს საწოლში კოტრი-ალი, წიგნის კითხვა, ერთობლივი საუზმე, მხიარული მუსიკის მოსმენა ან ფინჯანი ჩაის/ყავის მომზადება.

როცა ადრე ვდგები, დროს ასე ვანანილებ:

- ვწევარ და ვმედიტირებ – შეუძლებელია, ეს ცუდად გამოგივიდეთ. ზოგჯერ ვამჩნევ, რომ ჩემი გონება აქტიურად მუშაობს, ზოგჯერ კი მთელი კონცენტრაცია სუნთქვაზე მაქვს გადატანილი. ამ პრაქტიკის წყალობით, დღის განმავლობაში მომხდარ მოვლენებზე ნაკლებად მძაფრი რეაქცია მაქვს. ასეთ დროს ყოველთვის შემიძლია სიმშვიდის იმ წვეთს დავუბრუნდე, რომელიც დილით ვიპოვე.
- ხუთ წუთს წერას ვუთმობ. ვწერ:
 - რისთვის ვარ მაღლიერი.
 - რამდენიმე მარტივ რამეს, რაც ჩემს დღეს არაჩვეულებრივად აქცევს (მაგალითად, ფინჯანი ყავის დაღევა გარეთ, კიბის საფეხურზე).
 - დღის მიზნებს (მაგალითად, „მინდა, მარტივად ვიმოქმედო, სხვებს მოვუსმინო და მოვახერხო საერთო ენის გამონახვა“).
- დარჩენილ დროში, ვიდრე ჩემი ძვირფასი შვილების ნაბიჯების ხმას გავიგებ, ვიცვამ.

თუ ადრე იღვიძებენ და პროცესს მანყვეტილებენ, ჩემს თავს ვახსენებ, როგორ გამიმართლა, რომ ასეთი ოჯახი მყავს და რა სასიამოვნოა, როცა ვიცი, რომ ჩემ გვერდით არიან.

დღის ბოლოს აბაზანას ვიღებ და წიგნს ვკითხულობ. ვწერ სამ სასიამოვნო მოვლენას, რომელიც დღის განმავლობაში მოხდა და მეორე დღის მიზნებიც არ მაგინწყდება.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამის დრო არ გვაქვს, მაგრამ ყველაფერი შესაძლებელია, თუ საკუთარ თავზე ზრუნვას პრიორიტეტად ვაქცევთ. ამით ვცდილობთ, საკუთარი თავის უკეთესი ვერსია გავხდეთ.

სულ ცოტა დრო გვჭირდება იმის დასაგეგმად, როგორი იქნება ჩვენი თვითზრუნვის რუტინა. საკუთარ თავზეც ზუსტად ისევე უნდა ვიზრუნოთ, როგორც ოჯახზე. ეს ბევრ რამეში დაგვეხმარება.

ვისწავლოთ ანმყოფი ყოფნა

რთულია, ვიყოთ აქ და ახლა, როცა ვცდილობთ, როგორც მშობელმა, ოჯახზე ვიზრუნოთ და ზრდასრულის ვალდებულებები პირნათლად შევასრულოთ.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც დაგეხმარებათ, იყოთ აქ და ახლა:

- **დროის ერთ მონაკვეთში აკეთეთ ერთი საქმე.** როცა სამზარეულოში ვფუსფუსებ, სრულყოფილად ვერ ვუსმენ ჩემს შვილებს, რომლებიც დღის ამბებს მიყვებიან. ასეთ დროს, სასურველია, ბავშვებს ვუთხრათ, რომ მათ ამბებს მას შემდეგ მოვისმენთ, რაც საქმეს მოვრჩებით. შეგვიძლია, შევწყვიტოთ, რასაც ვაკეთებთ, მოვუსმინოთ და შემდეგ განვაგრძოთ კერძის მზადება.
- **გამოიყენეთ ბლოკნოტი.** ყოველთვის მაქვს რამდენიმე ბლოკნოტი, რომლებშიც ვინერ ყველაფერს, რაზეც დღის განმავლობაში ვფიქრობ. ამას იმისთვის ვაკეთებ, რომ მოგვიანებით გადავხედო. იქამდე გონებას ვითავისუფლებ და ვცდილობ, ანმყოფი დავტკბე.
- **გაცნობიერებულად გამოიყენეთ ტექნოლოგიები.** ტექნოლოგიები მიყვარს. თუმცა, ყოველ გავლა-გამოვლაზე ხელში რომ არ ავიღო, საძინებელში ვმალავ. ყოველთვის, როცა ტელეფონს ერთი მიზნით ვიღებ, უნებლიეთ სხვა აპლიკაციებსაც ვხსნი ხოლმე.
- **გონება დაიმშვიდეთ.** საქმე მხოლოდ ტექნოლოგიებს არ ეხება. რთულია, ანმყოფი ვიცხოვროთ, როდესაც გონებაში გამუდმებით ვატრიალებთ წარსულში მომხდარ მოვლენებს და მომავლის გეგმებს ვანყობთ. ამ დროს საკუთარ თავს ჩვენვე ვურღვევთ სიმშვიდეს.

აქ და ახლა, ამ კონკრეტულ მომენტში, სანერვიულო არაფერი გვაქვს. უბრალოდ, ღრმად ჩავისუნთქოთ, შემდეგ კი ამოვისუნთქოთ. არაფერზე ვიფიქროთ. დავრჩეთ აქ და ახლა. მიყვარს ასეთი მშვიდი მომენტები.¹

რაც უფრო მეტს ვივარჯიშებთ, მით უფრო გაგვიადვილდება ტემპის შენელება, რათა პატარებს დავაკვირდეთ და მოვლენებს მათი თვალით შევხედოთ. რაც უფრო მეტ დროს დავუთმობთ ჩვენი ამ სიმშვიდის აღმოჩენას, მით უფრო გაგვიადვილდება დაწყნარება მაშინ, როცა ბავშვს რთული პერიოდი ექნება და ჩვენი მხარდაჭერა დასჭირდება.

გამოიცანით, ვის გამოსდის ყველაზე კარგად ანმყოფი ცხოვრება და ვინ დაგვეხმარება მიზნის მიღწევაში? ჩვენი შვილები.

¹ თითქმის იგივეა, რაც ე. წ. მაინდფულნესი (mindfulness) – თვითრეგულაციის ტექნიკა, რომელიც გულისხმობს ყურადღების გამახვილებას ანმყოფი არსებულ მოვლენებზე და მათ მიმართ არაშეფასებელი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ესაა „აქ და ამჟამად“ ყოფნის მდგომარეობა, რომელიც ხელს უწყობს აზრებზე, გრძნობებზე, ქმედებებზე დაკვირვებას და მათ ამოცნობას აღმოცენების მომენტში.

გაიხსენეთ, როგორი ალტაცებულები არიან, როცა თვითმფრინავის ხმა ესმით; როგორ პოულობენ ყვავილებს ყველაზე მოულოდნელ ადგილებში; როგორ დარბიან ფეხშიშველები ბალახზე.

მიჰყევით პატარებს და ისწავლეთ მათგან.



დაკვირვება

როგორც მე-5 თავში აღვნიშნეთ, დაკვირვებას მონტესორის მასწავლებლები ყველაზე ხშირად იყენებენ; განვიხილეთ, რამდენად მნიშვნელოვანია დაკვირვება იმისთვის, რომ თავიდან ავირიდოთ შეფასება და მიკერძოებულობა.

გადაწყვიტე, ამაზე კიდევ ვისაუბრო.

- შევწყვიტოთ განსჯა. ეს დაგვეხმარება, ბავშვის საქციელზე არ გავღიზიანდეთ და წინასწარი დასკვნები არ გამოვიტანოთ (იმის მაგივრად, რომ გავიფიქროთ: „თეფშს ყოველთვის იატაკზე აგდებს“, დაკვირვების შედეგად ვამბობთ: „თეფში იატაკზე დავარდა“).
- შევხედოთ ბავშვს ობიექტური თვალით.
- შევეჩვიოთ ანმყოში ცხოვრებას და რაც შეიძლება მეტად დავაკვირდეთ ჩვენს პატარას და მის გარემოს.
- შევხედოთ ყველაფერს ბავშვის თვალით, გამოვნახოთ მასთან საერთო ენა და ვეცადოთ, გავუგოთ.

თუ ვხვდებით, რომ მეტისმეტად აღელვებულები ვართ, ავიღოთ ბლოკნოტი და დავაკვირდეთ პატარას. თუ ხელები დაკავებული გვაქვს, დაკვირვების შედეგები გონებაში „ჩავინიშნოთ“. ვეცადოთ, მოვერიდოთ ანალიზს და დაეტკბეთ მომენტი.

ვისწავლოთ „ემოციური ჭურჭლის“ შევსება

„ემოციური ჭურჭელი“ ყველა ადამიანს აქვს. როცა თავს ვგრძნობთ უსაფრთხოდ, დაცულად, როცა ვუყვარვართ და გვიღებენ, ჩვენი „ემოციური ჭურჭელი“ სავსეა. თუმცა დროდადრო ცარიელდება და ავსება სჭირდება. როცა ამ საკითხს ყურადღებას არ ვაქცევთ, მოვლენებზე უფრო მძაფრად ვრეაგირებთ.

პირადი „ემოციური ჭურჭლის“ შევსება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პასუხისმგებლობაა. უნდა ვიზრუნოთ საკუთარ თავზე და საჭიროების შემთხვევაში, მივიღოთ ყველანაირი ღონისძიება. ჩვენი პარტნიორი არაა ერთადერთი, ვისაც შეუძლია დაგვეხმაროს. თუ საქმეში წარმოსახვასაც ჩაერთავთ, ბევრად მეტ გზას ვიპოვით.

გთავაზობთ „ემოციური ჭურჭლის“ შევსების რამდენიმე იდეას:

- მოიმზადეთ ფინჯანი ჩაი/ყავა.
- მოუსმინეთ მუსიკას.
- ესაუბრეთ Skype-ით ბებიას და ბაბუას.
- სუფთა ჰაერზე გაისეირნეთ.
- დაპატიჟეთ მეგობრები სადილზე.
- გამოაცხვეთ რაიმე.
- გაატარეთ ერთი ღამე სახლის გარეთ (მარტომ, პარტნიორთან ან მეგობრებთან ერთად).
- დაუტოვეთ ბავშვი მეგობარს, თქვენ კი მის პატარას მიხედეთ.

როცა ჩვენი „ემოციური ჭურჭელი“ სავსეა, ბავშვის დახმარება გაცილებით გვიადვილდება. ამისთვის ყველაზე მარტივი გზა მასთან კავშირის დამყარებაა. აგრძნობინეთ, რომ საჭირო და განსაკუთრებულია და მიიღეთ ისეთი, როგორიც არის. წაუკითხეთ წიგნები, იკოტრიალეთ ლოგინში და იცინეთ. ბავშვს (და ჩვენც) ეს „ემოციური ჭურჭლის“ შევსებაში ეხმარება, რისი წყალობითაც დღის განმავლობაში უფრო მეტად დამყოლი და ნაკლებად გაღიზიანებულია.

შეჯანალოთ თმავი

ნელი ტემპით მოქმედება ინსტრუმენტი, რომელიც ცხოვრების გამარტივებაში დაგეხმარებათ.

თანამედროვე სამყაროში სულ სადღაც გვეჩქარება და ვლელავთ, რომ რაღაცას ვაკლდებით. თუმცა, ვხვდები, რამდენად მეტის მიღება შემიძლია ერთი ჩვეულებრივი დღისგან, როცა ტემპს ვანელებ და შეგრძნებებს მივყვები: ვსუნთქავ წვიმის სუნით გაჯერებულ ჰაერს, სახეზე ვგრძნობ წვიმის წვეთებს; იმის ნაცვლად, რომ მაშინვე გადავსანსლო, სიამოვნებას ვიღებ თითოეული ლუკმით და ა. შ.

უნდა გავარკვიოთ, რა არის ჩვენთვის ნამდვილად მნიშვნელოვანი, რა შეგვიძლია გადავდოთ და რაზე ვთქვათ უარი.

ჩემთვის ტემპის შენელება ნიშნავს:

- შინ დაბრუნებისას ჭიქა ყავა ან ჩაი დავლიო, იმის ნაცვლად, რომ მაშინვე დავიწყო იმ უამრავი საქმის კეთება, რომლებიც მელოდება.
- მოვუსმინო მუსიკას.
- მოვამზადო ჯანსაღი საკვები და პროცესით სიამოვნება მივიღო. დავტკბე თითოეული ლუკმით.
- დღე ნაკლებად გადავტვირთო, რათა ერთი ადგილიდან მეორემდე სირბილი არ მომიწიოს.

- ბევრ რამეზე ვთქვა „არა“, რათა ჩემი ოჯახისთვის, მეგობრებისა და ხანდახან დივანზე წოლისთვისაც მეტი დრო დამრჩეს.
- ფრთხილად შევარჩიო, რაზე მინდა მუშაობა და მხოლოდ იმ საქმეზე ავიღო პასუხისმგებლობა, რაც მომწონს და სარგებელს მომიტანს.
- ყოველლამე ვიკითხო.
- ვიმოგზაურო ახალ ადგილებში და ძალების აღსადგენად შაბათ-კვირას ბუნებაში გავიდე. დავტკბე მიღებული შთაბეჭდილებებით და უარი ვთქვა მცირე დროში რაც შეიძლება მეტი რამის მონახულებაზე.

პატარები დააფასებენ ჩვენს ნელ ტემპს, რადგან ასე უფრო გაუადვილებათ იმის შესრუტვა, რასაც ხედავენ.

ტემპის შენელების რამდენიმე მაგალითი:

- ჩაცმისას ბავშვს უფლება მიეცით, თვითონ სცადოს. შემდეგ, როცა დახმარება დასჭირდება, ნელი და მკაფიო მოქმედებით აჩვენეთ, რა გააკეთოს.
- პატარას ნელა აჩვენეთ, როგორ ნამოილოს კალათა ან ლანგარი. გამოიყენეთ ორი ხელი, რათა ადვილად გაიმეოროს.
- ნელა გადაადგილეთ სკამი ორივე ხელით.
- როდესაც ერთად მღერით და ცეკვავთ, ნელა იმღერეთ და იმოძრავეთ. ეს ბავშვს გასააზრებლად საკმარის დროს მისცემს და შეიძლება აგყვით კიდევ.
- როცა პატარას სთხოვთ, დაჯდეს და ჭამოს, ვიდრე გაუმეორებთ, გონებაში ათამდე დაითვალებთ. ბავშვებს თხოვნის გასააზრებლად დრო სჭირდებათ.
- ნელა იმოქმედეთ მაშინაც, როცა პატარას ცნობისმოყვარეობის ნახალისება გინდათ (იხ. მე-5 თავი) – მიჰყევით მის უნიკალურ ტემპს, არ ააჩქაროთ და მეტი დრო მიეცით თამაშისა და კვლევისთვის.

თუ საკითხის შესახებ მეტის გაგება გსურთ, გირჩევთ კარლ ონორეს წიგნს – „ნელი ტემპის უპირატესობები“. ბოლო თავი ყველაზე მეტად მიყვარს. მასში ნათქვამია, რომ პარმონიულად მაშინ ვცხოვრობთ, როცა არ ვჩქარობთ. როდესაც არსად გვეჩქარება, ბავშვი ბევრად უფრო დამყოლი ხდება.

ბოლო დეტალი: თუ პატარა საფრთხეში არ იგდებს თავს, ყოველთვის გვაქვს დრო, გონებაში სამამდე დავითვალოთ, ვიდრე მის ქმედებაზე რეაქცია გვექნება. წარმოვიდგინოთ, რომ დოქტორ მონტესორის მსგავსად, კრიალოსანს ვმარცვლავთ.

ეს საშუალებას მოგვცემს, არ გვეკონდეს მძაფრი რეაქცია ბავშვის ქმედებაზე და მშვიდად ვუბასუხოთ პატარას.





იყავი ჩემი

გზამკვლევი.

არც მსახური მჭირდება

და არც უფროსი.

გავხდეთ ბავშვის გზამკვლევი

ჩემი ბიჭი 1 წლის იყო, როცა ეს წიგნი წავიკითხე – „როგორ ვესაუბროთ ბავშვს ისე, რომ მოგვისმინოს და როგორ მოვუხმინოთ ისე, რომ გვესაუბროს“ (როგორც ხედავთ, ამ წიგნს უკვე მეორედ ვახსენებ, ასე რომ, მარტივად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რამხელა გავლენა იქონია ჩემზე).

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი, როგორც მშობლის, ვალი სულაც არ იყო ბავშვების ყველა პრობლემის მოგვარება, არამედ ის, რომ ყოველთვის მათ გვერდით ვყოფილიყავი, მხარი დამეჭირა, მათი საყრდენი და ის უსაფრთხო თავშესაფარი გავმხდარიყავი, სადაც ყველა ემოციის გამოხატვას შეძლებდნენ.

ამის გააზრებამ რადიკალურად შემიცვალა. თითქოს მხრებიდან ტვირთი მომეხსნა. ჩვენ ბავშვების გზამკვლევი ვართ. ნიადაგში თესლს ვაგდებთ და ვაცდით, გაიზარდოს; მათი საყრდენი კედელი ვართ – ვეხმარებით, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საჭიროა.

გზამკვლევი:

- აძლევს ბავშვს სიფრცეს დამოუკიდებლად მოქმედებისთვის.
- ყოველთვის მის გვერდითაა.
- გამოხატავს პატივისცემას და თავაზიანობას.
- ეხმარება ბავშვს პასუხისმგებლობის აღებაში.
- ქმნის კვლევისთვის უსაფრთხო და მრავალფეროვან გარემოს.
- კარგი მსმენელია.
- აკვირდება ბავშვს და არ გამოაქვს დასკვნები.
- პატარას აძლევს კონსტრუქციულ უკუკავშირს.


არ არის საჭირო, ბავშვებს ვეუფროსოთ და რაღაცების კეთება ვუბრძანოთ. არც მსახურის როლის მორგება და მათ მაგივრად ყველაფრის კეთებაა გამოსავალი.

უბრალოდ, ვიყოთ მათი გზამკვლევი.

ვაქცინით სახლი დამხმარე რესურსად

მონტესორის მასწავლებლის მსგავსად, რომელიც საკლასო ოთახს დამხმარე რესურსად იყენებს (იხ. მე-2 თავი), ჩვენც შეგვიძლია ეს სახლში მოვახერხოთ. მართალია, მე-4 თავში დეტალურად განვიხილეთ, ეს როგორ მოვახერხოთ, მაგრამ მინდა, რამდენიმე იდეას კიდევ მიუბრუნდეთ.

- თუ ვხვდებით, რომ ბავშვი ჩვენზე მეტისმეტად დამოკიდებულია, გამოვინახოთ გზა, რათა დამოუკიდებლობას მივაჩვიოთ.
- ხშირად ბავშვს იმას ვუკეთებთ, რაც თვითონაც მშვენივრად შეუძლია. ამის ნაცვლად, სასურველია, გარემო ისე მოვანყოთ, რომ პატარამ დამოუკიდებლად იმოქმედოს. მაგალითად, შეგვიძლია კონტეინერში ჩავდოთ კოვზი, რომლითაც საუზმის დროს ბურბუშელას თვითონ ამოიღებს. თუ ხელსახოცებს ძირს ყრის, თეფშთან მხოლოდ რამდენიმე ცალი დავუდოთ, ყუთი კი მისგან მიუწვდომელ ადგილას შევინახოთ.
- თუ აღმოვაჩენთ, რომ „არას“ ხშირად ვეუბნებით, დავფიქრდეთ, როგორ შევცვალოთ გარემო.
- თუ შევნიშნავთ, რომ დალაგებას მეტისმეტად დიდ დროს ვანდომებთ, სათამაშოების რაოდენობა შევამციროთ. დავაკვირდეთ, რომელი სათამაშო აღარ აინტერესებს და შევინახოთ. განვუვითაროთ პატარას ისეთი უნარები, რომელთა დახმარებითაც საკუთარი ნივთების მოწესრიგებას თავად შეძლებს.



ვიყოთ გულწრფელი

ბავშვები პრაქტიკული მაგალითებით უფრო მეტს სწავლობენ, ვიდრე მითითებებით. პატარებს გულწრფელობის მაგალითი ჩვენ უნდა მივცეთ. უნდა ვასწავლოთ, რომ გულახდილობა მნიშვნელოვანი ღირებულებაა. არანაირი „უცოდველი ტყუილები“!

დარწმუნებული ვარ, ადამიანების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გულწრფელია. თუმცა, ამის მსგავს „უცოდველ ტყუილებს“ მაინც ვამბობთ:

- „უთხარი, რომ ტელეფონზე ვლაპარაკობ“ (როცა ვინმესთან საუბარი არ გვინდა).
- „რას ვფიქრობ შენს ვარცხნილობაზე? ძალიან გიხდება!“ (როცა ასე საერთოდ არ ვფიქრობთ).
- „ხურდა არ მაქვს“ (როცა ქუჩაში ფულს გვთხოვენ).

ამის ნაცვლად, შეგვიძლია ვთქვათ:

- „ახლა დალილი ვარ. ხვალ რომ დაგირეკო? ან იქნებ მოგენერა?“
- „რას ვფიქრობ შენს ვარცხნილობაზე? თავად ძალიან კმაყოფილი ჩანხარ“.
- „დღეს არა. წარმატებას გისურვებთ“, „შემიძლია ხილი გიყიდოთ“.

სინამდვილეში ძალიან რთულია ყოველთვის კეთილები და გულახდილები ვიყოთ, თუმცა ამის მაგალითები პატარებს აუცილებლად უნდა მივცეთ.

ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენს ცხოვრებასა და არჩევანზე

ცხოვრებაში ბევრი ისეთი რამაა, რასაც ვერ შევცვლით. თუმცა, არაერთი პრობლემა ჩვენივე არჩევანის შედეგია.

თუ ეზოიდან სახლში ცხოვრებას გადავწყვეტთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბაღს მოვლა დასჭირდება; თუ დიდ ქალაქში ცხოვრებას ავირჩევთ, უნდა ვიცოდეთ, რომ უძრავი ქონების ქირის ფასი მაღალი იქნება; თუ გვინდა, ჩვენმა შვილებმა არატრადიციული განათლება მიიღონ, სავარაუდოდ, ძვირის გადახდა მოგვინევს. უნდა გვახსოვდეს, რომ გაგვიმართლა, ასეთი გადანაცვლებების მიღება რომ შეგვიძლია. ამით ვიღებთ პასუხისმგებლობას იმ ვალდებულებებზეც, რომლებიც ამ გადანაცვლებების მიღების შემდეგ ჩნდება.

პატარებს პასუხისმგებლობის აღების მაგალითი უნდა მივცეთ. ხმამაღლა ვიმსჯელოთ, როცა უსიამოვნო სიტუაციაში აღმოვჩნდებით: „მატარებელი ისევ აგვიანებს! მიხარია, რომ ისეთ ქალაქში ვცხოვრობ, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტია, თუმცა დღეს მოთმინება არ მყოფნის. შემდეგ ჯერზე შინიდან ადრე გამოვიდეთ“. ვეცადოთ, გარე დამკვირვებლის თვალთშეუხებლად საკუთარ თავს, დავმშვიდდეთ და შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება მოვლენისადმი.

ხმარებიდან ამოვიღოთ სიტყვა „უნდა“ და ვაკეთოთ მხოლოდ ის, რაც გვინდა. „ეს პერანგები უნდა გავაუთოო“, „ბავშვებს საჭმელი უნდა მოვუმზადო“, „მეგობარს უნდა დავურეკო“, „შვილებს მეტი ყურადღება უნდა დავუთმო“. შეიძლება გვგონოთ, რომ გირჩევთ, სადღილი არ მოამზადოთ ან ბავშვებს ყურადღება არ მიაქციოთ, მაგრამ სინა-

მდვილეში სხვა რამის თქმას ვცდილობ. სადილს იმიტომ ვამზადებთ, რომ გვინდა, ჩვენმა შვილებმა ჯანსაღი საკვები მიიღონ. ეს ჩვენი არჩევანია; ბავშვებს ყურადღებას იმიტომ ვუთმობთ, რომ გვინდა, თავი ბედნიერად და უსაფრთხოდ იგრძნონ. ესეც ჩვენი არჩევანია.

ყოველ ჯერზე, როცა „უნდას“ თქმას დავაპირებთ, დავფიქრდეთ, რამდენადაა ეს რაღაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი. თუ არა, ფანტაზიას მოვუხმობთ და რაიმე შევცვალოთ. თუ ვერ ვცვლით, მივიღოთ ეს მოცემულობა როგორც შემოქმედებითი გადანწყვეტილებების მიღების კიდევ ერთი შესაძლებლობა. თუ სრულ განაკვეთზე ვმუშაობთ, წიგნში მოცემული იდეები შეგვიძლია გამოვიყენოთ შაბათ-კვირას, სადილის დროს, ბანაობისას ან ბავშვების ბაღში/სკოლაში მიყვანისას. თუ იდეალური სკოლისთვის თანხა არ გვყოფნის, ისეთი შევარჩიოთ, რომელიც ჩვენს ღირებულებებს შეესაბამება. თუ ასეთს ვერ ვპოულობთ, მონტესორის პრინციპების ყოველდღიურობაში დანერგვა გავაგრძელოთ.

გავარკვიოთ, რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი და განვაგრძოთ ამის კეთება. როდესაც ჩვენს ცხოვრებასა და არჩევანზე პასუხისმგებლობას ვიღებთ, ცხოვრების გემის საჭესთან ვდგავართ და ქარიშხლის დროს თოკებს უაზროდ არ ვექაჩებით.



ვისწავლოთ შეცდომებზე

შეცდომის დაშვებისას მარტივია, ყველაფერი სხვას გადავებრალოთ. მაგალითად, ბავშვმა ჭკუიდან გადავიყვანა და ამიტომ დავკარგეთ კონტროლი. გზა იმიტომ აგვერია, რომ რუკა იყო არასწორი. როდესაც ჩვენს გადანწყვეტილებებზე პასუხისმგებლები ვხდებით, მათი შედეგების მიღებაც უნდა შეგვეძლოს. არის დღეები, როცა მოთმინება არ გვყოფნის, ყველაფერს არასწორად ვაკეთებთ და ისე ვიჭკვეით, რომ შვილსაც, პარტნიორსაც და საკუთარ თავსაც იმედს ვუცრუებთ.

შეცდომის დაშვება ბოდიშის მოხდის შესაძლებლობას გვაძლევს. ასეთ დროს ჩემს შვილებს (და სხვებსაც) ვუბნები: „მაპატიე. ასე არ უნდა მოექცეულიყავი. ჯობდა, ეს გამეკეთებინა/მეთქვა“. ამით ბავშვებს მაგალითს ვაძლევთ. ისინი ხედავენ, რომ ჩვენც შეგვიძლია შეცდომებზე ვისწავლოთ და ხვდებიან, რომ ყოველთვის ვცდილობთ, საუკეთესო ავირჩიოთ. პატარები იმასაც აცნობიერებენ, რომ იდეალური არავინაა, მათ შორის, არც მშობლები.

დავტკბეთ მიღწევებით

ზოგჯერ ისე გამალებით ვცდილობთ ვითარების გამოსწორებას, რომ გვაგინწყდება, რა ხდება აქ და ახლა. იმდენად მინდა, უფრო მეტი ვისწავლო და შვილებისთვის უკეთეს მაგალითად ვიქცე, რომ ხშირად ანწყოთი ტკობა მაგინწყდება.

გვაგინწყდება, საკუთარ თავს ვუთხრათ: მე საკმარისი ვარ და რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ.

წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ყველანი წყლით სავსე ჭიქები ვართ, რომლებსაც არ სჭირდებათ დამატებითი წყაროების ძებნა შევსებისთვის – იქნება ეს პარტნიორი, ბავშვი თუ სამსახური. ისედაც სავსე ვართ.

ამის გაცნობიერება უდიდეს შვებას მგვრის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სწავლას და განვითარებას ვწყვეტ, უბრალოდ, ჩემი თავი ისეთივე მომწონს, როგორიც ახლა ვარ. ამ დროს შემოძლია უკეთესი გავხდეთ ყველასთვის, მათ შორის, ჩემი შვილებისთვისაც.

ჩემთვის ბავშვებიც წყლით სავსე ჭიქები არიან. თავიანთი პატარა სხეულებით ყველაფერს აკეთებენ, რაც შეუძლიათ და დღევანდელი დღით ცხოვრობენ. ჩვენი ვალია, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე მათ მხარი დავუჭიროთ.

თვითშეაფასება

ბავშვების ამ მეთოდით აღსაზრდელად თვითშეაფასებაა საჭირო.

უნდა მივხედეთ, ჩვენ მიერ დადგენილი საზღვრები რა დროს შეიძლება დაირღვეს და გამოვჩახოთ გზა, მკაფიოდ და თავაზიანად დავიცვათ ისინი. თუ სიტუაცია გამწვავდება და გავღიზიანდებით, მშვიდად ვერანაირად ვერ ვიმოქმედებთ.

საზღვრების დანესება ნორმალურია. ეს საკუთარი თავის, სურვილების გაგებაში გვეხმარება. ამის გარეშე ვერ შევძლებთ ჩვენი და ჩვენი საყვარელი ადამიანების სურვილების დაბალანსებას (იხ. მე-9 თავი).

გავარკვიოთ, რა გავღიზიანებს და საკუთარ თავს დავაკვირდეთ: ბავშვის პრობლემას ჩვენს თავზე ხომ არ ვიღებთ? იქნებ რაღაც ისეთს ვეხებით, რაც საკუთარ თავში არ მოგვწონს?

უკან დავიხიოთ და სიტუაცია ობიექტურად შევაფასოთ, ან ჩავინეროთ და როცა დავმშვიდდებით, შემდეგ გავერკვიოთ. საკუთარ თავს თანაფერძნოთ და დავფიქრდეთ, რომელ სურვილს ვერ ვიკმაყოფილებთ (ეს შეიძლება იყოს ურთიერთობის ან ზრუნვის მოთხოვნილება). ბოლოს კი დავფიქრდეთ, როგორ შეიძლება მათი დაკმაყოფილება.

ამ ყველაფრის გაცნობიერების შემდეგ შეგვიძლია კვლავ შევითავსოთ გზამკვლევის, თავდაჯერებული წინამძღოლისა და იმ საყრდენი კედლის როლი, რომელიც ჩვენს პატარას ასე სჭირდება.

გავაგრძელოთ პარჯიში

წიგნში მოცემულ ყველა იდეას გავარჯიშება სჭირდება. ბავშვთან ასეთი მიდგომის გამოყენება ახალი ენის სწავლას ჰგავს – ბევრ მეცადინეობას მოითხოვს. მოუხედავად იმისა, რომ წლებია, მონტესორის მასწავლებლად ვმუშაობ, ჩემი შვილები კი უკვე ზრდასრულები არიან, ამ უნარებს დღემდე ვხვდები. თუმცა ყოველდღიურად პროცესი უფრო მიმართიდება.

„ბავშვის ჰარმონიული განვითარება და ზრდასრულის მუდმივი თვითშემეცნება ამაღელვებელი სანახაობაა... ეს სწორედ ის საგანძურია, რომელიც დღეს გვჭირდება – ზრდასრული, რომელიც ეხმარება პატარას, გახდეს დამოუკიდებელი, თავად აირჩიოს გზა, სანაცვლოდ კი მისგან საოცარ საჩუქრებს იღებს, რომლებსაც იმედი და სინათლე ჰქვია“.

– დოქტორი მარია მონტესორი, „აღზრდა და სიმშვიდე“


პრაქტიკისთვის

1. რა გვიმალღებს განწყობას დღის განმავლობაში? ბედნიერი ვართ? ვიკმაყოფილებთ ჩვენს სურვილებს და მოთხოვნილებებს?
2. როგორ შეგვიძლია ვიცხოვროთ ანწყობაში და შევანელოთ ტემპი?
3. როგორ გადავიქცეთ ბავშვის გზამკვლევადა, იმის ნაცვლად, რომ მისი უფროსი ან მსახური გავხდეთ?
4. შეგვიძლია სახლი დამხმარე რესურსად გამოვიყენოთ?
5. ცხოვრებისეულ პრობლემებს სხვებს ხომ არ ვაბრალებთ? შეგვიძლია საკუთარ არჩევანზე პასუხისმგებლობა ავიღოთ და შევცვალოთ, რაც არ მოგვწონს?
6. შეგვიძლია დავტკბეთ დღევანდელი დღით და გვიყვარდეს საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ვართ?

ურთიერთთანამშრომლობა

9

- 202 ბავშვის გარემოცვა
- 203 მშობლებიც ადამიანები არიან
- 203 როცა ბავშვს ერთი მშობელი მეორეს ურჩევნია
- 204 ურთიერთთანამშრომლობის გასაღები
- 205 ოჯახის წევრებთან ურთიერთობა
- 206 ბებია-ბაბუები და ძიძები
- 208 როგორ გავუმკლავდეთ ოჯახურ კონფლიქტს?
- 209 განქორწინებამ არ უნდა შეგვაშინოს



ბავშვის გარემოცვა

ჩვენ გარშემო ბევრნაირი ოჯახია: დაქორწინებულები, პარტნიორები, მარტოხელები, ბებია-ბაბუებთან ერთად მცხოვრებნი, სხვადასხვა ან ერთი სქესის მშობლები, განქორწინებულები, განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები და ა. შ. ოჯახის ტიპები საზოგადოების განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება.

ნებისმიერ შემთხვევაში სხვების გარემოცვაში გვიწევს ცხოვრება: ნათესავების, მეგობრების, ახლობლების, ნაცნობების, მეზობლების და ა. შ. ფაქტია, რომ ეს ადამიანები ჩვენს ოჯახურ ცხოვრებაში მონაწილეობენ.

იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ოჯახი გვაქვს, სხვადასხვა კითხვა გვიჩნდება:

- როგორ გავუზიაროთ ოჯახის წევრებს ჩვენი იდეები?
- რა არის ჩვენი ოჯახური ღირებულებები?
- ოჯახის წევრებსაც ისევე ვუსმენთ და ვესაუბრებით, როგორც ჩვენს პატარას?
- რჩება თუ არა შესაძლებლობა ზრდასრულის ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვისთვის ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომაში?
- როგორ მოვიქცეთ, როდესაც პატარას ერთ-ერთი მშობელი უფრო მეტად უყვარს?
- როგორ უნდა გამოიყენონ მონტესორის მეთოდი ბებია-ბაბუებმა და ძიძებმა?
- რა გავლენას ახდენს ბავშვზე მშობლების დაშორება და როგორ შეიძლება ეს ფაქტი დადებით გამოცდილებად ვაქციოთ?

ეს მნიშვნელოვანი კითხვებია. გთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას, რომლებიც პასუხების პოვნაში დაგეხმარებათ.

მშობლების ადამიანები არიან

ხშირად მთელი ჩვენი ცხოვრება ბავშვზეა მორგებული – უგულვებელყოფით საკუთარ სურვილებს და თუ მაინც ვაკეთებთ რამეს მათ დასაკმაყოფილებლად, მაშინვე თავს ვიდანაშაულებთ.

ყველანი ადამიანები ვართ და ვიმსახურებთ სურვილების დაკმაყოფილებას. ბავშვზე ზრუნვა საკუთარი თავის უარყოფას არ ნიშნავს. ვიმუშაოთ პატარასთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში, სიმტკიცეც გამოვიჩინოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს თავისუფლებას ვაძლევთ, საკუთარი სურვილების გამოხატვა და დაკმაყოფილება უნდა შეგვეძლოს (იქნებ საღამოს მშვიდად გატარება გვინდა, როცა ჩვენს პატარას სძინავს?).

დავუთმოთ დრო პირად ურთიერთობას. თუ პარტნიორი გვყავს, გვახსოვდეს – ჩვენი ურთიერთობა მნიშვნელოვანია. ამის გარეშე ხომ მშობელიც ვერ გავხდებოდით. თუმცა, ხშირად ეს გვაგინყდება და საყვარელ ადამიანს ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ.

ხშირად მომაქვს ხოლმე ერთი ოთხშვილიანი ფრანგული ოჯახის მაგალითი. საღამოობით მშობლები სხდებოდნენ, ჭიქა ღვინოს სვამდნენ და ათი წუთის განმავლობაში ერთმანეთს დღის ამბებს უყვებოდნენ, იმის ნაცვლად, რომ სამსახურიდან დაბრუნებისთანავე რუტინული საქმეებისთვის მიეხედათ. ბავშვებმაც იცოდნენ, რომ ეს მშობლების „განსაკუთრებული დრო“ იყო. ამით ზრდასრულები პატარებს აჩვენებდნენ, რომ მათი ურთიერთობა მნიშვნელოვანი იყო და რომ მშობლებიც ადამიანები არიან.

როცა ბავშვს ერთი მშობელი მეორეს ურჩევნია

ზოგჯერ ბავშვს ერთი მშობელი მეორეს ურჩევნია – უნდა, მხოლოდ მან აბანაოს, წაუკითხოს, ჩააცვას, დააძინოს.


თუ ეს ეტაპი დიდხანს გაგრძელდა, შესაძლოა, მეორე მშობელი განწყენდეს და თავი გარიყულად იგრძნოს.

ასეთი შემთხვევებისთვის უნივერსალური მიდგომა არ არსებობს, თუმცა რამდენიმე საკითხს მაინც შეგვიძლია მივაქციოთ ყურადღება.

დააკვირდით, ბავშვი თქვენს რეაქციებს ხომ არ ამონიშნავს? პატარები ცდილობენ დაადგინონ, სად გადის ზღვარი. არაა საჭირო, ყველაფერზე რეაქცია გვქონდეს და მათი მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ. მშობელს, რომელსაც ბავშვი თავიდან იშორებს, შეუძლია შვილის ემოციები ფრთხილად აღწეროს და შესთავაზოს: „გინდოდა, ვინმე დაგხმარებოდა? დღეს მე დაგხმარები“. შეინარჩუნეთ სიმშვიდე, იყავით თავაზიანი და თავდაჯერებული.

შესაძლოა, ეს ცვლილებებზე რეაქცია იყოს. იქნებ ერთ-ერთი მშობელი ბევრს მოგზაურობს ან რაიმე შეიცვალა (მაგალითად, პატარა გაჩნდა ან ახალ სახლში გადახვედით)? ამ შემთხვევაში ერთადერთი, რისი კონტროლიც ბავშვს შეუძლია, თავისი ემოციებია, რომლებსაც ამგვარად გამოხატავს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რადიკალურად უნდა შეცვალოთ რაიმე ან ყველა სურვილი დაფუძნებულიყო, თუმცა საჭიროა, მეტი ყურადღება დაეთმოთ, გავუყოთ, ჩავეხუტოთ და მოვლენებს მისი თვალთ შევხედოთ.

ურთიერთთანამშრომლობის გასაღები



გფიქრობ, ოჯახის წევრების ურთიერთთანამშრომლობის გასაღები იმის გააზრებაა, რომ თითოეულს თავისი საჭიროებები აქვს, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია. ეს არაა მარტივი საქმე, თუმცა, ერთობლივი მუშაობის წყალობით, შესაძლებელია. სულ მცირე, ის მაინც შეგვიძლია, ამაზე საუბარი წამოვიწყოთ.

ვითანამშრომლოთ ბავშვთან

პრობლემის გადაჭრაში მონაწილეობა ბავშვსაც შეუძლია. როცა გადაწყვეტილება გვაქვს მისაღები, ვკითხოთ: „შენ თამაშის გაგრძელება გინდა, მე კი წასასვლელი ვარ. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა?“. ეს შეკითხვა შეგვიძლია დავუსვათ სულ პატარებსაც, რომლებმაც ლაპარაკი ჯერ არ იციან (გადახედეთ მე-6 თავს).

ვითანამშრომლოთ პარტნიორთან

გულწრფელად მჯერა, რომ მცირე დათმობით და ურთიერთგაგებით ყველას საჭიროებების დაკმაყოფილება შეიძლება.

მოდით, წარმოვიდგინოთ ერთი ჩვეულებრივი უქმე დღის შუადღე: მაღაზიაში ვართ წასასვლელი, ბავშვებს პარკში თამაში უნდათ, ჩვენს პარტნიორს – დაძინება, ჩვენ კი – მეგობართან ერთად ყავის დაღება.

იმის ნაცვლად, რომ ბავშვები მოვქრთამოთ და ვუთხრათ: „თუ კარგად მოიქცევით, პარკში გაგიშვებთ“, ისეთი გეგმა შევადგინოთ, რომ **არავინ არავისზე იყოს დამოკიდებული**. შეგვიძლია მაღაზიაში ბავშვების გარეშე წავიდეთ, შემდეგ კი, ვიდრე ჩვენი პარტნიორი გამოიძინებს, პარკში წავიყვანოთ; ან, სულაც, პროდუქტები ინტერნეტით შევუკვეთოთ, მეგობარი კი ყავაზე შინ დავპატიჟოთ, ვიდრე ბავშვები ითამაშებენ, პარტნიორი კი დაისვენებს.

ვითანამშრომლოთ გარშემოყოფებთან

ბავშვების ცხოვრებაში არსებობენ სხვა ადამიანებიც, რომლებიც მათზე ზრუნავენ, მაგალითად, ბებია-ბაბუები და ძიძა. გვეხმარება ბალი და სკოლაც.

პატარები ხედავენ, რომ მშობლები მათზე ზრუნვას სხვებსაც ანდობენ. ამით ისინი ნდობას სწავლობენ. ბავშვის სამყაროს ასეთი ურთიერთობები ამრავალფეროვნებს.

როცა ისეთ ადამიანს ვპოულობთ, რომელსაც ჩვენს პატარაზე ზრუნვას ვანდობთ, ბავშვი ამას გრძნობს. საუკეთესო რჩევა, რომელიც ჩემი შვილების მონიტესორის ბალის მასწავლებლისგან მივიღე, ის იყო, რომ ბავშვებს მზიარულად, თუმცა მოკლედ დავმშვიდობებოდი: „კარგად გაერთეთ! რამდენიმე საათში გნახავთ“. მგონი, ყოველდღე ამას ვამბობდი. ეს მეც მამშვიდებდა და ჩემს შვილებსაც. როცა ბალიდან გამომყავდა, ვეზუტებოდი (თუ ეს უნდოდათ) და ვეუბნებოდი: „როგორ მიხარია თქვენი ნახვა!“. არ მჭირდებოდა იმის თქმა, როგორ მენატრებოდნენ – ეს ბავშვებისთვის რთულად აღსაქმელია.

პატარამ უნდა იცოდეს, რომ მშობელი ადამიანებს ენდობა, შესაბამისად, მასაც უყალიბდება ნდობა. საჭიროა, ჩვენც გვენდობოდეს, ამიტომ აუცილებლად უნდა შევატყობინოთ, როცა წასვლას დავაპირებთ და მივიღოთ გულისწყვეტა, რომელიც ამას მოჰყვება. ეს ბავშვს ჩვენთან განშორებას უმარტივებს. გვახსოვდეს – ის უფრო მტკივნეულია, როცა ვატყუებთ და უსიტყვოდ ვქრებით, მან კი არ იცის, სად წავედით ან როდის დავბრუნდებით.

ოჯახის წევრებთან ურთიერთობა

სხვა ადამიანის შეცვლა შეუძლებელია. ვერ შევცვლით ვერც შვილებს, ვერც პარტნიორს და ვერც ოჯახს. ცხადია, გვინდა, მონიტესორის პრინციპები სხვებმაც გაითვალისწინონ, თუმცა თავს ვერავის ვერაფერს მოვახვევთ.

გული ნუ დაგწყდებათ.

საკუთარი თავით დავინწყოთ. ვფიქრობ, საუკეთესო გზა მაინც მუდმივი მცდელობაა. ადამიანები ადვილად შეამჩნევენ, რომ ბავშვს სხვაგვარად ვზრდით და შეკითხვებს დაგვისვამენ: „პატარა რომ გაბრაზდა, დავინახე, რომ არ უყვირე. როგორ ახერხებ ამას?“. ჩვენ მაგალითის ვაძლევთ არა მხოლოდ ჩვენს შვილებს, არამედ გარშემოყოფებსაც. ზოგი დაინტერესდება და ჩაგვეძიება, თუმცა – არა ყველა. ესეც ნორმალურია.

გამოვანახოთ ინფორმაციის გაზიარების სხვადასხვა მეთოდი. გაუზიარეთ ოჯახის წევრებს მოკლე სტატია, ისაუბრეთ მშობელზე, რომელიც ამ მიდგომას პრაქტიკაში იყენებს; მოძებნეთ პოდეკასტის ეპიზოდი, რომელიც ზუსტად ამ საკითხებზეა; ათხოვეთ, მაგალითად, ეს წიგნი; ერთად უყურეთ ონლაინლექციებს; დაიყოლიეთ, მონიტესორის სკოლის სემინარზე წამოგყვანენ; ნელ-ნელა მიანოდეთ ინფორმაცია იმგვარად, რომ იდეების პრაქტიკაში გამოყენება მოუწოდეთ.

დავაკვირდეთ, როგორ ვესაუბრებით ოჯახის წევრებს. ხშირად გვინდა, ოჯახის წევრები ბავშვს თავაზიანად ესაუბრონ, შენიშვნები არ მისცენ, კრიტიკისგან თავი შეიკა-

ვონ და წაახალისონ. ამ დროს თავად სწორედ ისე ველაპარაკებით ახლობლებს, როგორც არ გვინდა, ბავშვს ვესაუბროთ: თუ რამე არასწორად თქვეს, მაშინვე ვუსწორებთ, მათი მოუთმენლობა გვადიხიანებს, საუბარს არ ვაძლევთ და პატივისცემას არ ვიჩენთ.

მივიღოთ ოჯახის წევრების ემოციები. არავინაა სწორი ან არასწორი. თუკი ვისწავლეთ, სამყაროსთვის ბავშვის თვალთ შეგვეხედო, ისიც შეგვიძლია, ახლობლებს გავუგოთ.

შეიძლება არ მოგვეწონოს ბავშვთან საუბრის მათი მანერა, მაგრამ ყოველთვის შეგვიძლია მათი მთარგმნელის როლი შევითავსოთ:

„როგორც ჩანს, ბაბუას არ უნდა, რომ დივანზე აძვრე“.

„ეხედავ, ბებოს არ უნდა, საჭმელი ძირს დაყარო“.

„მგონი, თქვენ ორნი ერთმანეთს ვერ უგებთ. ჩემი დახმარება ხომ არ გჭირდებათ?“.


ამ მიდგომის გამოყენება ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება – სათამაშო მოედანზე, მეზობლებსა და ნათესავებთან, რომლებსაც ბევრ რამეში არ ვეთანხმებით.

შევთანხმდეთ საერთო ოჯახურ ღირებულებებზე. თუ გონიერებას გამოვიჩენთ, სულ მცირე, ერთ რამეზე მაინც აუცილებლად შევთანხმდებით – ბავშვისთვის ყველას კარგი გვინდა. გვინდა, ისეთ ადამიანად ჩამოყალიბდეს, რომელიც სხვებს პატივს სცემს და პასუხისმგებლობას არ გაუბრუნებს; გვინდა, ცნობისმოყვარე იყოს, მაგრამ, ისიც გვესმის, რომ ოჯახის თითოეული წევრის პირადი საზღვრების დაცვაა საჭირო.

ასეთ გარემოში პატარა სწავლობს, რომ ოჯახის თითოეული წევრი უნიკალურია. იცის, ვისთან მივიდეს, როცა თამაში და გართობა მოუწდება და ვის მიაკითხოს, როცა მის პანია სამყაროში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც წარმოედგინა.

როგორ გაუმართლა ბავშვს, რომელმაც ამდენი ადამიანი ზრუნავს! იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნათესავებთან ყოველდღიური ურთიერთობა არ გვაქვს, პატარა მაინც საკმარის მზრუნველობას იღებს თითოეული მათგანისგან.

ბებია-ბაბუები და ძიძები



თუ ბებია, ბაბუა ან ძიძა ხართ, ეს ნაწილი სწორედ თქვენთვისაა და აქ აღწერილი ნებისმიერი მეთოდის გამოყენება თავისუფლად შეგიძლიათ.

მონტესორის მიდგომა განსხვავდება იმ მეთოდისგან, რომელსაც მიჩვეული ხართ და რომლითაც შეილება აღზარდეთ. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე მარტივ რჩევას. თუ მეთოდი მოგეწონათ, მეტი ინფორმაციის მისაღებად გირჩევთ, მთლიანი წიგნიც წაიკითხოთ.

1. **დააკვირდით ბავშვს.** რა აინტერესებს? თავისუფლად იკვლევს გარემოს? რა გზით შეგიძლიათ სამყაროს შეცნობის უფლება მისცეთ, თანაც ისე, რომ უსაფრთხოდ იყოს?
2. **მიეცით დრო, დამოუკიდებლად გაართვას თავი ამოცანას.** მიეცით დრო და დააკვირდით, დამოუკიდებლად თუ გაართმევს თავს ქამას, ჩაცმას, თამაშს და ა. შ. სიხარული, რომელსაც ბავშვი მაშინ განიცდის, როცა რაღაც გამოსდის, ფასდაუდებელია.
3. **რა შეგიძლიათ პატარას გაუზიაროთ? თქვენი ინტერესების გაზიარებით ბავშვს მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას აძლევთ.** რომელიმე ინსტრუმენტზე ხომ არ უკრავთ? ხელნაკეთი ნივთები ხომ არ გაქვთ, რომლებსაც დაათვალიერებინებთ? სპორტის რომელიმე სახეობა ხომ არ გიტაცებთ, რომელსაც გაამარტივებთ და პატარასთან ერთად ითამაშებთ?
4. **ერთად შეისწავლეთ სამყარო,** თუ ღელავთ, რომ ბავშვი სახლში რამეს გატეხს, ან, უბრალოდ, გინდათ გაართოთ, გაისეირნეთ პარკში, სათამაშო მოედანზე ან უბნის მაღაზიაში. მიეცით პატარას შესაძლებლობა, გესაუბროთ ყველაფერზე, რასაც გარშემო ხედავს, თქვენ კი დაუხსახელეთ ირგვლივ არსებული საგნები და მოუყევით ამბები მათ შესახებ.
5. **აღწერეთ, რასაც ხედავთ.** იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ შეაქოთ და უთხრათ: „რა ყოჩალი ხარ!“, აღწერეთ, რა დაინახეთ: „დავინახე, საქანელაზე დამოუკიდებლად როგორ ქანაობდი“, „დავინახე, სასრილოზე როგორ აირბინე, მეჩვე კი ჩამოსრილდი. ალბათ, კარგად გაერთე“. ამით პატარას ვაძლევთ შესაძლებლობას, თვითონ შეაფასოს საკუთარი ქმედება და არ ეძებოს სხვების მონონება ან დასტური.
6. **დაუთმეთ დრო, რომელიც ნებისმიერ საჩუქარზე ძვირფასია.** საჩუქრების გაცემა ძალიან სახალისოა. თუმცა, სიყვარულს უფრო მეტად ძვირფასი ადამიანისთვის დროის დათმობა გამოხატავს. ბავშვთან ერთად გაისეირნეთ ზოოპარკში, ნაიკითხეთ წიგნი, აჩუქეთ სადამო პატარას მშობლებს, თქვენ კი მასთან დარჩით. რაც უფრო ნაკლებ ნივთს შევადგროვებთ, მით უფრო დიდხანს ვიცხოვრებთ ამ პლანეტაზე. ვაჩვენოთ ბავშვებს, რომ ისევე ვზრუნავთ გარემოზე, როგორც საკუთარ თავსა და საყვარელ ადამიანებზე.
7. **მშობლების რომელ ღირებულებებს იზიარებთ? კარგი იქნება, საერთო პოზიცია თუ გექნებათ.** ეს ბავშვს თანმიმდევრულობის განცდას გაუღვივებს. ზოგიერთი თქვენი მიდგომა შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ არა უშავს. მთავარია, ძირითად პრინციპებზე თანხმდებოდეთ. ამის წყალობით, პატარა თავს უსაფრთხოდ იგრძნობს თქვენთანაც და თავის მშობლებთანაც.
8. **შეგიძლიათ ბავშვის მშობლები უპირობოდ მიიღოთ და აგრძნობინოთ თავიანთი საჭიროება და მნიშვნელობა? ოჯახში აზრთა სხვადასხვაობა ხშირად მიმღებლობის ნაკლებობაზე მიუთითებს.** უნდა გვახსოვდეს, რომ ზრდასრულებსაც გვყავს „შინაგანი ბავშვი“, რომელიც სიყვარულს და

უპირობო მიღებას ითხოვს. როდესაც პატარას მშობლებისადმი თანაგრძნობას გამოვხატავთ, ვაგრძნობინებთ, რომ მათი გვესმის, რაც ჯანსაღი ოჯახური გარემოს ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს.

როგორ გავუმკლავდეთ ოჯახურ კონფლიქტს?

იმისთვის, რომ ჩვენი გულისტკივილი და უკმაყოფილება ოჯახის წევრებს გავუზიაროთ და მათი აზრიც მოვისმინოთ, შეგვიძლია ეს სავარჯიშო ვცადოთ. ტექნიკა დოქტორმა სილია ელუორტმა 2017 წელს გამართულ მონტესორის კონგრესზე გაგვაცნო. სავარჯიშოს შესასრულებლად მხოლოდ ისაა საჭირო, რომ მეორე ადამიანს ვკითხოთ, თავისუფალი ოცი წუთი თუ აქვს.

პირველ ხუთ წუთში მეორე ადამიანი გვეუბნება ყველაფერს, რაც აწუხებს. დაკვირვებით მოვუსმინოთ და ყურადღება გავამახვილოთ იმ ემოციებზე, რომლებიც საუბრისას უჩნდება.

შემდეგი ხუთი წუთის განმავლობაში ვუზიარებთ, რა გავიგეთ მისი ნათქვამიდან და რა ემოციები შევნიშნეთ. თუ აღმოჩნდა, რომ რაღაც არასწორად გავიგეთ, შეუძლია შეგვისწოროს.

ამის შემდეგ როლები იცვლება – ახლა ჩვენ ვუყვებით ჩვენი გულისტკივილის მიზეზზე, ის კი გვისმენს.

ბოლო ხუთ წუთში გვიზიარებს, როგორ აღიქვა ჩვენი ნათქვამი და რა ემოციები შენიშნა. ცხადია, ჩვენც ვუსწორობთ, თუ რამე არასწორად აღიქვა.

თუ მაინც გვგონია, რომ ბოლომდე ვერ შევთანხმდით და საუბრის გაგრძელება დაგვებმარებოდა, პროცესი კიდევ ოცი წუთით გავახანგრძლივოთ და იგივე გავიმეოროთ.

ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, სრულყოფილად აღვიქვათ მეორე ადამიანი, დავინახოთ მისი საჭიროებები და გავაცნობიეროთ, რომ ყველას, უბრალოდ, ჩვენი სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გვინდა.

რჩევა 1

წუ გამოიყენებთ ისეთ სიტყვებს, რომელთა საშუალებითაც მეორე ადამიანს დაადანაშაულებთ. იმის ნაცვლად, რომ მტკიცებითი ფორმით უთხრათ: „შენ მე პატივს არ მცემ!“; თქვენი გულისტკივილი გაუზიარეთ: „ჩემთვის მნიშვნელოვანია, შენგან პატივისცემას

ვგრძნობდე“. ყურადღება გაამახვილეთ თქვენს ემოციებზე და ხშირად გამოიყენეთ ნაცვალსახელი „მე“. დააკვირდით თქვენს საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს (დანართში მოცემული ცხრილი დაგეხმარებათ).

რჩევა 2

კი არ მოსთხოვოთ, სთხოვეთ. თუ შემოქმედებითად მიუდგებით, პრობლემის გადაჭრის ბევრნაირ გზას იპოვით. ასე რომ, ყოველთვის იფიქრეთ სხვა გამოსავალზე.

განქორწინება არ უნდა შეგვაშინოს

როცა მშობლები დაშორებას გადაწყვეტენ, მეგობრული ურთიერთობის გაგრძელება აბსოლუტურად შესაძლებელია. ამ შემთხვევაში ბავშვს ეყოლება ორი მშობელი, რომელიც, უბრალოდ, სხვადასხვა სახლში იცხოვრებს. იდეალური შემთხვევაა, როდესაც მშობლები თანხმდებიან შვილის აღზრდის სტილზე, თანაბრად იღებენ პასუხისმგებლობას და ერთნაირად მონაწილეობენ ამ პროცესში.

ჯერ კიდევ 1900 წელს დოქტორი მარია მონტესორი აღიარებდა, რომ ბავშვის აღზრდაში ორივე მშობელს თანაბარმნიშვნელოვანი როლი აქვს. არსებობს ერთადერთი გამონაკლისი: როდესაც, ფსიქოლოგიური თუ სხვა მიზეზების გამო, მშობელთან ურთიერთობა საშიშია. ბავშვის უსაფრთხოება ყოველთვის უპირატესია.

დღემდე არსებობს სტიგმა დაშორებასა და განქორწინებასთან დაკავშირებით. სამწუხაროა, როცა მშობლების ურთიერთობა სრულდება, თუმცა, თუ გადაწყვეტილებით ორივე ადამიანი ბედნიერია, ეს ბავშვზე მხოლოდ დადებითად იმოქმედებს. პატარები ნებისმიერ ასაკში გრძნობენ, როცა სახლში არაჯანსაღი გარემოა.

სტაბილურობა ბავშვისთვის ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია. შეადგინეთ გრაფიკი, რათა პატარამ იცოდეს, რას უნდა ელოდოს. უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რამდენად სჭირდებათ ბავშვებს წესრიგი და თანმიმდევრულობა. აქციეთ ეს პრიორიტეტად.

იყავით გულწრფელი ბავშვის ასაკის შესაბამისად. ნუ გეგონებათ, რომ პატარაა და ვერაფერს ხვდება. თუმცა, არაა აუცილებელი, ყველა დეტალი იცოდეს. გაუზიარეთ მხოლოდ ფაქტები და ყურადღება მიაქციეთ, რომ მუდამ იცოდეს, რა ხდება.

იყავით თავაზიანი ყოფილ პარტნიორთან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვთან ერთად ხართ – ეს უმნიშვნელოვანესია. შვილის თანდასწრებით მშობლები ერთმანეთთან და ერთმანეთზე თავაზიანად უნდა საუბრობდნენ. როდესაც ეს მეტისმეტად რთულია, სასურველია, კონფლიქტს გაერიდოთ და პრობლემაზე მოგვიანებით ისაუბროთ. ამგვარ

უსიამოვნებებზე შეგვიძლიათ ესაუბროთ მეგობარს, ოჯახის წევრებს ან ფსიქოლოგს, მაგრამ – არა ბავშვს. შვილის ორ ცეცხლს შუა მოქცევა დიდი უსამართლობაა.

გახსოვდეთ, ორივე ისევე მისი მშობლები და ოჯახი ხარტ, უბრალოდ, ერთად აღარ ცხოვრობთ.

პრაქტიკისთვის

1. ჩვენი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია? თუ არა, გამოვჩახოთ საამისო საშუალებები.
2. როგორ შეგვიძლია ოჯახის თითოეული წევრის მოთხოვნების დაკმაყოფილება? მივუდგეთ შემოქმედებითად.
3. როგორ შეგვიძლია გავაერთიანოთ ოჯახის წევრები?
4. როგორ მოვაგვაროთ ოჯახური კონფლიქტი და გაუგებრობა?

რა ხდება შემდეგ?

10



- 212 შზადება ბალისტიკის / სკოლისთვის
- 212 მომდევნო წლები
- 217 დროა, განათლების სისტემა შევცვალოთ
- 217 დროა, სიმშვიდე მოვიპოვოთ

მზადება ბალისტიკის / სკოლისთვის

ბალში/სკოლაში წასვლამდე ბავშვი **დამოუკიდებლობას უნდა მივაჩვიოთ**. მაგალითად, დაეხმაროთ, თვითონ ჩაიცვას ქურთუკი და ფეხსაცმელი, მოიხილოს ცხვირი და ა. შ.

მოვამზადოთ ჩვენთან დაშორებისთვის. განსაკუთრებით მაშინ, თუ ძიძა არ ჰყავს და მხოლოდ ჩვენ ვზრდით. დასაწყისისთვის კარგი იქნება, თუ ახლობელი გვეწვევა ხოლმე, პატარას წაუკითხავს და ეთამაშება. როგორც კი ბავშვი მასთან თავს კომფორტულად იგრძნობს, შეგვიძლია ნელ-ნელა მცირე ხნით დავტოვოთ, ოღონდ წინასწარ აუცილებლად გავაფრთხილოთ, თუნდაც ამის გამო ცუდ გუნებაზე დადგეს. ამით პატარა ისწავლის, რომ როცა მივდივართ, უკან ყოველთვის ვბრუნდებით. თანდათან უფრო ხანგრძლივი დროით შევძლებთ შინიდან გასვლას, ვიდრე ბავშვი უჩვენოდ ყოფნას იმდენი ხნით არ მიეჩვევა, რამდენსაც ბალში გაატარებს.

და ბოლოს, ის, რაც აუცილებლად დასჭირდება – სოციალური უნარების გამოუმუშავება. ვასწავლოთ საკუთარი თავის დაცვა და მიეცეთ სხვებზე ზრუნვის მაგალითი. ამით მოვამზადებთ მყარ საძირკველს, რომლის წყალობითაც ეცოდინება, როგორ დაუახლოვდეს ადამიანებს და იზრუნოს მათზე.

მონტესორის აქტივობები შინ

თუკი პატარა მონტესორის ბალში/სკოლაში მიგვყავს, აჯობებს, იქაური აქტივობები შინ არ გამოვიყენოთ და აი, რატომ:

- უფრო მეტად გაერთობა და მეტსაც ისწავლის, თუ მონტესორის აქტივობებისთვის საჭირო მასალა მხოლოდ საკლასო ოთახში ეგულება.
- შეიძლება აქტივობების წესები შევცვალოთ და შინ სხვა ფორმით გამოვიყენოთ. ეს ბავშვს ინტერესს აღუძრავს.
- ნუ დაგვაფიქვდება, რომ პატარას სჭირდება თავისუფალი დრო, გარეთ ყოფნა, ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაწილეობა და მეგობრებთან ურთიერთობა.

ერთადერთი აქტივობა, რომელიც ჩემი შვილების მონტესორის მასწავლებლის ნება-რთხით შინაც ვიყენებდით, იყო თამაში – „გამოიცანი, რას ვხედავ. ინყება ასო X-ზე“. ტრადიციული თამაშისგან განსხვავებით, ამ თამაშში ბგერების გამოთქმასე უფროა აქცენტი, ვიდრე საგნის სახელის დამახსოვრებაზე. მაგალითად, თუ მივანიშნებთ ბურთზე, ბ-ს ნაცვლად ვამბობთ „ბუ...“, თუ სკამზე – ს-ს მაგივრად ვამბობთ „სკა...“.

მომდევნო წლები

დოქტორმა მონტესორიმ, სამეცნიერო დაკვირვებაზე დაყრდნობით, შეიმუშავა ბავშვის განვითარების სქემა 0-იდან 24 წლამდე და მას „განვითარების ოთხი საფეხური“ უწოდა.

შესაძლოა, გაგვიკვირდეთ, რომ 24 წლის ადამიანებსაც კი ბავშვებად მიიჩნევენ. თანამედროვე კვლევები გვიჩვენებს, რომ ტვინის პრეფრონტალური ქერქი – ზონა, რომელიც

პასუხისმგებელია რაციონალური გადაწყვეტილების მიღებასა და სოციალური ქცევის კონტროლზე – დაახლოებით 24 წლამდე ჯერ კიდევ ვითარდება. ასი წლის შემდეგ თავის ტვინის მკვლევრებმა დაადასტურეს ის, რაც დოქტორმა მონტესორიმ პირადი დაკვირვებით შენიშნა.

განვითარების თითოეულ საფეხურზე, რომელიც 6 წელს გრძელდება, დოქტორმა მონტესორიმ აღმოაჩინა მსგავსებები ბავშვის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ქცევით განვითარებას შორის.

მოდით, ვნახოთ, რას უნდა ველოდოთ, როცა ჩვენი პატარა წამოიზრდება.

ადრეული ბავშვობა (0-იდან 6 წლამდე) – განვითარების პირველი საფეხური

ცხოვრების პირველი ექვსი წლის განმავლობაში ბავშვმა მშობლებისგან უნდა მოიპოვოს ფიზიკური და ბიოლოგიური დამოუკიდებლობა. უზარმაზარი ცვლილებების გამო, როგორც წესი, ეს საკმაოდ არასტაბილური ეტაპია.

ამ პერიოდში პატარა მნიშვნელოვან ფიზიკურ ცვლილებას განიცდის – იზრდება და ზრდა-სრულეობზე დამოკიდებული ჩვილიდან ხდება ბავშვი, რომელიც დადის, ლაპარაკობს და ჭამს.

ამ ეტაპზე ბავშვს ხან მშობლებთან ახლოს ყოფნა სურს, ხან კი ხელს გვკრავს და ყველაფრის დამოუკიდებლად კეთება უნდა – ამას „დამოუკიდებლობის კრიზისი“ შეგვიძლია ვუწოდოთ. ამ დროს პატარა ბევრ რამეს ამოწმებს და ცდილობს, სამყაროს ალღო აუღოს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში „ღრუბელი გონება“ აქტიურად მუშაობს. დაბადებიდან ექვს წლამდე ბავშვები ყველანაირ ინფორმაციას ღრუბელივით ისრუტავენ. ამ ციკლის პირველი სამი წლის განმავლობაში (0-3 წლამდე) პატარა ინფორმაციას სრულიად გაუცნობიერებლად და ძალდაუტანებლად ითვისებს გონებით, რომელიც ყველაფერს შთანთქმავს. მომდევნო სამი წლის განმავლობაში (3-6 წლამდე) ბავშვი მეტად აცნობიერებს გარემოდან შემოსულ ინფორმაციას და აქტიურდება ცნობიერი „ღრუბელი გონება“.

რას ნიშნავს ეს? გარემოს მარტივად მიღებისა და ადაპტაციის საფეხურიდან (0-3 წლამდე) პატარა გადადის „რატომ/როგორ“ ეტაპზე (3-6 წლამდე): აინტერესებს ყველაფერი, რასაც პირველი სამი წელი მექანიკურად ისრუტავდა; გატაცებულია სხვადასხვა კულტურით; ინტერესდება მსოფლიოს რუკებით, დროებით, რელიეფებით; შეიძლება დაინტერესდეს კითხვით, წერითა და მათემატიკით.

ამ საფეხურზე ბავშვი გრძნობებით სწავლობს, მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ საშვილოსნოშია. 0-იდან 3 წლამდე ასაკში ყველა შეგრძნებას იყენებს სამყაროს შესასწავლად; 3-იდან 6 წლამდე ასაკის ბავშვი აღქმებს ავგუფებს (მაგალითად, დიდი და პატარა, მაგარი და რბილი, უხეში და გლუვი, ხმაბალალი და ჩუმი).

ამ პერიოდში ეყრდნობა რეალობას – ადვილად აღიქვამს სამყაროს და აოცებს იმის აღმოჩენა, რა როგორ მუშაობს. წარმოსახვითი თამაშები შეიძლება დაიწყოს 2,5+ წლიდან, როცა უკვე კარგად მოერგება გარემოს (იწყებს მალაზიის კონსულტანტის განსახიერებას ან სახლობანას თამაშს).

სწორედ ამ დროს იწყება ხასიათის ჩამოყალიბება. ადრეული წლების გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორი პიროვნება იქნება ზრდასრულობაში.

გვახსოვდეს, ნიადაგში თესლს ვაგდებთ...

ბავშვობა (6-იდან 12 წლამდე) – განვითარების მეორე საფეხური

განვითარების მეორე საფეხურზე ბავშვი მენტალურ დამოუკიდებლობაზე მუშაობს – აინტერესებს ყველაფრის მიზეზი და აღარ კმაყოფილდება ინფორმაციის მექანიკური შესრუტვით.

ბავშვი იწყებს გარესსამყაროს შესახებ დამოუკიდებელ აზროვნებას და უვითარდება მორალური შეგრძნებები. სვამს კითხვებს: „ეს სწორია თუ არასწორი?“, „სამართლიანია თუ უსამართლო?“.

ამ ეტაპზე სამყაროს იკვლევს წარმოსახვის მეშვეობით – შეუძლიათ გაიგონ ისტორია და წარმოიდგინონ მომავლის იდეები. ესაა თანამშრომლობის ასაკი, როცა მოსწონს სხვებთან ერთად ჯდომა ან მუშაობა.

გაგანარებთ იმის გაგება, რომ ამ პერიოდში მკვეთრი ცვლილებები არ ხდება. ეს საფეხური შედარებით სტაბილურია. თუკი პირველი ექვსი წლის განმავლობაში დავანესებთ გონივრულ საზღვრებს, შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ – საძირკველი უკვე ჩაყრილია. ამის წყალობით, განვითარების მეორე საფეხურზე ბავშვს აღარ სჭირდება წესების მუდმივი შესხენება, რადგან უკვე განაფულია.

ლერო იზრდება და ნელ-ნელა უფრო და უფრო ძლიერდება...

სიყმაწვილე (12-იდან 18 წლამდე) – განვითარების მესამე საფეხური

სიყმაწვილის პერიოდი განვითარების პირველ საფეხურს ძალიან ჰგავს. ასე რომ, თუ ფიქრობთ, რომ პატარებსა და თინეიჯერებს შორის ბევრი საერთოა, დოქტორი მონტესორი დაგეთანხმებოდათ.

დგება სქესობრივი მომწიფების ფაზა, რომელსაც თან ახლავს უზარმაზარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ცვლილებები. თუ პატარა მშობლებისგან ფიზიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა, თინეიჯერი სოციალური დამოუკიდებლობისა და ოჯახისგან გამოყოფისკენ მიილტვის. ზოგჯერ მისი სურვილები ურთიერთსაწინააღმდეგოა. ესაა დამოუკიდებლობის კრიზისი სოციალურ ასპექტში.

თინეიჯერებს უყვართ თავიანთი იდეებისა და იდეალების სხვისთვის გაზიარება, განსაკუთრებით – კონკრეტული გზების ჩვენება, რომლებსაც სამყაროს შეცვლა შეუძლია (მაგალითად, სოციალური პოლიტიკის განვითარება). დოქტორ მონტესორის დაკვირვებით, ამ პერიოდში თინეიჯერები ნაკლებად არიან აკადემიურ სწავლებაზე ორიენტირებული, ტრადიციული სკოლები კი სწორედ აკადემიურობაზე ამახვილებენ ყურადღებას.

ამის ნაცვლად, დოქტორმა მონტესორიმ შემოგვთავაზა ერდკინდერი¹ – ფერმა-სკოლა, რომელიც თინეიჯერებისთვის იდეალური სასწავლო გარემოა. აქ ისინი სწავლობენ მინასთან მუშაობას, მოყვანილი პროდუქტის ბაზარში გაყიდვას და სოციალურ ჯგუფში საკუთარ ადგილს პოულობენ. ქალაქებში არსებობს მონტესორის საშუალო სკოლები, რომლებსაც „ურბანული კომპრომისები“ ჰქვია. ისინი ცდილობენ იგივე პრინციპები ქალაქის პირობებში დანერგონ.

ყვავილები იფურჩქნება – ახლოვდება მოწიფულობის ხანა...

მოწიფულობა (18-იდან 24 წლამდე) – განვითარების მეოთხე საფეხური

დოქტორი მონტესორი მიიჩნევდა, რომ თუ განვითარების პირველ სამ საფეხურზე ყველაფერი გაკეთდა, მეოთხე საფეხური შეუმჩნევლად ჩაივლის. მისი აზრით, ამ ეტაპის მიზანი სულიერი და მორალური დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებაა.

ახალგაზრდებს, უპირველესად, სოციალურ ცხოვრებაში თავიანთი წვლილის შეტანა სურთ – ხდებიან მოხალისეები, აბარებენ კოლეჯში ან ინყებენ სამსახურს.

განვითარების მეორე საფეხურის მსგავსად, ეს ეტაპიც სტაბილურია, რადგან ახალგაზრდები საღი, ლოგიკური ზრუნვებით გამოირჩევიან და სიღრმისეულად იკვლევენ საკითხებს. ამ დროისათვის მათი ტვინი თითქმის ჩამოყალიბებულია.

მცენარე ბოლომდე იზრდება... მართალია, ზრუნვა და ყურადღება კვლავ სჭირდება, თუმცა ახლა ხრულიად დამოუკიდებელია.

¹ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დოქტორი მონტესორი ხშირად სტუმრობდა გერმანიას, ძირითადად ბერლინს, სადაც გაეცნო ნოვატორულ სკოლებსა და ფერმა-სკოლებს, რომლებიც 1922 წელს პედაგოგმა ვილჰელმ ბლუმემ დააარსა. სკოლებში, რომლებსაც ინტერნატის სახე ჰქონდა, მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მონტესორიმ შეიმუშავა ახალი პედაგოგიკური მეთოდი – Erdkinder-ი (გერმ.), რომელიც სიტყვასიტყვით „მინის ბავშვებს“ ნიშნავს.

განვითარების ოთხი საფეხური



პირველი საფეხური

0-იდან 6 წლამდე

ნიადაგში თესვას ვაგდებთ.

- ფიზიკური და ბიოლოგიური დამოუკიდებლობა
- „ღრუბელი გონება“
- სამყაროს კონკრეტული აღქმა
- სენსორული შემეცნება
- მეტი დამოუკიდებელი მუშაობა და ურთიერთთანამშრომლობის ნაკლები უნარი
- სწრაფი ზრდა და მკვეთრი ცვლილება

მეორე საფეხური

6-იდან 12 წლამდე

ღერო იზრდება და ძლიერდება.

- მენტალური დამოუკიდებლობა
- მორალური შეგრძნების განვითარება (სწორი-არასწორი)
- კონკრეტული შემეცნებიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე გადასვლა
- სწავლა წარმოსახვის საშუალებით
- ადამიანების მცირერიცხოვან ჯგუფებთან თანამშრომლობა
- სტაბილური პერიოდი

მესამე საფეხური

12-იდან 18 წლამდე

ყვავილები იფურჩქნება – ახლოვდება მონიფულოპის ხანა.

- სოციალური დამოუკიდებლობა
- სოციალური პოზიციის განვითარება (როგორ შეცვლიან სამყაროს)
- საკუთარი იდეებისა და იდეალების სხვებისთვის გაზიარება
- უზარმაზარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ცვლილებები

მეოთხე საფეხური

18-იდან 24 წლამდე

მცენარე ბოლომდე იზრდება.

- სულიერი და მორალური დამოუკიდებლობა
- სოციალურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა
- საღი და ლოგიკური აზროვნება
- სტაბილური პერიოდი

დროა, განათლების სისტემა შევცვალოთ

როცა მშობლები ვხდებით, ვიპოვებთ, რომ განათლების სისტემა ბავშვების სასარგებლოდ არაა მოწყობილი. ეს სისტემა ინდუსტრიული რევოლუციის დროს შეიქმნა. მისი მიზანი იყო ქარხნის მუშების აღზრდა, რომლებიც ერთ მწკრივად სხდებიან და იმას სწავლებენ ფაქტებს, რათა გამოცდა ჩააბარონ.

სავარაუდოდ, ამ წიგნს იმიტომ კითხულობთ, რომ გინდათ, დამოუკიდებლად მოაზროვნე შვილები აღზარდოთ, რომლებიც კითხვებზე პასუხს ეძებენ, შემოქმედებითად უდგებიან საკითხებს, შეუძლიათ პრობლემების გადაჭრა, ურთიერთთანამშრომლობა და მნიშვნელოვანი საქმის კეთება.

ისეთი ადამიანები, როგორიც, მაგალითად, სერ კენ რობინსონია, მუდმივად მოგვიწოდებენ, ეჭვქვეშ დავაყენოთ თანამედროვე განათლების სისტემა; დავინახოთ, როგორ კლავს ტრადიციული სკოლები შემოქმედებითობას; ვაღიაროთ, რომ სისტემაში რევოლუციაა საჭირო.

მეც თქვენაირად ვიქცეოდი: მყავდა ორი მცირეწლოვანი და წინასწარ ვარკვევდი, რომელი სკოლა იქნებოდა მათთვის საუკეთესო. იდეალისტი ვიყავი. არ მინდოდა, ჩემს შვილებს მხოლოდ იმიტომ ესწავლათ, რომ გამოცდები ჩაებარებინათ. ზოლოს მონტესორის საკლასო ოთახში შევავიწყე და მივხვდი, რომ სწავლების სხვა მეთოდიც არსებობს.

დროა, სიმშვიდე მოვიპოვოთ

„თუ გვინდა, სამყაროს მშვიდობა ვასწავლოთ და ნამდვილ ომში ჩაგვბათ ომის წინააღმდეგ, ბავშვებით უნდა დავიწყოთ. თუ ისინი ზრდასრულობაშიც შეინარჩუნებენ ბუნებრივ უცოდველობას, არ მოგვინევს ბრძოლა და ფუჭ გადანყვებილებთან ჭიდილი; ვივლით სიყვარულიდან სიყვარულისკენ, მშვიდობიდან – მშვიდობისკენ, ვიდრე დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭული იმ სიყვარულითა და სიმშვიდით არ აივსება, რომლის შიმშილსაც სამყარო ცნობიერად თუ არაცნობიერად განიცდის“.

– მაპათმა განდი, „ახალი განათლებისკენ“

დროა, ეს სიტყვები განვახორციელოთ. მინდა გთხოვოთ, ჩემი არცთუ ისე ფარული გეგმის შესრულებაში დამეხმაროთ – გავავრცელოთ სამყაროში მშვიდობა და პოზიტიური აზროვნება.

ხშირად თავს უმწეოდ ვგრძნობთ და არ ვიცით, რა მოვუხერხოთ ამდენ ძალადობას, მაგრამ რაღაცის გაკეთება მაინც შეგვიძლია – ვისწავლოთ, როგორ გავუგოთ ჩვენს პატარებს.

როგორც კი ამ პრინციპებს შვილებთან ურთიერთობისას გამოვიყენებთ, შეგვიძლია მშვიდობა დავამყაროთ გარშემოცოცხლებთანაც: პარტნიორთან, ოჯახის წევრებთან, სკოლაში, სუპერმარკეტში, მეგობრებთან, უცნობებთან და, რაც მთავარია, ისეთ ადამიანებთან, რომლებიც სამყაროს ჩვენგან განსხვავებულად აღიქვამენ.

მოდით, გამოვიყენოთ იდეები, რომელიც ამ წიგნში ამოვიკითხეთ; გულწრფელად ვისაუბროთ, მოვუსმინოთ ერთმანეთს და შევძლოთ, მართლა დავინახოთ მეორე ადამიანი.

შეიძლება ბავშვის აღზრდის საკითხში განსხვავებული მიდგომა გვექონდეს, სხვადასხვა სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური შეხედულების, სექსუალური ორიენტაციისა და რელიგიის წარმომადგენლები ვიყოთ; შესაძლოა, ჩვენი ძირითადი შეხედულებები და ღირებულებათა სისტემები აბსოლუტურად განსხვავდებოდეს.

გულწრფელად მჯერა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ვინაა სწორი და ვინ – არასწორი. მთავარია, ერთმანეთს თავი განსაკუთრებულად და საჭიროდ ვაგრძნობინოთ, მივიღოთ ერთმანეთი უპირობოდ – ზუსტად ისე, როგორც შვილების მიღება ვისწავლეთ. ჩვენი პატარა მნიშვნელოვანია, ჩვენც მნიშვნელოვანი ვართ და ასეთივეა ყველა ცოცხალი არსება.

იმისთვის, რომ სამყაროში მშვიდობამ დაისადგუროს, პატივი უნდა ვცეთ განსხვავებულს, გავერთიანდეთ, გავუმკლავდეთ შიშებს, ვიპოვოთ მშვიდად ცხოვრების გზა და გავაცნობიეროთ, რომ ერთმანეთს უფრო მეტად გვაგვართ, ვიდრე განვსხვავდებით. ასეა თუ ისე, ყველანი ადამიანები ვართ.

მაშ, საიდან დავიწყეთ? ვეცადოთ, უკეთ გავუგოთ ჩვენს პატარებს. ჩავაგდოთ მინაში თესლი, რომლიდანაც მშვენიერი, ცნობისმოყვარე და პასუხისმგებლობიანი ადამიანი გაიზრდება.

„ვთხოვ ჩემს ძვირფას ბავშვებს, რომლებსაც ყველაფერი შეუძლიათ – გაერთიანდნენ და მსოფლიოში მშვიდობა დაამყარონ“.

პრაქტიკისთვის

1. როგორ ვემზადებით ბალისთვის/სკოლისთვის?

2. როგორ გამოვიყენოთ მონტესორის მიდგომა:

- ბავშვთან?
- პარტნიორთან?
- ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან?
- მეზობლებთან?
- უცნობებთან?
- ადამიანებთან, რომლებიც განსხვავებულად ფიქრობენ?

ნამდვილი ისტორიები

ოჯახები, რომლებიც მონტესორის
მეთოდს იყენებენ

- 220 ავსტრალია
კაილი, აარონი, კასპერი, ოტისი და ოტო
როგორ ვიყენებთ მონტესორის მეთოდს
ყოველდღიურად
- 221 მონდოლეტი
ენერალი, ბაიანა, ნიმო და ოდი
მინინიმე
- 222 ჯანადა
ბეტი, ენტონი და კვენტინი
ჩვენი მონტესორული ცხოვრება
- 223 აშშ
ემი, ჯეიმსი, შარლოტი და საიმონი
მონტესორი შუა დასავლეთში
- 224 ჩემი ოჯახი
სიმონი, ოლივერი და ემა
ავსტრალია და ნიდერლანდები
- 225 ჩემი საკლასო ოთახი
„შაკარანდის ხის“ სკოლა
ამსტერდამი, ნიდერლანდები

ავსტრალია

კაილი, აარონი, კასპერი, ოტისი და ოტო

ხოგოხ ვცხოვრობთ მონტესორის მეთოდით

„არ აქვს მნიშვნელობა, რამდენს კითხულობთ, მშობლებს ყოველთვის ვურჩევ, დაესწრონ მონტესორის გაკვეთილებს მშობლებისა და ბავშვებისთვის და ეს მეთოდი საკუთარ თავზე გამოცადონ“.

„დღემდე აქტიურად სწავლობს. მიყვარს მისი ყურება, როცა რაღაცაში ბოლომდეა ჩართული. უყვარს ცხოვა და გიჟდება, როცა ოჯახისთვის რაღაცას ამზადებს. როცა ხატავს, ყველაფერს ყირაზე აყენებს. უყვარს ჩვენთან ერთად ყოფნა. მოსწონს, როცა მკერდზე მენებება, ერთმანეთს ვეხუტებით და ერთად ვკითხულობთ“.

„მონტესორის მიდგომაში ყველაზე მეტად მხიბლავს ბავშვზე დაკვირვება და მისი მიყოლა, ასევე ის, რომ ყველა საკუთარი ტემპით ვითარდება. ეს, მართლაც, ჯადოქრობაა“.



მონღოლეთი


ენერელი, ბაიანა, ნიმო და ოდი

მინინიმუ

„როცა მონტესორის სამყარო გავიცანი, თითქოს თვალები ამეხილა. იმ დღეს ვერ დავიძინე. ღამე გავათენე ინფორმაციის მოძიებაში, მეორე დღეს კი ჩემი ბიჭისთვის მონტესორის აქტივობების მოშაადება დავიწყე“.

„ვფიქრობ, დისციპლინის სწავლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული აქტივობების შესრულება. მშობლებმა ბავშვებს მაგალითი უნდა მივცეთ. პროცესში ჩვენც ვერჩევით დისციპლინას და შეილებიგანაც ბევრ რამეს ვსწავლობთ. ამას დიდი შრომა სჭირდება, თუმცა უდიდეს სიამოვნებას ვიღებთ, როცა ვხედავთ, რომ ბავშვი რაღაცას ინტერესით სწავლობს“.

„მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი სახლი და მონტესორის ოთახიც პატარაა, ვცდილობ, ბოლომდე ავითვისო. ყველაფერს ვინახავ და მხოლოდ რამდენიმე ნივთს ვტოვებ ბავშვისთვის. პატარას ყოველთვის ვაძლევ საკმარის სივრცეს გარემოს კვლევისთვის. გირჩევთ, სახლი მყუდროდ და კომფორტულად მოაწყოთ“.



კანადა

ბეტი, ენტონი და კვენტინი

ჩვენი მონტესოხური ცხოვრება

„ყველაზე მეტად გვიყვარს ჩვენს ბიჭებთან ერთად ბუნებაში გასვლა. ბავშვებს ვესაუბრებით ყველაფერზე, რაც ირგვლივა. გარეთ ყოფნისას უამრავი რამის გამოკვლევა შეიძლება“.

„ვეძებდით გზას, რომლის საშუალებითაც ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს დავაკმაყოფილებდით. რა თქმა უნდა, მონტესორის მიდგომა იდეალური გამოსავალი აღმოჩნდა“.

„მონტესორის მიდგომა, უპირველესად, სიმშვიდეს ეყრდნობა. ესაა მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს მომავალი თაობებისთვის სიმშვიდის სწავლება. სწავლების სხვა არცერთ მეთოდს ეს არ ახასიათებს. ამიტომ მიყვარს მონტესორი ასე ძალიან“.

„მონტესორის მეთოდის შინ დანერგვის არსი ისაა, რომ ბავშვს პატივი ვცეთ. შეუძლია თქვენს პატარას, თვითონ მოიზადოს საჭმელი? გამოიღოს თავისი ტანსაცმელი კარადიდან? თვითონ ჩამოისხას წყალი? ოდესმე გიფიქრიათ, როგორ ესაუბრებით თქვენს შვილებს და ოჯახის წევრებს?“.



აშშ

ემი, ჯეიმსი, შარლოტი და საიმონი მონტესორი შუა დასავლეთში

„პატარებზე დაკვირვება ყველაზე მეტად მსიამოვნებს. როგორც კი შესაბამის გარემოს ვუქმნი, უბრალოდ, ვჯდები და ვტკბები იმის ყურებით, როგორ საქმიანობენ. ასეთ დროს შემიძლია მათ გონებაში „შევიჭყიტო“. მიყვარს, როცა გარეთ გავდივართ, ვკითხულობთ წიგნებს, ვუსმენთ და ვქმნით მუსიკას, ვაკეთებთ ყოველდღიურ საქმეებს“.



„უზარმაზარი რესურსის ჩადებაა საჭირო, როცა ბავშვისთვის შესაფერის გარემოს ვქმნით. პროცესისთვის ზრდასრულიც მზად უნდა იყოს, რაც შეიძლება ყველაზე რთული ნაწილი აღმოჩნდეს. მშობლები პატივს ვცემთ ჩვენს შვილებს, როცა გარემოსაც და საკუთარ თავსაც წინასწარ ვამზადებთ. დანარჩენი უკვე პატარების საქმეა“.



„ხშირად ვფიქრობთ, რომ პატარა მეტისმეტად მოუსვენარი და დაუმორჩილებელია, მაგრამ თუ ტემპს შევანელებთ, მივცემთ საკმარის სივრცეს და დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ბავშვს შეუძლია უკიდურესად კონცენტრირებულმა აკეთოს საქმე“.



ჩემი ოჯახი

საიმონი, ოლივერი და ემა

ავსტრალია და ნიდერლანდები

„შეხედეთ სამყაროს ბავშვის თვალით. როცა ამგვარი ხედვა გვაქვს, მისი უკეთ გვესმის და მის პიროვნებას პატივს ვცემთ. ეს გვეხმარება, უკეთესი წინამძღოლი და მხარდამჭერი ვიყოთ“.

„მინდოდა, ჩემს შვილს სწავლის პროცესი პყვარებოდა და მხოლოდ იმისთვის არ ესწავლა, რომ გამოცდა ჩაებარებინა. როცა მონტესორის დაწყებით სკოლაში მივიყვანე, გული გამითბა. აქტივობები იმხელა მზრუნველობით იყო მომზადებული, ყველაფერი ისეთი მშვენიერი იყო, რომ მინდოდა, იმწუთასვე დამეწყო ყველაფრის შესწავლა. მაშინვე ვიცოდი – ჩემი შვილებისთვის შესაფერის გარემოს მივაგენი“.

„რაც უფრო მეტად ვუღრმავდები მონტესორის ფილოსოფიას, მით უფრო მეტ შთაბრძნებას ვიღებ. ცხადია, შეგიძლიათ, მონტესორის მეთოდს ისე შეხედოთ, როგორც რიგითი სასკოლო პროგრამას, თუმცა ჩემთვის ის ცხოვრების წესია და ეს ფაქტი მხიბლავს“.




ჩემი საკლასო ოთახი

„ჯაკარანდის ხის“ სკოლა

ამსტერდამი, ნიდერლანდები

„ყოველ კვირას 100-ზე მეტ ბავშვს, მათ მშობლებსა და ძიძებს ვმასპინძლობ და ვატარებ გაკვეთილებს როგორც სულ პატარებისთვის, ისე სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის“.

„ბავშვებს უყვართ იმ გარემოს კვლევა, რომელიც მათ ასაკს ზუსტად შეესაბამება და სადაც ყველაფერი ხელმისაწვდომია. ზრდასრულები სწავლობენ პატარებზე დაკვირვებას, კითხვების დასმას, ხედებიან თანამოაზრე ოჯახებს. მიყვარს იმის ყურება, რამდენად იცვლებიან პატარები და ზრდასრულები ჩვენს გაკვეთილებზე სიარულით“.



დამატებითი საკითხავი

დოქტორ მარია მონტესორის წიგნები და ლექციები

The Absorbent Mind, Maria Montessori, Holt Paperbacks, 1995.

The Child in the Family, Maria Montessori, ABC-CLIO, 1989.

Education for a New World, Maria Montessori, ABC-CLIO, 1989.

The Formation of Man, Maria Montessori, Association Montessori Internationale, 2007.

The Secret of Childhood, Maria Montessori, Fides Publishers, 1966.

The Discovery of the Child, Maria Montessori, Ballantine Books, 1986.

Maria Montessori Speaks to Parents, Maria Montessori, Montessori-Pierson Publishing Company, 2017.

The 1946 London Lectures, Maria Montessori, Montessori-Pierson Publishing Company, 2012.

წიგნები მონტესორის მეთოდის შესახებ

The Joyful Child: Montessori, Global Wisdom for Birth to Three, Susan Mayclin Stephenson, Michael Olaf Montessori Company, 2013.

Child of the World: Montessori, Global Education for Age 3-12+, Susan Mayclin Stephenson, Michael Olaf Montessori Company, 2013.

Understanding the Human Being, Silvana Quattrocchi Montanaro M.D., Nienhuis Montessori, 1991.

How to Raise an Amazing Child: The Montessori Way to Bring Up Caring, Confident Children, Tim Seldin, Dorling Kindersley, 2007.

Maria Montessori: Her Life and Work, E. M. Standing, Plume, 1998.

Montessori Madness, Trevor Eissler, Sevenoff, 2009.

Montessori from the Start, Paula Polk Lillard and Lynn Lillard Jessen, Schöcken, 2003.



წიგნები აღზრდის შესახებ

- Positive Discipline: The First Three Years*, Jane Nelsen, Ed. D., Three Rivers Press, 2007.
- How to Talk So Kids Will Listen and Listen So Kids Will Talk*, Adele Faber and Elaine Mazlish, Piccadilly Press, 2013.
- Siblings Without Rivalry*, Adele Faber and Elaine Mazlish, W. W. Norton & Company, 2012.
- The Whole-Brain Child: 12 Proven Strategies to Nurture Your Child's Developing Mind*, Daniel J. Siegel, MD, and Tina Payne Bryson, MD, Delacorte, 2012.
- Unconditional Parenting: Moving from Rewards and Punishments to Love and Reason*, Alfie Kohn, Atria Books, 2006.
- The Sleep Lady's Good Night, Sleep Tight*, Kim West, Vanguard Press, 2010.
- Thriving!: Raising Confident Kids with Confidence, Character and Resilience*, Michael Grose, Bantam, 2010.
- Toxic Childhood: How the Modern World Is Damaging Our Children and What We Can Do About It*, Sue Palmer, Orion, 2006.
- The Creative Family Manifesto: How to Encourage Imagination and Nurture Family Connections*, Amanda Soule, Roost Books, 2008.
- A Parents' and Teachers' Guide to Bilingualism*, Colin Baker, Multilingual Matters, 2014.

წიგნები პიროვნული განვითარების შესახებ

- Nonviolent Communication*, Marshall B. Rosenberg, PhD, Puddledancer Press, 2003.
- Mindset: How We Can Learn to Fulfill Our Potential*, Carol S. Dweck, Ballantine Books, 2007.
- Quiet: The Power of Introverts in a World That Can't Stop Talking*, Susan Cain, Penguin Books, 2012.
- In Praise of Slow: How a Worldwide Movement Is Challenging the Cult of Speed*, Carl Honoré, Orion, 2005.
- The Five Love Languages*, Gary Chapman, Northfield Publishing, 2004.

სხვა რესურსები

- Seeing Tantrums as Distress, Not Defiance*, Jenny Anderson, the New York Times, 30 ოქტომბერი, 2011.
- Lexical Development in Bilingual Infants and Toddlers: Comparison to Monolingual Norms*, Barbara Pearson et al., Language Learning 43, no. 1 (მარტი, 1993 წელი), 93-120.
- Sarah Ockwell-Smith*,
<https://sarahockwell-smith.com/2015/03/19/one-simple-way-to-improve-your-baby-or-child-sleep/>
- Yoram Mosenzon*, Connecting2Life, connecting2life.net/
- Screen-Free Parenting*, screenfreeparenting.com
- Scilla Elworthy*, scillaelworthy.com
- Sir Ken Robinson*, sirkenrobinson.com
- Rusty Keeler*, earthplay.net

სამადლობელი

უდიდესი მადლიერება მიწადა გამოვხატო ამ ადამიანების მიმართ...

პიოკოს – ასეთ საოცარ ილუსტრატორს ვერც კი ვინატრებდი. ვერასდროს წარმოვიდგენდი, ეს წიგნი ასეთი ლამაზი თუ გამოვიდოდა. იდეებს პიოკოს ვუზიარებდი, ის კი ზუსტად იმას ხატავდა, რაც ჩაფიქრებული მქონდა. შედეგი ყოველთვის იმაზე უკეთესი იყო, ვიდრე წარმომედგინა. პიოკო საოცრად გემოვნებიანი, მზრუნველი და დიდსულოვანია. გმადლობ, რომ ჩემი ნაწერი უღამაზეს ილუსტრაციებად აქციე!

ალექსის – რამხელა სიამოვნება და პატივია, ალექსისმა ამ წიგნზე ჩემთან ერთად რომ იმუშავა. ვთხოვე, რედაქტირებაში ხელი წაშველებინა, ის კი თითოეულ სიტყვას უდიდესი ყურადღებით მოეკიდა. მისმა მსუბუქმა და მიზანმიმართულმა მუშაობამ ნაწერი სრულყო.

გამოცემალმა „უორკმენის“ გუნდს – დღემდე სიხარულისგან ვცმუკავ, როცა მახსენდება, რომ „უორკმენმა“ ჩემს წიგნს ხელი მოჰკიდა და დამეხმარა არცთუ ისე ფარული გეგმის განხორციელებაში, სამყაროში მშვიდობა და პოზიტიური აზროვნება გამეგრცელებინა. განსაკუთრებული მადლობა პეიჯს, რომელმაც ეს წიგნი იპოვა და „უორკმენში“ მიიტანა; მეისის – მრავალსაათიანი შრომისთვის, მუდამ დადებითი განწყობისთვის, არაჩვეულებრივი რედაქტორობისა და ყველა ჩემი თხოვნის გათვალისწინებისთვის; რებეკას, ლესიას, მოირას და სინდის – სიტყვების სახალისო და შემოქმედებითი გზებით გადმოცემისთვის; გლენს – წიგნის გაფორმებისა და დიზაინთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაჭრისთვის; კრისტიანას – წიგნის მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში გავრცელებისთვის; სანს – ორგანიზების გასაოცარი ნიჭისთვის; „უორკმენის“ მთელ გუნდს, რომელიც ამ ყველაფერში მონაწილეობდა.

მხარდამხმარებს – დიანა, კევინი და ნინა ამ წიგნის პირველი მკითხველები იყვნენ, რომლებმაც გულთბილი შეფასებები არ დაიშურეს; ლუსიმ და ტანია მთელი წიგნი დეტალურად წაიკითხეს; იორამმა უდიდესი ნვლილი შეიტანა დანართში მოცემული შეგრძნებებისა და მოთხოვნების ცხრილის შედგენაში; მედიმ ფასდაუდებელი შრომა გასწია და ციტატები მოიძია; ჩემმა მონტესორელმა მეგობრებმა თვალი გადაავლეს დოქტორი მონტესორის მთელ მემკვიდრეობას. გმადლობთ ამ ფასდაუდებელი შრომისთვის

– იმისთვის, რომ თქვენი წყალობით, წიგნის საუკეთესო ვერსია შეიქმნა.

ოჯახსა, როგორცაც თავიანთი ცხოვრება

გამაცნეს – მუდამ მაოცებს ადამიანების სულგრძელობა და კეთილშობილება. როცა წიგნში წარმოდგენილ ოჯახებს დაუკავშირდი, უწყომანოდ დამთანხმდნენ, თავიანთი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ მოეყოლათ. იმედი მაქვს, მათი ისტორიები მკითხველს შთააგონებს და მონტესორის მეთოდს საკუთარ ცხოვრებაშიც დანერგავს. გმადლობთ, ანა, კაილი, ენერელ, პეტ, ემი, იმ სილამაზის, ხალისისა და სიმშვიდის გაზიარებისთვის, რომელიც მონტესორის სამყაროში თქვენს ოჯახებში შემოიტანა.

შთაბამიანებზე – უდიდესი მადლიერება მიწადა გამოვხატო სამი უჭკვიანესი ქალბატონის – ფერნ ვან ზილის, ვან მორისონის და ანაბელ ნიდის – მიმართ, რომლებმაც მონტესორის მეთოდი გამაცნეს. ძალიან გამიმართლა, რომ შვილებთან ერთად ფერნის გაკვეთილებს ვესწრებოდი და მასთან ერთად ვმუშაობდი. მან მონტესორისადმი სიყვარული გამიზიარა და მასწავლა, როგორ დამენახა სამყარო ბავშვის თვალით. ენი და ანაბელი ჩემი შვილების პირველი მასწავლებლები იყვნენ. როდესაც ავსტრალიაში, სიდნეის კასტლკრევის მონტესორის სკოლაში ღია კარის დღეს დავესწარი, პირველად მოგხვდი მონტესორის უღამაზეს საკლასო ოთახში, დავინახე მასწავლებლების უდიდესი პატივისცემა და ვიგრძენი, როდენ დიდი ზრუნვით იყო მომზადებული თითოეული დეტალი. გმადლობთ, რომ შთაბამიანეთ, მეც თქვენს გზას გავეყოლიდი.

ჩემს ინსტრუქტორს – ჯუდი ორიონმა AMI (ადრეული ბავშვობის ასისტენტი) ტრენინგის დროს ბავშვებისადმი სიყვარული და თავისი მდიდარი გამოცდილება გაგვიზიარა. მახსოვს, თითოეულ სიტყვას ვისრუტავდი და საბოლოოდ გავცემული დავრჩი, როგორ საგულდაგულოდ მოვემზადეთ ყველაფრისთვის, რისი გავლაც ბავშვებთან ერთად მოგვინევდა. უმთავრესი, რაც ჯუდისგან ვისწავლე, დაკვირვების მნიშვნელობაა – იმის სწავლა, თუ როგორ შევხედოთ ჩვენს პატარებს ყოველდღე ახლებურად და მივიღოთ უპირობოდ. მადლობას ვუხდის ჯუდის, რომელმაც სამყარო განსხვავებულად დამანახა.

მონტესორელ მეგობრებს – ჩემი მონტესორელი მეგობრებისგან ბევრი რამ ვისწავლე (როგორც

პირადად, ისე დისტანციურად). მაღლიერი ვარ პეიდო ფილიპარტ-ალკოკის, ჯინ-მარი პეინელის, AMI-ს სათავე ოფისის უსაყვარლესი ხალხის, ივ ჰერმანისა და მისი ოჯახის, პამელა გრინის, ენდი ლულკასი და მთელი მონტესორის საზოგადოების – კონგრესებიდან დანწყებული, ონლაინჯგუფებით დამთავრებული, გმადლობთ, რომ თქვენი სიზრძნე გამიზიარეთ და დამეხმარეთ, ყოველდღიურად გაგზავნილიყავი.

„შაპარანდის სის“ ოჯახს – მაღლიერი ვარ იმ საოცარი ოჯახების, რომლებიც „შაპარანდის სის მონტესორის სკოლაში“ ჩემს გაცვეთილებს დასწრებაში ამსტერდამში. ყოველკვირა ჩვენთან ასზე მეტი ბავშვი, მათი მშობლები, ძიძები და ბებია-ბაბუები მოდიან. მათგან ყოველდღე რაღაც ახალს ვსწავლობ.

დედაჩემს, მამაჩემს, ჩემს ძეგს – ჩვენი დიდი ოჯახი მხიარული ადამიანებისგან შედგება. ერთი მხრივ, ძალიან განსხვავებული ვართ, მეორე მხრივ კი, მეტისმეტად ერთნაირები. მშობლები ყოველთვის მხარს მიჭერდნენ, მაშინაც კი, როცა ვთქვი: მინდა მონტესორის მასწავლებელი გავხდე და 16,633 კილომეტრით შორს ვიცხოვრო-მეთქი, მიყვარს კვირა დილას მათთან საუბარი და სიახლეების გაზიარება. თქვენი სახით ძლიერ საყრდენს ვგრძნობ. გმადლობთ, რომ ფრთები შემასხით.

ლუკს – მაღლიერი ვარ ლუკის, რომელიც ერთხელ ლონდონის ბაზარში ბავშვებზე ოცნებობდა და ეს ოცნება რეალობად ვაქციეთ; იმისთვის, რომ ლამის ცვლაში მუშაობდა და ადრე იღვიძებდა, რათა ოლივერისა და ემასთვის მიეხედა, ვიდრე მე მონტესორის ტრენინგებს ვესწრებოდი; იმისთვის, რომ იცხოვრა დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიასა და ნიდერლანდებში; ყველაფრისთვის, რაც ჩვენი 17-წლიანი ქორწინებიდან ვისწავლე; მშვიდობიანი დაშორებისა და ბავშვებზე ზრუნვის თანაბრად განაწილებისთვის, რასაც დღემდე ვაგრძელებთ. ამას სხვასთან ერთად ვერ მოვახერხებდი. გმადლობ, რომ მუდმივად ჩემი ინტელექტუალური ოპონენტი ხარ.

ჩემს კოლეგას – როდესაც საკუთარ საქმეზე მუშაობ, რთულია, იპოვო მხარდამჭერი. თუმცა, ერთ დღეს ჩემს ცხოვრებაში დები გამოჩნდა. ის მხოლოდ კოლეგა არაა, რომელსაც სამუშაო დღეებში ვხვდები. დები მისმენდა მაშინ, როცა ცვლილებების ყველა საფეხურს ვაფიქროდი. შვილებთან ერთად დავდიოდით ბუნებაში, ერთად ვისვენებდით; კაფეში გვერდიგვერდ


ვისხედით და ასე ვწერდით ჩვენს წიგნებს; ვზეიმობდით ყველა წარმატებას და მუდამ ერთმანეთის გვერდით ვიდებით. გმადლობ ხუთშაბათი საღამოებისა და სხვა მრავალი რამისთვის.

ჩემს მეგობრებს – აქ, ამსტერდამში, მყავს მეგობრები, რომლებთანაც ყველა თემაზე შემიძლია საუბარი, როცა ყავას ვწრუპავთ, მუზეუმში დავძრწვართ ან ფილმს ვუყურებთ. მყავს ძველი მეგობრებიც, რომლებსაც არცთუ ისე ხშირად ველაპარაკები, თუმცა ყოველი შეხვედრისას ზუსტად იმ ამბიდან ვაგრძელებთ, რომელზეც ბოლოს გავჩერდით. ასე მეგონა, ყოველთვის ერთ ტალღაზე ვართ, მაშინაც კი, თუ სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობთ. გმადლობთ, რეიჩელ, აგი, მიშელ, ბირჯიტ, ემილი, ბეკი, ნარილ, ემი, კლერ, მონიკა – თქვენ ყოველთვის ხალისით მავსებთ და მუშაობის ძალას მაძლევთ.

ყველაფერს – მაღლიერი ვარ თითოეული დეტალისთვის, რომელმაც მუშაობა შემიმსუბუქა: ფინჯანი ჩაისთვის, სეირნობისთვის, ველოსიპედით სიარულისთვის, აბაზანისთვის, იოგისთვის, მყუდრო ადგილებისთვის, სადაც ამ წიგნს ვწერდი; ჩემი კამერისთვის, რომელმაც სამყაროს სილამაზე დააფიქსირა; ინტერნეტისთვის, რომელმაც ამდენ ადამიანთან დამაკავშირა და ამსტერდამისთვის, რომელიც ჩემი სახლი გახდა. ყველაფრისთვის მაღლიერი ვარ!

მკითხველს – გმადლობთ, რომ შემომიერთდით და მეხმარებით, მთელ მსოფლიოში მშვიდობა გავავრცელო. გმადლობთ! გმადლობთ!

ჩემს შვილებს – და ბოლოს, მინდა გმადლობა გადავუხადო ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ადამიანებს – ოლივერს და ემას. მათთან ერთად დროის გატარება ყველაზე მეტად მიყვარს. მათ მასწავლეს, როგორ ვიყო კარგი მშობელი. ძალიან მომწონს ის ფაქტი, რომ ჩემს შვილებთან ერთად გავიზარდე. მათი მხარდაჭერა, მოთმინება და ჩემი საქმიანობისადმი დამოკიდებულება ბევრს ნიშნავს. მთელი გულით გმადლობთ, რომ ისეთები ხართ, როგორებიც ხართ. გმადლობთ, რომ მიტანდით, როცა ამ პროექტზე გაუჩერებლად ვლაპარაკობდი. გმადლობთ იმ წრფელი სიყვარულისთვის, რომლითაც ყოველდღე მავსებთ და რომელმაც ეს წიგნი დამანერინა...



დასკართი

- 232 ამის ნაცვლად, უთხარით ეს...
- 234 სად ვიპოვოთ მონტესორის აქტივობებისთვის
საჭირო მასალა და ავეჯი?
- 236 მონტესორის სკოლები
236 რას დავაკვირდეთ მონტესორის სკოლის
შერჩევისას?
- 237 როგორია ერთი ჩვეულებრივი დღე
მონტესორის სკოლაში?
- 238 მონტესორის მეთოდი ყველა ბავშვს
ერგება?
- 239 როგორ ეგუება ბავშვი ტრადიციულ სკოლას
მონტესორის სკოლაში სიარულის შემდეგ?
- 240 შეგრძნებები და მოთხოვნილებები
- 242 სათამაშო ცომის რეცეპტი
- 244 მონტესორის აქტივობების სია

ამის ნაცვლად, უთხარით ეს...

იმიტვის, რომ...	ამის ნაცვლად...	უთხარით ეს...
შეხედოთ სამყაროს ბავშვის თვალით	უარყოფა: „ნუ წერვიულობ, ეს ხომ უბრალოდ კოპია“.	ალიარეთ და მიიღეთ ბავშვის ემოციები: „შეგეშინდა? კოპი, მართლაც, მტკივნეულია“.
	განსჯა: „სათამაშოებს ყოველთვის სხვა ბავშვებს ართმევ“.	„თარგმნეთ“ მისი ქცევა: „როგორც ჩანს, შენც გინდა ამ სათამაშოთი გართობა, ოღონდ მაშინ, როცა სხვები თამაშს მორჩებიან“.
	ბრალდება და ჭკუის სწავლება: „ასე არ უნდა გაგეკეთებინა“. „ასე უნდა გაგეკეთებინა“.	გამოიცანით, რას გრძნობს და გაუგეთ: „იმას შეუბნები, რომ...?“ „გრძნობ, რომ...?“ „ასე მგონია...“.
გახადოთ დამოუკიდებელი	მითითება, რა არ უნდა გააკეთოს: „ეგ ჭიქა ძირს არ დააგდო!“	მიანიშნეთ, რა გააკეთოს იმისთვის, რომ გამოუვიდეს: „ორივე ხელი მოჭიდე“.
	მოერიდეთ ნამყვანი როლის მორგებას: „წავიდეთ და ენახოთ, როგორი ფაზლები გვაქვს“.	მიჰყევით ბავშვს: არაფერი თქვით (დაელოდეთ და დააკვირდით, როგორ მოიქცევა).
დაეხმაროთ	ყველაფრის მის მაგივრად კეთება: „მომეცი, მე გავაკეთებ“.	ჩაერიეთ მსოფლოდ მაშინ, როცა აუცილებელია: „გინდა, დაგეხმარო?“ „გინდა, გაჩვენო, როგორ გავაკეთო?“ „ასე თუ სცადე?“
შეაყვაროთ სწავლა	შესწორება: „არა, ეს სპილო არაა, მარტორქაა“.	სწავლა სწავლებით: „მგონი, მარტორქის ჩვენება გინდოდა“ (შემდეგ ჩაინიშნეთ და სხვა დროს ასწავლეთ, რომ ეს ცხოველი მარტორქაა).
წაახალისოთ ცნობისმოყვარეობა	ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა: „ცა ლურჯია, რადგან...“	წაახალისეთ, რომ პასუხი თვითონ ეძებოს: „არ ვიცი, მოდი, ერთად გავარკვიოთ“.
დაეხმაროთ საკუთარი თავის შეფასებაში და გაუღვივოთ შინაგანი მოტივაცია	შექება: „ყოჩაღ!“ „ეარგი ბიჭი/გოგო ხარ!“	1. აღნიშნეთ მისი ძალისხმევა: „ყველა მანქანა კალათაში ჩაგინყვია“. 2. შეაჯამეთ: „აი, ამას ჰქვია მოხერხებულობა!“ 3. აღწერეთ, რას გრძნობთ: „რა სასიამოვნოა, როცა დალაგებულ ოთახში შედიხარ“.
ასწავლოთ გაზიარება	იძულება: „ახლა სხვებიც ათამაშე“.	აცადეთ, დაასრულოს და სხვებს დაუთმოს, როცა ამის დრო მოვა: „როგორც ჩანს, ახლა სხვები თამაშობენ. მალე დაასრულებენ და შენი ჯერიც დადგება“.
მიიღოთ უპირობოდ	ძლიერი ემოციების უარყოფა: „უბრალოდ კოვზია, ნუ სულელობ!“	ალიარეთ ყველა ემოცია და მიეცით მათი გამოხატვის უფლება: „როგორც ჩანს, გეწყინა, შენი საყვარელი კოვზი რომ არ დაგხვდა“.
დაიცვან შინ მოქცევის წესები	ყვირილი: „ნუ ჩხუბობთ!“	შეასხენეთ, რომ ასეთი ქცევა დაუშვებელია: „უფლებას ვერ მოგცემ, დაარტყა, უბრალოდ, უთხარი, რისი თქმაც გინდა“.
გამოუმუშაოთ ურთიერთთანამშრომლობის უნარი	„არას“ თქმა: „პატარას არ შეეხო!“	გამოიყენეთ დადებითი კონტექსტი: „პატარას ფრთხილად უნდა შეეხო“.

	პრობლემის შექმნა: „ჭეუდიდან ნუ გადაგყავარ! რატომ არ იცვამ? უნდა წავიდეთ!“	ერთად იფიქრეთ პრობლემის გადაჭრის გზებზე: „როგორ ვიპოვოთ ამ პრობლემის გადაჭრის გზა? მოდი, ჩამოვწეროთ, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ დილით შინიდან დროულად გავიდეთ“.
	განერვიულება: „რატომ არ მისმენ?! პანაობის დროა!“	ჩართეთ პროცესში: „როგორ გირჩევნია, აბაზანაში კურდღელივით ჩახტე თუ კიბორჩხალასავით გადაძვრე?“
	წუნუნია, ყვირილი: „რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, ფეხსაცმელი ჩაიცვი-მეთქი!“	გამოიყენეთ ერთი სიტყვა: „ფეხსაცმელი“.
	ერთისა და იმავეს გაშეორება: „მეორედ ლუმელს აღარ მიეკარო!“	გამოიყენეთ წარწერა და მიუთითეთ: „შეხედე, აქ წერია, რომ ცხელია“.
	ბრალდება: „თამაშის შემდეგ რატომ არასდროს აბრუნებ სათამაშოებს თავის ადგილზე?“	არგენეთ: „ამის ადგილი აი, აქაა“ (მსუბუქად დააკაკუნეთ თაროზე).
დაესმაროთ პასუხისმგებლობის ალბაში	მუქარა, დავა, მოქრთამვა ან უნემო განრიდება: „თუ მეორედ იმავეს გააკეთებ...“ „თუ ახლავე მოხვალ, მოკოლადს მოგცემ“. „ნადი და შენს საქციელზე იფიქრე!“	დამშვიდეთ, შემდეგ კი შეცდომის გამოსწორებაში დაეხმარეთ: „გაბრაზებული ჩანხარ. ჩახუტება ხომ არ გინდა?“ „გინდა, ცოტა ხნით შენს მშვიდ ადგილას წახვიდე და დამშვიდდე?“ „ჩვენი მეგობარი ტირის. ბოდიში როგორ მოგუხადოთ?“
პატივი სცეს სხვის პირად საზღვრებს	კონფლიქტისთვის თავის არიდება, მეტისმეტი სიმკაცრე ან ცუდი მაგალითის მიცემა: „მეტისმეტად პატარაა იმისთვის, რომ მიხვდეს, რას აკეთებს“. „თუ კიდევ მიკბენ, მეც გიკბენ და ვნახოთ, თუ მოგწონება“.	დააწესეთ თავაზიანი და მკაფიო ზღვარი: „ვერ მოგცემ უფლებას, დამარტყა/მეხროლო/მიკბინო. ახლა ძირს დავსვამ. თუ კენდა გინდა, შეგიძლია ვაშლი ჩაკბინო“.
თავიდან აიცილოთ დედამიწილების შორის შეტყეობა	დედამიწილების ერთმანეთთან შედარება: „რატომ არ ჭამ ისე, როგორც შენი და/ძმა ჭამს?“	თითოეულ ბავშვს მიუდექით ინდივიდუალურად: „როგორც ჩანს, შენ დამატება გინდა“.
	პასუხისმგებლობის დაკისრება უფროსი ბავშვისთვის: „ახლა უფროსი ძმა/და ხარ და მეტი მოგეთხოვება!“	თითოეულს თავისი პასუხისმგებლობა განუსაზღვრეთ: „შეგიძლიათ ერთმანეთს მიხედოთ, ვიდრე აბაზანაში ვიქნებით?“
დარჩეთ ნეიტრალური დედამიწილების კამათის დროს	მტყუან-მართლის გარჩევა: „აქ რა მოხდა?“	აცადეთ, პრობლემა თვითონ გადაჭრას: „ორნი ხართ და ერთი და იგივე სათამაშო გინდათ. დარწმუნებული ვარ, ისეთ გამოსავალს იპოვით, რომლითაც ორივე კმაყოფილი დარჩებით“.
მოერიდოთ იარაღებს	იარაღების მინებება: „ეს მორცხვია/ჭკვიანია“.	დაეხმარეთ, საკუთარ თავს სხვა მხრიდან შეხედოს: „შევაძინე, რომ დახმარება შენით ითხოვე“.
მისცეთ ოჯახის წევრებთან თავაზიანი ურთიერთობის მაგალითი	ოჯახის წევრებზე გაბრაზება: „რატომ უყვირი?!“	„თარგმნეთ“ ოჯახის წევრების ქცევა: „მგონი, ბებიას/ბაბუას უნდა, რომ ...“.
	სხვებისთვის გადაბრალდება: „ადრე უნდა გეთქვა!“	აიღეთ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე: „ადრე უნდა გამეფრთხილებინე“. „ადრე უნდა მეთქვა“.

სად ვიპოვოთ მონტაჟორის აქტივობებისთვის საჭირო მასალა და აპეჩი?

უპირველესად, გირჩევთ, ადგილობრივი მაღაზიები დაათვალიეროთ და შეძლებისდაგვარად დაუჭიროთ მხარი ადგილობრივ სანარმოებს. ამით თავიდან აირიდებთ ტრანსპორტირების ხარჯებსაც.

დასაწყისისთვის საჭირო ნივთები შეგიძლიათ „IKEA“-ში ან სხვა მსგავს მაღაზიებში შეიძინოთ, თქვენი გემოვნებით გადააკეთოთ და უნიკალური სტილი შესძინოთ. ასეთ მაღაზიებში იპოვით დაბალ თაროებს, მაგიდასა და სკამებს, სახატავ და ხელნაკეთი ნივთების დასამზადებელ მასალას, ასევე, სხვადასხვა ნივთებს, რომლებსაც დერეფანში, სამზარეულოსა და აბაზანაში განათავსებთ.

1. აქტივობებისთვის საჭირო მასალა

ხის სათამაშოების ან მეორეული საქონლის მაღაზიებში შეგიძლიათ მოიძიოთ ხის ფაზლები, დასახარისხებელი და ასაკინძი აქტივობებისთვის საჭირო მასალა, მუსიკალური ინსტრუმენტები.

მონეტების ჩასაყრელ ყუთებს იპოვით საკანცელარიო ან საკეტების სპეციალურ მაღაზიებში.

ერთი-ერთი აქტივობა, რომლის მომზადებაც შინ ძალიან მარტივია, საფულებსა და პატარა ჩანთებში დამალული ნივთების პოვნაა. ძველმანების ბაზრობებსა და მეორეული საქონლის მაღაზიებში ასეთ საფულებებს ხშირად ვპოულობ. დასამალ ნივთებად შეგიძლიათ გამოიყენოთ ბზრიალები, მინიატიურული ცხოველები, პანანინა თოჯინები და პატარა სამკაულები. ვინაიდან ასეთი ნივთები მეტისმეტად პატარაა, ყურადღებაა საჭირო, რათა ბავშვს შემთხვევით არ გადასცდეს.


ძალიან მომწონს „Schleich“-ის ფირმის პლასტმასის ცხოველები. მართალია, ოდნავ ძვირია, მაგრამ სასაჩუქრედ მშვენიერი არჩევანია. შეძენა შესაძლებელია როგორც გამოწერით, ისე უშუალოდ სათამაშოების მაღაზიაში.

2. სახატავი მასალა

სამხატვრო მაღაზიებში იპოვით: პატარა მაკრატელს, კარგი ხარისხის მსხვილ ფანქრებს, აკვარელის საღებავებს, ნებისმიერი ზომის ქაღალდსა და ფუნჯებს.

3. კალათები და ლანგრები

კალათები და ლანგრები საუკეთესო საშუალებაა მონტაჟორის აქტივობების თაროებზე დასალაგებლად. გირჩევთ, ეწვიოთ საყოფაცხოვრებო და მეორეული ნივთების მაღაზიებს ან სავაჭრო ცენტრებს. „Mujj“-ს მაღაზიათა ქსელში ბევრი საინტერესო ნივთის პოვნა შეიძლება.



4. ჭურჭელი

მოძებნეთ ჭურჭლის მაღაზიები, სადაც ბავშვის შესაბამისი ზომის გამძლე ჭიქები იყიდება. შეიძინეთ მინის და არა პლასტიკის ნაწარმი. პატარებმა ნამდვილი ნივთების გამოყენება უნდა ისწავლონ: თუ ეცოდინებათ, რომ ჭიქა შეიძლება გატყდეს, ეცდებიან, ფრთხილად გამოიყენონ. გარდა ამისა, მინის ჭიქაში წყალი უფრო გემრიელია. მინა უფრო ეკოლოგიურიცაა და ადვილად არ ნაიქცევა, როცა ბავშვი წყლის დასხმას დამოუკიდებლად ეცდება. ჩემს საკლასო ოთახში „Duralux“-ის პატარა ზომის ჭიქებს ვიყენებ.

„IKEA“-სა და სხვა საყოფაცხოვრებო მაღაზიებში ნახავთ ემალისა და მეტალის ჯამებს, ანტიკვარული ნივთების მაღაზიაში კი იპოვით თუნუქის ლამაზ ყუთებს ორცხოზილებისთვის.

5. დალაგებისთვის საჭირო ნივთები

როგორც წესი, საბავშვო ზომის იატაკის სანმენდის, ცოცხისა და აქანდაზის მოძიება სათამაშოების მაღაზიებსა და ვებგვერდებზე შეიძლება. კარგი იქნება, თუ გვექნება საოიანი ქსოვილისგან დამზადებული სანმენდი ხელთათმანიც, რომელსაც წვრილმანების მაღაზიაში იპოვით. სხვათა შორის, როცა Etsy-ს საძიებო ველში „მონტესორის წინსაფრები“ ჩავენერე, მშვენიერ საბავშვო წინსაფრებს მივაგენი.

6. ავეჯი

შეგიძლიათ ვიპოვოთ საამქრო, რომელიც პატარა ზომის მაგიდებს, სკამებსა და დაბალ თაროებს დაგიზადებთ. მეორეული ნივთების მაღაზიების დათვალიერებაც არ იქნება ურიგო. ჩემი საკლასო ოთახის თაროების ზომებია: სიგრძე – 120 სმ, სიღრმე – 30 სმ, სიმაღლე – 40 სმ.

მონტესორის სკოლები


რას დავაკვირდეთ მონტესორის სკოლის შერჩევისას?

მონტესორის კონცეფცია არასდროს ყოფილა საავტორო უფლებებით დაცული. ამის გამო მომრავლდა სკოლები, რომლებსაც მონტესორის სახელი ჰქვია. რაც დრო გადის, უფრო და უფრო რთული დასადგენია, რომელი მათგანი მიჰყვება ნამდვილად დოქტორ მონტესორის პრინციპებს.

გთავაზობთ ათ პრინციპს, რომლებსაც მონტესორის სკოლა უნდა მისდევდეს:

1. სკოლა მხარს უჭერს სამყაროს პრაქტიკული გზით შესწავლას ნამდვილი მასალის გამოყენებით. ბავშვები სწავლობენ კეთებით, შეხებით, კვლევით და მუშაობენ მყარ მასალაზე.
2. აქტივობებისთვის საჭირო მასალა დალაგებულია თაროებზე, ბავშვების სიმაღლეზე. მასალა მოთავსებულია ლანგრებზე ან კალათებში.
3. სკოლაში შერეული ასაკობრივი ჯგუფებია: 3-იდან 6 წლამდე, 6-იდან 9 წლამდე და 9-იდან 12 წლამდე. უფროსი ბავშვები პატარებს მაგალითს აძლევენ და ეხმარებიან.
4. სამუშაო დრო არაა მკაცრად განსაზღვრული. ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ სასურველი აქტივობა და იმუშაონ მასზე, საუკეთესო შემთხვევაში, სამი საათის განმავლობაში.
5. ბავშვები ბედნიერები და დამოუკიდებლები არიან.
6. ცოდნის შემოწმების პრაქტიკა იშვიათია ან საერთოდ არ არსებობს. მასწავლებელმა იცის, ბავშვმა რომელი აქტივობა დახვეწა, ამიტომ გამოცდის ჩატარება საჭირო არაა.
7. მასწავლებელს გავლილი აქვს მონტესორის სასწავლო პროგრამა. ყველაზე მეტად მომწონს და ენდობი დოქტორი მონტესორის ოჯახის მიერ დაარსებულ „მონტესორის საერთაშორისო ასოციაციას“¹, რომელიც მონტესორის მეთოდისა და პრინციპების მთლიანობის შესანარჩუნებლად შეიქმნა.
8. მასწავლებელი, როგორც გზამკვლევი, პატივისცემით ესაუბრება ბავშვებს და ხელს უწყობს, დამოუკიდებლად ეძებონ პასუხები („არ ვიცი. მოდი, ერთად გავარკვიოთ!“).
9. ტრადიციული სწავლებისგან განსხვავებით, უპირატესობა ენიჭება კვლევის მეშვეობით სწავლებას. იმის ნაცვლად, რომ მასწავლებელი პატარების წინ დადგეს და აუხსნას, რა უნდა იცოდნენ, ბავშვები თავად იკვლევენ გარემოს და ბუნებრივად აკეთებენ აღმოჩენებს.
10. სკოლა თითოეულ ბავშვს უნიკალურ პიროვნებად აღიქვამს და ითვალისწინებს მისი განვითარების ყველა ასპექტს (სოციალურს, ემოციურს, ფიზიკურს, კოგნიტიურსა და ლინგვისტურს).

¹ მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდს: montessori-ami.org.



როგორია ერთი ჩვეულებრივი დღე მონტესორის სკოლაში?

ხშირად მშობლებს უჭირთ გაგება, როგორ შეიძლება კლასში ოცდაათი ბავშვი იყოს და ყველა ერთდროულად მუშაობდეს სხვადასხვა გაკვეთილსა და სხვადასხვა მასალაზე. აინტერესებთ, როგორ ართმევს თავს ამას მასწავლებელი.

სასწავლო დღის დაწყებამდე მასწავლებელი ამზადებს საკლასო ოთახს. სხვადასხვა თემატიკის აქტივობები განლაგებულია თაროებზე, ბავშვების სიმაღლეზე. თითოეული მათგანი დაკვირვებითაა შერჩეული და ერთმანეთს ლოგიკურად მიჰყვება. ეს ბავშვს ეხმარება, ახალი ამოცანის შესასრულებლად წინა აქტივობიდან მიღებული გამოცდილება დაიხმაროს. გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელი აკვირდება ბავშვებს, აფიქსირებს, ვინ რას სწავლობს და თითოეულს ახალ ამოცანას მაშინ სთავაზობს, როცა ხვდება, რომ ამისთვის მზადაა.


თუ მონტესორის საკლასო ოთახში შეიხედავთ, დაინახავთ, რომ ერთი ბავშვი მათემატიკურ ამოცანას ასრულებს, მეორე ენობრივი აქტივობითაა დაკავებული, რამდენიმე მათგანი კი საერთო პროექტზე მუშაობს. არსი ისაა, რომ ბავშვს თავად შეუძლია აირჩიოს, რაზე სურს მუშაობა.

მონტესორის საკლასო ოთახში ნაკლები დრო იხარჯება ჯგუფურ კონტროლზე (მაგალითად, ბავშვების მოგროვებაზე, რათა დასხდნენ და გაკვეთილს მოუსმინონ ან ერთად გავიდნენ საპირფარეშოში). ეს მასწავლებელს უფრო მეტ დროს აძლევს იმისთვის, რომ პატარებს დააკვირდეს და დაეხმაროს.

რადგან საკლასო ოთახში სხვადასხვა ასაკის ბავშვია, უფროსებს შეუძლიათ უმცროსებს დაეხმარონ. ამით ცოდნას განიმტკიცებენ და პატარებიც ბევრს სწავლობენ მათზე დაკვირვებით.

შესაძლოა, ამხელა თავისუფლებამ შეგვაშფოთოს და ვიფიქროთ, რომ ბავშვი სწავლების რომელიმე სფეროს თავს აარიდებს. თუ მართლა ასე მოხდა, მასწავლებელი პატარას დააკვირდება და როცა შესაბამის მზაობას შენიშნავს, ისეთ აქტივობას შესთავაზებს, რომელიც მის ინტერესებზე იქნება მორგებული.

მონტესორის მეთოდი ყველა ბავშვს ერგება?



1. მონტესორის მეთოდი სწავლის ყველანაირ სტილს ერგება?

აღმოვაჩინე, რომ მონტესორის მეთოდი ყველა ბავშვს ერგება. მასალის საშუალებით პატარა სწავლობს ვიზუალურად, სმენით, კინესთეზურად (შეხების მეშვეობით) და ვერბალურად. ამიტომაც, სისტემა ერგება იმ ბავშვებსაც, რომლებიც განსხვავებულად სწავლობენ.

ზოგი დაკვირვებით სწავლობს, ზოგი – კეთებით. აუცილებელი არაა, ბავშვები მუდმივად „დაკავებული“ იყვნენ. შეუძლიათ, უბრალოდ, დააკვირდნენ, კონკრეტულ საქმეს სხვები როგორ აკეთებენ. ხანდახან მხოლოდ დაკვირვებით იმდენს სწავლობენ, რომ როცა აქტივობა მათ ხელში აღმოჩნდება, თითქმის სრულყოფილად გამოსდით. სხვამ შეიძლება კეთებით აითვისოს – ერთი და იგივე აკეთოს მანამ, სანამ იდეალურად არ გამოუვა. სწავლის სხვადასხვა მეთოდის მიუხედავად, ამ გარემოში ყველას შეუძლია წარმატების მიღწევა.

2. აუცილებელია, ბავშვს დაგეგმვა კარგად გამოხდოდეს?

დღის დაგეგმვას მონტესორის სკოლის ბავშვები დროთა განმავლობაში სწავლობენ. შედარებით პატარები ბუნებრივი რიტმით და თავიანთი ინტერესების მიხედვით მოქმედებენ. როგორც კი წამოიზრდებიან, ნელ-ნელა იწყებენ დაგეგმვის უნარის გამო-მუშავებას.

ზოგიერთ ბავშვს, სხვებთან შედარებით, შეიძლება უფრო მეტი დახმარება დასჭირდეს. გამოცდილ მასწავლებელს უნდა შეეძლოს, დაეხმაროს ისეთ პატარებს, რომლებსაც სამუშაოს ორგანიზებისთვის დამატებითი დახმარება სჭირდებათ.

3. რა ხდება მაშინ, როცა ბავშვი ერთ ადგილას ვერ ჩერდება?

მონტესორის სისტემა იდეალურია ისეთი ბავშვებისთვის, რომლებსაც ბევრი მოძრაობა სჭირდებათ. მონტესორის საკლასო ოთახში შესვლისას, ხშირად გასაოცარი სიჩუმე გვხვდება: ბავშვები თავიანთ აქტივობებზე არიან კონცენტრირებული და მასწავლებელს მათ დასამშვიდებლად ყვირილი არ უნევს.

იმასაც შევნიშნავთ, რომ პატარები საკლასო ოთახში თავისუფლად დადიან, სხვებს აკვირდებიან და როცა მოუნდებათ, ტუალეტშიც თვითონ გადიან. გარდა ამისა, აქტივობებიც ბევრ მოძრაობას მოითხოვს. ასე რომ, მონტესორის მეთოდი შეიძლება ზუსტად იმ ბავშვებისთვის იყოს შესაფერისი, რომლებსაც ერთ ადგილზე გაჩერება უჭირთ.

4. რამდენად ეთანხმება მონტესორის პრინციპები მშობლების მიერ შემუშავებულ აღზრდის მეთოდებს?

მშობლების ნაწილმა შეიძლება იფიქროს, რომ მონტესორის მეთოდი მეტისმეტად ზღუდავს ბავშვს, ნაწილმა კი, პირიქით – მიიჩნიოს, რომ ის მეტისმეტ თავისუფლებას ანიჭებს პატარას.

ვფიქრობ, მონტესორის მეთოდი საუკეთესო შედეგს მაშინ იძლევა, როცა იმავე პრინციპებს ოჯახშიც ამკვიდრებენ – მშობლები ბავშვს პატივს სცემენ, თუმცა მკაფიო საზღვრებსაც აწესებენ, პატარა კი მათ დაცვას სწავლობს.

როგორ ეგუება ბავშვი ტრადიციულ სკოლას მონტესორის სკოლაში სიარულის შემდეგ?

მშობლები ხშირად ღელავენ იმის გამო, რომ მონტესორის სკოლის შემდეგ ბავშვს ტრადიციულ სკოლაში მოუწევს სიარული.

ბუნებრივია, რომ ამგვარი კითხვები გიჩნდებათ: „როცა მასწავლებელი ყველას ერთსა და იმავე გაკვეთილს აუხსნის, ჩემი შვილი ასეთ სისტემას როგორ მოერგება? როგორ შეძლებს არ გადაუხვიოს მასწავლებლის მიერ შემუშავებულ წესებს? როგორ იჯდება გაუნძრევლად გაკვეთილზე?“

როგორც წესი, მონტესორის სკოლის შემდეგ ბავშვები ტრადიციულ სკოლას უბრობლემოდ ეგუებიან. ისინი ძალიან დამოუკიდებლები, ზრდილობიანები და ემპათიურები არიან – აქვთ ყველა ის უნარი, რომლებიც ახალ სკოლაში გადასვლისას გამოადგებათ.

ერთხელ გავიგონე, როგორ აღწერდა ერთ-ერთი ბავშვი ახალ სკოლაში გადასვლის პროცესს: „ადვილია. უბრალოდ, ის უნდა გააკეთო, რასაც მასწავლებელი გეტყვის“.

ერთ-ერთი ბავშვი მონტესორის სკოლაში საშუალო სკოლის დამთავრებამდე დარჩა. ახალ სკოლაში შემდეგ სირთულეებს გადააწყდა:

1. ავიწყდებოდა, მასწავლებლისთვის ეკითხა, ტუალეტში გასვლა თუ შეიძლებოდა.
2. მიჩვეული იყო, რომ პრობლემის გადაჭრის გზები დამოუკიდებლად უნდა ეპოვა, ამიტომაც დაიბნა, როცა შეიტყო, რომ ტესტის წერის დროს ინფორმაციის მოძიება აკრძალული იყო.

ერთ ბავშვს სასაცილოდ ეჩვენებოდა ის ფაქტი, რომ ახალ სკოლაში მისი თანაკლასელები ხელს ინევდნენ და მასწავლებელს ეკითხებოდნენ, ტესტში რა საკითხები შევიდოდა. მონტესორელი ბავშვები სწავლობენ იმიტომ, რომ სწავლის პროცესი უყვართ და არა იმიტომ, რომ ბოლოს ტესტი დაწერონ.

შეგრძნებაები და მოთხოვნები

ბევრი ვისწავლე კურსიდან „არაძალადობრივი კომუნიკაცია“, რომელსაც იორამ მოსეზონი connecting2life.net-ის პლატფორმაზე უძღვევოდა. ნებართვა ავიღე, მისი შეგრძნებებისა და საჭიროებების ცხრილი ამ წიგნში შემეტანა.

სასიამოვნო (გაფართობება)

გრძნობა • გარეგანი • ემოცია

სიამოვნო (გაფართობება)


მეზიდი	თანამგრძნობი	დაბნეული	ფიზიკური შეგრძნებები	ტაქტილი
მოსვენებული ჩემი უშფოთველი ლალი წყნარი ლმობიერი აუღელვებელი კონცენტრირებული კმაყოფილი	ნაზი გულწრფელი გულდია მეგობრული მოსიყვარულე თბილი მხარდამჭერი მგრძნობიარე	მერყევი გაუგებადი თავგზაბნეული შეფერხიანებული	ტკივილი კანკალი დაჭიმულობა სუსტი ცარიელი ავადმყოფი შეკუმშული გამოფიტული სუნთქვაშეკრული სულშეხუთული	გულნატკენი გულგატეხილი მარტოხული უბედური დატანჯული განადგურებული დამწუხრებული სინანულით სავსე დათრგუნული მშფოთვარე
ბედნიერი	მადლიერი	შეშინებული	სიამოვნო	გაღიზიანებული
მხიარული ცოცხალი აღტაცებული კმაყოფილი	კმაყოფილი მხნე აღტყინებული	დამფრთხალი დაეჭვებული თავზარდაცემული გაშვებული შეშფოთებული	პრობლემური მერყევი ცვალებადი შენუხებული მოუსვენარი დაძაბული აკანკალებული შეშფოთებული გაღიზიანებული თავზარდაცემული	მოთმინებადაკარგული იმედგაცრუებული ფიცხი უხალისო გულისწყრომით სავსე უკმაყოფილო
ცნობისმოყვარე	თავდაპირველი	დაუცველი	მეზიდი	შეშინებული
აღფრთხილებული დაინტერესებული საქმეში ჩართული შთაბრუნებული	დარწმუნებული ლია იმედით სავსე ამაყი მყარი	სუსტი არამყარი გულნათხრობილი მგრძნობიარე	მეზიდი შურიანი	შეშფოთებული დაძაბული ნერვიული მოუსვენარი გაღიზიანებული მშფოთვარე
გამოცოცხლებული	მეზიდი	მეზიდი	სიამოვნო	შეშინებული
მოსვენებული გააქტიურებული ძალეზადდგენილი გონებაშეხილი	მეზიდი შურიანი	განადგურებული გადაწვარი ძალაგამოცლილი დაქანცული ძილმოთეული	გულდამძიმებული იმედგაცრუებული გულგატეხილი მელანქოლიური დათრგუნული მოღუშული პირქუში დამწუხრებული ხასონარკვეთილი უმწეო იმედგადაწვარი ნოსტალგიური	შერცხვნილი მორცხვი
სიმოცხლით სავსე	მეზიდი	მეზიდი	გაბრაზებული	მოწყვლადი
აღტაცებული ბედნიერი ცოცხალი ოპტიმისტი ენერგიული აღტყინებული ენთუზიასმით სავსე მოინდომებული საქმით გატაცებული დაკვირვებული გაცისკროვებული	მეზიდი შურიანი	გაბრაზებული განრისხებული აღშფოთებული	გაფთრებული განრისხებული აღშფოთებული	გაუცხოებული გულგრილი ცივი გახევებული ჩაკეტილი გაღიზიანებული
სიმოცხლით სავსე	მეზიდი	მეზიდი	გაბრაზებული	მოწყვლადი
აღტაცებული ბედნიერი ცოცხალი ოპტიმისტი ენერგიული აღტყინებული ენთუზიასმით სავსე მოინდომებული საქმით გატაცებული დაკვირვებული გაცისკროვებული	მეზიდი შურიანი	გაბრაზებული განრისხებული აღშფოთებული	გაფთრებული განრისხებული აღშფოთებული	გაუცხოებული გულგრილი ცივი გახევებული ჩაკეტილი გაღიზიანებული

როცა ფიქრები შემოგვანვება, ჩავხედოთ ცხრილს და განვსაზღვროთ, რას ვგრძნობთ. როგორც კი გავერკვევით ჩვენს ემოციებში, გადავხედოთ უნივერსალური საბაზისო მოთხოვნებიდან ცხრილს და გავარკვიოთ, რომელი მოთხოვნა გვაქვს დაუკმაყოფილებელი (მაგალითად, მოთხოვნა — დაგვინახონ და მოგვისმინონ). ამ გზით შევძლებთ, უკეთ გავუგოთ საკუთარ თავს, სწორად გამოვხატოთ ემოციები და სხვების მიმართ თანაგრძნობა გამოვიჩინოთ.

უნივერსალური საბაზისო მოთხოვნები

ფიზიკური კათილდეობა	კავშირი	დანიშნულების ქონა	თავისუფლება
ჰაერი	სიყვარული	მიზანი	არჩევანის
საზრდო (საკვები, წყალი)	მიკუთვნებულობა	ჩართულობა /	შესაძლებლობა /
სინათლე	სიახლოვე	ცხოვრების გამრა-	მოვიტყუ ისე, როგორც
სითბო	ინტიმურობა	ვალფეროვნება	მინდა
დასვენება / ძილი	ემპათია /	სიმყარე	აგტონომია
მოძრაობა /	თანაგრძნობა	იმედი / რწმენა	დამოუკიდებლობა
ფიზიკური ვარჯიში	მადლიერება	სიცხადე	სივრცე / დრო
ჯანმრთელობა	მიმღებლობა	ცოდნა	
შენება	ადიარება	სწავლა	გულწრფელობა
სექსუალური	გამხნიეება	გაცნობიერება /	თვითგამოსატყა
თვითგამოსატყა	კეთილგანწყობა	შეგნებულად ცხო-	ავთენტურობა
თავშესაფარი /	ლიაობა	ვრება	ნამდვილობა
უსაფრთხოება /	ნდობა	შთაგონება /	პირდაპირობა
დაცულობა /	ურთიერთობა	შემოქმედებითობა	
ტკივილისგან დაცვა /	გაზიარება / გაცვლა	სირთულეები /	თავადი
ემოციური	გაცემა / მიღება	ნაქებება	სიცოცხლისუნარიანობა
უსაფრთხოება /	ყურადღება	ზრდა / განვითარება /	/ ხალისი
მოფრთხილება	სინაზე	პროგრესი	დინებას მიყოლა
კომფორტი	კეთილგანწყობა /	ენერგეიულობა	რაიმეთი გატაცება
	გულისხმიერება	შინაგანი სიძლიერე	სპონტანურობა
	პატივისცემა	კომპეტენტურობა /	სიხარული
	დანახვა (დავინახო /	უნარიანობა	იუმორი / სიცილი /
	დამინახონ)	თვითღირებულება /	სიმსუბუქე
	მოსმენა (მოეუსმინო /	თავდაჯერებულობა /	ალმოჩენა /
	მომსმინონ)	თვითშეფასება /	თავგადასავალი
	გაგება (გაუგო /	ღირსება	მრავალფეროვნება
	გამოგონ) ზრუნვა	ქმედითობა /	
	საკუთარი საჭირო-	ეფექტიანობა	
	ებების	თავისუფლება /	
	მნიშვნელოვნების	ტრანსფორმაცია	
	შეგრძნება	საკუთარი მნიშვნელობის	
	ჩართულობა /	განცდა	
	მონაწილეობა	საკუთარი ადგილის	
	მხარდაჭერა /	პოვნა	
	დახმარება / მოვლა	სულიერი განვითარება	
	თანამშრომლობა	ურთიერთდამოკიდე-	
	ერთობა /	ბულება	
	პარტნიორობა /	სიმაღლივე	
	მეგობრობა	ზეიმი / გლოვა	
	ორმხრივობა /		
	თანასწორობა		
	თანმიმდევრულობა /		
	უნევეტობა		

შენიშვნა: ზემოთ მოცემული სიტყვები ადამიანის საჭიროებებს გამოხატავს. მათი მიზანი არაა სხვა ადამიანის დადანაშაულება. თითოეული დიდი სიფრთხილითაა შერჩეული იმისთვის, რომ საუბრისას სწორად აღიქვან.



სათამაშო ცომის რეცეპტი

ქვემოთ მოცემულ ინგრედიენტებს დაუმატეთ ადუღებული წყალი, ურიეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში, ვიდრე გაცივდება, შემდეგ კი მოზილეთ. და სათამაშო ცომი მზადაა!

ინგრედიენტები (ერთი ყიშა [240 გლ] ცომის მოსამზადებლად)

ჩვეულებრივი ცომი

- 1 ჭიქა (125 გ) ფქვილი
- 2 სუფრის კოვზი გამაფხვიერებელი
- ½ ჭიქა (150 გ) მარილი
- ¾-1 ჭიქა (175-250 მლ) ადუღებული წყალი
- 1 სუფრის კოვზი ზეთი
- საკვების საღებავი, დარიჩინი, სპირულინა ან სხვა ბუნებრივი საღებავები

მოკლადის ცომი

- 1¼ ჭიქა (150 გ) ფქვილი
- ¼ ჭიქა (50 გ) კაკაო
- 1 სუფრის კოვზი გამაფხვიერებელი
- ¼ ჭიქა (75 გ) მარილი
- ¾-1 ჭიქა (175-250 მლ) ადუღებული წყალი
- 2 სუფრის კოვზი ზეთი

მომზადების წესი

1. ბავშვებს შეუძლიათ შეურიონ მშრალი ინგრედიენტები საშუალო ზომის ჯამში.
2. ზრდასრულებმა დაამატეთ ადუღებული წყალი, საკვების საღებავი, ზეთი და იქამდე ურიეთ, ვიდრე მასა ჯამის კიდეებს არ მოშორდება.
3. რამდენიმე წუთში მასა გაგრძელდება და პატარებს სთხოვეთ, მოზილონ, ვიდრე გამყარდება.
4. მაცივარში მოთავსება საჭირო არაა. შეინახეთ დახურულ კონტეინერში (შენახვის ვადა: 6 თვე).

მონეტარის
აქტივობების
სია



ახაკი	აქტივობა	აღწერა / მასალა	განსაკუთრებული უნარი
შეუზღუდავი	მუსიკა / ცეკვა / მოძრაობა / სიმღერა	• მუსიკალურ საკრავებზე დაკვრა • სასიამოვნო მუსიკის მოსმენა (არ ჩართოთ ფონად, შეარჩიეთ საგანგებოდ) • ცეკვა და მოძრაობა სხეულის გასაწელად და შესაგრძნობად • სიმღერა	• მუსიკა და მოძრაობა
შეუზღუდავი	ნიგნები	• ნიგნები, რომლებიც აღწერს პატარა ბავშვის ნამდვილ ცხოვრებას. • სულ პატარებისთვის თავდაპირველად – თითო ნახატი თითო გვერდზე; შემდეგ – ნახატი ერთი სიტყვით; ნახატი ერთი წინადადებით; მარტივი ამბები; შედარებით რთული ამბები. • ნიგნები დალაგებულია ისე, რომ ბავშვი ხედავს ყდას და მარტივად სწვდება. შესაძლოა, დალაგებული იყოს პატარა კალათში ან თაროზე. • დაიწყეთ მყარფურცლიანი ნიგნებით, ნელ-ნელა გადადით სქელყდიანებზე, ბოლოს კი – თხელყდიანებზე.	• სამეცხველო ენა
შეუზღუდავი	რიტმული ენა	• პოეზია, სიმღერები, ლექსები • მოკლე და მარტივი • რეალური • რიტმის შეგრძნება – თითებისა და სხეულის რიტმული მოძრაობა, რიტმული ტაში	• სამეცხველო ენა
შეუზღუდავი	თვითგამოხატვა	• დღის ამბების გაზიარება ერთმანეთისთვის • პატარებმა, რომლებმაც ჯერ ლაპარაკი არ იციან, ეს შეიძლება გააკეთონ ხმით, მიმიკით, ენის გამოყოფით. • ბავშვი, რომელიც უკვე ლაპარაკობს, საამისოდ იყენებს სიტყვებს, ფრაზებსა და წინადადებებს. • ზრდასრული იხრება ბავშვის სიმაღლეზე, ინარჩუნებს თვალთ კონტაქტს და ფიქრობს მხოლოდ იმაზე, რაც იქ და იმ დროს ხდება („აქ და ახლა“ ყოფნა). • ზრდასრულს შეუძლია ბავშვის ნათქვამი გაიმეოროს. • სხეულის ენითა და სიტყვებით ზრდასრული ბავშვს ეუბნება, რომ ძალიან აინტერესებს ყველაფერი, რისი გაზიარებაც პატარას მისთვის უნდა.	• სამეცხველო ენა
12 თვიდან	ხატვა	• პასტელის კუბები ან მსხვილი ფანქრები (მაგალითად, STABILIO 3 IN 1) • სხვადასხვა ზომის, ფერის, ტექსტურის ქაღალდი • მაგიდის დამცავი საფენი	• ხელოვნება / თვითგამოხატვა
12 თვიდან	ცარცი და მოლბერტი	• სახატავ დაფად გამოდგება: • 1. მოლბერტის უკანა მხარე. • 2. ხის დიდი, შეღებილი ნაჭერი, რომელიც ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზეა. • 3. პატარა დაფა, რომელიც თაროზე ეტევა. • დაიწყეთ თეთრი ცარცით და თანდათან გადადით სხვა ფერებზე. • გამოიყენეთ პატარა საშლელი.	• ხელოვნება / თვითგამოხატვა

ასაკი	აქტივობა	აღწერა / მასალა	მანსაჰითარებალი უნარი
შეუძლია დაშოუკი-დებლად დგომა	მოლბერტზე ხატვა	• მოლბერტი • ქაღალდი, რომელიც მთლიანად ფარავს მოლბერტის ზედაპირს. • დაიწყეთ ერთი ფერის საღებავით და ნელ-ნელა გადადით სხვა ფერებზე. მოზრდილ ბავშვებს შეგიძლიათ ერთდროულად მისცეთ ორი ან მეტი ფერი. • მოკლე, მსხვილი ფუნჯი • სახატავი წინსაფარი • საკიდი წინსაფრისთვის • ყუთში ჩაწყობილი ხელსახოცები • ქსოვილის ნაჭერი დაღვრილი წყლის მოსაწმენდად	• ხელოვნება / თვითგამოხატვა
12+ თვიდან	კონუსი სხვადასხვა ზომის რგოლებით	• პატარა ძელი და სხვადასხვა ზომისა და ფერის ოთხი-ხუთი რგოლი. • ქვედა რგოლი არ უნდა იყოს ბავშვის ცერა და ნეკა თითს შორის არსებულ მანძილზე დიდი.	• თვალისა და ხელის კოორდინაცია
12+ თვიდან	ხრახნები და ქანჭიკები	• ორნაირი ხრახნი შესაბამისი ზომისა და ფორმის ქანჭიკებით • პირველ ეტაპზე ქანჭიკი ხრახნზე უნდა იყოს მოთავსებული.	• თვალისა და ხელის კოორდინაცია
12+ თვიდან	გახსნა-დახურვა	• კალათა ორი-სამი საყოფაცხოვრებო ნივთით, რომელთა გახსნა-დახურვა შეიძლება (მაგ.: დეკორატიული ყუთი, ქილა, საფულე, კოსმეტიკის ჩანთა, კბილის ჯაგრისის ჩასადები).	• თვალისა და ხელის კოორდინაცია
12+ თვიდან	ნივთების დასახელება	• 3-მ ცალი ერთი და იმავე კატეგორიის ნივთი ან მათი ფოტოასლი (მაგ.: ხილი, ბოსტნეული, ტანსაცმელი, ზოოპარკის ცხოველები, ფერმის ცხოველები, შინაური ცხოველები, მწერები, ძუძუმწოვრები, ჩიტები, ხერხემლიანები, უხერხემლოები და ა. შ.)	• სამეტყველო ენის განვითარება • ლექსიკური მარაგის გაზრდა
12+ თვიდან	ნახვრეტებიანი ყუთი	• ყუთი უკანა მხარეს ექვსი ნახვრეტით და ლანგარი ნახვრეტებიდან ამოღებული ნაწილების ჩასაწყობად.	• თვალისა და ხელის კოორდინაცია • მოჭიდების უნარის გაუმჯობესება
12+ თვიდან	კუბები ვერტი-კალურ ძელზე	• პატარა ძელი და ზედ ჩამოცმული სამი კუბი. კუბები შეინახეთ კალათში ან დატოვეთ ძელზე. • აკინძვის აქტივობისთვის მომზადება	• თვალისა და ხელის კოორდინაცია • მოჭიდების უნარის გაუმჯობესება
12-14+ თვიდან	ფაზლები	• მარტივი ფაზლები, რომლებიც ნელ-ნელა რთულდება • ფაზლზე გამოსახული ნახატები უნდა იყოს რეალისტური და ბავშვის თვალისთვის მიმზიდველი (მაგ., ცხოველები ან სამშენებლო ტექნიკა).	• თვალისა და ხელის კოორდინაცია • მოჭიდების უნარის გაუმჯობესება • ფონის ფორმის ცნობის უნარის განვითარება
დაახლოებით 13+ თვიდან	ბოქლომები და გასაღებები	• ბოქლომი და მასზე ძაფით გამოზმული გასაღები	• თვალისა და ხელის კოორდინაცია
როგორც კი სიარულს ისწავლის	მაგიდის გადა-წმენდა	• ლანგარი ან კალათი ღრუბლით / გასაშმრალეველი ხელთათმანით • სათადარიგო ღრუბელი / ხელთათმანი	• გარემოზე ზრუნვა
14+ თვიდან	ნივთები იდენ-ტიური ბარათებით	• კატეგორიებად დაყოფილი ნივთები შესაბამისი ბარათებით • ნივთების იდენტიური ფოტოები ზომითა და ფერით. სასურველია, ნივთის ფოტოზე მოთავსებით მთლიანად დაიფაროს ფოტოგამოსახულება.	• სამეტყველო ენის გაუმჯობესება • სამგანზომილებიანი ობიექტის აღქმა ორგანოზომილებიან გამოსახულებაში

ასაკი	აქტივობა	აღწერა / მასალა	განსაკუთრებული უნარი
14+ თვიდან	ნივთები და მათი მსგავსი ბარათები	- კატეგორიზებად დაყოფილი ნივთები შესაბამისი ბარათებით - ნივთების მსგავსი ფოტოები. - ფოტოგამოსახულება – განსხვავებული ფერის, ზომისა და ფორმის.	- სამეტყველო ენის გაუმჯობესება - ნივთების არსის აღქმა
14+ თვიდან	ხის ყუთი გასასრია-ლებელი თავსახურით	ყუთი გასასრიალებელი თავსახურით. შიგნით მოთავსებულია ნივთი, რომელიც დროდადრო სხვა ნივთით ჩანაცვლდება.	- თვალისა და ხელის კოორდინაცია - მოჭიდების უნარის გაუმჯობესება
14+ თვიდან	ყუთი სათავსო-ებით	- ხის-ყუთი, რომელსაც სამი სათავსო აქვს და ისინება. - თითოეულ სათავსოში მოთავსებულია სამი სხვადასხვა ნივთი.	- თვალისა და ხელის კოორდინაცია - მოჭიდების უნარის გაუმჯობესება - მაჯის მოძრაობა
14+ თვიდან	ნივთების ჩაყრა ყუთში	- ყუთები სხვადასხვა ზომისა და ფორმის საგნების ჩასაყრელად - ყუთის თავსახურები, რომელთაგან თითოეულზე გამოჭრილია ერთი გეომეტრიული ფიგურა წრე, სამკუთხედი, კვადრატის ან მართკუთხედი. - ნელ-ნელა გაართულებთ ამოცანა, მაგალითად, ერთ თავსახურზე ამოჭერთ ორი ფიგურა, შემდეგ – სამი, ოთხი და ა. შ.	- თვალისა და ხელის კოორდინაცია - მოჭიდების უნარის გაუმჯობესება - გეომეტრიული ფიგურების შესწავლა და მათი სახელების დამახსოვრება
14+ თვიდან (დადის გამართულად)	მცენარეების მორწყვა	- ლანგარი - პატარა სარწყავი - პატარა კონტეინერი და ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი - მცენარე	გარემოზე ზრუნვა
14+ თვიდან	გახდა, ჩაცმა, ტანსაცმლის დაკეცვა	საკუთარი ქურთუკის, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ჩაცმა, გახდა და საკიდზე ჩამოკიდება / კალათში ჩაწყობა	საკუთარ თავზე ზრუნვა
14+ თვიდან	ხელის დაბანა ნიჟარაში	- საბანის ნაჭერი ან თხევადი საპონი - პირსახოცი	საკუთარ თავზე ზრუნვა
14+ თვიდან	ცხვირის მოხოცვა	- ცხვირსახოცი - ხარკე - პატარა ნაგვის ურნა მოქანავე თავსახურით - აჩვენეთ, როგორ იხოცავთ ცხვირს, შემდეგ კი აცადეთ, თვითონ გაიმეოროს იგივე.	საკუთარ თავზე ზრუნვა
14+ თვიდან	კბილების გახეხვა	- აბაზანის ნიჟარა - კბილის ჯაგრისი - კბილის პასტა - კბილის ჯაგრისის დასადები ადგილი - მიეცით ბავშვს უფლება, თვითონ გაიხეხოს კბილები და მხოლოდ შემდეგ შესთავაზეთ, ხომ არ უნდა, დასრულებაში დაეხმაროთ.	საკუთარ თავზე ზრუნვა
14+ თვიდან	ასაფხრენი შესაკრავი	- ორი ასაფხრენი შესაკრავით გადაჭიმული ხის ჩარჩო - ასაფხრენი შესაკრავის შეკვრა-გახსნაში ვარჯიში	საკუთარ თავზე ზრუნვა
14-16 თვიდან	ცოცვა	გუმბათის მსგავსი კონსტრუქცია, ბოძი, საცოცი კედელი, დაბრკოლებებიანი ბილიკი, ხეები	სივრცეში მოძრაობის უნარების დახვეწა
14-16 თვიდან	მიწოლა / გამოქაჩვა	პატარა ურიკა და ოთხთვალა	სივრცეში მოძრაობის უნარების დახვეწა
14-16 თვიდან	ჩამოკიდება / მაიმუნივით ქანაობა	სათამაშო მოედნებზე მდგარი რკინის კონსტრუქციები, ჩამოსაკიდი რგოლები	სივრცეში მოძრაობის უნარების დახვეწა

ასაკი	აქტივობა	აღწერა / მასალა	მანსაჰითარებული უნარი
14-16 თვიდან	სრიალი	ფართო სასრიალი, რომელზეც დამოუკიდებლად ჩამოსრილებას შეძლებს.	სივრცეში მოძრაობის უნარების დახვეწა
14-16 თვიდან	სირბილი	- ისრებიანი სარბენი ბილიკი, თავსა და ბოლოში ბურთებით სავსე კალათებით - ბავშვს ბურთი ერთი კალათიდან მეორეში მიაქვს.	სივრცეში მოძრაობის უნარების დახვეწა
14-16 თვიდან	ხტუნვა	- სწორ იატაკზე გავლებულ ხაზზე გადახტომა. - როცა ბავშვი ორივე ფეხით შეძლებს ხაზზე ხტომას, შეგიძლიათ, რაიმე საგანზე შემოდან გადახტომა ახწაელოთ.	სივრცეში მოძრაობის უნარების დახვეწა
14-16 თვიდან	ველოსიპედის მართვა	დაბალი სამბორბლიანი ველოსიპედი, რომელსაც იატაკზე ფეხების დაბჯენით გააგორებს. 2,5 წლიდან უკვე შეგიძლიათ ასწავლოთ პედლებიანი სამბორბლიანი ველოსიპედის მართვა.	სივრცეში მოძრაობის უნარების დახვეწა
14-16 თვიდან	წონასწორობის შენარჩუნება	- ძელი წონასწორობის შესანარჩუნებლად, აგურებზე გადებული ხის ფიცარი - თავდაპირველად ძელზე იაროს გვერდულად და ორივე ხელით დაეყრდნოს წინა კედელს; როცა გაინაფება, იაროს ჩვეულებრივ, ცალი ხელით კი კედელს დაეყრდნოს; შემდეგ ერთი ფეხი ძელზე დადგას, მეორე კი – იატაკზე/მიწაზე. ნელ-ნელა აამაღლეთ ძელი და მოაშორეთ კედელს. თუ ძელი ფართოა, ბავშვს მასზე აძრომაც შეუძლია.	სივრცეში მოძრაობის უნარების დახვეწა
14-16 თვიდან	საქანელაზე ქანაობა	ხასურველია, საქანელა დაკიდოთ ბავშვის სიმაღლეზე, რათა თვითონ შეძლოს დაჯდომა და ადგომა.	სივრცეში მოძრაობის უნარების დახვეწა
14-16 თვიდან	სხვა აქტივობები მოძრაობისთვის	- ნახევრადწრიული პლატფორმა (ბალანსის შესანარჩუნებელი დაფის მსგავსი) – იდეალური საშუალებაა წონასწორობის შენარჩუნების უნარის გამოსამუშავებლად, სხეულის შესაგრძნობად და კოორდინაციის განსავითარებლად. - ნატურალური მასალისგან, მაგალითად, ტირიფის ტოტებისგან დამზადებული Y ფორმის გვირაბები - გაზონების ლაბირინთები - ქვიშის ორმოები - საქანელები - მებაღეობა - ბუნებრივი მასალისგან (მაგ., ჯოხებისგან) შექმნილი გამოქვაბული - წუნაობა	სივრცეში მოძრაობის უნარების დახვეწა
14-16 თვიდან	სწორ ღერძზე ჩამოკიდებული რგოლები	ხის ფიცარნაგზე მოთავსებული სწორი მეტალის ღერძი 1-3 რგოლით	- თვალისა და ხელის კოორდინაცია - მოჭიდების უნარის გაუმჯობესება - შუალედური ხაზის გადაკვეთა - მაჯის მოძრაობის გაუმჯობესება
14-16+ თვიდან	დაკლანკილ ღერძზე ჩამოკიდებული რგოლები	ხის ფიცარნაგზე მოთავსებული მეტალის დაკლანკილი ღერძი 1-3 რგოლით	- თვალისა და ხელის კოორდინაცია - მოჭიდების უნარის გაუმჯობესება - შუალედური ხაზის გადაკვეთა - მაჯის მოძრაობის გაუმჯობესება

ასაკი	აქტივობა	აღწერა / მასალა	განსავითარებელი უნარი
დაახლოებით 15-16+ თვიდან	ფოთლების რეცხვა	- ფოთლის ფორმის პატარა თევზი და შესაბამისი ზომის ღრუბელი - ლანგარი	გარემოზე ზრუნვა
დაახლოებით 15-18+ თვიდან	საკეტები	საკეტები, რომლებიც სხვადასხვა ავეჯსა და კარებზეა დამაგრებული (მაგ., საკეტები ჯაჭვით ან კაუჭით).	- თვალისა და ხელის კოორდინაცია - მოჭიდების უნარის გაუმჯობესება
დაახლოებით 15-18+ თვიდან	თმის დავარცხნა	- სარკე და თმის სავარცხელი - ლანგარი სავარცხლის დასადებად და თევზი თმის სამაგრებისა და რეზინებისთვის	საკუთარ თავზე ზრუნვა
დაახლოებით 15-18+ თვიდან	სამი ღერძი პატარა რგოლებით	- ხის მართკუთხა ფიცარნაგი სამი სხვადასხვა ფერის ღერძით - ღერძების შესაბამისი ფერის სამი რგოლი	- თვალისა და ხელის კოორდინაცია - მოჭიდების უნარის გაუმჯობესება
დაახლოებით 16-18+ თვიდან	თიხა	- საფენი ან თიხაზე სამუშაო სპეციალური მაგიდა - სველ ნაჭერში ან კონტეინერში ჩადებული საძერწი ან ნამდვილი თიხა (თეთრი ან მოყვითაფრო-წითელი), სათამაშო ცოში ან კინეტიკური ქვიშა - საძერწი და საჭრელი ინსტრუმენტები	ხელოვნება / თვითგამოხატვა
16-18+ თვიდან	დაგვა	- ცოცხი - შეგიძლიათ იატაკზე ცარცით მოხაზოთ წრე, რომელიც მიუთითებს, სად უნდა შეგროვდეს ნაგავი. - აქანდაზი და ჯაგრისი	გარემოზე ზრუნვა
16-18+ თვიდან	მტვრის გადანმენდა	ქსოვილის ნაჭერი მტვრის გადანმენდად	გარემოზე ზრუნვა
16-18+ თვიდან	იატაკის მონმენდა	- იატაკის პატარა ჯოხი და სველი ტილო - შეაბრა	გარემოზე ზრუნვა
16-18+ თვიდან	მცენარეების გასუფთავება	- შალის ქსოვილი მტვრის გადანმენდად - კონტეინერი მტვრისთვის	გარემოზე ზრუნვა
16-18+ თვიდან	ელვაშესაკრავი	- ხის ჩარჩო და ელვაშესაკრავით შეკრული ორი ქსოვილი - ქსოვილი არ იშლება – ელვაშესაკრავი ბოლოში აქვს მიმაგრებული. - შესაკრავის თავზე შეიძლება მიმაგრებული იყოს მეტალის რგოლი, რათა ადვილად გაიქაჩოს. - ავარჯიშეთ ბავშვი ელვაშესაკრავის შეკვრა-გახსნაში.	საკუთარ თავზე ზრუნვა
16-18+ თვიდან	მძივების აკინძვა	- ძაფის ნაცვლად თავდაპირველად გამოიყენეთ პლასტმასის ტუბი, რადგან ბავშვი უფრო მარტივად შეძლებს მასზე მძივების აკინძვას. - ხის 5-6 მძივი (1-2-ის დამატებაც შეიძლება) - შედარებით რთული ვარიანტი: სველი ზონარი, დიდი მძივები, ფეხსაცმლის თასმა პატარა მძივებით	- თვალისა და ხელის კოორდინაცია - მოჭიდების უნარის გაუმჯობესება - ორივე ხელის ერთდროულად გამოყენება

ასაკი	აქტივობა	აღწერა / მასალა	მანსაპიტარიალი უნარი
18+ თვიდან	ყვავილების ჩალაგება	• საყვავილეების კოლექცია • მაქმანებიანი დასაფენები • ყვავილები – გადაჭრილი იმ ზომაზე, რომ ბავშვმა გამოიყენოს • სახელურებიანი ლანგარი • პატარა დოქი • პატარა ქაბრი • ღრუბელი • ბავშვს შეუძლია საყვავილეში წყალი ქაბრის გამოყენებით ჩაასხას, ყვავილები ჩააწყოს და საყვავილე მაგიდაზე ან თაროზე, მაქმანებიან საფენზე დადგას.	• გარემოზე ზრუნვა
18+ თვიდან	ტანსაცმლის დაკიდება	• სველი სარეცხი – ცხვრსახოცები, ხელთათმანები, ტილოები, წინსაფრები • სარეცხის თოკი • სარჩები	• გარემოზე ზრუნვა
18+ თვიდან	ნარჩენების შეგროვება და ურნაში მოთავსება	• პატარა ფოცხი, აქანდაზი და ცოცხი • პატარა ურიკა • ურნა	• გარემოზე ზრუნვა
18+ თვიდან	თესლის გაღივება	• გამოიყენეთ მინის პატარა ქილები, რომლებსაც გარედან მიანებებთ მცენარეების ფოტოებს. აარჩიეთ ისეთი თესლეული, რომელიც სწრაფად ღივდება (მაგ., პარდა, ლობიო, ხორბალი, ბოლოკი, გოგრა, მზესუმზირა). • თინისგან, გაზეთებისგან ან ტორფისგან დამზადებული პატარა ქოთნები • ბალის პატარა ინსტრუმენტები • წინსაფარი • პატარა ლანგარი თეფშით • ფანჯრის რაფაზე მოთავსებული პატარა ლანგარი დოქით • მინა	• გარემოზე ზრუნვა
18+ თვიდან	გარემოზე ზრუნვის სხვა აქტივობები	• დაგვა • მოფოცხვა • ამოთხრა • ფილების, მაგიდებისა და ბალის სკამების გახეხვა • მცენარეების მორწყვა • ყვავილების მოვლა და მოკრეფა • ყვავილების / პოსტნელის / • ბალის მცენარეების დარგვა და მოვლა	• გარემოზე ზრუნვა
18+ თვიდან (შეუძლია დოქის წაღება)	ხელის დაბანა მაგიდასთან	• პატარა თასი ხელის დასაბანად • დოქი • საპნის პატარა ნაჭერი • წინსაფარი • პირსახოცი ხელის შესამშრალელად • მაგიდის გადასაწმენდი ტილო • სათლი ჭუჭყიანი წყლის ჩასახსმელად საუკეთესო სავარჯიშოა ბავშვისთვის, რომელსაც სურს ხელი დაიბანოს ნიჟარასთან.	• საკუთარ თავზე ზრუნვა
18+ თვიდან	ფეხსაცმლის განმედა	• ფეხსაწმენდი • სახელურიანი ჯაგრისი	• საკუთარ თავზე ზრუნვა
18+ თვიდან	მაგიდის განწყობაში დახმარება	• დანა-ჩანგლის ჩასაწყობი კალათი • სუფრის გადაფარება • ხელსახოცების დაკეცვა • მაგიდის გადასაწმენდი ტილოს მომზადება	• საკვების მომზადება

ასაკი	აქტივობა	აღწერა / მასალა	განსაკუთრებული შედეგი
18+ თვიდან	მაგიდის ალაგებაში დახმარება	• მაგიდის გადამწმენდა • თეფშებისა და დანა-ჩანგლის სამზარეულოში გატანა	• საკვების მომზადება
18+ თვიდან	ორცხოპი- ლების მომზადება	• პატარა ბლავი დანა • კარაქის, ჯემის ან ჰუმუსის კონტეინერი • ორცხოპილების პატარა ყუთი • ბავშვი ორცხოპილაზე უსვამს მცირე რაოდენობის კარაქს / ჯემს / ჰუმუსს, ჯდება და ჭამს. • შეიძლება მოამზადოს როგორც ფეხზე მდგომმა, ისე დამჯდარმა.	• საკვების მომზადება
18+ თვიდან	ფორთოხლის წვენის გამოწურვა	• ციტრუსის საქმელტი - ისეთი, რომელსაც ბავშვი დამოუკიდებლად გამოიყენებს. • წვენის ჭურჭელი • ჭიქა • ბავშვი წურავს ფორთოხლის წვენს, ნარჩენებს კი ურნაში ყრის.	• საკვების მომზადება
18+ თვიდან	ბანანის დაჭრა	• ოდნავ გადმოსწორებული ბანანი, რომელსაც ბავშვი ქერქს თვითონ გააცლის. • საჭრელი დაფა • ბლავი დანა • ბავშვი ქერქს აგდებს ურნაში. • ბანანის ნაჭრებს თეფშზე ალაგებს და მაგიდასთან მიაქვს.	• საკვების მომზადება
18+ თვიდან	ვაშლის გათლა და დაჭრა	• ვაშლის სათლელი • ვაშლის საჭრელი • საჭრელი დაფა • ბავშვი ვაშლს დებს დაფაზე და შემოდან ქვემოთ მოძრაობით თლის. • საჭრელს ადებს ვაშლს და ანეება. იღებს რვა თანაბარ ნაჭერს, შემდეგ კი შუა ნაწილს აშორებს. • ვაშლის ნაჭრებს თეფშზე ალაგებს და მაგიდასთან მიაქვს.	• საკვების მომზადება
18+ თვიდან	წყლის ჩამოსხმა ჭიქაში	• ნიჟარა / პატარა დოქი / წყლის ჩამოსასხმელი აპარატი • ჭიქა • ღრუბელი და სანმენდი ხელთათმანი დაღვრილი წყლის მოსანმენდად	• საკვების მომზადება
18+ თვიდან	აკვარელის საღებავები	• ლანგარი • აკვარელის პალიტრა • წყლით სავსე ქილა • ფუნჯი • ქსოვილის ნაჭერი დაღვრილი წყლის მოსანმენდად • მაგიდის დამცავი საფენი • ქაღალდი • აჩვენეთ ბავშვს, როგორ დაასველოს ფუნჯი, ჩააწოს საღებავში და დახატოს.	• ხელოვნება / თვითგამოხატვა
18+ თვიდან	ნივთების დახარისხება	• სამგანყოფილებიანი თეფში, რომელზეც მოათავსებთ ერთი საგნის ორ სახეობას. შეგიძლიათ აიღოთ ნიჟარები, თხილი, თესლი, გეომეტრიული ფიგურები, თითო - 4-4 ცალი.	• ტექტილური შეგრძნების გაუმჯობესება • დახარისხების უნარი განვითარება
18+ თვიდან	სიტყვების ბარათები	• თემატურად დახარისხებული ბარათები, რომლებიც ბავშვის ყოველდღიურობას უკავშირდება. • დაინწყეთ მარტივით.	• სამეტყველო ენის განვითარება • სიტყვათა მარაგის გამრავალფე- როვნება

ასაკი	აქტივობა	აღწერა / მასალა	მასშტაბითარებული შნარი
18-22+ თვიდან	ლილები	- ხის ჩარჩო და სამი დიდი ღილით შეკრული ქსოვილის ორი ნაჭერი - ვერტიკალური სალილეები - ავარჯიშეთ ბავშვი ღილების შეკვრა-გახსნაში.	საკუთარ თავზე ზრუნვა
18-22+ თვიდან	კნოპები	ხის ჩარჩო და კნოპებით შეკრული ქსოვილის ორი ნაჭერი	საკუთარ თავზე ზრუნვა
18-22+ თვიდან	მაგიდის გახეხვა	ლანგარზე მოთავსებული ჯამი, საპონი, ჯაგრისი და ღრუბელი მაგიდის გასახეხად	გარემოზე ზრუნვა
1,5 - 2+ წლიდან	სარკის განმენდა	- ბავშვისთვის უსაფრთხო სანმენდი სითხით სავსე პატარა ბოთლი - ოთხკუთხა ღრუბელი - სანმენდი ხელთათმანი - საფენი ნივთების დასანწყობად	გარემოზე ზრუნვა
1,5 - 2+ წლიდან	ხის გაპრიალება	- კონტეინერი, რომელსაც ბავშვი ადვილად მოერევა. - უსაფრთხო სანმენდი საშუალება, მაგ., ცვილი. - პატარა თეფში - სანმენდი ხელთათმანი - გასაპრიალებელი ნივთი	გარემოზე ზრუნვა
1,5 - 2+ წლიდან	დანებება	ყუთი, რომელშიც ჯაგრისი ჩაეტევა; ქილა მცირე რაოდენობის ნებოთი; მ მოზრდილი ფორმა; ქალაქი, რომელზეც ბავშვი ფორმებს დაანებებს.	- თვალისა და ხელის კოორდინაცია - მოჭიდების უნარის გაუმჯობესება - შენებების უნარის განვითარება - თითების მოძრაობის დახვეწა - ხელოვნება / თვითგამოხატვა
დაახლოებით 2+ წლიდან	ჭურჭლის გარეცხვა	- მაგიდა ორი თასით - ჭურჭლის სარეცხი ჯაგრისი სახელურით ან პატარა ღრუბელი - სამზავრო ზომის ფლაკონში ჩასმული ცოტაოდენი ჭურჭლის სარეცხი სითხე - პლასტმასის გამჭვირვალე დოქი (შეგიძლიათ დოქზე მოუნიშნოთ, რა რაოდენობის წყალი ჩაასხას). - წინსაფარი - გასამშრალელები ხელთათმანი - ქსოვილი ხელის შესამშრალელებად	საკვების მომზადება
დაახლოებით 2+ წლიდან	ჭურჭლის გამშრალეება	დაფინეთ ქსოვილი მაგიდაზე, ზემოდან დაადეთ ჯამი ან ჭიქა, შემოასვით ქსოვილი, დაანეჭით, ბოლოს კი შემოსხენით.	საკვების მომზადება
დაახლოებით 2+ წლიდან	ფანჯრების განმენდა	- შესასხურებელი ბოთლი 1 ჭიქა (240 მლ) წყლით ან ძმრით - რეზინის პირიანი პატარა სანმენდი - ქსოვილი ან ნატის ნაჭერი	გარემოზე ზრუნვა
დაახლოებით 2+ წლიდან	ტანსაცმლის გარეცხვა	- მაგიდა ორი თასით - პატარა სახეხი დაფა - საპონის ნაჭერი - საპონის დასადები - დოქი - ორი პლასტმასის კალათი მაგიდის ორივე მხარეს ან იატაკზე - წინსაფარი - გასამშრალელები ხელთათმანი - ქსოვილი ხელის შესამშრალელებად	გარემოზე ზრუნვა

ასაკი	აქტივობა	აღწერა / მასალა	განსაზიარებული შნარი
დაახლოებით 2+ წლიდან	მაკრატლის გამოყენება	• ბუდეში ჩადებული პატარა მაკრატელი • ხელნაკეთი კონვერტები • ზოლებად დაჭრილი ფურცლები, საკმარისად თხელი, რომ ბავშვმა ერთი მოძრაობით გაჭრას	• თვალისა და ხელის კოორდინაცია • მოჭიდების უნარის გაუმჯობესება • ჭრის პრაქტიკული უნარის გამომუშავება • ხელების ზუსტი მოძრაობის დახვეწა
დაახლოებით 2+ წლიდან	სტერეოგნოსტიკური („საიდუმლო“) ჩანთები	• ლამაზი ჩანთა 5-8 ერთნაირი, სხვადასხვა ან წყვილ-წყვილი ნივთით • ბავშვმა ჩანთაში ადვილად ვერ უნდა მოახერხოს ჩახედვა და ნივთები ხელით მოსინჯოს. • თმის მოვლისთვის საჭირო ნივთები • სამებალეო იარაღები	• სტერეოგნოსტიკური შეგნების განვითარება • ლექსიკური მარაგის გამდიდრება
დაახლოებით 2 წლიდან – ბავშვს სჭირდება საუბარი	შეკითხვების დასმა	• საუბარი სარეცხის გაფენის ან საჭმლის მომზადების დროს • მაგალითი: „გახსოვს, რეჰანი როდის დავრგეთ?“; „რეჰანის თესლი სად დავრგეთ?“; „რეჰანის მოსაკრეფად რას ვიყენებთ?“ • ბავშვს ვესაუბრებით ბუნებრივად და ძალდაუტანებლად.	• ნაცნობი სიტყვების გამოყენება • აზროვნების გაფართოება – საუბოთარი გამოცდილების სიტყვებით გადმოცემა • თავდაჯერებულობის განვითარება • ზრდასრულს ეძლევა შესაძლებლობა, ბავშვს ენის გამოყენების მაგალითი მისცეს.
2+ წლიდან	კერვა	• კალათში ან ყუთში ჩაწყობილი: – მაკრატელი – ძაფები – ბლაგვი ნემსების კომპლექტი – დიაგნალზე გახვრეტილი ოთხკუთხა საკერავი ბარათი. ნელ-ნელა შეცვალეთ ოთხკუთხა ან წრიული ნახვრეტებით, ბოლოს კი გადაადით კერვაზე ან ლილის მიკერვაზე.	• თვალისა და ხელის კოორდინაცია • მოჭიდების უნარის გაუმჯობესება • კერვის პრაქტიკული უნარის გამომუშავება • ხელის ზუსტი მოძრაობის დახვეწა
2+ წლიდან	ხრახნებისა და ჭანჭიკების დალაგება სიდიდის მიხედვით	• ხის დაფა სხვადასხვა ზომის ხვრელებით • კონტეინერში ჩაყრილი ხრახნები და ჭანჭიკები, რომლებიც ხვრელებს ერგება.	• თვალისა და ხელის კოორდინაცია
2+ წლიდან	ელასტიკური ლენტის გადაჭიმვა შვერილებიან დაფაზე	• შვერილებიანი დაფა ელასტიკური რეზინების გადასაჭერად • სხვადასხვა ფიგურის შექმნა	• თვალისა და ხელის კოორდინაცია
2,5 წლიდან	ფეხსაცმლის გაპრიალება	• კონტეინერში მოთავსებული: 1. ფეხსაცმლის საპრიალებელი 2. სანმენდი ხელთათმანი 3. რბილი ჯაგრისი • მაგიდის დამცავი საფენი • ფეხსაცმლის მაშველი (თუ საჭიროა)	• საკუთარ თავზე ზრუნვა

ასაკი	აქტივობა	აღწერა / მასალა	განსაზივარებადი უნარი
2,5+ წლიდან	ბალთა	- ხის ჩარჩო და 3-4 ბალთით შეკრული ტყავის ორი ნაჭერი - აფარჯიშეთ ბავშვი ბალთების შეკერა-გახსნაში.	საკუთარ თავზე ზრუნვა
2,5+ წლიდან	ცხოებაში დახმარება	- დახმარება ინგრედიენტების მომზადებასა და ანონაში - ინგრედიენტების შერევა - სამზარეულოს იატაკის დაგვა და მოწმენდა	საკვების მომზადება
3+ წლიდან	ჭურჭლის სარეცხი მანქანიდან ჭურჭლის ამოღება	დახმარება ჭურჭლის სარეცხი მანქანიდან ჭურჭლის გამოღებაში	ყოველდღიური უნარები
3+ წლიდან	ნაგვის დახარისხება	ნაგვის დახარისხება და ურნებთან მიტანა	ყოველდღიური უნარები
3+ წლიდან	საწოლის გასწორება	საკუთარი საწოლის გასწორება (მხოლოდ საბნის)	ყოველდღიური უნარები
3+ წლიდან	ტუალეტის დამოუკიდებლად გამოყენება	- პატარა საფეხური, რათა უნიტაზს მისწვდეს. - შესაძლებელია ღამის ქოთნის გამოყენებაც.	ყოველდღიური უნარები
3+ წლიდან	შედარებით რთული კერძის მომზადება	მაგალითად, ლაზანიას მომზადებაში დახმარება	საკვების მომზადება
3+ წლიდან	ცხოველების გამოკვება	- თევზის საკვები შეიძლება ჩაეყაროს პატარა ჭიქაში. - წყლის დასხმა ძაღლისთვის - საჭმლის დაყრა კატისთვის, ზაზუნასთვის ან სხვა ცხოველისთვის	ყოველდღიური უნარები
3+ წლიდან	ტანსაცმლისა და წინდების დაკეცვაში დახმარება	- ტანსაცმლის რეცხვის პროცესში მონაწილეობის მიღება - სთხოვეთ ბავშვს, დაგეხმაროთ ტანსაცმლის დახარისხებასა (ფერების ან იმის მიხედვით, თუ ვისია) და წინდების დაწყვილებაში. - ასწავლეთ დაკეცვის მარტივი წესები.	ყოველდღიური უნარები
3+ წლიდან	მზადება სტუმრების დასასვენებლად	- საწოლის გაშლა - სივრცის გათავისუფლება, სათამაშოების ალაგება და ა. შ. - საჭმლის მომზადებაში დახმარება	ყოველდღიური უნარები
3+ წლიდან	პირველი სამაგიდო თამაშები	- HABA¹-ს „ხეხილის ბაღი“ „საყიდლების სია“ და „ORCHARD TOYS“-ის² სხვა თამაშები - ბანქოს მარტივი თამაშები - ბავშვის ასაკის მიხედვით, ნებისმიერი თამაშის გამარტივება შეგიძლიათ.	- ლოდინის უნარის გამოუმუშავება - მარტივი წესების ცოდნა - გართობა
3+ წლიდან	კერვა და ხელნაკეთი ნივთების დაზადება	- რთული ფორმის ბარათები (მაგ., გულის) - ნემსების ბალიში - ღილების დაკერება - ორნამენტების მოქარგვა - რამდენიმე საფეხურიანი პროექტის შესრულება	ხელოვნება / თვითგამოხატვა

¹ ამ და სხვა თამაშების სანახავად ეწვიეთ ვებგვერდს: habausa.com.

² თამაშების სანახავად შეგიძლიათ ეწვიოთ ვებგვერდს: orchardtoys.com.

ასაკი	აქტივობა	აღწერა / მასალა	მანქანის/მანქანის შენიშვნა
3+ წლიდან	გარემოს აღმოჩენა	• ბუნებრივი ნივთების შეგროვება, ჩიტების, ცხოველების, მცენარეებისა და ხეების შესწავლა	• ბოტანიკის შესწავლა • სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების გაცნობა
3+ წლიდან	ქსოვა და აკინძვა	• ფეხსაცმლის თასმა და პატარა მძივები • შალის ძაფი და რამდენიმე სანარუბი, გობელენის ნემსი	• თვალისა და ხელის კოორდინაცია • მოჭიდების უნარის გაუმჯობესება
3+ წლიდან	12- და მეტდეტა- ლიანი ფაზლების ანგობა	• შედარებით რთული, მრავალნაწილიანი, რამდენიმეფენიანი კომპოზიციური ფაზლები	• თვალისა და ხელის კოორდინაცია • მოჭიდების უნარის გაუმჯობესება • ფონის ფორმის ცნობის უნარის განვითარება
3+ წლიდან	ფიგურების მიჭედება კორპის დაფაზე	• კორპის დაფა • ხისგან გამოთლილი ფორმები • პატარა ლურსმნები და ჩაქუჩი	• თვალისა და ხელის კოორდინაცია
3+ წლიდან	გახვრეტა	• ქალაღზე გამოსახული ფორმა, რომელიც ბავშვმა უნდა გახვრიტოს. • თექის დასაფენი • გასახვრეტი კალამი • ბავშვი მიჰყვება გასახვრეტ ნერტილებს, ვიდრე ქალაღიდან ფორმას არ ამოჭრის.	• თვალისა და ხელის კოორდინაცია • მოჭიდების უნარის გაუმჯობესება
3+ წლიდან	„გამოიცანი, რას ვხედავ“	• მაგ., ბავშვს ეუბნებით: „გამოიცანი, რას ვხედავ, იხედა ახო მ-ზე“ (გულისხმობთ მაგიდას). შემდეგ კი მიანიშნებთ: „მა...“. • თუ პატარა ასობის ყუღერადობითაა დაინტერესებული, ეცადეთ, მკვეთრად წარმოთქვათ სამეტყველო ბგერები.	• სამეტყველო ენის გაუმჯობესება • კითხვისთვის მომზადება
3+ წლიდან	კალენდარი	• თავად დაამზადეთ ან შეიძინეთ უბრალო კალენდარი, რომელზეც ბავშვი შეცვლის დედებს, თევებსა და ამინდს. • პატარას ზრდასთან ერთად, გაამრავალეთ კალენდარი და დაამატეთ სხვადასხვა დეტალი.	• დროის შეგრძნება
3+ წლიდან	ბევრი თამაში სუფთა პაერზე	• ყოველდღიურად მიეცით ბავშვს გარეთ გასვლისა და წესებისგან თავისუფალი თამაშის დრო.	• ყოველდღიური უნარები • გარემოს შესწავლა • გართობა
3+ წლიდან	„WEDGITS“-ის კონსტრუ- ქციები ¹	• „WEDGITS“-ის კონსტრუქციების ნაწილების ერთმანეთზე მიმაგრება ძალიან მარტივია. შედეგად მიიღებთ უამრავ სხვადასხვა ფორმას.	• არაა მონტესორის აქტივობა, თუმცა სახლის გარემოსთვის შესაფერისია.
3+ წლიდან	კარგად შერჩეული ასანყობი თამაშები	• მაგალითად, „LEGO“, „MAGNA-TILES“-ის თამაშები ² , ხის აგურები	• არაა მონტესორის აქტივობა, თუმცა სახლის გარემოსთვის შესაფერისია.
3+ წლიდან	ბურთულების სასრიალო	• არსებობს ულამაზესი ხის ბურთულების სასრიალოები, რომლებსაც ბავშვი თვითონ ააწყობს.	• არაა მონტესორის აქტივობა, თუმცა სახლის გარემოსთვის შესაფერისია.

¹ შეძენა შეგიძლიათ amazon.com-ზე, ebay.com-სა და სხვა მსგავს ვებგვერდებზე.

² შეძენა შეგიძლიათ ვებგვერდზე: magnatiles.com.





სიმონ დევისი

სიმონ დევისი – მონტესორის
საერთაშორისო ასოციაციის
მასწავლებელი; პოპულარული
ბლოგისა და ინსტაგრამგვერდის
- THE MONTESSORI NOTEBOOK
- ავტორი. ბლოგის საშუალებით
გამოცდილებას უზიარებს მშობლებს
მთელი მსოფლიოდან. წარმოშობით
ავსტრალიელი სიმონ დევისი ოჯახთან
ერთად ამსტერდამში ცხოვრობს,
სადაც „ჟაკარანდის ხის“ მონტესორის
სკოლაში მშობლებისა და ბავშვებისთვის
სემინარებს უძღვება.

ჰიოკო იმაი – იაპონელი ილუსტრატორი,
გრაფიკული დიზაინერი და ქაღალდის
კომპოზიციების ავტორი. ამჟამად
ცხოვრობს ამსტერდამში. მისი
მინიმალისტური, სახალისო და
დახვეწილი ნამუშევრები შეგიძლიათ
იხილოთ საიტზე: HIYOKOIMAI.COM.

როგორ გავხდეთ უფრო მშვიდი და
ყურადღებიანი მშობელი?



დროა, ბავშვებისადმი მიდგომა შევცვალოთ. დოქტორ მარია მონტესორის მიერ შემუშავებულ პრინციპებზე დაყრდნობით, სიმონ დევისი გვიჩვენებს, როგორ შეგვიძლია ჭირვეული პატარას პირველი წლები ცნობისმოყვარეობის, სწავლისა და აღმოჩენების პერიოდად ვაქციოთ. წიგნში ნახავთ, თუ როგორ:

- შეინარჩუნოთ სიმშვიდე, როცა თქვენი პატარა ჭირვეულობს, დაუწესოთ საზღვრები სიყვარულითა და პატივისცემით;
- მოაწყოთ სახლი ისე, რომ თავიდან აირიდოთ არეულობა;
- შექმნათ მონტესორის აქტივობები, რომლებიც ზუსტად მოერგება ბავშვის საჭიროებებსა და ინტერესებს;
- აღზარდოთ ცნობისმოყვარე ადამიანი, რომელიც სამყაროს შეცნობით ტკებდა;
- შეხედოთ სამყაროს ბავშვის თვალებით – ისწავლოთ ნანახით გაოცება და აღფრთოვანება.



ISBN 978-9941-37-588-0



9 789941 375880

ლილი. ჯანსაღი. ღია



სულაკაურის
ბავშვობათმცოდნეობა